644
1962

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისფერი

1

ცისკარი

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი
საქართველოს ალკა ტ. კ-სა და
მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

58223

შინაარსი

მ. კახიძე — საახალწლო (ლექსი) 3
რ. ამაშუკელი — ლექსები 4
ნ. დუმბაძე — მე ვხედავ მზეს (რომანი) . . 7
თ. ჯანგულაშვილი — მიხეილ ჯავახიშვილის ხსოვნას (ლექსი) 41
ტ. ჭანტურია — ცისარტყელა (ლექსები) . . 42
ჭ. ამირეჯიბი — მსჯავრი (მოთხრობა) . . 46
ტ. მეგურიშვილი — ლექსები 75
რ. ჭეიშვილი — ბიჭიკოს ავადმყოფობის ისტორია (მოთხრობა) 76
ო

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუბლიკაცია

ვ. ჯაფახიშვილი — დამახასიათებელი ქართულის ნიმუშები 142

სპორტი

ალ. ბუხლაევი — „სოფლურაკო გვირგვინის“ პრეტენდენტი 146
ა. გალაქერინი — საუბარი გულშემატკივრებთან 151

ყოველი მხრიდან

ქრონიკა 157

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი ვახტანგ ჭელიძე

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა:

რ. თვარაძე (პ/მგ მდივანი), **კ. კალაძე, რ. მეტრეველი, გ. შატბერაშვილი, ო. ჩხეიძე, გ. ციციშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ს. ჭილაია.**

რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-07-02

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/II-62 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვეთა № 3. უე 03601. ქაღალდის ზომა 70×108. ტირაჟი 6.500.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედეა კახიძე

საახალწლო

დალოცე, წელო ახალო,
ჩემი სამშობლოს ცარგვალი,
დაგვიდექ სუფრის თამადად,
გვიკურთხე ჭერი მაღალი.
აშორე ყველა სახლეულს
ჭირბორბალა და ვარამი,
ხორბლით აგვივსე ბეღელი,
ღვინით აგვივსე მარანი.
დე! როგორც ქარხნის საყვირი,
ხეზე ყიოდეს მამალი,
და ვიყოთ ჩვენდა სალხინოდ
ერთი მეორის წამალი.
ჩამოურიგე ყველა სახლს
აკვნები თითოოროლა,
ჭერს აღვიძებდეს ჩვილის ხმა,
ვით ღამის მეხრეს ტოროლა.
ჩამოიარე სახლებში,
ვით ბერდედამ და მოყვარემ,
ზოგს გაუცინე მოყვრულად,
ზოგსაც სიწითლე მოჰგვარე.
ვინც დღით და ღამით არა დგას
ჩვენი სამშობლოს იმედად,
ვინც სამშობლოსთვის ერთ ძეზე
მეტი ძე არ გაიმეტა,
სირცხვილით ისე აგვავსე,
რომ გულის ძარღვი დაგვიწყდეს,
რისთვის ვაშენებთ სავაზეს,
რისთვისღა ვუვლით ამ მიწებს?!
ვიღასთვის გვინდა მკრთალი ცა,
ფხაზე შეჭრილი ნამგალი,
მაშ ვიღამ უნდა დაიცვას
ჩვენი ლამაზი ცარგვალი?!.
გვაშორე, წელო ახალო,
უკან მეწყერი, წინ წყალი,
დალოცე მიწის ბარაქა,
ფოთოლზე ნამის ცინცხალი.
დალოცე, წელო ახალო,
მაღლა მზე, დაბლა ბაღნარი,
დაგვიდექ სუფრის თამადად
გვიკურთხე ჭერი მაღალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ ამაშუკელი

ჩემს თანატოლებს

ვუძღვნი საქართველოს
კომკავშირის XXIV კრებებას.

...ო, დღეს ისეთი თბილი დარია
და ფართხალებენ ვარდისფერი მზეზე მტრედები...
სულს გაზაფხულის მოლოდინმა ხელი დარია —
— რაღაც უცნობი ელექტრონი სხეულს დაიარს...
და ვგრძნობ, თანდათან სიყვარულით როგორ ვენთები!..
... იანვარია...
გარეთ თბილი; თბილი დარია...
ცაში ვარდისფრად ფართხალებენ მზეზე მტრედები...
... გამოჩნდა შორით გაზაფხული — თეთრი ქალწული
ისფერ კაბით, შეღებილი სველი ტუჩებით...
— ო, გაზაფხული — ფერადების დღესასწაული!.
დროის სინაზეს უსიმღეროდ ვერ გადურჩები...
შორს, საყვარელ მთებს მწვანე ფერის სიო დაუვლის,
აღაღანდება ალუბლები და ალუჩები...
და სულის ცისფერ ტბებს მიანდობ თვალით დანახულს...
— აღივსებიან ღიმილით და თქვენით ქუჩები.
თქვენით, ვინც ასე ედარებით თავად გაზაფხულს!..
— ასე იწყება სტრიქონი თქვენზე, —
თქვენზე, ვინც ბევრი მწვერვალები გადაიარა,
გამოუვლია ვისაც ბრძოლის გზა და იარა,
ვინც რწმენა თვისი გამარჯვებად აბრდღვიალა,
ვისაც ეკუთვნის ეს უძირო ზეცა კრიალა
და ვინც დღეს ახალ საოცრებებს ჰპოებს და ეძებს,
ვინც ქარიშხლებად გადასული მომავლის გზებზე!..

ახალწლის ღამე

... მე ვარ თამადა,
ამ სუფრაზე შენ ხარ რჩეული...
გამითამამდი,
ჩემთან ყოფნას გადაჩვეული
სიამით ბრწყინავ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ბავშვივით თვალს ვერ აშორებ,
ისე ვით წინათ,
ნაძვის ხეზე სათამაშოებს...
სახლიკაცები
ახალ-ახალ სასმისებს სვამენ...
— ახალწლის ღამე,
ბედნიერი ახალწლის ღამე!
აწი და აწი
ემატება სუფრას გალობა,
მაღალი ყანწით
დაგილოცავ ქართველ ქალობას!..
... წამით ვფიქრობდი, —
— მეხატები თვალწინ თავიდან
თეთრი წინდებით,
დიდი ბაფთით და ნაწნავითა...
გამოიცვალე
თითქოს გახდი, კიდეც დაქალდი,
გამოვიცანი,
რად მახსოვდი თურმე აქამდი.
... სახლიკაცები
ახალ-ახალ სასმისებს სვამენ...
— ახალწლის ღამე,
ბედნიერი ახალწლის ღამე!..

ეროვნული ბიბლიოთეკა



„მე ვხედავ მზეს“ ნახატი ჯემალ ლოლუასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ ღუმბაძე

ეე ვხედავ ეზოს

რომანი

მამიდა

კახამბალის ხმელ ტოტზე დედალი ჩხართვი იჯდა და ისე გალობდა, მამიდამ საქმეს თავი დაანება, სამფეხა სკამი ეზოში გამოიტანა, დაჯდა და სმენად იქცა, მე კოინდარზე დავწექი და თვალები დავხუჭე. ჩხართვი გალობდა სულმოუთქმელად, მე გულში ხმას ვაყოლებდი და ვცდილობდი არ მესუნთქა, ვიდრე ჩხართვი სულს არ მოითქვამდა, მაგრამ სუნთქვა არ მყოფნიდა. ჩხართვი გაბმულად სტვენდა. იშვიათად თუ შეჩერდებოდა, ჩამავალი მზისაკენ გაიხედავდა და ისევ განაგრძობდა სტვენას. სპილენძის ლანგარივით წითელი უზარმაზარი მზე ზანტად ჩადიოდა და სუფსის ჭალაში დაბნეულ სოფლებს ცეცხლს უკიდებდა.

— ქეთო! — მოადგა ვიღაცა ჭიშკარს. ჩხართვმა სტვენა შეწყვიტა.

— სოსო, სოსოია ბიჭო! — დამიძახა ახლა მე სტუმარმა.

— მობრძანდი! — გავძახე უკმაყოფილომ და წამოვჯექი. ეზოში ჩვენი ბრიგადირი დათიკო ჩამოვიდა.

— გამარჯობა თქვენი! — მოგვესალმა იგი.

— გაგიმარჯოს! — უპასუხა მამიდამ, მერე ადგა და სტუმარს სამზარეულოში შეუძღვა.

კოინდარზე წამოვწექი და დაველოდე, როდის დაიწყებდა ჩხართვი გალობას ისევ, მაგრამ აღარ გალობდა. ავდექი და სამზარეულოში შევედი, ბრიგადირი რაღაცას ეუბნებოდა მამიდას. მე რომ შევედი გაჩუმდა. მამიდა უხმოდ იჯდა, მუხლებზე ხელი შემოესალტა და ბუხარში ჩაფერფლილ ნაკვერჩხლებს ჩასქერიოდა. ბრიგადირმა ქისა ამოიღო ჯიბიდან, თუთუნი გააჩვია, ბუხრისკენ დაიხარა, ცეცხლმოკიდებული ფიჩხი აიღო, თამბაქოს მოუკიდა და გააბოლა. ოთახში მყარალი თუთუნის სუნი დატრიალდა.

— სოსოია, წყალი დამალევე, შენ გაზრდას. — მთხოვა მან. მე დოქთან მივედი.

— მაგი არა, ცივი მოიტანე.

დოქი ავიღე და ეზოში გავედი. როდესაც შემოვბრუნდი, ბრიგადირი რაღაცას ამბობდა. ჩემს დანახვაზე ისევ დადუმდა. მე წყალი მივაწოდე.

უგემურად მოსვა.

— კიდევ დაგისხა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მადლობელი ვარ, მეტი არ მინდა.

— დაგელია კიდე ერთი ჭიქა, შე კაცო! — შევეპატიჟე მე. მამიდას გაეღიმა.

— სოსოია, გახედე ერთი, რა აყეფებს იმ ძაღლს?.. — მითხრა ბრიგადირმა დუმილის შემდეგ.

— თუ ვინმეა, დაიძახებს. — ვთქვი მე. ბრიგადირი უხერხულად შეიშმუშნა.

— გადი, ბიჭო, ერთი წუთით გარეთ, სიტყვა მაქვს სათქმელი ქეთოსთან.— შემოეედრა ბრიგადირი.

— თუ რამე გაქვს სათქმელი, ჩემთან უთხარი. — ვუპასუხე მე და ისე მოხერხებულად დავჯექი, რომ ვინმე სკამიანად თუ გამიტანდა გარეთ, თორემ ისე ვერაფრით ვერ ამაგლეჯდა ადგილიდან.

— უფროსი და უმცროსი, სტუმარი და მასპინძელი არ იცი, ბიჭო, შენ?— მკითხა ბრიგადირმა და ისე შემხედა, მივხვდი: მამიდაჩემის რიდი რომ არა, სიამოვნებით ამახვევდა ყურს.

— ყოველ ღამე სტუმარი არ გამიგია მე!

— გაჩერდი, ბიჭო! — გამოჯავრდა მამიდა.

— მე ბრიგადირი ვარ და ყველას ოჯახში ასე დავიარები. — ამიხსნა დათიკომ.

— ჰოდა, ბრიგადირი თუ ხარ და ყველას ოჯახში თუ ასე დაიარები, გადადი ახლა სხვის ოჯახში!

— რა უნდა, ქეთო, ამ ბიჭს, რომ მჭამს ცოცხლად? — ჰკითხა ბრიგადირმა მამიდაჩემს.

— თქვი, დათიკო, რა გინდა!

დათიკო შეიშმუშნა და ხრინწიანი ხმით დაიწყო.

— ხვალ მერიაში მივდიავართ ყანის სათოხარად და ბიჭი დაგვახმარე, ჩემ-ქეთო. გაიგე ახლა რა საქმეზე ვარ მოსული? — შემომღრინა მან.

— გავიგე! — შევუღრინე მეც. მამიდას გაეღიმა. იგი ადგა, ბუხართან მივიდა, კეციდან ნაკვერჩხლიანი თუნუქი გადმოიღო, ჭადზე თითები დააკაკუნა, თუ გამოცხვაო, მერე არეკა, ტილოში გაახვია და მაგიდაზე დადო. ახლა დერგთან მივიდა, შიგ ხელი ჩაყო, დიდი წველა ყველი ამოარჩია, მაგრად დაწურა და ჭადს ზევიდან დაადო. ბრიგადირი მიხვდა, მამიდა საგზალს მიხაზირეს და და სახე გამოედარა.

— წადი ახლა, დათიკო, — თხოვა მამიდამ. დათიკო კარისაკენ წავიდა. ზღურბლთან შემოტრიალდა და თქვა:

— ალიონზე ფოსტის წინ მოვიყრით თავს, იქ მოდი, ჩემო სოსოია, არ გრცხვენია, რომ მეჩხუბები?! რა გვაქვს მე და შენ გასაყოფი? შევრიგდით, ხომ?

მე თავი დავუქნიე.

— შრომადღეს, როგორც კაცებს, ისე დავუწერ, — უთხრა ახლა მამიდას.

მამიდამ თავი დაუქნია და ბრიგადირი წავიდა. მე ეზოში გავედი, ზღმარტლზე აყუდებული ახალმოპირული თოხი ღარზე ჩავიტანე და ყუით წყალში ჩავდე. მამიდამ ლამპა გარეთ გამოიტანა, კარი მიიხურა, ურდულში ჯოხი გაუყარა და დასაწოლად ოდაში ავედით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

მამიდაჩემი ქართულის მასწავლებელია. იგი ყველაზე განათლებული და ლამაზი ქალია ჩვენს სოფელში. მამიდა, ბაბუაჩემის სკივრში რომ ხატი დეგ!, იმაზე გამოსახულ ღვთიშობელს გავს, მარიამს, და ქეთევანი ჰქვია. ალბათ ამიტომ ვერ გაუბედა ვერავინ სიყვარული ეთქვა, და არის მამიდა გაუთხოვარი. მე ძალიან მიყვარს მამიდა და სულ მეშინია, არ გათხოვდეს. მამიდა გრძნობს ამას და ალბათ ამიტომ არ თხოვდება, თუ არა და რა უშლის აბა ხელს!?

მე ვწევარ ჩემს საწოლზე გულაღმა, თვალგახელილი და მამიდას ჩურჩულით ვეკითხები:

— მამიდა!

— რა გინდა, ბიჭო?

— გძინავს, მამიდა?..

— თქვი, რა გინდა.

— რა უნდა დათიკო ბრიგადირს, ყოველ საღამოს რომ დაიარება?

— არ ვიცი, ბიჭო!

— ნუ მოდის მაგი ჩვენთან!

— ხომ არ გავაგდებ, ბიჭო?

— არ ვიცი მე, ნუ მოდის... მოვა, დაჯდება, წყალი მომიტანე, ძაღლს გაზედე, გადი გარეთ, იმას მიხედე, ამას მიხედე. კი ვიცი მე, მაგას რა უნდა!

მამიდა არაფერს ამბობს.

— მამიდა, რამდენი წლის ხარ ახლა შენ? — ვეკითხები დუმილის შემდეგ.

— დაიძინე, ბიჭო!

— მითხარი.

— ოცდათხუთმეტის.

— რატომ არ თხოვდები მერე?

მამიდა სდუმს, მე მესმის მისი მშვიდი სუნთქვა და ველოდები, როდის გამცემს პასუხს. იგი ხმას არ მცემს.

— ა, მამიდა?

— დაიძინე, ბიჭო, ხვალ ადრე ხარ ასადგომი!

— რატომ არ თხოვდები, მამიდა!

— არავინ მთხოულობს, ბიჭო, არავის მოსწონს მამიდაშენი!

— ტყუილია მაგი. შენ ქვეყანას მოსწონხარ, დათიკოსაც უყვარხარ.

— მერე და გემეტები მაგისთვის?

— არა.

— ჰოდა, დაიძინე ახლა!

მე ვიძინებ და მესიზმრება: მამიდაჩემი დგას სოფლის ეკლესიის წინ, თეთრ საქორწილო კაბაში გამოწყობილი, თეთრი, მაღალი, ღვთიშობელივით ლამაზი. მის წინ დამხობილია მთელი სოფლის კაცები, მე ვეხვეწები, ნუ გათხოვდები-მეთქი, და იგი არავის არ მიყვება, იხდის საქორწილო კაბას, მოდის ჩემთან, მკიდებს ხელს და ჩვენ ერთად მივდივართ შინ.

*

ალიონზე ფრთხილად ავდექი, მძინარე მამიდას ლოყაზე ვაკოცე, სამზარეულოში ჩავედი, საგზალი სკოლის ჩანთაში ჩავდე, ღარზე ჩავირბინე, პირზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალი შევისხი, მერე თოხი წყლიდან ამოვიღე, ტარი ჩანთის სახელურშიგაჭიმეს ვუყარე და სოფლის ფოსტისკენ გავიქეცი.

მთელი ჩვენი ბრიგადა ფოსტის წინ იდგა, თოხებზე დაყრდნობილი, ხალხს თავი მაღლა აეწია და ფოსტის სეტეზე გამოკიდულ დაფლეთილ რადიოს უგდებდა ყურს. რეპროდუქტორი ცახცახებდა, ხრიალებდა და ხრინწიანი ხმით რაღაცას გადმოსცემდა. ყველა სდუმდა. მე რომ მივედი, რეპროდუქტორიც დადუმდა.

— გამარჯობა თქვენი! — ვთქვი მე. ხმა არავის გაუცია.

— გამარჯობა, ხალხო, თქვენი! — გავიმეორე მე გაუბედავად. არავინ არაფერი მიპასუხა.

— გერასიმე ბიძია, რა მოხდა?!—კითხე ჩემს კარის მეზობელს და შევანჯღრიე. მან უაზროდ მომხედა, მერე ფოსტის კიბეზე ჩამოჯდა, თუთუნი ამოიღო, გაახვია და ისე გააბოლა, **თითქოს არც დავენახე.**

— თქვი, ასალო ბიძია, რა მოხდა, კაცი არ ხარ, შეკაცო? — შევეეედრე ახლა გერასიმეს გვერდით ჩამომჯდარ მეორე მეზობელს. მან თავიდან ფეხებამდე ამათვალიერ-ჩამათვალიერა, დიდხანს მიყურა თვალებში, მერე პირი ამარიდა და ისე მითხრა:

— ომია, სოსოია ბიძია, ომი!

— რა ომი, ასალო ბიძია?

— ჩხუბი, კაცის კვლა და სისხლის ღვრა, გეყურება?

— ვისთან?

ასალომ ხელი ჩაიქნია.

— ვისთან?! — გავიმეორე მე და გარშემო მიმოვიხედე, ხალხი იდგა გაფითრებული და შეშინებული.

— გერმანიასთან! — თქვა, როგორც იქნა, ვიღაცამ.

— რომელ გერმანიასთან?

— მწვანე გერმანიასთან! — მიპასუხა ასალომ.

მე მივხვდი, რომ მოხდა რაღაც დიდი, საოცრად დიდი უბედურება. **არა**სდროს არ მინახავს ამდენი ხალხი ერთად დამუნჯებული, გაფითრებული, შეშინებული და უცებ შემეშინდა, ისე როგორც შუაღამით სოფლის სასაფლაოზე მარტოდ გავლა. რომ არ მეყვირა, გერასიმე ბიძიას გვერდით ჩამოვჯექი და მუხლზე ხელი დავადე. გერასიმემ გაკვირვებული თვალებით შემომხედა, მერე თავზე ხელი დამისვა და მითხრა:

— წადი ახლა შინ და ნუ გეშინია, ბიძიკო!

მე ავდექი და შინისკენ გავბრუნდი.

— აგი თოხი და საგზალი წაიღე! — დამაბრუნა გერასიმემ. მე თოხი და საგზალი ავიღე და წავედი.

მზე უკვე ამოსცილდა ტოლების მთებს, სუფსის ხიდთან რომ მივედი და შინისკენ გადავუხვიე. მივდიოდი თავჩაღუნული...

— სოსოია შამალაძეს გაუმარჯოს!

თავი ავწიე, ჩემს წინ ზურგზე გოდორმოკიდებული ლუკაია ფოცხიშვილი იდგა. შუბლზე ოფლი ხვითქად ჩამოსდიოდა.

— ერთი აგი გოდორი ჩამომადგმევინე, თუ კაცი ხარ.

მე გოდორი ჩამოვადგმევინე. ლუკა გოდორს მოუჯდა, მერე ხელით მანიშნა, გვერდზე მომიჯექეო.

მივუჯექე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სახაჭუნე ვაშლი მიმაქვს გასაყიდად. კი იცი შენ ჩემი სახაჭუნე ვაშლი, ეზოში საღორესთან რომ მიდგას... ჩემი ღორი არ გინახავს? მაკეთაა, ძროხაც მაკეთაა. ნახე ერთი, როგორ ხაჭუნობს, ამოიღე ერთი ცალი და ნახე, ოღონდ მაგი არ ჭამო, გასაყიდად მიმაქვს. ისე, ამოღი ჩემთან და რამდენსაც გინდა გაქმევ. თუთუნი გექნება შენ, — თუთუნი ამოვიღე ჯიბიდან და გამოწვდილ ხელისგულზე დავუყარე. ლუკაიამ თუთუნს უსუნა და განაგრძო, — კაი სამუშაო დღეა დღეს, მარა ვიფიქრე, ერთ-ორ კაპიკს გავაკეთებ-მეთქი... ქაღალდიც გექნება, — მე თამბაქოს გასახვევი ქაღალდი მივაწოდე, — ჩვენს ბრიგადირს რომ კითხო, ყოველდღე კოლექტივის უანა თოხნეო და შენსას მიანებე თავიო. ცეცხლი არ გაქვს? — ასანთიც მივაწოდე. მოუკიდა და სიამოვნებით გააბოლა, — თვითონ რა ენაღვლება, შვილი მაგას არ ყავს და ძირი. ბიჭი მომახმარეო. ბიჭი უმაღლესში უნდა მოეწყოს წელს და თოხი ვაბაყუნებიო უანაში? არ გამოუვა მაგი ნომერი, ა, რას იტყვი შენ? რავა დამუნჯებულხარ, შე უპატრონო, თქვი რამე! — შემომიტია უცებ ლუკაიამ.

— ლუკა ბიძია, ომი დაიწყო! — ვთქვი მე.

— ვინ? — მკითხა ლუკაიამ, ისე რომ ჩემსკენ არც გამოუხედავს.

— გერმანიამ.

— *სად?*

— რუსეთში.

— ვისთან? — თქვა ისევ ისე ლუკაიამ.

— ჩვენთან!

— ვინ ჩვენთან?

— ჩვენთან, საბჭოთა კავშირთან.

— როდის?

— დღეს!

ლუკაიას უცებ მკვდრის ფერი დაეედო, კვამლი სასულეში გადასცდა და ხველება აუვარდა. დიდხანს ახველებდა, ბოლოს ჩაბჟირდა, გაშავდა და გაბმული სტვენა ამოუშვა ფილტვებიდან. მერე ხელი ისე ჩამავლო მაჯაში, თითები გამილურჯდა. ასე იყო ერთხანს. ბოლოს გადაუარა.

— ვინ გითხრა, ბიჭო, მაგი?

— რადიომ თქვა ამ დილით!

— გაჩერდი!

— თქვა!

— იხუმრე შენ ხომ, ბიძია? — ვედრებით მკითხა ლუკაიამ.

— არა, რადიომ თქვა ამ დილით.

ლუკაიას აღარაფერი უკითხავს. დიდხანს იჯდა და მიწას ჩასცქეროდა. მერე წელმოწყვეტილი ადგა, — გოდორი მომაკიდებიეო, — მთხოვა. სახლისკენ გაბრუნდა. ცოტა რომ გაიარა, შემობრუნდა და რაღაცის თქმა დააპირა, მერე, ეტყობა, გადაიფიქრა და ისე დამიწყო ყურება.

— რა იყო, ლუკა ბიძია?

ლუკაიამ არაფერი მითხრა, ხელი ჩაიქნია, შებრუნდა, თავი ჩაღუნა და უხმოდ წავიდა სახლისაკენ.

შინ რომ მივედი, მამიდა გოშზე ცალი ხელით ჭადის ფქვილს ზელდა და მეორეთი თუნგიდან წყალს უზავებდა. კარი ღია იყო და ისე შევედი სამზარეულოში, ჩემი მისვლა არც გაუგია.

— მამიდა, გერმანიამ ამ დილით ომი დაგვიწყო!

მამიდამ თავი აწია და გაოცებული თვალებით შემომაჩერდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაღიომ თქვა ამ დილით, გერმანიამ ომი გამოგვიცხადა.

მამიდას ცომიანი ხელი აუკანკალდა. იგი თვალს არ მაცილებდა, თუნგიდან თბილი წყალი იღვრებოდა გობში, გობი თანდათან აივსო და ახლა სქელი რძისფერი სითხე გადმდიოდა და იღვრებოდა მამიდას ფეხებთან. მე თვალს არ ვაცილებდი მამიდას ათრთოლებულ ხელებს.

— იცი, ბიჭო, შენ რას ამბობ? — მკითხა ბოლოს მამიდამ საიდანღაც, ძალიან შორიდან.

მე უარყოფის ნიშნად თავი გადავაქნიე.

მე არ ვიცოდი რას ვამბობდი, მაგრამ მივხვდი, რომ მოხდა რაღაც დიდი, საოცრად დიდი უბედურება, რომელიც ამ დილით ჩემთან ერთად შემოვიდა ჩვენს ოჯახში.

ზღვის უკუქცევა

რაიონული კლუბის ეზოში უამრავი ხალხი ირევა. იცინიან, მღერიან, ტირიან, ქვითინებენ. რაღაცას სთხოვენ და პირდებიან ერთმანეთს. მერე ეხვევიან, კოცნიან, აბარებენ, უბარებენ, არიგებენ, ემუქრებიან, ეალერსებიან, ისევ პირდებიან, ისევ კოცნიან ერთმანეთს და ასე გაუთავებლად.

დიდი ბჟოლის ძირში, კოინდარზე ზის გერასიმე ბიძია, თუთუნს აბოლებს და თვალს არ აცილებს თავის ვაჟს, რომელიც ოჰ, ოჰას ძახილით მაღლა ისერის პატარა გოგოს. გოგო ფეხს ფშეკს, კისკისებს, იჭაჭება. მის გვერდით დგას დაღლილებული მისი ცოლი შავი მაშიკო. იგი ქვედა ტუჩს იკვნეტს და თვალებიდან ღაბაღუპით ჩამოსდის ცრემლი.

ასალო გუდავაძე კლუბის კიბეზე ჩამომჯდარა, გვერდით თავისი ვაჟი მოუსვამს. ვაჟს ფეხთით ახალგაზრდა ქალი უზის, მას ქმრის მუხლებზე უდევს თავი და გაუჩერებლად ტირის.

— აგი ქალი არ გაუშვა დედისოულს, ბაბა! — უბარებს ვაჟი ასალოს და ცოლს თავზე უსვამს ხელს.

— არა, ბაბა.

— მარგალიტა, არ მიატოვო ბაბა, ცოდვაა მარტო, — ქალი ტირის.

— მე მალე დავბრუნდები, ბაბა.

— კი, ბაბა.

— გაჩერდი, ქალო, ჩემს მეტი არავინ მიდის ჯარში, თუ იცი? — მარგალიტა ტირილს უმატებს. ქმარი ეფერება.

— ტყუილა-უბრალოდ თავი არ გაიფუჭო, ბიჭო, ჭკუით იყავი! — ეუბნება ასალო.

— ნუ გეშინია, ბაბა, ჰიტლერის თავს ჩამოგიტან, თუ ვყოფილვარ ბიჭი! — იღიმება ვაჟი.

— შენი თავი ჩამომიტანე, ბაბა, მე იგი მირჩევნია! — ამბობს ასალო.

მარგალიტა ისევ ტირის.

— ამ ქალს მიმიხედე, ბაბა!

— კი, ბაბა, რად მინდა დარიგება!

— ბაბა!.. — ასალოს ბიჭი იშმუშნება...

— თქვი, შვილო.

— ერთ-ორ თვეს კი და მერე წყალი არ მოატანიო, შეშა არ მოაზიდიო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

წისქვილზე არ გოუშვა, ყანა არ ათოხნიო! — ასალო თავს უქნევს თანხმობის ნიშნად.

— მაგი თვითონ არ გეტყვის და მძიმე არაფერი აიწევიო...—განაგრძობს ასალოს ბიჭი. ასალო იღიმება და თავს უქნევს.

ლუკაიას თუთუნის გახვევა უნდა, მაგრამ ვერ ახვევს, უკვე მეორე ქაღალდი ჩაასკდა ხელში და დაეპნა თუთუნი. ლუკაიას ხელები უკახკალებს, მე თუთუნს ვართმევ, ვახვევ და ვაწვდი. ლუკაია მადლიერი თვალებით მიყურებს. უკიდებს და ქაჩავს, ახლა ტუჩები უკანკალებს ლუკაიას.

— სოსოია, რა ვუყო ამ ბიჭს, ა? — მეკითხება მე. მე არ ვიცი რა უნდა უყოს ლუკაიამ თავის კუკურას. იგი დგას შეზარხოშებულ ტოლებში და ხმამაღლა ყვება რაღაცას, ბიჭები კბილებს კრეჭენ და ულაყებივით ხვიხვინებენ.

— მაგენს თავს გადაპარსავენ ყველას, — წუხს ლუკაია.

— თავს კლასშიც გვპარსავენ ყველას, — ვამშვიდებ მე.

— გერასიმეს რა უჭირს, ნაგრამი რჩება, მე რა მრჩება?

— დაბრუნდება მალე, ლუკა ბიძია!

— ყველა ვერ დაბრუნდება, სოსოია!

— ყველა დაბრუნდება! — ვეუბნები მე. იმიტომ, რომ ვიცი, ყველა დაბრუნდება, სულ ყველა. მე ჯერ არ მინახავს კაცი, რომელიც ჯარში წასულიყოს და არ მობრუნებულიყოს. მე ვდგები და მივდივარ ჩემი სოფლის ბიჭებთან. ისინი მთვრალები არიან, მიღიმიან, მკოცნიან, მეც ვუცინი მათ და ვკოცნი.

— ანზორა, მიდიხარ?

— მივდივარ, სოსოია.

— ხომ დაბრუნდები, ანზორა? — ანზორა იღიმება. მის მკერდზე ტირის მისი საცოლე მაყვალა. ახლა იგი ეკითხება:

— თქვი, ანზორა, ხომ დაბრუნდები?

— აბა, არ დავბრუნდები?

— შენ, ნიკუშა?

— მეც, სოსოია. შენ არ მოდიხარ? — მიცინის ნიკუშა.

— მაგას ვინ წაიყვანს, ტრიკი აქვს! — ეუბნება აბიბო.

— ტრიკი შენს ძმას იაგორას აქვს, არ მიწევს და რა ვქნა? — ვეკითხები მე. გოგოები იცინიან.

— სოსოია, შეხედე ბიჭო, რამდენ გოგოებს გიტოვებთ, მიხედე ამ თხებს, ტურამ არ შეგიჭამოს, თორემ რომ ჩამოვალთ, ოთხში ამოგიღებთ, — მემუქრება ჯუმბერა.

— რაც ტურები იყავით, ყველა მიდიხართ და ვინ შეჭამს? — ვეკითხები მე. გოგოები ისევ იცინიან. მერე მე მივდივარ სხვებთან.

— ვის აცილებ, სოსოია? — მეკითხება მეზობელი.

— შენ არ მიდიხარ, თუ?

— მივდივარ, სოსოია.

— ჰოდა, შენ გაცილებ.

თამაზი გულში მიკრავს, მკოცნის და ჩურჩულით მეკითხება:

— მამიდაშენი ქეთო ვის აცილებს, სოსოია?

მამიდა მესერთან დგას დათიკო ბრიგადირის პირდაპირ და თვალს არ აცილებს მას. დათიკო ბრიგადირი რაღაცას ეუბნება, მამიდა ყურს უგდებს. მე ვუყურებ დათიკოს, იგი გაფითრებულია. მერე დათიკო მკლავზე ჰკიდებს ხელს მამიდას. მამიდა არ აშვებინებს ხელს. დათიკო ახლა მეორე მკლავზე ჰკიდებს ხელს მამიდას და ახლა ორივე მკლავი უკავია მამიდასი. მამიდა არც მეორე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელს აშვებინებს და ისინი ახლა სულ ახლოს დგანან ერთმანეთთან. მე ვფიქრობ, რებ მამიდაჩემს, იგი გაფითრებულია და ახლა უფრო ჰგავს ღვთიშობელს, მაგრამ მე აღარ მეშინია, რომ იგი გათხოვდება, რომ მას ახლა ვინმე წამართმევს, და არ მივდივარ მათთან. მამიდა გრძნობს ჩემს მზერას და ჩემკენ იხედება. დათიკოც იხედება ჩემკენ და მეძახის:

— სოსოია, მოდი აქ, ბიჭო! —

მივდივარ და მამიდას გვერდით ვდგები.

— მემდური, სოსოია? — მეკითხება დათიკო და თმას მჭაჩავს.

— რა მაქვს შენთან სამდურავი?! — ვეუბნები მე და წასვლას ვაპირებ.

— არ წახვიდე, იყავი ჩვენთან.

მე ვრჩები.

— მივდივარ, სოსოია, ომში!

— ყველა მიდის!

— მიხედე მამიდაშენს, შენ ვაჟკაცი ხარ ახლა!

— შენ რომ არ მითხრა, უშენოდაც მივხედავ!

— ხომ იცი, როგორ მიყვარს მამიდაშენი!!

— შენზე უფრო მე მიყვარს!

— მე მალე დავბრუნდები, სოსოია, და მერე ერთად ვიქნებით სულ!

— ყველა დაბრუნდება და ყველა ერთად ვიქნებით.

— ყველა არ დაბრუნდება!

— ნახავ, თუ არ დაბრუნდება!

კლუბის ეზოში შემოდის ახალგაზრდების მთელი ჯგუფი. შუაში ლამაზი, ცეცხლივით წითელთმიანი გოგო ჩაუყენებიათ და მთელი ხმით მღერიან:

ომში მიდის ჩემი ბიჭი,
თან მიეყვები მეცო
ვერაფერი დაგვაცილებს
აწი ერთმანეთსო...

შუაღამისას სამხედრო კომისარი კლუბის აივანზე გადმოდგა და ორსაათიანი სიტყვა თქვა. პირველი მსოფლიო ომის გამომწვევი მიზეზები და შედეგები რომ ვერ გაიხსენა კარგად, უცებ მეორე მსოფლიო ომის წარმომშობ ფაქტორებზე გადავიდა და გერმანია მიწასთან გაასწორა. არც იტალიას და იაპონიას მოფერებია. მაინცდამაინც, ბოლოს ჰიტლერი და მუსოლინი მოხარშული კარტოფილივით შემოფცქვნენ ხელში და იმდენი ილაპარაკა ჩვენი ჯარის კონტრდარტყმებზე, ჩვენს თვითმფრინავებზე, ტანკებზე, არტილერიაზე, კავალერიაზე, რომელიც დღეს თუ ხვალ ბერლინში უნდა შესულიყო, რომ ჯარში წასასვლელად გახაზირებული ამდენი ხალხი შინ კინაღამ დააბრუნა. რაიონის სასულე ორკესტრმა, რომელსაც ბებერი მაესტრო ხელმძღვანელობდა, სიტყვის დამთავრებისთანავე ტუში დასცხო. მერე უცებ ორკესტრი დადუმდა. ბიჭებმა ფრთხილად დააწყვეს ინსტრუმენტები კოინდარზე ერთმანეთის გვერდით, რიგრიგობით მივიდნენ თავჩაქინდრულ ბებერ მაესტროსთან, სათითაოდ გადაკოცნეს და მანქანის ძარაზე აძვრნენ. ხალხი მანქანებს მიცვივდა:

— არ წახვიდე, ანზორა ბიჭო!

— მღუპავ, ნენა?!

— წერილის დაწერა არ დაიზარო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ გამომჭრა, ბაბა, ყელი!

— არ შეაკლა, ნენა, თავი მაგ სასიკვდილეებს!

— დაქექე აწი, შე უპატრონო, ვედარ გავუძელი ამის ყურებას.

— ამოდი აწი მანქანაზე, ამირანა, გათავდა ომი!

და უცებ თითქოს მზე ჩავიდა, თითქოს დაღამდა, თითქოს ქვეყანა ორად გაიყო: ათ საბარგო მანქანას მიჰყავდა ჩვენი სისხლი და ხორცი, რომელსაც ითხოვდა მიწა იმ დიდი სიყვარულის ფასად, რომლითაც უყვარდა იგი ამ ხალხს. მანქანების გასწვრივ ვიდექით ჩვენ — დედები, ცოლები, დები, მამები, ბავშვები, რომლებმაც გავიღეთ ეს მსხვერპლი. კოინდარზე უპატრონოდ დარჩენილ საკრავებს შორის იდგა სახეზე ხელებაფარებული მოხუცი მაესტრო და მხრები უცახცახებდა.

მანქანები ნელი გუგუნით დაიძრა. ამ დღეს მე პირველად დავინახე ცრემლი ამდენი ადამიანის თვალზე, ამდენი მწუხარე, შეშინებული და გაფითრებული ადამიანი, ამ დღეს მე პირველად ვნახე ატირებული მამიდა. ეს დღე გავდა უზარმაზარი ზღვის მოქცევას, რომელიც მოულოდნელად უკუიქცა და დაგვტოვა ჩვენ ნაპირზე, როგორც თევზები, ნიჟარები, ლოკოკინები და ნაფოტები.

*

თვალგახელილი ვწევარ ბნელ ოთახში და ჩურჩულით ვეკითხები მამიდას:

— მამიდა!

— რა გინდა, ბიჭო?

— გძინავს, მამიდა?

— არ მძინავს!

— მამიდა, დათიკო წავიდა.

— ყველა წავიდა.

— მეტი აღარავინ წავა?

— კიდევ ბევრი წავა.

— მამიდა, რომ არ დაბრუნდეს დათიკო?

— დაიძინე, ბიჭო!

— რომ არ დაბრუნდეს, შენ რას იზამ?

— ბევრი არ დაბრუნდება, სოსოია, ბევრი!

— სწავლა თუ იქნება, მამიდა?

— იქნება!

— ჟორიკას ქორწილი თუ იქნება ხვალ?

— იქნება, ყველაფერი იქნება...

— მამიდა!

— დაიძინე!

მე ვიძინებ და არაფერი არ მესიზმრება.

ხატია

ომის დაწყება ყველაზე ადრე სოფლის კოოპერატივს დაეტყო, დახლიდან ჯერ შაქარი გაქრა, მერე ასანთი, მერე ერბო და კარაქი, მერე საპონი, მერე შარიდი, მერე პური, ნავთი და ბოლოს თვითონ დახლიდარი ლასა. მერე ყანაში მოხშირდა ბალახი, მერე დადგა სამთვალა წისქვილის ერთი თვალი, მერე გამოილია შეშა და მატრონა დეიდამ თავის ეზოში ვენახიანი ხე მომა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭრევნა. მერე შეუწამლავი დარჩა ჩვენი ცოლიკაური, შეწყდა ჯარობანა კიდობანში დაილია ფქვილი, გამსხვილდა საცერი. ერთ დღეს საერთოდ გაუცრელი ჭადი გამოაცხო მამიდამ. ერთ ღამეს განწირულმა კიბილმა წამოგვყარა საწოლებიდან და ერთი თვის თავზე პირველმა ძაძებში შემოსილმა დედაკაცმა გაიარა სოფელში.

დილდილობით ადარ გვაღვიძებდა დათიკო ბრიგადირის ბღავილი:

— ანდრია, გამოდი გარეთ!

— ედემიკა, არ გამომჭრა ყელი.

— სოსოია, გაახილე თვალი.

— მინადორა, გადაასახი შენს მუტრუკს წყალი.

— ქესკინა, უუუ...

ახლა ყოველ ცისმარე ქსენია ბრიგადირი შემოდგებოდა სოფლის ამაღლებულ ადგილზე, ორივე ხელისგულს პირზე მიღივით აიფარებდა და ბუდიდან აგდებული კრუხივით კაკანებდა:

— მატრონა, გეყოფა ძილი!

— მაშიკოოო, გამოდი ჩაში!

— ქეთოოო, მოგვეხმარე დღეს!

— მარგალიტაა, ადი ფერმაში!

— სოსოიაა, დაგაყრუა ჩემმა გამჩენმა!

— გერასიმეეე, უუუ!

გვეძახდნენ ყველას, თუ კი ვინმე ვიყავით სოფელში, და გავიდოდით ყველა, თუ კი ვინმეს შეგვეძლო მუშაობა. არ ეძახდნენ მხოლოდ ბესარიონ შალიკაშვილის ხატიას, მას დაძახება არც უნდოდა, იგი ყველაზე ადრე დგებოდა დილით, მსხვილ ქერა ნაწნავებს გვირგვინად იკრავდა თავზე; გამოდიოდა ჩაის პლანტაციაში, გამარჯობას იტყოდა ხმამაღლა, ისე რომ არავის გვიცქერდა სახეში. იგი იცქირებოდა სადღაც შორს, შორს და იღიმებოდა. მერე ძალიან ფრთხილად დგებოდა კვალში და უფრო ფრთხილად აარევდა ჩაის ფოთლის თვითეულ ყლორტს, ლამაზი და თხელი თითებით. თუ ყანას ვთოხნიდით, იგი დაჩოქილი აცლიდა ბალახს სიმინდებს, ან იჯდა ნაპირის ბოლოში, ისევ სადღაც შორს იცქირებოდა უსასრულობაში და ისევ იღიმებოდა თავისი დიდრონნი ცისფერი თვალებით.

ხატია ყველას და ყველაფერს უღიმოდა, ხატიას ყველა და ყველაფერი უყვარდა. იგი უთქმელად უგებდა ყველას სიხარულსაც და მწუხარებასაც, გულთამხილავი იყო, ზეპირად იცოდა, რას ლაპარაკობდნენ გაღმა სოფელში და რას ჩურჩულებდნენ ერთმანეთში მეზობლები, ამიტომ იგი დიდსა და პატარას ერთნაირად უყვარდა, ყველას თავისიანად მიაჩნდა და ყველა ჭკუის დარიგებას თხოვდა ამ თითისტოლა და დედაკაცივით ბრძენ გოგოს.

ხატია ჩემი ტოლა იყო, ერთად დავდიოდით სკოლაში. ერთად ვისხეოდით მეექვსე კლასის უკანა მერხზე, ერთად ვუცქერდით შავ დაფაზე ცარცით გამოყვანილ რთულ განტოლებებს, მაგრამ ხატია არასოდეს არაფერს არ იწერდა, ხატიამ ყველაფერი ზეპირად იცოდა, იგი დაბადებიდან ბრმა იყო და მაინც ყველაზე ლამაზი და ჭკვიანი ჩვენს ჯგუფში.

*

კარგად გათენებული არც იყო, მე ისევ ლოგინში ვიწექი, მამიდა კი ჩემს ხალათს ღილს აკერებდა. აივანზე ვიღაც ამოვიდა.

— ქეთო მასწავლებელო! — დაიძახა მან გაუბედავად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხატიას ხმას ყველა იცნობდა სოფელში და მამიდას არც უკითხავს, რომელი ხარო, ისე დაუძახა შემოდიო.

— დილა მშვიდობის! — თქვა ხატიამ და კარებში დადგა.

— დილა მშვიდობის, ჩემო ხატიავ, რამ აგაყენა ამ ალიონზე, ქანდარაზე ხომ არ გეძინა? — ჰკითხა მამიდამ.

— სულ არ მიძინია წუხელ, ქეთო მასწავლებელო!

— რაო, რა მოხდა...

— სოსოია სახლშია?

— აგერ ვარ, გოგო, რა გინდა?

— აბა ვერ გეტყვი, ქეთო მასწავლებელო. ადგეს მაგი და გავიდეს გარეთ.

მამიდამ გაკვირვებით გადმოხედა და მანიშნა, აღექიო.

— შებრუნდი იქით! — ვუთხარი ხატიას უკმაყოფილომ და შარვალს ხელი წამოვავლე. ხატიას გაეღიმა და მაინც მიბრუნდა. მე გარეთ გამოვედი, კარი განგებ მაგრად მოვიხურე, ბრახუნით გავიარე აივანზე, მერე ფეხაკრეფით დავბრუნდი უკან, კარს ავეკარი და სმენად ვიქეცი.

— სოსოია, მოკილდი კარს, სუნთქვა მეყურება შენ! — მითხრა შიგნიდან ხატიამ. სხვა გზა არ მქონდა. ეზოში ჩავედი. ცოტა ხნის შემდეგ დავბრუნდი და კარი გავაღე. ქაღალდივით გაფითრებული მამიდა მაგიდასთან იჯდა, ორთავე ხელი საფეთქლებზე შემოეწყო, წინ დაგდებულ ჩემს ხალათს დაშტერებოდა და სდუმდა. ხატია მასთან მისულიყო ზურგის მხრიდან, სულ ახლოს, მხარზე ხელი მოეხვია მამიდასათვის და მასზე უფრო გაფითრებულიყო.

— შენ თუ იცი, რას ამბობ, ხატია? — ჰკითხა მამიდამ თავაუღებლად. ხატიამ ხმა არ გასცა.

— იქნებ შეგეშალა, ხატია? — გაუმეორა კითხვა მამიდამ.

— არ შეიძლება კაცის ხმა შემეშალოს, ქეთო მასწავლებელო! — უპასუხა ხატიამ.

— როგორ შეიძლება, გოგო, ამის დაჯერება! — თქვა ისევ მამიდამ.

— წისქვილიდან რომ გამოვედი და აღმართი ამავიარე, შევისვენე. გამოიარა და მკითხა, რომელი ხარო. ხატია ვარ-მეთქი, ვუთხარი. ამ შუადამისას რას დაეთრევიო...

ხატია დდუმდა...

— მერე? — ჰკითხა მამიდამ და ხატიას ახედა.

— ჩემთვის შუადამე და შუადღე ერთია-მეთქი, მე ვუთხარი. სახელიც ვუთხარი მისი. იმას აქ რა უნდა, სულელო, მე ტარასიე ვარ, ანთიძეო!

— ეგებ მართლა ტარასი იყო, ხატია? — ვედრებით ჰკითხა მამიდამ.

— მე ვიყავი ტარასისთან ამ დილას, სანამ აქ მოვიდოდი.

— მერე?

— ავადაა ტარასი, სამი დღეა!

— იქნებ მაინც შეგეშალა, ხატია?

— ხატიას არ შეიძლება კაცის ხმა შეეშალოს, ქეთო მასწავლებელო, მოვა მაგი თქვენთან და ნახავთ, თუ არ გჯერათ ჩემი, — თქვა ხატიამ და კარისაკენ დაიძრა. მე კარი გავუღე და გზა დავუთმე. ხატია ფრთხილად გავიდა აივანზე, ფრთხილად ჩავიდა ეზოში და წავიდა.

საქ. სსრ სახელმწიფო ... ეროვნული ... ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*

იმ დღიდან მამიდა დამუნჯდა. თავაუღებლად დადიოდა დილიდან საღამომდე. ვეგონებოდათ, რაღაც ძვირფასი დაკარგა, ეძებს და ვერ პოულობსო. სამუშაოზე გაშტერდებოდა უცებ, აღარც ლაპარაკი ეყურებოდა ჩემი, აღარც დაძახება. ვიდრე არ მივიდოდი და ხელით არ შეეხებოდი, იდგა ასე მონუსხულივით. თუ ჩაის კრეფდა, ბუჩქზე შეაცივდებოდა ხელი, თუ სიმინდს თოხნიდა, მიყვებოდა ნაპირს და ჭრიდა სიმინდს პირწმინდად. — მამიდა! — დავუძახებდი მე. უცებ გამოერკვეოდა, უკან მოიხედავდა, დაინახავდა თავის ნახელავს და ღრმად ამოიოხრებდა.

ღამით იწვა თვალგახელილი. ძაღლის ყოველ დაყეფებზე წამოხტებოდა და სულს განაბავდა, თითქოს ვიღაცას ელოდა, ის კი არ მოდიოდა, არა და არა. გახდა მამიდა, ჩამოდნა, დაილია. ბოლოს ვეღარ გავუძელი მის ყურებას და ხატიასთან წავედი.

ბესარიონ შალიკაშვილი უზარმაზარ მორზე იდგა და საწნახელს თლიდა. ხატია აივანზე იჯდა, მზეს უყურებდა პირდაპირ და იღიმებოდა.

— გამარჯობა, ბესარიონ ბიძია! — ვთქვი მე.

— გაგიმარჯოს, ბიძია! — მიპასუხა მან, ისე რომ მუშაობა არ შეუწყვეტია.

— სოსო ხარ შენ? — მკითხა ხატიამ აივნიდან.

— კი, სოსო ვარ!

— მზე სადაა ახლა, სოსო? — მკითხა ხატიამ.

— აგერაა, ბლის წვერზე, — ვთქვი მე და მზისკენ ხელი გავიშვირე.

— აბა, ბლის წვერზე თუა, მე ვხედავ მზეს, — გაუხარდა ხატიას.

— კი, ბლის წვერზეა.

— მამა, რა გითხრა ბათუმში ექიმმა? — ჰკითხა ახლა მამამსს.

— რამდენჯერ უნდა გითხრა, გოგო? — გაუჯავრდა ბესარიონი.

— თქვი, მამა, სოსოიას უთხარი, — შეეხვეწა ხატია.

— რაო და მზეს თუ ხედავს, სინათლეს დავუბრუნებო... — თქვა ბესარიონმა.

— გესმის, სოსოია?

— ხატია, ჩამოდი ერთი წუთით, საქმე მაქვს შენთან, — ვთხოვე ხატიას. ხატია ჩამოვიდა ეზოში. სულ ახლოს მოვიდა და გაჩერდა.

— ვიცი, რაზე მოხვედი, სოსოია.

— რა უთხარი, გოგო, ისეთი მამიდაჩემს, რომ კვდება ქალი?

ხატიამ არაფერი მიპასუხა. გვერდით ჩამიარა, ჭიშკარი გააღო და ეზოდან გადავიდა. მე გავყევი, წინ ხატია მიდიოდა, უკან მე. ჩვენ სახლთან რომ მივედით, ჭიშკარი გავაღე.

ხატია შევიდა შუა ეზოში, დადგა და მკითხა:

— სადაა ქეთო მასწავლებელი?

— მამიდა! — დავიძახე მე. მამიდა ოთახიდან გამოვიდა.

— ხატიაა მოსული, შენ უნდიხარ! — მამიდა ჩამოვიდა ეზოში, შეშინებული მოგვიახლოვდა და ხატიას წინ დადგა.

— გამარჯობა, ქეთო მასწავლებელო! — თქვა ხატიამ.

— რა იყო, ხატია, რა მოხდა? — ჰკითხა ხმის კანკალით მამიდამ.

— არაფერი, ქეთო მასწავლებელო, ისე მოვედი, მომენატრეთ.

მამიდამ გაუღიმა ხატიას, მხარზე მოხვია ხელი და ოთახისაკენ წაიყვანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საქმე გაქვს ეგება რამე, მასწავლებელო, მოგეხმარები! — თქვა ხატიამ და გაჩერდა.

— არა, ჩემო ხატია, საშენო საქმე არაფერი მაქვს. — უთხრა მამიდამ.

— სიმინდი გექნება დასაფშვნელი!

— ნეტავი იყოს, ჩემო ხატია, და ეს ბიჭი რას მიკეთებს მეტს, — ამოიოხრა მამიდამ.

— სოსოიე ზარმაცია, — თქვა ხატიამ.

მე გაკვირვებული ვუყურებდი.

— ჩვენ გვაქვს სიმინდი, ქეთო მასწავლებელო, ბევრი გვაქვს, მამამ მითხრა, რომ მოვდიოდი, თუ ჭირდება, ვასესხებო, — თქვა ხატიამ და მოლზე დაჯდა. მე და მამიდა გვერდით მოვუჯექით.

— მადლობელი ვარ, ჩემო ხატია, თქვენ უფრო დაგჭირდებათ.

— სალამოს ჩამოგიტანთ მამა ერთ ფუთს, — ხატია დაფიქრდა, მერე ჩუმად დაიწყო: — ქეთო მასწავლებელო, იმ დღეს რომ გითხარით, ტყუილი გამოდგა.

— რა თქვი? — ჰკითხა ხმის კანკალით მამიდამ.

— ტყუილი გამოდგა. მომეჩვენა, მომეყურა, — თქვა ხატიამ და გაიღიმა. მამიდამ ეჭვის თვალით შემომხედა ჯერ მე, მერე ხატიას.

— მართალს ამბობ, ხატია? — ჩაეკითხა მამიდა და ფეხზე წამოდგა. მე პირდაღებული შევყურებდი ხატიას.

— ახლა კი ვამბობ მართალს, მაგრამ მაშინ მომეყურა. ბევრი ვიფიქრე იმ ღამით და მივხვდი, ნამდვილად მომეყურა.

— დაიფიცე, ხატია!

ხატია გაჩუმდა, ერთხანს ასე იჯდა. ღიმილი გაუქრა სახეზე. მოლოდინად ქცეულ მამიდას სუნთქვა შეეკრა. ხატია ნელ-ნელა წამოდგა და გაიმართა მამიდას წინ.

— რა დავიფიცო, ქეთო მასწავლებელო? — ჰკითხა მან უცებ.

— დედა დაიფიცე, ხატია! — ხატია ისევ დადუმდა.

— დედის საფლავს ვფიცავარ, ქეთო მასწავლებელო! — თქვა მან დიდი ხნის დუმილის შემდეგ.

— ხომ, ხატია? მოგეყურა ხომ, ხატია?.. შენ რა გითხრა, გოგო, შენ! — მოეხვია მამიდა, სახე დაუკოცნა. უცებ ხელები სახეზე აიფარა და ატირდა პატარა ბავშვივით. მერე შეტრიალდა და ოთახში შევარდა.

ხატია კი იდგა გაუნძრევლად შუა ეზოში და იღიმებოდა. იღიმებოდა ხატია, მაგრამ ამდენი ტანჯვა მის სახეზე ადრე არასოდეს მინახავს.

ასე კი არაა საქმე

ნასადილევს კოწია ფოსტალიონმა დათვის ღელეზე გადმოიარა. ჩვენ ფერდობზე ვიყავით შეფენილი და კოლექტივის ყანას ვთოხნიდით.

— კაი გამარჯობა თქვენი, ქალებო! — დაიძახა მან ისე, თითქოს მე, გერასიმე ბიძია, ლუკაია ფოცხიშვილი და ბესარიონა შალიკაშვილი იქ არ ვყოფილიყავით.

— რა მოგაქვს, კოწია? — გასძახა ქსენია ბრიგადირმა და ხელი მოიჩრდილა შუბლზე.

— შაქარი, კარაქი, თეთრი პურის ფქვილი, ხიზილალა, დოში, ტარანი და თაფლი, ნავთს და საპონს ვეღარ მოვერიე, ხვალ გამევიძღვანიებ. ახლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთს ვტოვებ აგერ ჯიბეში და ჩამოგზავნეთ მაგი ენაგატლეკილი ბიჭი.

— წერილები არაა?

— წერილები გზაშია!

— გახმა შენი ენა! — კოწია თავის კანტურით წავიდა, მე ჩავირბინე გზაზე და გაზეთი ამოვიტანე. ყველანი შემომეხვივნენ.

— წაგვიკითხე, სოსოია, რა წერია მაგ დასაწყვეში, — მთხოვა გერასიმე ბიძიამ და ჩემს გვერდით დაჯდა მოხერხებულად. მე დავიწყე:

— გაფთრებული ბრძოლების შედეგად ჩვენმა ჯარებმა დასტოვეს ქალაქები... — კითხვა რომ დავამთავრე, ხმა არავის ამოუღია.

— მოდის ხომ, მაგი შობელძაღლი? — თქვა ბოლოს ბესარიონამ და ჩიბუხი თოხის ტარზე დაფერთხა.

— მოდის და მერე როგორ, დაუდევი კვანტი თუ ბიჭი ხარ, — თქვა ლუკაია ფოცხიშვილმა, მერე გაზეთზე ქალალდი მომიხია, შიგ ხელისგულზე მოფშვნილი თუთუნი გაახვია, ტუჩებზე მიწებებული მტვერი გამოაფურთხა და განაგრძო:

— მთელი ევროპა მაგენიზა მუშაობს, ბაბაია, ფრანცია გინდაო, ავსტრია გინდაო, იგი გინდაო... რა ქვია, ბიჭო, მაგენთან რომ სახელმწიფოა? — მკითხა მე.

— ჩეხოსლოვაკია.

— ჩეხოსლოვაკია გინდაო... ჩვენდა ვინ მუშაობს?

— ჩვენდა ჩვენ ვმუშაობთ, — თქვა გერასიმე ბიძიამ.

— ვინ ჩვენ? — ჰკითხა ლუკაიამ.

— მე, შენ, აგი ბესარიონეს უსინთლო ციცე, აგი ყაზილარი და აგი ქალები.

— იმიტომაა ჩვენი საქმე კარგად, კარზე მოგვადგა აგერ ჰიტლერი, — თქვა ლუკაიამ და ხელი ჩაიქნია.

— კვირას ბაზრობაზე ვიყავი... — დაიწყო კატომ.

— სავსე იყო, ალბათ, საქონელით, ამოირჩიე სულო და გულო რაც გინდა... — ცალყბად გაიცინა ალათომ.

— აცალე, ქალო. მერე? — გაჩუმა გერასიმე ბიძიამ.

— მერე ერთი კაცი ყვებოდა, — განაგრძო კატომ, — ისეთი იარაღი გამოუგონებია თურმე ჰიტლერს, ათ ვერსზე წვავს დედაბუდიანად ყველაფერს.

— ვინ თქვა, ქალო, მაგი? — ჰკითხა მარგალიტამ.

— მინისტრი რომ ყავს ჰიტლერს ერთი, რა ქვია?..

— გებელსი?

— ჰო გებელსი, იმის კუბო გავიტანე მისი ოჯახიდან.

— კიდევ რა უთქვამს?

— კიდევ, რა გვარია ის რუბენა ტრაპაიძეს რომ მიუგავს გვარი?..

— რიბენტროპი!

— გადაშენდა მაგის გვარი, იმას უთქვამს მოგვაქვს თეთრი პური და კარაქი, მოხუცებს და ბავშვებს არ ვერჩით, მარტო კომუნისტებს ამოვხდით სულსო.

— მერე, შენ რა უთხარი? — ჰკითხა ქსენიამ.

— ვის, რიბენტროპს?

— რიბენტროპს კი არა, შე ძროხა, იმ ღორის გაგდებულს, მაგას რომ გეუბნებოდა და შენ რომ ყურებს უპარტყუნებდი.

— მე რა უნდა მეთქვა, ქალო, ქვეყანა ყურს უგდებდა გასუსული, მერე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ დაამთავრა სიტყვა — კაციჭამია ჰიტლერს მალე ჩამოვკიდებთ ბაწარზეო, გასკდა ხალხი ტაშისკვრით.

— სად იყავი, ქალო, შენ? — ჰკითხა გაკვირვებულმა ქსენიამ.

— სად ვიყავი და ბაზრობაზე, მერე მიტინგი იყო და იქ გამოვიდა ის კაცი...

— ვაი შენს პატრონს, უბედურს, — ჩაიქნია ხელი ქსენიამ.

— ქეთო, შენ ნასწავლი ქალი ხარ და გვითხარი ერთი, რა გვჭირს? — ჰკითხა ბესარიონამ მამიდას.

— ცუდი ამბავი გვჭირს, ბესარიონ, მაგრამ არა უშავს, მოვა ზამთარი და ვნახოთ... მე მგონი, ნაპოლეონივით მოუვა მაგასაც.

— ზამთარში ჩვენ არ შეგვცვდება, თუ როგორაა შენი საქმე? — იკითხა ლუკაიამ.

— კი შეგვცვდება, მაგრამ ჰიტლერი არაა ზამთრისთვის მზად! — უთხრა მამიდამ.

— რა იცი შენ?

— ჰიტლერს ეგონა, ზაფხულშივე დაამთავრებდა ომს და არაა მზად ზამთრისათვის.

— აწი ვერ მოემზადება?

— აწი გვიანია, ლუკა.

— ზამთრამდე რომ მოვიდეს, რას შვები მერე? — არ ეშვებოდა ლუკაია მამიდას.

— არ უნდა მოვუშვაო!

— ვინ — მე და შენ?

— მე და შენ.

— მაგას გააჩერებ, ქალო, დღეში ხუთ ქალაქს იღებს?

— უნდა გავაჩეროთ.

— აბა, შენ იცი, გააჩერე! — ისევ ცალყბად გაიცინა ლუკაიამ.

— ჰაიტ, შე ყიამყრალო მუტრუკო, როგორ გადაუწურე წყალი ყველაფერს! — წამოხტა ქსენია ბრიგადირი. — ასე თუ დაეგდე და თავში ქვა იშინე, მოვა, აბა რას იზამს?

— რა გაყვირებს, ქალო, მეც მაგას ვჩივი, არ მოვიდეს-მეთქი, კაპუეტივით რომ მეცი თვალებში.

— კაპუეტივით კი არა, ენას ამოგბწკვნი, ლუკაია ფოცხიშვილო! — გაიქაჩა ქსენია.

— რა უნდა გელაპარაკო, შიშველი გადარეული ხარ! — თქვა ლუკაიამ და ისევ მოხია გაზეთზე სათუთუნე ქაღალდი. ქსენია ცოტა მოლბა.

— მარტო მკვდრის ცნობა კი არ მოაქვს კოწია ფოსტალიონს, ლუკა; მარგალიტა, მოვიდა შენი კაცის წერილი? — ჰკითხა მან მარგალიტას.

— კი მოვიდა, ქსენია, გუშინწინ.

— კიდე მოვა.

— რაო, რას გწერს? — ჰკითხა ლუკაიამ.

— სანგარში ვზივართო, წერილი თუ დავაგვიანო, არ შეგეშინდეთო.

— კიდევ რას გწერს? — მარგალიტა გაწითლდა და გაჩუმდა.

— თქვი, ქალო!

— კიდე, ბიჭი თუ გეყოლა, ჩემი სახელი დაარქვიო!

— ჰოდა დაარქვი, გოგო რომ გეყოლოს. მაინც მისი სახელი დაარქვი, — უთხრა ბესარიონამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემი ბიჭის წერილი არ ჩანს, — ამოიოხრა ლუკაიამ.

— შენი ბიჭის წერილიც მოვა, — უთხრა გერასიმე ბიძიამ.

— როდის?

— მოვა, გელაპარაკები მე შენ, ჩემი ბიჭის წერილი ხომ მოვიდა? შენისაც მოვა! რას იტყვი შენ, სოსოია? — მკითხა გერასიმე ბიძიამ.

— მოვა, აბა არ მოვა? — ვთქვი მე და გავუცინე.

ასე კი არაა საქმე, — დაიწყო ბესარიონა შალიკაშვილმა, — აგერ რომ ვხედავთ დათვის ღელეში და გაღმა-გამოღმა ვერაფერს ვხედავთ, გაგვისქდება გული, აბა რა იქნება, მაგრამ აგი დუნია პატარა ნუ გგონიათ, რამდენი ბესარიონა და ქსენია დეიარება ამ ქვეყანაზე და ურტყამს ოოხს? რამდენ ლუკაიეს და გერასიმეს ბიჭს უკავია თოფი ხელში? რამდენი სოსოიე და ხატიე დარბის ამ ქვეყანაზე, იმდენი დღე და ხანი დაჭირდება ჰიტლერს, სანამ ომს მოიგებდეს, სისხლი არ ეყოფა ძარღვში და ძალი მუხლში, გეყურებათ თქვენ? — ბესარიონამ მუხლებზე დაიწყო ვეებერთელა, ძარღვიანი და დაკოჭრილი ხელები, ნელ-ნელა წამოიწია და ქვევით ჭალაში გაიხედა. — დიდია ქვეყანა, ბაბაია, დიდი, სისხლი არ ეყოფა, დაწდება, ეგერ, ჰეე, ხედავთ? — ხელი გაიშვირა. დაბლა, დათვის ღელის გაყოლებით იწვა უზარმაზარი ჭალა, მიწის ორთქლითა და ოდის საკვამურებიდან ამოსული თეთრი, ქათქათა კვამლით სუნთქავდა, ჭალას სისხლის დედო-ძარღვივით მისდევდა სუფსა და ქვევით მიჰქონდა ამ ვეებერთელა მიწაზე დაღვრილი ოფლი და ცრემლი, რომელიც ყოველი მხრიდან უერთდებოდა მას, გროვდებოდა ერთ დიდ მდინარედ, რწყავდა ამ უსასრულო ქვეყანას, ალბობდა ამ მკერდგადმობრუნებულ ნიადაგს, მერე მიდიოდა ისევ ქვევით, ქვევით, და გაუთავებელი სიცოცხლის ნაკადად შედიოდა ზღვაში. მე ვუცქერდი ჩვენი სოფლის გორაკზე მიწებებული ერთი მტკაველი ნაკაფიდან, — რომელიც უზარმაზარ კედლებში ჩატანებულ ვიწრო ფანჯარას რომ გავდა, — ამ დაუსრულებელ სიცოცხლეს და ვხედავდი, რომ ეს ცოცხალი მიწა ჩემს გასახედზე არ თავდებოდა, რომ იგი იმის იქით ისევ იწყებოდა, მერე ისევ, მერე ისევ და ასე დაუსრულებლად, მე ვხედავდი მზეს, რომელიც ოქროს ჯიღასავით ადგა ამ ქვეყანას და ეხვდებოდი, რომ არავის სისხლი არ ეყოფოდა, ძალა არ ეყოფოდა, სიცოცხლე არ ეყოფოდა, რომ ეს მიწა, ზღვა და მდინარე დაელია.

ჩვენ ყველანი ჭალას გავყურებდით და ხმას არ ვიღებდით. მე ვიცოდი, რომ ამ წუთში ყველა ჩემსავით ფიქრობდა, — მარგალიტაც, ქსენიაც, კატოც, მამიდაც, გერასიმეც, ლუკაც, ბესარიონაც. ხატია ჩემს გვერდით იდგა გაღიმებული, იგი ჭალას გაჰყურებდა და მე ვიცი, ისიც ჩემსავით ფიქრობდა და ხედავდა.

მზე ნელ-ნელა ჯდებოდა სუფსის ჭალაზე. ტყესა და მინდორში გასული სოფელი აბღავლებულ ნახირთან ერთად შინ ბრუნდებოდა.

იმ ღამით ისევ წამოგვყარა საწოლებიდან მე და მამიდა გაბმულმა და განწირულმა კივილმა. ეზოში გავცვივდით. კივილი სოფლის ბოლოდან ისმოდა. შუკებსა და ორღობეებში დაფეთებული ხალხი გარბოდა, ჩვენც გავიქეცით.

— ვისთანაა თუ იცი, გერასიმე? — ჰკითხა მამიდამ ჩვენ გვერდით მომავალ გერასიმეს.

— დაიფსო, მგონი, ქეთო, ლუკაია ფოცხიშვილის ოჯახი... — თქვა მან და ხელი ჩაიქნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხედრო გაკვეთილი

დრო თავისას აკეთებდა. ივნისს ივლისი მოჰყვა, ივლისს აგვისტო, აგვისტოს სექტემბერი, სექტემბერს სწავლა, სწავლას ორები, სამები, ოთხები და ხანდახან ხუთებიც. თითქოს არაფერი შეცვლილა, მამიდა ისევ ქართულს გვასწავლიდა, ხატია ისევ ჩემს გვერდით იჯდა. გეოგრაფიის მასწავლებელი ისევ ისევ გვეხმარებოდა — ოღონდ გაკვეთილს ნუ ჩამიშლით და შესვენებაზე კენჭობანას გეთამაშებითო. რუსულის მასწავლებელი ისევ „ბიჩოს“ მეძახდა. ერთი კი მოხდა — ყველა მასწავლებელი ერთნაირად გახდა და კიდევ ერთი, სამხედრო საქმესა და გეოგრაფიას ახლა ახალი მასწავლებელი — ხასანის ბრძოლის მონაწილე — ლევან გურიელიძე გვასწავლიდა.

პირველ გაკვეთილზე იგი კაკარდიანი ქუდით, იღლიაში პლაკატამოჩრილი, მწვანე გალიფეზე ტყავის გამაშებშემორტყმული, მხრებზე აირწინაღ და მცირე ყალიბის შაშხანაგადაკიდებული (გეკოს რომ ეძახიან) შემოვიდა. მაგიდასთან დადგა, სამხედრო სალამი მოგვცა და გაქვავდა. ჩვენ ჯერ ავდექით, მერე დავჯექით და მასწავლებელმა რომ პოზა არ გამოიცვალა, ისევ წამოვლაგდით.

— თავისუფლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყველა მასწავლებელი მასე ამბობს. — თქვა ოტიამ.

— გადავდივარ ოცეულის ფუნქციებზე თავდაცვის დროს.

— აბა ჰე! — შეაგულიანა ვიღაცამ.

მასწავლებელი გაშრა, მაგრამ თავი შეიკავა და იკითხა.

— რა არის ოცეული?

— ათეულს მივუმატოთ ათეული, უდრის ოცეულს! — წამოიძახა უცი გოგიბერიძემ.

— ვინ იყო ის?

კლასი გაისუსა. მასწავლებელი დაფასთან მივიდა და ცარცი აიღო.

— ეს არის გერმანელების ოცეული, — თქვა მან და ოცი პატარა წრე შემოხაზა დაფის ერთ კუთხეში.

— ვაი ჩვენს დღეს უბედურს! — შემოირტყა თამაზ ქერქაძემ თავში ხელი.

— ეს ჩვენი ოცეულია, — განაგრძო მასწავლებელმა და ახლა ჩვენი ოცეული დახატა. — გაღმა ისინი არიან, გამოღმა ჩვენ, შუაში მდინარეა...

— გამოღმით მე ვარ, გაღმა შენ, შუა ჩაგვიდის მდინარეეე, — ჩაიღიღინა ოტია კალანდაძემ.

— ვინ თქვა ეს? — იკითხა გაფითრებულმა მასწავლებელმა.

— ვაჟა-ფშაველამ, მასწ, — წამოდგა ოტია.

— დაჯექი! — მასწავლებელმა ცარცის კაკუნი დაიწყო დაფაზე. — მე გერმანელი ვარ და რას ვაკეთებ ახლა, აბა ვინ მეტყვის?

— ცარცს აკაკუნებთ, — თქვა იაგო ანთიძემ.

— დაჯექი!

— წერტილებს სვამთ! — ადგა ნოდარა თავა.

— ისვრით, მასწავლებელო! — წამოვიძახე მე, ვიდრე ნოდარას დასვამდნენ.

— მალადეც! — მითხრა მასწავლებელმა. — ვისვრი, ჩვენი ოცეული ჩაწოლილია სანგრებში და მტერს ამოძრომის საშუალებას არ აძლევს. მტერი მაშველ ძალას ითხოვს! — უცებ მან ხელი მოღუნა მტევანში, მაღლა ასწია, დაატრიალა და ღუღუნი დაიწყო.

— ღუღუღუუუღღ... ახლა რას ვშვრები? — მკითხა ისევ მე, როგორც წარჩინებულს.

— ახლა ხელს ატრიალებთ და ღმუით, მასწავლებელო! — ვუთხარი მე.

— დაეგდე! — იბღავლა მასწავლებელმა. კლასში ხარხარი ატყდა. მასწავლებელი გაფითრდა.

სიცილი რომ მიწყნარდა, მან დაფაზე დახატული ოცეულები ერთი ხელის მოსმით მოშალა და მაგიდასთან დაჯდა, დიდხანს იჯდა ასე, თავჩაღუნული, კლასი სკასავით ზუზუნებდა. მასწავლებელმა თავი აიღო, დიდხანს გვიყურა და ჩვენ მივხვდით, რომ იგი პირველად იყო კლასში, მას შემდეგ, რაც მისი კარი გაიხურა. ღღეს კი შემოვიდა ჩვენთან იმ მომთვინიერებელივით, რომელსაც შინ დარჩა წვრთნის წინ მხეცებისათვის მისაცემი შაქარი და ახლა იმედგაცრუებული, ძალგამოლეული იჯდა და ყოველ წუთს ელოდა როდის დაგლეჯდნენ ეს ლომის ბოკვერებივით აღრენილი ბავშვები.

— დაჯექი, გოგო, შენ და ნუ იყურები სადღაც იქით, აგერ მიყურე თვალებშა! — უთხრა მან უცებ ხატიას. ხატია დაჯდა, ოღონდ მის ლამაზ, დიდრონ ცისფერ თვალებს ღიმილი არ მოცილებია... კლასში უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. მასწავლებელმა იგრძნო, რაღაც უადგილო რომ სთქვა, მაგრამ ვერ მიმხვდარიყო, რაში იყო საქმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა მოხდა, ბავშვებო? — იკითხა მან გაბზარული ხმით. ჩვენ ვდუმ-დით.

— მე ვერ ვხედავ, მასწავლებელო! — თქვა ხატიამ და წამოდგა.

— დამცინით? — ჩაუწყდა ხმა მასწავლებელს.

— არა, მასწავლებელო, მართლა ვერ ვხედავ! — თქვა ისევ ხატიამ და დაჯდა. მასწავლებელი ადგა, ახლოს მივიდა ხატიასთან, დიდხანს უყურა თვალებში, ხატია დინჯად იფახულებდა წამწამებს და იღიმებოდა. მასწავლებელი ნელა წვიდა უკან, ისევ მიუჯდა მაგიდას და გაჩუმდა. კლასში ბუზის გაფრენას გაიგონებდით.

— რა გქვია, ბიძიკო, შენ? — ჰკითხა უცებ მასწავლებელმა.

— ხატია! — თქვა ხატიამ და ისევ ადგა.

— დაჯექი, ბიძიკო, დაჯექი!

ხატია არ დაჯდა.

— ვის დაყავხარ სკოლაში, ბიძი?

— სოსოს, მასწავლებელო. ჩემითაც შემიძლია.

— მე განთავისუფლებ ჩემი გაკვეთილებიდან, ნუღარ მოხვალ დღეიდან.

— მე მინდა დავრჩე და მოგისმენოთ.

— დარჩი, ბიძიკო, — მასწავლებელი დადუმდა. მე ყელში რაღაც მაწვებოდა და ტირილი მინდოდა.

— დედა და მამა ხომ გყავს, ხატია? — ჰკითხა დუმილის შემდეგ მასწავლებელმა.

— მამა მყავს.

— ვერაფერს ვერ ხედავ?

— ვერაფერს.

— სულ ვერაფერს, ბიძიკო?

— მზეს ვხედავ, მასწავლებელო. ექიმმა უთხრა მამას ბათუმში, თუ მზეს ხედავს, სინათლეს დავუბრუნებო.

— კი დაგიბრუნებს, ბიძიკო, კი. მეც დავბრმავდი ხასანის ტბასთან. ვერაფერს ვერ ვხედავდი.

— მზეს ხედავდით, მასწავლებელო? — ჰკითხა ახლა ხატიამ.

— მზეს ვხედავდი და დამიბრუნეს სინათლე...

— აბა, მეც ვხედავ მზეს.

მასწავლებელი ისევ დადუმდა. იგი თვალს არ აცილებდა ხატიას დიდრონ, ცისფერ და ბადმემებულ ლამაზ თვალებს. ძნელი, ძალიან ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ეს თვალები ვერ ხედავდნენ დღის სინათლეს, მისი კლასის ამხანაგებს და ამ პატარა, ჩია და ტრაპახა მასწავლებელს, რომელსაც ლოყებზე ორი დიდი კურცხალი ეკიდა და არც მალავდა, რომ ტიროდა.

ზარი დაირეკა. მასწავლებელი ადგა და უხმოდ გავიდა კლასიდან. ჩვენც არ გავწძრეულვართ ადგილებიდან. მხოლოდ მაშინ ამოვიღეთ ხმა, როდესაც ზარი დაირეკა. ქართულის მასწავლებელი შემოვიდა და სიის ამოკითხვა დაიწყო.

— რამ დაგამუნჯათ, ბავშვებო? — გაუკვირდა მამიდაჩემს, ასეთი სიწყნარე რომ დახვდა.

— ახალი მასწავლებელი გვყავდა სამხედროში, — უთხრა ხატიამ.

— რაო, მერე, მოგეწონათ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნეტავი ყველა მასეთები იყოო, — ვუთხარი მე მამიდას.

იმ დღეს ქართულის გაკვეთილი უკუღმა ჩატარდა, ჩვენ ელაპარაკობდით და მასწავლებელი ყურს გვიგდებდა.

დათიკო ბრიგადირი

შუაღამისას ჩვენს აივანზე რაღაც გაბრახუნდა. მე გამეღვიძა, მამიდას უკვე გაღვიძებოდა, საწოლზე წამომჯდარიყო და შეშინებული თვალებით უმზერდა კარს, რომელსაც ვიღაც მძიმედ აწვებოდა. სახელურში სარგაყრილი კარი არ იღებოდა. მერე ფანჯარაზე დააკაკუნეს ფრთხილად.

— სოსოია, მოდი ჩემთან! — ჩურჩულით მითხრა მამიდამ. მე ავდექი, მამიდასთან მივედი და ხელი მოვხვიე. იგი ცივი იყო და ცახცახებდა. კაკუნი განმეორდა.

— რომელი ხარ? — იკითხა ხმის კანკალით მამიდამ.

— ქეთო, გამიღე კარი! — მოისმა გარედან.

— ვინ ხარ? — ძლივს ამოიღო ხმა მამიდამ.

— მე ვარ, დათიკო! — მამიდამ ყურებზე ხელი აიფარა და თვალები დახუჭა.

— ქეთევან, გამიღე კარი, დათიკო ვარ! — გაიმეორა მან გარედან. მამიდას არაფერი ესმოდა.

— ქეთო! — კარები მაგრად შეინჯღრა. მამიდამ ხელები მოიცილა ყურებიდან, თვალები გაახილა და კარს მიაშტერდა, რომელიც ახლა განუწყვეტლივ ინჯღრეოდა.

— ქეთო, დათიკო ვარ!

— რომელი დათიკო? — იკითხა მამიდამ.

— დათიკო, ვერ მიცანი? სიტყვა მაქვს შენთან სათქმელი!

— დათიკო ჯარშია! — თქვა მამიდამ.

— გამიღე კარი, თორემ ჩამოვიღებ! — თქვა დათიკომ და კარი ისევ შეანჯღრია.

— სოსოია, აანთე ლამპა! — მითხრა მამიდამ.

ავდექი, ლამპა ავანთე და მამიდას შევეხედე. მამიდამ ხალათი გადაიცვა, წამოდგა, ბუხართან მივიდა და კუთხეში დადგა.

— გაიღე კარი, სოსოია!

სახელურიდან სარი გამოვაძვრე, უკან-უკან დავიხიე და მამიდას გვერდით დავდექი. კარი ფრთხილად გაიღო. ჩვენს წინ იდგა გულგაღეღილი, თმაგაბურძგნილი, სუფთად წვერგაპარსული, ქამარში რევოლვერგაჩრილი, მხრებზე ჯვარედინად ფალსგადაკიდებული დათიკო ბრიგადირი, ხელში მოკლედ გადაჭრილი შაშხანა ეჭირა და ფეხზე ქალამნები ეცვა.

— გამარჯობა თქვენი! — თქვა მან და სულელივით გაიღიმა. — შეგაშინეთ?

ხმა არ ამოგვიღია. დათიკო ჩვენკენ წამოვიდა.

— მანდ იდექი და ისე მელაპარაკე! — უთხრა მამიდამ.

დათიკო გაჩერდა.

— ქეთო, რა მოხდა, შე ქალო, მთელი ცხოვრება გავიდა არ მინახავხარ, — დათიკო ისევ წამოვიდა.

— მანდ გაჩერდი! — გააფრთხილა მამიდამ. დათიკომ უკან დაიხია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რამ შეგაშინათ, ხომ დაგბირდით მალე დავბრუნდები-მეთქი?

ჩვენ არაფერი ვუპასუხეთ. დათიკომ ისევ დაიპირა მამიდასთან მოახლოება.

— გეუბნები გაჩერდი, თორემ შეგყრი მეზობლებს! — დათიკო გაჩერდა.

— იკივლე და შეყარე ქვეყანა, მე არავისი არ მეშინია. შენი გულისათვის დავბრუნდი მე და არავისი არ მცხვენია, გესმის, შენ?

— შიშის გულისთვის დაბრუნდი.

— შენი გულისთვის, შენ დამაბრუნე.

— შიშმა დაგაბრუნა!

— მე არავისი არ მეშინია.

— რად გინდა აბა თოფი, რას იმალები ტყეში?

— სულ არ დავიმალები, მალე გამოვალ ტყიდან.

— რას ელოდები?

— ქეთო, შენ ჭკვიანი ქალი ხარ, აგენის საქმე წასულია ხელიდან...

— ამას ელოდები?

— მე ყველასთვის მიმიფურთხებია, ვისი გულისთვის მოვკვდე, მე არავინ არაფერს მერჩის. ჩემი საქმე მიწის მუშაობაა, სად უნდა წავიდე, სად უნდა დავლპე, რატომ, რისთვის. მე ჩემი სიკვდილით მინდა მოვკვდე და შენთან მინდა სიკვდილი. შენს თავს ვერავინ წამართმევს აწი. გეყურება?

მამიდა ყურს უგდებდა დათიკოს და თვალს არ აცილებდა.

დათიკო სკამზე დაჯდა, თოფი ლაჯებშუა ამოიდო, ჯიბიდან თამბაქო ამოიღო, გაახვია, მოუკიდა, გააბოლა და თქვა:

ჩემი შიში არავის უთქვამს, ტყუილა სიკვდილის ყველას ეშინია. კარგი, წავედი და მომკლეს, რა გამოვიდა მერე? ამით ეშველება საქმეს? ვის გავახსენდები მერე რა ვიყავი, ვინ ვიყავი.

— ახლა რა ხარ? — ჰკითხა მამიდამ; დათიკო ასეთ კითხვას არ ელოდა.

— ახლა... ახლა... პოლიტიკური ფირალი ვარ... — თქვა მან ენის ბორძიკით.

— მათხოვარი ხარ შენ, დეზერტირი! — ვუთხარი მე დათიკოს და მამიდას მივეკარი.

დათიკო გაფითრდა, ფეხზე წამოდგა და ისევ დაჯდა.

— მაგ სიტყვებისთვის სხვას ცხელ ტყვიას დავალევიებდი... — თქვა მან თავისთვის. მერე ომიბრუნდა და ნიშნის მოგებით მითხრა:

— დავავიწყდა რა უქნეს მამაშენს და დედაშენს? მე დაგაგდე უპატრონოდ?

— მაგი არაა შენი საქმე! — ვუთხარი მე.

— შენ რა იცი, ღლაპი ხარ, მამაშენი ტყუილა იყო ტროცკისტი?

— შენ თვითონ ხარ ტროცკისტი და ვირიშვილი. მამაჩემი ვისაც ახსოვს, ყველა ასე მეუბნება, კაცური კაცი იყოო...

დათიკომ ხელი ჩაიქნია, აგდებულად, ამასთან ლაპარაკიც არ ღირსო და მამიდას მიუბრუნდა:

— ქალო, სიცოცხლესავით ველოდი შენს ნახვას და გამიცინე ერთი. — მამიდას სახეზე ძარღვი არ გატოკებულა. — მე ვიცი, ქეთო, შენ გიყვარვარ, მაგრამ შინსახკომის გეშინია, ჩემი დაბრუნება გაიგეს უკვე და მდევენ ალბათ. თქვენ უნდა შემიწყოთ ახლა ხელი, ვინ მყავს მე თქვენს გარდა? ერთხანს ვიქნები კიდე ტყეში და მერე ვნახოთ ვინ ვის სდევს...

მე ვიდექი ბუხართან და ყურს ვუგდებდი იმ პირუტყვად ქცეულ კაცს, რომელსაც ლაპარაკი ჯერ არ დავიწყებოდა. უცებ ღიად დარჩენილი კარი გაჯ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიალდა. დათიკო დადულრულივით წამოვარდა, თოფს სტაცა ხელი და დ. ფე-თებული თვალებით დაგვიწყო ყურება ხან ჩვენ, ხან კარს. როდესაც დარწ-მუნდა, კარში არავინ იყო, დამშვიდდა და დაჯდა.

— მშია ახლა მე და მაჭამეთ რამე! — თქვა უცებ დათიკომ და გაგვიღიმა.

— ჩვენც გვშია, — ვუთხარი მე.

— არ გემეტება ჩემთვის ჭადი?

— შენი საჭმელი ჭადი კი არა, ძაღლი შიმშილით გვიკვდება, — ვთქვი მე.

— მამიდაშენს უმადლოდ, შე დალეულო, თორემ მიგასხმევინებდი ბუ-ხარზე ტვინს...

— მაგი თუ შეგეძლო, რას გარბოდი ტყეში მგელივით?

— შენისთანა გველი წესით არ უნდა გაიზარდოს, მაგრამ თუ გეღირსა გაზრდა, ვნახავ ერთი, როგორ წახვალ ჯარში...

— არა, შენსავით ვივლი ღამ-ღამობით და ჭადს ვიმათხოვრებ.

— სოსოია, მოთმინებიდან არ გამომიყვანო!..

— წადი აქედან. რაზე მოდი?

— შენთან არ მოვსულვარ მე!

— აბა, მამიდას არ უყვარხარ, წადი!

— მამიდაშენს კი ვუყვარვარ, შენ არ გიყვარვარ. არც წინათ გყვარებივარ.

— ვიცოდი, რაც მთლე იყავი და იმიტომ.

დათიკოს სახე აუფაკლდა და წარბი აუთამაშდა. წამოდგა და ნელი ნაბი-ჯით წამოვიდა ჩვენკენ. ჩვენ კედელს ავეკარით.

— არ მოგვეკარო, თორემ ვიკივლებ! — გააფრთხილა მამიდამ.

— არ იკივლებ. — თქვა დათიკომ, იგი სულ ახლოს მოვიდა ჩვენთან და მამიდამ არ იკივლა. დათიკომ მხრებში წაავლო მამიდას ხელი და უცებ და-იწყო:

— იკივლე, რატომ არ კივი? გეშინია? ნუ გეშინია, იკივლე, შეყარე ქვე-ყანა, დააქერიე ჩემი თავი, ახლა არ გინდებივარ? დამლუპე კაცი და ახლა მაგ-დებ? თქვი... თქვი, თორემ მოვიკლავ თავს ახლა და შენზე იქნება ჩემი ცოდვა. თქვი...

მთელი ძალით ანჯღრევდა მამიდას. მამიდა იდგა გაფითრებული და თვალს არ აცილებდა გაგიჟებულ დათიკოს, რომელსაც სიფრთხილე დავიწყებოდა და დაჭრილი დათვივით ღრიალებდა. უცებ საფეთქლებში სტაცა ხელი მამიდას და გიჟივით დაუწყო კოცნა ლოყებზე, შუბლზე, ყელზე, მკლავებზე, თვალებში. მამიდა წინაალმდეგობას არ უწევდა, იდგა და თვალებიდან ღაპაღუპით გადმოს-დიოდა ცრემლი. მე შემეშინდა, ზურგიდან მივვარდი დათიკოს და ისე მაგრა ვუკბინე ბეჭზე, ტუჩებზე სისველე ვიგრძენი. დათიკომ ყრუდ დაიკვ-ნესა, ცივად გაუშვა ხელი მამიდას, ჩემსკენ შემოტრიალდა და ხელუკუღმა ისე-თი სილა გამაწნა, ბუხრის ერთი კუთხიდან მეორეში გადავვარდი, კედელს თა-ვი მივანარცხე და თვალთ დამიბნელდა. გონს რომ მოვედი, მამიდა ჩემს წინ იყო დაჩოქილი და სახეს მისრესდა. დათიკო მოშორებით იდგა, ნაკბენზე ხელს ისვამდა და მიყურებდა.

— მოკალი? — მიუბრუნდა დათიკოს მამიდა.

— ნუ გეშინია, არ მოკვდება. — თქვა დათიკომ.

— რა უქენი ჩემს სოსოიას? — ჩურჩულით ჰკითხა მამიდამ და ფეხზე წა-მოდგა. მივიდა ბუხართან და კუთხეში აყუდებული ნაჯახისკენ დაიხარა. დათი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კო გაფითრდა და ნელი ნაბიჯით წამოვიდა მისკენ. მამიდამ ნაჯახი ხელში აიღო.

— ქეთო, დადევი ნაჯახი! — თქვა დათიკომ და გაჩერდა. მამიდამ ნაჯახს მეორე ხელიც მოჰკიდა და თავს ზევით ასწია.

— რას შვები, ქეთო, გაგიჟდი? — ჰკითხა მამიდას გაოცებულმა დათიკომ და უკან დაიხია. მამიდა მიყვა.

— ქეთევან!

— გადი გარეთ! — მამიდა დათიკოს უახლოვდებოდა. დათიკო კიბოსავით იხევდა უკან-უკან და მამიდას თავზე აღმართულ ნაჯახის პირს თვალს არ აცილებდა. იგი ასე მივიდა მაგიდასთან, თოფი ისე აიღო, მისკენ არც გაუხედავს, ზურგით გავიდა გარეთ და კარი ღიად დატოვა. მამიდამ ნაჯახი ჩამოუშვა, კარი მოიხურა, სახელურში სარის მაგივრად ნაჯახის ტარი გაუყარა. დაბრუნდა, საწოლთან მივიდა და ზედ დავარდა. მეც წამოვდექი, ჩემს საწოლთან მივედი და დავწექი. ასე ვიყავით მე და მამიდა უხმოდ მთელი საათი...

— სოსოია! — ძლივს გავიგონე მამიდას სუსტი ხმა.

— რა, მამიდა?

— გძინავს?

— არა, მამიდა!

— მოდი ჩემთან, სოსოია!

ავდექი, მამიდასთან მივედი, დავიხარე და ლოყაზე ვაკოცე. ყინულივით ცივი იყო და ტუჩები უთრთოდა.

ბეჭანა

ბეჭანა ესაძეს საფეთქლები შეეერცხლილი აქვს უკვე, მაგრამ რაც უბედურება სჭირს, ყმაწვილობაში მოუვიდა. კესარიას საივანობო მსხალს რომ იპარავდა, თურმე ტოტი მოხლეჩია, ორი საკენი სიმაღლიდან კისრით წამოსულა და მსხლის ძირში თავით დარჭობილა. მიცვენია ხალხი ბეჭანას, საფეთქლები უზელიათ, ათი დღე წყალი გადაუმხიათ თავზე მისთვის და ფეხზე წამოუყენებიათ. გონს მოსულა, თვალი გაუხელია, ერთი დაუსლოკინებია, გაუღიმია და მას შემდეგ ბეჭანა მოწყენილი აღარავის უნახავს. დადის ახლა ბეჭანა სოფელში ფეხშიშველი, ყურებამდე გაღიმებული, მღერის საყვარელ სიმღერას:

„მინადორა შავთვალაო,
რა ეშმაკმა გაგთვალაო...“

ერთი იჯრა ლობიოსთვის და ერთი ჭიქა ღვინისათვის დილიდან საღამომდე ეხმარება ყველას, ვინც კი დაუძახებს. სანაძლეოზე კაეში ებმება და კვალი გაჰყავს, თავით ტეხს ნიგოზს, შიშველი ფეხით არჩევს წაბლის ბურძგლას და სიმინდით სავსე ტომარა აიქვს კანტორიდან ეკლესიაზე დაუსვენებლად. ღონიერია ბეჭანა, ხარივით ღონიერი და უწყინარი, მტერს მოხვდა ბეჭანას უროსავით მჯიღი, მაგრამ ძნელია ბეჭანას წონასწორობიდან გამოყვანა. ერთი რამ წყინს ბეჭანას მარტო ამ ქვეყანაზე — მინადორა გაგითხოვდა, ბეჭანაო, თუ უთხარი, გახელდება მაშინ ბეჭანა, გაცოფდება, შემოიხევს ტანზე და მტრისას, თუ მაშინ რამეს ხელი დაავლო, მივარდება, მისი მკლავის სიმსხო ნოღას იღლიაში ამოიჩრის და სანამ ფესვებიანად არ ამობდღვნის, არ მოეშვება. ეს არის და ეს, კაცს არ ერჩის ბეჭანა. რამდენს უსარგებლია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჟანას ამ უცნაური ზნით. აფრასიონა ჭანტურიამ ერთხელ, ხელი რომ ვერ გაანძრევია ბეჟანას, — მინადორა გაგითხოვდაო, უთხრა. გახელდა მაშინ ბეჟანა, დატრიალდა ბღავლილთ ჭიაღოურაში და ნახევარი ქცევა ნოღნარი, აფრასიონას რომ საევანხედ უნდოდა, დედაბუდიანად ამოაბრუნა. ენაგადმოგდებული და გახვითქული რომ დავარდა გულადმა, მერე მიხვდა, რა ოინიც უყო აფრასიონამ. იმ დღიდან შეიძულა ბეჟანამ აფრასიონა, მაგრამ ბავშვები უყვარს ბეჟანას ძალიან. მივა ვინმესთან, დაუჯდება ალაგეზე და თხოვს:

— მათხოვე, მაკა, შენი ბაღანე...

— სად გინდა წაიყვანო, ბეჟანა?

— არსად, შე ქალო, აგერ შენს ეზოში მეყოლება. აჩუკუდა არ გინდა, ტარიელა?

— კი მინდა, ბეჟანა!

— აგერ, აბა, უნაგირი, აგერ ლაგამი, აგერ ჯოხი და მომაჯექი კისერში. აჩუკუდა, ტარიელი, აჩუუ... ჯოხი არ დამარტყა, ბიჭო! — ბეჟანა დაიოთხებს, კისერზე შეისვამს პატარას და არის დიდი ჯირითი.

— აჩუ, ტარიელ!..

— აჩუ, ბეჟანა!..

არავის არ ეშინია, ბეჟანამ ბავშვს რამე მოუწიოსო, არავინ არ უშლის ბეჟანას, გახარებულმა ირბინოს სახლის გარშემო კისერზე მსუბუქი ტვირთითა და აჩუ-აჩუს ძახილით, მაგრამ ბეჟანა თვითონ გრძნობს თავის უბედურებას, ამიტომ ყოველთვის მორიდებით მიდის და პირზე მოუცილებელი ღიმილით კითხულობს:

— მათხოვებ შენს ბაღანას, მაშიკო?

მე ქვეყანას ვურჩევნივარ, მე ვარ მთელ სოფელში მისი ერთადერთი მესაიდუმლე და ის არის მთელ სოფელში ერთადერთი, რომელსაც ყველაზე ჭკვიან კაცად მივაჩნივარ. ამიტომ მეც ძალიან მიყვარს ბეჟანა.

კვირა დილით იგი ჩვენს ეზოში ჩამოვიდა და დამიძახა:

— სოსოია! — მე და მამიდამ ერთად გამოვიხედეთ.

— მოდი, ბეჟანა, მოდი! — დაუძახა მამიდამ.

— აგერ გამომიტანე, თუ რამე გაქვს საჭმელი! — თქვა ბეჟანამ და კახამბალის ძირში წამოგორდა. მამიდა ოთახში შებრუნდა, ყველი, პურის პატარა ნაჭერი, ერთი ჭიქა ღვინო გამოიტანა და ბეჟანას წაუღო. მეც გავყევი.

— გმარჯობა თქვენი! — გვითხრა ბეჟანამ, მამიდას საჭმელი ჩამოართვა, მადიანად ჩაკბიჩა, ღვინო მოსვა და იკითხა:

— შეშა არ გაქვს, ქეთო, დასაპობი?

— არა, ბეჟანა!

— ნამეტარი კაი. წისქვილზე ხომ არ ხარ წასასვლელი?

— არა, ბეჟანა! — გაეღიმა მამიდას.

— მაგი თლად უკეთესი.

— ძროხა ან თხა ხომ არაა საბალახოზე წასაყვანი?

— არა, ბეჟანა!

— მაგიც ნამეტარი კაი! — თქვა ბეჟანამ. ისევ მოსვა ღვინო და პური ჩაკბიჩა. — არც ამ პურს და არც ამ ყველს მარილი არ აქვს, ქეთო. — დაიწუნა პურ-მარილი ბეჟანამ.

— არ იშოვება მარილი, ჩემო ბეჟანა.

— მაგას არ ვჩივი მეც! მე შტერის სახელი მაქვს სოფელში გავარდნილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამ თქვენ აბდალა თავმჯდომარე ქიშვარდიას ჭკვიან კაცს უძახიან.

— რაშია, ბეჟანა, საქმე? — ჰკითხა გაკვირვებულმა მამიდამ.

— რავა რაშია, შე ქალო, რომ თესავს ამ ცოცხს და ყვითელ სიმინდს, დათესოს მარილი, ან შაქარი და მოითქვამს ხალხი სულს. მართალს არ ვჩივი, სოსოია?

— მართალს ჩივი, ბეჟანა, მაგრამ შენ რატომ არ თესავ? — ეკითხე მე.

— რაც კაი მიწებია, კოლექტივს აქვს და მე რა ვქნა? დავთესე იმ ჩემს ფშუტტრო მიწაზე შარშან ერთი ფუთი და არ იხარა. გინდაც ეხარა, მე ვუშველი ამდენ მშიერს და პირდაფჩენილ ხალხს?! — მამიდამ ამოიოხრა და წავიდა.

— რას შვება, ბიჭო, მამიდაშენი, არ მიყვება დათიკო ბრიგადირს? — მკითხა ბეჟანამ და თვალი გააყოლა მამიდაჩემს.

— რომელ დათიკოს, ბეჟანა? — ეკითხე მე გაკვირვებულმა.

— დათიკოს, შე აბდალა, სათაფლიაზე ვნახე ამას წინათ, სტრაჟნიკივით გაჩაჩხული იყო იარაღში, აქ გადმომიყვანეს სამუშაოთო, აქაც ფრონტია, მთავრობის დავალებას ვასრულებ, ნამეტანი საიდუმლოა და არ თქვა არსად, თორემ შენც დაგიჭერენ და მეცო.

— მერე?

— მერე რა? ერთ-ორ სანდო კაცს ვუთხარი, თავმჯდომარეს და ბადრიას, მილიციაში რომ მუშაობს, მაგენი ხომაა პარტიულები? არსად არ იტყვიან. არა და, რა ჩემი საქმეა, მთავრობამ მისი საქმე უკეთესად იცის. ახლა მე შენთან სხვა საქმე მაქვს, სოსოია. კაცი მყავს ეგერ ჩაიში და არ ვიცი, დავტოვო თუ მივიყვანო?

— ვინ კაცი, ბეჟანა, რას ამბობ?

— სოსოია აბდალა, ქართული არ გეყურება? კაცი მყავს ჩაიშიიი, — გაგრძელა ბეჟანამ.

— ვინაა?

— რა ვიცი მე.

— ვინ ვარო, არ თქვა?

— ვკითხე და არ ჩივა. დოუხუჯავს თვალები, დოუკრეფია გულზე ხელი და იცინის ჩემსავით, — თქვა ბეჟანამ და გაიღიმა.

— სუნთქავს?

— რა ვიცი მე.

— გული უცემს?

— რა ვიცი მე.

— მკვდარია?

— გაცინებული მკვდარი სად გაგონილა, შე აბდალა! — გამიჯავრდა ბეჟანა.

— რა ჭირს აბა?

— რა ვიცი მე.

— აბა რა იცი, შე უბედურო? — გავუჯავრდი ახლა მე ბეჟანას.

— დღეს კვირაა და თუ კაი ამინდი დეიჭირა, ორშაბათი იქნება ხვალ, — თქვა ბეჟანამ და ისევ გაიღიმა.

— ვაი შენს პატრონს, წამოდი, მაჩვენე სადაა! — წამოვაყენე ძალით ბეჟანა და წინ გავიგდე.

„მინადორა შავთვალაო,
რა ეშმაკმა გაგთვალაო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარდი ვნახე შენს ხელშიო,
ჩამოგყობი ქვესკნელშიო...“ —

წაიღიღინა ბეჟანამ და წინ გამიძღვა. გადავედით ეზოდან, ორღობე ავათავეთ და ჩაიში გადავუხვიეთ. ჩაის ტუნგოს ნარგავების მწკრივი გასდევდა თავიდან ბოლომდე. ბეჟანა შეჩერდა, ფერდობს ჩახედა, ხელი გაიშვირა ქვეითი და მითხრა:

— ეგერ, ეეე, ბოლოში რომ ტუნგოა, იმის ძირშია!

სირბილით დავეშვი. მივირბინე ტუნგოსთან და გავჩერდი, ცხენის სიმაღლე გვიმრაში გულალმა იწვა საოცრად გამხდარი, მკვდრის ფერი და ოდნავ ლოყებშეფაკლული რუსი. გულზე ხელი დაეკრიფა და იღიმებოდა. სუნთქავდა თუ არა, ვერ მიხვდებოდი კაცი. დავიჩოქე და მკერდზე ყური დავადე. გული ძალიან სუსტად უცემდა, ლოყაზე დავადე ხელი — ღიდარივით ცხელი იყო.

— როდის ნახე, ბეჟანა?

— დღეს, უთენია.

— მერე სად იყავი ამდენ ხანს?

— იმ წუთში წამოვედი, სოსოიას ვენაცვალე, მაგრამ გზაში ქე გადამავიწყდა, გულმავიწყი გავხდი ამ ბოლო დროს, ძაან დეეტყო ხალხს უშაქრობა, ამ დილით აკვირინე შემხვდა და გამარჯობის თქმა დაავიწყდა. ხალხს რომ კითხო...

— კარგი, გეყოფა, ახლა მომეხმარე და ამაწევიე, ვერ ხედავ, რომ კვდება კაცი? — ბეჟანამ გონებადაკარგული რუსი ხელში ბავშვივით აიტაცა.

— სად წევიღო? — მკითხა უცებ.

— სახლში, — ვუთხარი მე.

— ბიჭო, მკვდარი სახლიდან გააქთ და მე სახლში შევიტანო? — მისაყვედურა ბეჟანამ.

— ჩემს სახლში მიმაყვანიე.

ბეჟანამ ერთი-ორჯერ შეათამაშა ხელში რუსი, თითქოს წონას უსინჯავსო, მერე უფრო მოხერხებულად მოხვია ხელი და აჩუ-აჩუს ძახილით შეუყვა აღმართს.

— აჩუ... აჩუ... რა ქვია თუ იცი? — მკითხა ბეჟანამ და მომხედა.

— რა ვიცი მე?

— აჩუ, აჩუ, სოსოიეს რუსო, აჩუ, აჩუ, სოსოიეს რუსო! — უპოვა სახელი ბეჟანამ.

— ოდაში აიყვანე! — ვუთხარი მე. ბეჟანამ ოდაში აიყვანა და ჩემ საწოლზე დაასვენა. მამიდა გაოცებული შეგვეყურებდა ხან მე, ხან ბეჟანას.

— ბეჟანა საცოდავო, რა არის ეს? — ჰკითხა მამიდამ ბეჟანას.

— სოსოიეს რუსია, ქეთო! — უპასუხა გახარებულმა ბეჟანამ.

— ჩაიში ვიპოვეთ, მამიდა, კვდება მგონი, უშველე რამე. — ვუთხარი მამიდას.

— ვინაა ეს საცოდავი? — თქვა მამიდამ, შუბლზე ხელი დაადო და თავი გადაიქნია. — წადი, სოსოია, ძმარი ამომიტანე!

მე ძმრის ამოსატანად ჩავედი სამზარეულოში.

რომ ამოვედი, მამიდა სიცხეს უზომავდა ავადმყოფს. ღილი რომ შეხსნა სამხედრო ხალათზე და მკერდი გადაუღეღა, გაკვირვებით დაუშტერდა. მუშტის ხელა, წითელი, ახლადშეხორცებული ჭრილობა აჩნდა მარჯვენა ძუძუს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძირში, მამიდამ სიცხის საზომი გაუკეთა. ძმრი ჩამომართვა, ღრმა საინზე დაასხა, წყალი გაურია, მერე თავზე წაკრული ტილო მოიძრო, დაასველა გაზავებულ ძმარში, გაწურა და ავადმყოფს შუბლზე დაადო.

— მაგას ძმარი კი არა, ქეთო, პატარა ღვინო დაალევეე და თუ გაქვს საჭმელი აჭამე, სანამ სული უდგას. შიმშილით კვდება, ვერ ხედავ, ჭიპე ხერხემალზე რომ აქვს აწეებული? — ეთხრა ბეჟანამ.

— სოსოია უდღეურო, რა ღღეში ჩამაგდე თუ იცი, რომ ჩამაკვდეს ეს უცხო კაცი ხელში, სად წავიდე მერე? — მკითხა მამიდამ და ავადმყოფს სიცხის საზომი ამოუღო. — ორმოცი და ექვსი ხაზი! — დაიკვნესა მამიდამ. — წადი ახლავე და ექიმი მოიყვანე.

— ექიმი არ უნდა მაგას, საჭმელი უნდა, ქეთო, მაგი ბეჟანას ჰკითხე შენ.

— წადი, ბიჭო! — შემომიტია მამიდამ. —

მე გავიქეცი ექიმის მოსაყვანად. საექიმო პუნქტში არ დამხვდა. დამლაგებელმა თქვა, რაიონშია გამოძახებული და ღღეს არ დაბრუნდებაო. მაშინ ხატასთან გავიქეცი. გზაში ყველაფერი მოვუყევი. ხატიამ მითხრა, აკვირინე ბებია წავიყვანოთო, გავუარეთ აკვირინე ბებიას. ახლა იმას მოვუყევი ყველაფერი. აკვირინე ბებიამ აფთიაქის პატარა ბოთლებით რაღაცა ბალახის ნახარშები წამოიღო და გამოგვყვა.

— რუსია!.. — თქვა აკვირინე ბებიამ. ავადმყოფს რომ დახედა.

— რუსია! — უთხრა მამიდამ. აკვირინე ბებია ავადმყოფის საწოლზე ჩამოჯდა. იგი ახლა ღრმად სუნთქავდა და იღიმებოდა.

— რავა იცინის აი აბდალი, სასაცილოდ აქვს ახლა მაგას საქმე, აკვირინე? რატომ არ მითხარი ამ დილას გამარჯობა? — უსაყვედურა ბეჟანამ.

— გაიწე იქით, ბეჟანა გადარეულო, ხელს ნუ მიშლი, მთელი საათი არ მელაპარაკე ამ დილას? — ბეჟანა საწოლს მოსცილდა.

აკვირინე ბებიამ ცალი ჩამოუქაჩა ავადმყოფს და შიგ ჩახედა.

— სოსოია, ერთი ჭიქა ადესა მოიტანე, — მითხრა აკვირინე ბებიამ.

ღვინო დავასხი ღ ; მივუტანე. აკვირინემ ბამბა ღვინით დაასველა, მერე ცხელ ტუჩებზე გაუსვ-გამოუსვა ავადმყოფს და დაელოდა. ცოტა ხნის შემდეგ ავადმყოფმა ტუჩები ააცმაცუნა. აკვირინე ბებიამ ბამბა ისევ დაასველა და ტუჩებზე დაეწურა. ავადმყოფმა სცადა ღვინო გადაეყლაპა, მაგრამ, ეტყობა, ამომშრალი ყელი ეწვა და დაიკვნესა.

— მე მომეცი, აკვირინე, მაგი ღვინო, მაგას თუ არ უნდა, — თქვა ბეჟანამ.

— შე ჩემი ცოდვით სავსე, შტერი კი ხარ, მაგრამ ავადმყოფს და კარგად მყოფს ვერ არჩევ? — გაუჯავრდა აკვირინე ბებია ბეჟანას და ავადმყოფს ისევ დააწურა ბამბა ტუჩებზე. ავადმყოფმა, როგორც იქნა, გადაუშვა ერთი ყლუპი, მერე მეორე, მესამე. აკვირინე ბებიამ ახლა ჭიქა მიაყუდა პირზე. ჭიქა რომ გამოსცალა, ავადმყოფს ხველება აუვარდა. დიდხანს ყრუდ ახველებდა. უცებ გალურჯდა, აკვირინე ბებიამ თავი აუწია და მკერდზე მიისვენა. ავადმყოფმა ცოტა სული მოიოქვა, მერე სახე დაუწყნარდა და ფერი დაუბრუნდა. აკვირინემ თავი ისევ ბალიშზე დაუსვენა. ავადმყოფი აწრიალდა და კვნესა დაიწყო.

— გადით, ქალებო, გარეთ, — თქვა აკვირინე ბებიამ.

— კვდება? — ჰკითხა შეშინებულმა მამიდამ.

— არა, დავზილო უნდა.

მამიდა გავიდა გარეთ, ხატია დარჩა. იგი კუთხეში იდგა და სდუმდა. აკვირინე ბებიამ მთლიანად გაიშიშვლა ავადმყოფი, პატარა ბოთლი გახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სნა. ხელისგულზე დაისხა რაღაც ზეთი, მერე მეორე ხელისგული გაუკრა ზედ, დაიხარა ავადმყოფის მკერდზე და ნელა დაიწყო მკერდის ზელა. დინჯად და მძიმედ უსვამდა დაკოჟრილ ხელს მკერდზე ავადმყოფს.

— არ ეღუტუნება მაგ შეჩვენებულს? — იკითხა ბეჟანამ და ბავშვივით გადაიკისკისა.

— გადაამბრუნეთ! — თქვა აკვირინე ბებიამ. ავადმყოფი გადაამბრუნეთ, ახლა ზურგი და წელი დაუზელა აკვირინემ. ისევ რომ გადმოვამბრუნეთ, მე ხატიასკენ გავიხედე, გაუნძრევლად იდგა ოთახის კუთხეში.

— გადი, გოგო, გარეთ! ვერ ხედავ, შიშველია კაცი, — ვუთხარი მე ხატიას.

— რა გინდა, ბიჭო, ვიქნები! — მითხრა ხატიამ და გაეღიმა. გულთან რაღაც ამეწვა, მერე შემრცხვა და გავწითლდი.

— გადი, გოგო, გარეთ! — ვუღრიალე მე ხატიას. გაკვირვებული ბეჟანა და აკვირინე ბებია ჩემკენ შემობრუნდნენ.

— შენ არ იცი, ბიჭო, მაგი ციცე ბრმაი რომაა? — მკითხა ბეჟანამ, მერე მიუბრუნდა ხატიას და უთხრა: — იყავი, ცავ, მაგას უყურებ!

ხატია შეტრიალდა და უხმოდ გავიდა ოთახიდან.

კარგად რომ დავზილეთ ავადმყოფი, აკვირინე ბებიამ სასთუმალი გაუწორა და ბალიშზე დაასვენა, ღვინო დაასხა და ისევ მოასმევინა ცოტა. ხატია და მამიდა ოთახში შემოვიდნენ.

— უნდა ჩავაცვათ რამე, აგი ნამეტანი გაზნთულია, — თქვა აკვირინე ბებიამ.

მამიდა მეორე ოთახში გავიდა, ცოტა ხნის შემდეგ ისევ შემოვიდა ოთახში და ავადმყოფის საწოლზე ბაბუას ნაქონი საცვლები დაწყო.

— რავა ჩვენი მაღაზიის თაროებივით აქვს გამოფხეკილი ჯიბეები ამ გაჭირვებულს, — თქვა უცებ ბეჟანამ. მე გაკვირვებულმა გავხედე ბეჟანას, მას ავადმყოფის შარვლისა და ხალათის ჯიბეები ამოტრიალებინა და უკმაყოფილო უყურებდა ავადმყოფს.

— რაღა ვქნათ ახლა, არაფერი საბუთი არ აქვს, რა ჰქვია ან რა გვარია? — თქვა იმედდაკარგულმა მამიდამ.

— სოსოიეს რუსია მაგი! — თქვა ბეჟანამ.

— სულაც უკრაინელია ეგება? — ვთქვი მე.

— სულ ერთია, უკრაინელი და რუსი, მაგის გვარს და სახელს მე მაინც ვერ დავიმახსოვრებდი, სოსოიეს რუსია მაგი. — თქვა ისევ ბეჟანამ.

— აკვირინე, გადარჩება, თუ იცი? — ჰკითხა მამიდამ აკვირინეს და უიმედოდ გადახედა ავადმყოფს.

— გადარჩენილია და ესაა, ჩემო ქეთო, ამ უბედურს უნდა უმადლოდეს, შენი გადარჩენილია მაგი რუსი, ბეჟანა.

ბეჟანას ბავშვივით გაუხარდა, რომ ეს კაცი, რომელიც ჩემს საწოლზე იწვა და სულს ღაფავდა, მისი გადარჩენილი იყო. იგი მივიდა ავადმყოფთან, საწოლზე ჩამოუჯდა, მხრებში ხელი მოჰკიდა, შეანჯღრია და დაუძახა:

— სოსოიეს რუსო! — ავადმყოფი შეიშმუშნა.

— სოსოიეს რუსო, არ გეყურება ჩემი? გამარჯობა შენი, აღი ახლა ზედ! — ისევ შეანჯღრია ავადმყოფი.

— დაანებე თავი, ბეჟანა! — ვეცი ხელში.

— ხომ გადავარჩინე მე აგი კაცი, აკვირინე? — ჰკითხა ბეჟანამ აკვირინეს. აკვირინემ თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად. — ჰოდა, მაცალეთ ახლა. აღი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედ, სოსოიეს რუსო, — და უცებ, თითქოს შეისმინაო ბეჟანას თხოვნა, ავადმყოფმა თვალები გაახილა.

— ე, ხომ ვთქვი მე, თუ მიცნო ნეტაი? — გაუხარდა ბეჟანას. ავადმყოფი დიდხანს უყურებდა ბეჟანას, მერე მზერა ჩვენზე გადმოიტანა, სათითაოდ გვიმზერდა ყველას. დიდი თაფლისფერი თვალები სიცხისაგან უპრიალებდა.

— ო, თქვე ძაღლისშვილებო!.. — შეგვიკურთხა ბოლოს წყნარად და ცალყბად გაიღიმა.

— რაიო? — გაუკვირდა ბეჟანას.

— გერმანელები ვგონივართ, — ვუთხარი მე.

— ბეჟანა ვარ მე, შე აბდალა, — უთხრა ბეჟანამ ავადმყოფს, მერე გაუცინა და ლოყაზე მოუთათუნა ხელი. ავადმყოფმა ისევ დახუჭა თვალები.

— მაგი ამელამ იბოდებს, ქეთოს შემოვევლე, და აგი წამალი დაალევე. — უთხრა აკვირინე ბებიამ მამიდას. თან წამალი გადასცა. —მერე ფაფა მოუდუღე და აჭამე პატარ-პატარა. სიცხე თუ არ დოუკლოს, კიდე დაზილოს ამ ბიჭმა. წამოდი ახლა, ბეჟანა, აგი რუსი არსად არ გაგექცევა, ხვალეც აქ იქნება, — თქვა აკვირინე ბებიამ და ადგა.

— ზდრასტი, რუსო! — აუღო სამხედრო სალამი ბეჟანამ და ღიღინით გაყვა აკვირინე ბებიას.

*

მთელი ღამე ვუთიეთ ავადმყოფს მე, ხატიამ და მამიდაჩემმა. შუაღამისას იგი საწოლზე წამოჯდა, მთვარეულივით დიდხანს გვიყურა სამივეს. მერე კარისაკენ გაიხედა უეზროდ და სუსტი ხმით დაიძახა:

— დაო! — ჩვენ სულგანაბული ვუგდებდით ყურს.

— დაო! — გაიმეორა მან და უღონოდ გადავარდა ბალიშზე;

— რა გინდა? — ჰკითხა მამიდამ რუსულადვე.

— რა გახდა, დაო, ერთი ყლუპი დარიშხანი? — თავის წრიალით ამოიკვნესა მან.

მამიდამ ისევ ღვინო დაალევინა და სასთუმალთან დაუჯდა.

ნაშუალამევს ისევ დავზილე აკვირინე ბებიას დატოვებული წამლით. მამიდა ტახტზე წამოწვა და ჩაეძინა. მე და ხატია კი ისევ ვდარაჯობდით მომაკვდავს.

— სოსოია, ბიჭო, რა ეშველება მაგ კაცს? — მკითხა ხატიამ.

— ხომ თქვა აკვირინე ბებიამ, გადარჩებაო?

— თუ არ გადარჩა?

— გადარჩება. ომშია მაგი ნამყოფი, არ ნახე ძუძუს ქვეშ რამხელა ჭრილობა აქვს? იმას გაუძლო და სიცხეს ვერ გაუძლებს?

— სადა აქვს ჭრილობა?

სპანი გადავაძვრე მკერდზე, პერანგი გადავუღეღე, ხატიას ხელი ავიღე და მარჯვენა ძუძუს ქვეშ ამოგლეჯილ ღრმა ჭრილობაზე დავადებინე.

— მარცხნივ რომ მოხვედროდა, მოკლავდა ხომ, სოსოია? — მკითხა ხატიამ.

— კი!..

ხატიამ ახლა ორივე ხელი ფრთხილად ჩამოუსვა სახეზე ავადმყოფს, მერე მხრებზე და მკლავამდე ჩამოყვა.

— ლამაზია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა ვიცი, ალბათ ლამაზია. ამ წვერში რას შეატყობ.

— გამხდარია! — თქვა ხატიამ.

— მისმინე, დიმკა!.. —დაიწყო უცებ ავადმყოფმა. — ა, დიმკა, არ გეყურება?.. — მე და ხატია ხმენად ვიქეცით.

— შენ გეუბნები, გესმის?

— მესმის! — ვუთხარი გაუბედავად.

— მისმინე, ახლა ყველას სძინავს... ღილაზე გერმანელები მოვლენ, ყველას გაყვანას ვერ მოასწრებენ... მე და შენ სიარული შეგვიძლია, შენ რა, ამ ლოგინში გინდა დალპე? თუ ბაღლინჯომ და კბენარმა გინდა შეგჭამოს? — ავადმყოფი დაკინებით დამაშტერდა.

— რას ამბობს?

— ჰოდა, ადექი... ევაკუაცია ჩემი საქმე არ არის... ეგ შობელძაღლი ექიმი თვითონ წავიდეს, თუ ეშინია... რას გაჩუმდი, გეშინია? აქ ჩემი სახლია, შენი სახლიც აქ არის... ეხლა ყველას სძინავს, არც არავინ მორიგეობს, ნახე!.. — ავადმყოფი ლოგინზე წამოიწია...

— დაო, დაო! — დაიძახა მან სუსტი ხმით. მე ხმა არ გავეცი. — აი, ხომ ხედავ, ახიკე შენი ძონძები... აბა, ცოცხლად... ავადმყოფი სწრაფად წამოჯდა საწოლზე და მაჯაში ხელი ჩამავლო.

— მოიცა! — ვუთხარი მე და მხარზე ხელი მოვხვიე. — მოიცა, გათენდეს!

— მე მივდიეარ, — მითხრა მან, ხელი მკრა და წამოდგა ლოგინიდან.

— სად მიდიხარ, კაცო!

ვეცი წელში, იგი გამიძალიანდა.

— ხატია მიშველე, — ვიყვირე მე. ხატია ხელის ფათურით მოვიდა ჩვენთან, ავადმყოფს ზურგიდან მოეკარა და რაც ძალი ჰქონდა, მოეხვია.

— გამიშვით! — იღრიალა ავადმყოფმა და ისე გაიქაჩა, სამთავენი იატაკს დავენარცხეთ. შეშინებული მამიდა ლოგინიდან წამოხტა და ჩვენთან მოვარდა.

— გამიშვით, თქვენი!.. — ამოგვტრიალა სანათესაო და დედულეთი ავადმყოფმა, მაგრამ ჩვენ არ ვუშვებდით, ნახევარი საათი ფარფხალებდა იგი ჭერეხზე ამოგდებული კალმახივით. ნახევარი საათი ვებრძოდით სანმი, ამ შიმშილითა და სიცხით მილეულ და რაღაცის შიშით ლმად ქცეულ კაცს. თანდათან მისუსტდა, მიილია, მოსავათდა და ტირილი დაიწყო.

— დაო, გამიშვი, დაო, დაგიმახსოვრებ, დაგიფასებ... — მაგრამ ჩვენ არ ვუშვებდით.

ბოლოს ავადმყოფი შეურიგდა თავის მდგომარეობას, მკლავები უღონოდ ჩამოუშვა და დაგვნებდა. ჩვენ საწოლზე დავასვენეთ და მკვდარივით დაიძინა.

მე იატაკზე ვიწექი, ბუხართან, ხატია და მამიდა კი ერთად...

— მამიდა!

— რა გინდა, ბიჭო?

— გძინავს, მამიდა?

—ჰო, მძინავს!

— შენ რომ არ გეწყინოს, მამიდა, ხვალ წავალ სოფსაბჭოში და ვეტყვი, რომ წაიყვანონ.

— დაიძინე, ბიჭო, ნუ ლაპარაკობ ბევრს, ხატია არ გაიღვიძოს!

— არც მე მძინავს! — თქვა ხატიამ.

— ხვალვე წავიყვანთო, ხომ ხატია? — ვკითხე მე.

— სად მირბოდა ნეტავი საწყალი? — კითხვაზე კითხვით მიპასუხა ხატიამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაიძინეთ ახლა, ხვალ სკოლაში არ მიდიხართ?

— რა ვქნათ, ა, მამიდა?

— რა უნდა ვქნათ, თუ მოვიყვანეთ, მოვუაროთ უნდა, სოფლსაბჭო რა შუაშია.

— რა ვაჭამოთ?

— რასაც ჩვენ ვჭამთ, ის ვაჭამოთ!

— მაგას რძე უნდა ახლა, გამხდარია! — თქვა ხატიამ.

— არც ჭადი და ყველი აწყენს, — ვთქვი მე.

— საიდან გაჩნდა აქ ნეტავი? — იკითხა ხატიამ.

— ასე იცის ომმა! — თქვა მამიდამ.

— მამიდა!

— რა გინდა, ბიჭო?

— აბა, ჩვენთან დატოვებ ამ კაცს?

— ჯერ მოვარჩინოთ, სოსოია. დაიძინე ახლა.

მე მძინავს და მესიზმრება: ჩვენი სოფლის ეკლესიის წინ დგას მამიდა-ჩემი, თეთრი, მაღალი, ღვთიშობელივით ლამაზი და საქორწინო კაბაში გამოწყობილი. მის ფერხთით დამხობილია მთელი ჩვენი სოფლის კაცობა და მათ შორის ჩემი რუსიც. ყველანი სდუმან, სდუმს ჩემი მამიდაც. მხოლოდ ჩემი რუსი ქცეულა ვედრებად: იგი ხელაპყრობილი ემუდარება მამიდას:

— დაო, გამიშვი, დაო, დაგიმახსოვრებ, დაგიფასებ!

მე ვეხვეწები, მამიდას, არ გაუშვა-მეთქი. მამიდა მიდის ჩემს რუსთან, ჰკიდებს ხელს, მერე მოდის ჩემთან და ჩვენ სამთავენი ერთად მივდივართ სახლში.

ერთი კვირა ებრძოდა სიკვდილს ჩემი რუსი, ღამით ისევ ბოდავდა, დღისით კი იწვა განაბული და აპრიალებულ თვალებს ჭერს არ აცილებდა. ყოველდღე ნახულობდა ავადმყოფს ბეჟანა, მიუჯდებოდა სასთუმალს და ძველი მეგობარივით ემუსაიფებოდა:

— აღარ ადგები, სოსოიეს რუსო, აწი? ხომ ხედავ, დადნა აგი ქალი! რაო? ქართული არ ვიცი? არც მე ვიცი რუსული, მაგრამ გამეჯიბრე თუ გინდა?.. თუ გინდა ჭამაში გამეჯიბრე, რაშიც გინდა, ღონეში, სიმღერაში. რაო? რუსულად ვიმღერო? რუსული არ ვიცი, თუ გინდა ჩვენებურს გიმღერებ... ბანი მითხარი შენ... ვერ მეტყვი? ვერც მეორეს? კარგი, აბა, მარტო ვიმღერებ... და ბეჟანა მღეროდა:

:

გოგონია, შენი კოფთა
ვინ შეკერა ასე კოხტა,
იმის შემკერავი მოკვდა,
იმან ჩემი გული მოკლა...
სიყვარულმა მე კი არა.
გადარია ტარიელი,
ჩემისთანა კი არ იყო,
ჭკუა იყო ცარიელი...

ამასწინათ ლუკაია ფოცხიშვილის ბიჭი შეიცხადეს და კი არ უნდა ვმღეროდე ახლა მე, სირცხვილია, მაგრამ მე აბდალი ვარ, მემღერება და რა ვქნა? რატომ მემღერება? შენ რატომ გეტირება? სიცილი და ტირილი ძმებია. კაცმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ თქვას, არც ჩვენ რადიოს აქვს სამღერლად საქმე, კი იცი შენ მაგიერ ბავშვობა ხომ მღერის? სიმღერა შველის კაცსაც და ყველასაც გაჯირვებაში... ასეა მაგი! ამთავრებდა ვიზიტს ბეჟანა, მერე მოდიოდნენ მეზობლები, მოდიოდა ექიმი, ასმევდა წამლებს, უკეთებდა ნემსებს და ერთი კვირის თავზე ჩემმა რუსმა თვალი გაახილა და ლოგინზე წამოჯდა. მერე სად ვარო იკითხა, როდესაც ვუთხარით სადაც იყო, ადგომა დაიპირა, მაგრამ ვერ ადგა და უღონოდ მიესვენა ბალიშზე. დიდხანს გვთვალიერა მე, მამიდა, ხატია და ბეჟანა, ბოლოს თვალები დახუჭა. შუბლი შეეკუნტულიყო ჰქონდა და სახის ყველა ნაკეთი უთრთოდა. მივხვდით, რომ არ ეძინა. რაღაც ძალიან ძნელ, მძიმედ მოსაგონარს იგონებდა, და ოთახიდან გავედით.

მე და ხატია გადავედით ეზოდან და შუკას გავუყევით. ხელიხელ ჩაკიდებული მივდიოდით, თვითონ არ ვიცოდით საით.

— რძე უნდა მაგას ახლა, თხის რძე და უცებ მოიკეთებს, — თქვა ხატიამ.

— მერე სად ვიშოვოთ რძე?

— მინასთან მივიდეთ, იმას ჰყავს თხა, — ხატიამ ხელი ჩამკიდა და ჩვენ თავქვე დავეშვით.

წელში ოხრილი მინა ეზოს ხვეტავდა, კუდში ორი წელს ქვევით ტიტლიკანა გოგო-ბიჭი დასდევდა და უცრემლოდ ტიროდნენ.

— ნენა, მურაბა გვინდაააა...

— თქვენ გაწყდით, რავა შემიღონეთ სული, სიკვდილი არ გინდათ?

— მურაბა გვინდაააა! — ღნაოდნენ ბავშვები.

ეზოში ჩავედით, მე ალაგესთან დავჯექი კოინდარზე, ხატია კი პირდაპირ მინასკენ წავიდა, მიუახლოდდა და წინ დაუდგა. მინას არც მოუხედავს, ხვეტას განაგრძობდა. ხატიას დანახვაზე ბავშვებმა ტირილი შეწყვიტეს და გარს შემოეხვივნენ.

— ხატია, ხატია, ნენა, ხატია მოვიდა! — მინამ წელზე დაიბჯინა ხელი, თავი მაღლა ასწია და ხატიას გაუცინა.

— რაო, ხატია, შენი ჭირიმე?

— გამარჯობა, მინა!

—იცოცხლე, ხატია! — უპასუხა მინამ, იქვე კოინდარზე დაჯდა და სასმენად მოემზადა.

— მინა, რძე გვინდა მე და სოსოიას!

— რძე გინდათ? — გაუკვირდა მინას.

— ხო, თხის რძე გვინდა, ავადმყოფისთვის.

— მოგიკვდეს ჩემი თავი, ხატია, ამ ეშაპებს რა რძე გადაურჩებათ? ძუძუში ჩადგომას არ აცლიან. ბაწარზე გადასაკიდად გახადეს თხა. — თქვა მინამ და ბავშვებს შეუტია. გასცდა თქვენი ფაშვი, რა ვქნა ახლა მე?

— კარგი აბა, სხვასთან წავალ, მინა,—უთხრა ხატიამ და შემომიბრუნდა.

— მოიცა, ხატია, მოიცა! — წამოიძახა უცებ მინამ, წამოხტა, ახორში შეირბინა და რქით გამოათრია აპეტელებული თხა, რომელიც წინა ფეხებს სოლივით არჭობდა მიწაში და თავს აქეთ-იქით აკანტურებდა. — ა, ჩემი ხატია. ნახე როგორაა გამოლეჭილი, მეათე დღეს დავუკლით თიკანი, ამათ რომ რძე არ მოკლებოდათ. მოდი აქ, აგერ მოკიდე ძუძუზე ხელი, როგორაა გამომშრალი, ნახე, ნახე. — მინამ ძალით მიათრია თხა ხატიასთან, მერე ხელი ხელზე წაავლო და თხის დამჭკნარ ძუძუზე შეავლებია.

— რად გინდა, მინა, ვიცი. სულ არ მიფიქრია, ბავშვები რომ გყავს.

— არ გეწყინოს ჩემო ხატია, ხომ იცი, შენთვის სულს არ დავიშურებ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვიცი მინა, — ხატია ჩემკენ წამოვიდა. — წამოდი, სოსოია! — მე ხელი მოვკიდე და ეზოდან გავიყვანე.

მთელი სოფელი მოვიარეთ მე და ხატიამ, თითქმის ყველა ოჯახს ჰყავდა თხა, მაგრამ რძე არავის ჰქონდა. ყველა ოჯახში იცოდნენ, რომ თხის რძე მარგებელია და გადასაქცევი რძე არავის ჰქონდა, არც გასაყიდი ჰქონდათ. ედემიკა გორდელაძემ ისიც კი გვითხრა, რძეს და სისხლს ომის დროს ერთნაირი ფასი აქვსო, ვასასი სოსელიამ კი ჩვენ თვალწინ ჩაუფურჩხნა შვილიშვილს ბაღი თხის რძეში და ბავშვმა რომ სულმოუთქმელად ჩათქვლიფა, ასე გვითხრა:

— ხომ უყურეთ თქვენი თვალით, ეს ბაღანა ამ თხის რძით გამყავს დღიდან დღემდე, აგია მისი დედაც, საუზმეც, სადილიც და ვახშამიც, სხვა საჭმელი ამისთვის არ არსებობს, მთლად გათხავდა ყაზილარი, როდის დაიპეტელებს არ ვიცი.

მეორე დღეს შუადღეზე ხატია ჩამოვიდა ჩვენთან ეზოში, გამიხმო და ჩუმად მითხრა:

— სოსოია, მე ვიცი სადაა თხის რძე!

— სად, ხატია?

— წამოიღე ჭურჭელი და წამოდი.

მე სამზარეულოდან დერგი გამოვიტანე და ხატიას წავყევი. ჩაის პლანტაცია გადავკვეთეთ, თხილები გავიარეთ და ხრამის პირას დიდი მსხლის ძირში აღმოვჩნდით.

— გესმის? — მკითხა ხატიამ. მე ყური მივუგდე. დაბლიდან ჩანჩქერის ყრუ გუგუნი მოისმოდა.

— გადასანჩქერა გუგუნებს! — ვუთხარი მე.

— კარგად დააყურე.

სმენად ვიქეცი. ქვევიდან თუნუქის ზარის ყრუ და გაბზარული ხმა მოისმოდა დროგამოშვებით.

— მესმის...

— შუადღეა ახლა და რაც თხებია, გადასანჩქერაზე არინ ჩასული.

— გაგიყდი, ხატია?

— ცოტა გამოვწველოთ, სოსოია, რა შეეტყობა?

— დაგვინახავს ვინმე.

— არ გინდა მალე მორჩეს შენი რუსი?

ერთი კვირა დავდიოდით დაბარებულებივით მე და ხატია გადასანჩქერაში, ექვსი დერგი გავტეხეთ. იყო ქაჩვა და ბღეკელი, ძუძუების გლეჯა, რძის დაქცევა, სირბილი და სიცილი. ჩვენს დანახვაზე თხები წივილ-კივილით გარბოდნენ, კისრით ეშვებოდნენ კლდეზე, რქებით გაჰქონდათ ბარდები, იგლეჯდნენ მუცლებსა და ჯიქნებს, ჩვენც დაღლეტილები ვბრუნდებოდით სახლში, მოგვქონდა რძე და გულაჩუყებულ მამიდას მთელი საათი ვალოცვინებდით კეთილ მეზობლებს. ამ ერთ კვირაში ისე დავოსტატდით წველაში, რომ ახლა უკვე გაქცეულ თხას მოვწველიდი. ვინ იცის, როდემდის გაგრძელდებოდა ეს ამბავი, რომ ერთ საღამოს ედემიკა გორდელაძის ბღავილს არ შეეძრა სოფელი.

— ხალხო, გამოდით გარეთ!

— რა იყო, ედემიკა!.. — მიაკიჟინეს აქეთ-იქიდან შეშინებულმა მეზობლებმა.

— გამოდით გარეთ, თხა გამოუღეჭია ვიღაცას ჩემი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სიკვდილმა გამოუღეკა ფაშვი, წუხელ ჩემი იყო გამოღეკილი, ... კივლა მინამ.

— მაშიკოს თხა ისეა გამოღეკილი, რძე აღარ უდგება ძუძუში...

— შიგანს გამოვართმევ, თუ მოვუსწარი, რუსეთ-იაპონიის ომის დროსაც კი იყო გაჭირვება, მაგრამ თხას ვინ ღეკდა მაშინ?

— ჩემსას დღეგამოშვებით ღეკავეს. ედემიკა! — გასძახა ფედოსიმ.

— კი ვიცი მე, ვინ შვება მაგას, მაგრამ ჯერ არ ვჩივი, — თითი გაიქნია ჰაერში ედემიკამ.

— თქვი, თუ იცი, — მიცვივდნენ დაზარალებულები.

— ვინ და ვისაც ჭირდება თხის რძე.

— თხის რძე ვის არ ჭირდება, შე კაცო? — გაუკვირდათ მეზობლებს.

— ერთი დღე კიდევ მაცალეთ და გავხსნი მაგ საქმეს. — დაჰპირდა ედემიკა.

— გვიშველე რამე! — თხოვეს მეზობლებმა.

შეიძრა მთელი სოფელი, თხებს სამალახოზე აღარ უშვებდნენ და თუ უშვებდნენ, მთელი ოჯახი თან მიჰყვებოდა. მე და ხატია მკვდრებივით დავდიოდით. ერთ საღამოს, როდესაც რძე უკანასკნელად მოვიტანეთ, მამიდამ მოგვიხმო მე და ხატია.

— ახლოს მოდით, ბავშვებო, მოდი, ხატია, ჩემთან.

— რა იყო, ქეთო? მასწავლებელო?

— ხატია, მაჩვენე შენი ხელები. — ხატიამ ხელები გაუწოდა მამიდას. მამიდამ ხატიას ხელები სახეზე აიფარა და ღრმად ჩაისუნთქა. მერე ჩემთან მოვიდა და იგივე გააკეთა.

— რა მოხდა, მამიდა? — ვკითხე მე შეშინებულმა.

— თხის სუნი გაქვთ, ბავშვებო! — მეტი მამიდას არაფერი უთქვამს.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

მიხეილ ჯავახიშვილის ხსოვნას

მღიმარე თვალი, კეთილი სახე...
მე ბავშვობისას ის ერთხელ ვნახე.

ტაშისკრის კართან გვენთო კოცონი,
ტაშმა აგვიწვა ხელის გულები,
სიცოცხლის ბაგით დასაკოცნელი
მაღლა ვისროლეთ თაიგულები.

მოჩქეფდა მტკვარი დაუღუმარი,
მთებზე საღამო იწვა ბნელ-მუქად,
იმ დღეს ესტუმრა ბანაკს სტუმარი,
ნორჩ ტყეში ჩადგა დიდი ბერმუხა.

ვაშას ძახილი გაიჭრა ველზე,
მთებზე არბოდა სიო ველისა,
ღაწვალეწილმა დავკიდე ყელზე
მას ყელსახვევი პიონერისა.

გააჭრიალათ ბალახებს რძიანს,
კოცონის შუქზე აცეკვდნენ ხენი;
მერე მუხლებზე დამისვა ძიამ
და მხარზე ნაზად დამადო ხელი.

ბევრი ამბები გვიამბო ბავშვებს,
ბავშვად გადიქცა კაცი ამხელა
და მშობლიური ღიმილით სავსემ
კიდეც გვაცეკვა, კიდეც გვამღერა.

გვითხრა, რომ ხალხი მუდამ ახსენებს
სწავლის არსენებს, შრომის არსენებს,
დაიზარდეთო, მშობელი ხალხის
და ქვეყნის ტრფობა ნურც
მოგასვენებთ
... და ვიგონებდი იმ ღამეს ბევრჯერ,
გვქონდა სიმღერა, ცეკვა თუ ლაზტი,
მე მას სიზმარშიც კალთაში ვეჯექ
და თან არსენას ბიჭებსაც ვახლდი.

მუდამ უკვდავი, რომ არის, ვიცი,
დამტყვეევებელი ჩვენი გულების,
მაგრამ... სად ვნახო სამარე მისი, —
მივიდე, მოვრთო თაიგულებით...

კეთილი გული, კეთილი სახე...
მე ბავშვობისას სულ ერთხელ ვნახე.

ᲖᲐᲠᲘᲔᲚ ᲭᲐᲜᲒᲣᲠᲘᲐ

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

მეგობარ მხატვრებს

თეთრი სიმღერა

სხვა სიმართლეა, სხვა დროა ახლა,
გთხოვენ უჯრაში ჩაკეტილ ფურცლებს,
ჩალის ფასი აქვს ბაზარზე საკლავს,
ფიქრებსაც უფრო ადვილად უძლებ.
შენი ტოლები იპყრობენ ბაზარს,
წერენ ლექსებს და ძერწავენ თიხას,
და რაც მათ შექმნეს სიცოცხლის ფასად,
სადღაც ღიმილით ყიდულობს ვიღაც.
და ყველა ხედავს: სხვა დღეა, სხვა
დრო...
არ ეშინია თვალებს და ბაგეს,
ვიღაცას ლანძღავ, ვიღაცა გათრობს,
რეკავენ — კარებს თამამად აღებ....
მოგენატრება უხეში წვეი,
მამის ღიმილი, თვალები მამის,
გაგახსენდება სურათი ძველი,
ძველი სურათი, ორი თუ სამი...
და ურიგდები ქვეყანას უცებ,
წასულ ოცნებებს, გაცდენილ ენებებს,
ცოლს ეხმარები, ბავშვს აკვანს ურწევ
და შვილებს აძლევ ცელქობის ნებას,
და აღარ იკვლევ მტკუანს და მართალს,
რაც იყო, იყო... შენ აღარ იკვლევ,
და მეგობრებიც... იქნება მათაც
სტკიოდათ ასე... ვინ იცის, იქნებ...
დრო ისევ გადის... მაგრამ დღეს სხვა
დრო
და სხვა წუთია... შრიალებს ქარი.
და ყველა ფიქრობს, ფიქრობს და
ატყობს,
რომ დიდ იმედებს გაეღო კარი.

ᲧᲕᲘᲗᲔᲚᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ

მე შენზე ვფიქრობ და ყველა ფურცელს
აჩნდები, როგორც ყვითელი ლაქა,
და ვეღარ ვფიქრობ ცოლზე და პურზე
და მხოლოდ ვფიქრობ — ასეთი რა ხარ!
ყვითელი ფიქრით ვარ დახუნძლული
და ვეფერები დამჭკნარ ზაფრანებს,
ძლივს ახელს თვალებს ღამე უძლური
და ბნელით ფარავს ძვირფას საფლავებს.
ვერ დავანებე პაპიროსს თავი
და მეათასედ ვისმენ საყვედურს.
ქუჩებს მშვენიერ ვარდებით რთავენ
და არ იციან, რომ შენ წახვედი...
ქუჩაში ფიქრი ყველა იმ ქალზე,
ან მარტო თუ დგას, ან მარტო თუ ზის,
შინ მიბრუნება დაღლილი კაცის,
ფიქრები: როგორ ცხოვრობდა უწინ...
და ტკინში ასჯერ გადახდილ ომზე
ვფიქრობ და ისევ მომესმის სროლა,
უფრო ძვირფასი რა უნდა მომცენ, —
მე მინდა თმები და შენთან წოლა,
მე მინდა ყველა, ვინც უკვე მოკვდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ იყოს ახლა — ძმები და დები...
მე მინდა ტყვიაც, თუ ის შენ მოგხვდა,
მინდა ღიმილი, ხმაური, კდემა.
ჩემს ღატაკ ლექსებს — საგზალს და
საგზურს —
მსურს იჩრდილებდე მხურვალე მზეში,
მაგრამ არ ვიცი, რა გიყვარს, რა გძულს
და სინანულით მევსება პეშვი,
და შენი თმებით ივსება წიგნი,
სხივი მოკონავს ყვითელ კალმიდან,
შენ შეგიძლია წამართვა ფიქრი,
ჰო, შეგიძლია, მაგრამ არ გინდა...
მეც შენი ტანი მახარებს ისე,
თითქოს დახვრეტას ციხით მიცვლიან.
ყვითელი თმებით ავავსო სივრცე, —
მე მინდა, მაგრამ არ შემიძლია.
და ღუმს ღიმილი შემკრთალ ბაგეზე,
მაგრამ უეცრად ვივსები ღონით,
და სული დაღლილ სხეულს აქეზებს
და ქრება კვამლი ყვითელი თოვლის...

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ

ელამ გოგონებს, ფერმკრთალ
გროტესკებს,
ფუნჯის ლოდინში დაღლილ
ფრაგმენტებს,
ჩრდილებს, დანახულს სადღაც,
ოდესღაც,
ფერებს, რომელსაც ასე აღმერთებ, —
ყველაფერს თურმე სჯირდება სისხლი,
და შენ სისხლისგან ისესხე ფერი,
და სისხლისფერი მაღალი ცეცხლი
მღერის და ტირის, ტირის და მღერის.
და მეშინია სიმღერის შენის,
ვით გასაწყვეტად დაჭიმულ სიმის.
ჭალაში მიდის წითელი ფერი
და ყურში მისი ხმაური წვიის.
სხვებმა, ჰო, სხვებმა იკითხონ, თორემ
შენ მუდამ დიდი გექნება დარდი...
დნება წვიმისგან მაღალი თოვლი
და თოვლშიც შენი სიმღერა დადის.
შენ თოვლის ფერმკრთალ დუმილში
რჩები
და სხეულს გიწვავს კოცონი ცივი...
...რად მეშინია სიმღერის შენის,
ვით გასაწყვეტად დაჭიმულ სიმის...

ᲚᲣᲠᲯᲘᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ

ისევ მოდიან ლურჯი დღეები
თანდათანობით, თანდათანობით...
ისევ გადიან მერე დღეები, —
თითქოს ვიღაცის ძალდატანებით.
და დღეებია შენი თვალებით
სავსე, — ბრიალა შენი თვალებით.
ლურჯი დღეები — წარსულისათვის
გადასახდელი მძიმე ვალები.
შენ კარგად იცი, როგორ ვიდარდე
შენზე, და როგორ დიდხანს ვიდარდე.
შენი გულისთვის მე შემიძლია,
რასაც ვიტანდი, ისევ ვიტანდე,
თუ ისევ ისე მოვლენ დღეები
თანდათანობით, თანდათანობით.
და მერე ისევ წავლენ დღეები, —
თითქო ვიღაცის ძალდატანებით.
უცხო ფასკუნჯის ლურჯი ფეხებით
გადამივლიან ტვინზე და გულზე,
თვალის შევლებით, ხელის შეხებით
ვგრძნობ, ვეფერები, ვუღიმი, ვუმზერ.
და რჩება მათგან „გუშინ“ და „წინათ“
და ვნაღვლობ ძვირფას წუთების გამო,
და მერე სძინავთ უფსკრულის ძირას
იმ დღეებს, როგორც ჩაძირულ გემებს.
რა ვუყოთ... ისევ მოვლენ დღეები
თანდათანობით, თანდათანობით,
და ისევ ჩუმად გაბრუნდებიან, —
თითქოს ვიღაცის ძალდატანებით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შავი სიმღერა

ღუმდი და ვდუმდი. და ვდუმდით ასე,
ჩვენი ცხოვრება მუნჯ ფილმებს ჰგავდა,
და არ გვესმოდა — ნეტავი ასეთს
რას ვაშავებდით საკუთარ თავთან.
მე იმ ცხოვრებით ვცხოვრობდი მაშინ,
მაგრამ უეცრად შემცვალეს თითქო...
დღეს უხერხულად ჭრილობებს ვაჩენ
და შენს სიყვარულს ღიმილით ვითხოვ.
და სიყვარულზე უფრო საშიში —
ანთია ლექსი და ფიქრი შენზე,
მას ვეკუთვნოდი დედის საშოშიც
და დღეს გავექეცე — ძალა არ შემწევს.
ვფიქრობ, დავდივარ, ვწერ და ვეწევი,
ნაავადმყოფარ სხეულს ვდარაჯობ,
ისევ ვკითხულობ ძვირფას წერილებს,
ფრთხილად შენახულს ძველ გიტარაში,
მაგრამ დღეს სხვა ვარ, და აღარ
ვდუმვარ,
და გრძელ სიმღერას მორჩილად ვითმენ,
და ქვეყანაზე საერთოდ თუ ვარ,
მინდა ყოველთვის შენს გვერდით ვიდგე,
და ლატარიის ნაცრისფერ ბილეთს
ვყიდულობ — მინდა იმედი მქონდეს,
თეთრი ჭიქები, მანქანა, ბინა
და შენზე ზრუნვის უფლება მქონდეს,
რომ დავივიწყო დღეები მკაცრი,
როცა ცხოვრება მუნჯ ფილმებს
ჰგავდა,
და არ გვესმოდა — ნეტავი ასეთს
რას ვაშავებდით საკუთარ თავთან.

მწვანე სიმღერა

ქარში მარადკამს ისმის კივილი
და მოუთმენლად რეკენ ზარები.
და გვამჩნევია გულზე ტკივილი,
ვით ნაკვალევი დინოზავრების,
ხშირად საკუთარ ჩრდილებს ვივიწყებთ
და გულს ვიოხებთ სხვისი ძაგებით,
და წინ მივიწევთ, მაღლა მივიწევთ
ლექსით, ტკივილით და ზიგზაგებით.
ჩვენ სხვანაირად ვუყურებთ სიკვდილს,
დღევანდელ დღეს და დღევანდელ
ხალისს,
ჩვენ ბევრი ვიცით... ჩვენ უკვე
მივხვდით,
რომ დედაც თურმე ყოფილა ქალი.
სტრიქონს, მოქსოვილს დამშრალ
ძარღვებით,
ვით გზაბნეულ ბაბუაწვერას,
წაიღებს ქარი და ვერ წაყვები
და იტყვი შენთვის: „ეს იყო ძველად“.
სულს იღუმალი ხმაურიც ესმის —
როგორ მოძრაობს სისხლი სხეულში...
ტანში და ტვინში ანთია ცეცხლი
და იგი ცეცხლი ჩნდება რეუულშიც,
და ლექსებს შვენის ღიმილი წმინდა.
ხმაური ქარხნის ყვირილი სექსის...
ჩვენ ერთმანეთის სიცოცხლეც გვინდა
და ერთმანეთის გვაშინებს ლექსი,
და ცახცახებენ ჩვენი ხელები
და დანაცრული ჩვენი თითები,
რატომ... ერთმანეთს არ ვეფერებით...
რატომ... ერთმანეთს არ
ვუფრთხილდებით!
ხომ შეიძლება დიდ სამრეკლოზე
ხანდახან ჩვენიც რეკდეს ზარები,
და დროს დაეჩნდეს ჩვენი ლოცვებიც,
ვით ნაკვალევი დინოზავრების...

ნარინჯების სიმღერა

რა იყო... როგორ... არ გვინდა.
მოვრჩეთ...
რაც მოხდა, მოხდა... ნურაფერს
მიწყენ...
უნდა გაბედო და აირჩიო:
ან მხოლოდ ჩემსკენ, ან მხოლოდ
მისკენ.
და მზეც ყოველთვის ანათებს ასე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხან მხოლოდ ჩვენსკენ, ხან მხოლოდ
მათკენ.

აწი ყველაფერს ერთი აქვს ფასი,
ნუ გაიხსენებ, გულს ნუღარ მატკენ.
მეც მინდა ვთქვა და ვერ გეუბნები
და ძლიეს ვზიდულობ ბუნდოვან
სათქმელს.

ასე ძვირფასი, მკრთალი, უვნებო
კვლავ თუ შემხვდები ნეტავი სადმე.
ოდესმე ალბათ ვიტყვი ან დავწერ,
ო, უსათუოდ დავწერ ან ვიტყვი
ან შენზე, ანდა საკუთარ თავზე.
რა იყო, როგორ — ყველაფერს ვიტყვი.

მაგრამ დღეს ისევ უბერავს ქარი
ბუსუსებიან და ბიჟურ მკერდებს,
და შენ ქურდულად აყოლებ თვალებს
ბუსუსებიან და ბიჟურ მკერდებს.
მეც მინდა მთელი სიცოცხლე მოგცე,
თუმცა რაღასთვის... ან რა უფლებით...
ოდესმე გეტყვი, ოდესმე მოგწერ,
რასაც ამ წუთში ვერ გეუბნები.
მაგრამ მანამდე არ გვინდა... მოვრჩეთ...
რაც იყო, იყო... ნურაფერს მიწყენ...
დღეს არჩევანი ერთია ორში:
ან მხოლოდ ჩემსკენ... ან მხოლოდ
მისკენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭაბუა ამირეჯიბი

მკვლელი

არჩილმა თვალი გაახილა.

ფანჯარას მზე მოსდგომოდა. ყავისფერ ფარდაზე მჟიდროდ დამსხდარიყვნენ მოციმციმე წიწწკლები. არალუღში ჩამოპარული სხივები მარაოდ გაშლილიყვნენ. ოთახში მკრთალი სინათლე იდგა.

მოპირდაპირე კედელთან აფორიაქებულ საწოლში მიტო იწვა.

გმირივლად ეძინა, დილის ძილით, იდუმალი ღიმილით სახეზე.

არჩილი მიტოს დააკვირდა. შემდეგ ჭერში წაიღო თვალი და ფიქრს გაჰყვა. სიჩუმეს მხოლოდ მიტოს გამოზომილი სუნთქვა არღვევდა და საიდანღაც მომავალი თხელი ჟრიამული.

სკამზე მოფფათურა ხელი არჩილმა, კოლოფიდან პაპიროსი ამოიღო. წაუკიდა. ასანთი სკამზევე დადო.

ნაპირზე მოუვიდა, იატაკზე გადაუვარდა.

შეკრთა. მყისვე წამოიწია, ასანთს დასწვდა. ახლა საწოლის ბადემ ატეხა ერთი ჭრიალი და ტკაცატკუცი.

მიტოს ყურში ჩასწვდა ხმაური, კედლისაკენ გადაბრუნდა.

კარს იქიდანაც მოატანა ფაჩუნმა.

არჩილი გაინაბა, მიაყურა. იქაც დაიჭრიალა საწოლმა და ფოსტლების ტყაპა-ტყუპი მოისმა.

— ძრომლებო, გძინავთ? — დაიძახა ნინომ მეზობელ ოთახში.

— ნახევარს გვძინავს, ნახევარს გვღვიძავს! — უპასუხა არჩილმა, პაპიროსს მოქაჩა და ოდნავ გაიღიმა.

— იმ ნახევარმა, რომელსაც ღვიძავს, გაღვიძოს ის ნახევარი, რომელსაც სძინავს!.. წინადადება მაქვს, თითქმის გამოგონება, აიშალეთ!

მიტო გაიზმორა, ლოგინზე ჩამოჯდა, ფოსტლებს გაუფათურა ფეხი.

— ამხანაგებო, გაუმარჯოს კვირა დღეს რაციონალიზაციის და საწარმოო თათბირის გარეშე! — დაიყვირა მიტომ და ყირა აკიმა.

ერთ წამს იდგა, მერე დაიძრა და ხელებზე სიარულით მივიდა არჩილის საწოლთან.

— დილა მშვიდობისა! — მიესალმა მიტო.

მარჯვენა ფეხი მუხლში მოხარა, ტერფი ხელის ჩამოსართმევად გაუწოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილმაც ფეხი მიაგება. მიტომ ისევ ამართა წვივი, არჩილისაკენ შემოტრიალდა და ყირიდან პირდაპირ საწოლზე ჩამოჯდა.

— წუხელ სად დაიკარგე? — ჰკითხა არჩილმა — საბლერთან გელოდით მე და ნინო. რატომ არ მოხვედი?

— ფრიდასთან ვიჯექი. „კეხიანი“ მოვიდა, საცოლე მოიყვანა. ჩაისა და საუბარს შევყევით.

არჩილმა იყუჩა. მერე ჩურჩულით უთხრა:

— ძალიან გელოდა. სულ კარზე ჰქონდა თვალი.. — მეორე ოთახისაკენ გაიხედა და დასძინა: — უყვარხარ!

— მე არ მინდა, ვუყვარდე.

— შენც გიყვარს.

მიტო საწოლის გამირს ჩააფრინდა. ისევ ყირაზე დადგა.

— არ მიყვარს. ფრიდა მიყვარს. — მიუგო მიტომ დაგვიანებით.

არჩილმა თავით ფეხამდე აათვალიერა მიტო. იქიდან ისევ ძირს ჩამოჰყვა და თვალი თვალში გაუყარა.

— ყირამალა ლაპარაკობ!

მიტომ ყირა დამალა. ისევ საწოლზე ჩამოჯდა.

— ფრიდასთან ყველაფერი ადვილია...

— ამასთან? — არჩილმა კარზე გადაუკრა ცერი, ეშმაკურად გაუღიმა — ნინოსთან ძნელია?

— ნინოსთან?.. ნინოსთან არასოდეს არ იცი, როდის უმ კარტოფილს გადაყლაპავ, როდის სადგისზე შემოსკუპდები, როდინ...

არჩილი დაფიქრდა.

— ბევრს თხოულობს თავისი სიყვარულის სანაცვლოდ... სრულ ფასს. ყველაფერს. — ჩაიჩურჩულა მან.

— ნინოსთან საბლერისთანა კაცია საჭირო: თვინიერი, მორჩილი. საბლერი ბედნიერია, როცა ქალს ემორჩილება... ან შენისთანა, რომ აჯობოს.

— მე მაგას ვერ ვაჯობებ.

— მხართეძოზე მწოლიარე ვერა! — მოუგო ნიშნი მიტომ.

არჩილმა გაიღიმა. პასუხი აღარ დასცალდა:

— დიდა პაშა! რომელი საათია? — დაიყვირა ნინომ მეორე ოთახში.

— საათს მეკითხები? ერთი მაღვიძარა ვერ გიყიდიათ... რა ვიცი რომელია. კარგახნის გათენებულია! — გამოსძახა დეიდა პაშამ სამზარეულოდან და ნინოს ოთახში გამოვიდა.

— სადილი მოგიმზადოთ? — იკითხა მან ხმამაღლა, იმ ვარაუდით, რომ მამაკაცებსაც გიგონთ თავის ოთახში.

— არ გვინდა! — უპასუხა ნინომ.

არჩილს გაუკვირდა.

— რაღაც ამბავია! — გადაულაპარაკა მიტომ.

— ეგრე იცით თქვენა!—თქვა დეიდა პაშამ საყვედურით—გავაკეთებ—არ მოხვალთ. არ გავაკეთებ — გვაჭამე რამეო...

— დეიდა პაშა, გამოდი ჩვენთან! — უხმო მიტომ.

დეიდაბერი შემოვიდა.

— რა იყო? — იკითხა მან და თვალი აარიდა ნახევრად შიშველ კაცებს.

— დეიდა პაშა! მე დღესვე ვიყიდი მაღვიძარას. ამათი იმედი ნუ გექნება. ღმერთმანი ვიყიდი. ნახე თუ არა! — მიტო ზეზე ადგა.

— ამოდენა საჭმელი ოხრდება, ერთი გოჭი მიყიდეთ. გოჭი ყულაბაა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

უყაირათოები ხართ. რანაირი ახალგაზრდობა მოდის?!

გოჭის მოთხოვნამ საერთო სიცილი გამოიწვია.

დედაბერმა პირი იბრუნა.

მიტო დაეწია, მკლავებში მოიქცია, მოეფერა, ჭაღარაზე გადაუსვა ხელი და დამჭკნარ ღაწვზე აკოცა. დედაბერმა ქოქოლა მიაყარა ხუმრობით და ნინოს ოთახში გავიდა.

— ეგ რაღა იყო? ეგენი არ იცოდი? — ჰკითხა არჩილმა.

— საბლერისგან ვისწავლე. ის უეჭველად ასე იზამდა.

— საბლერი ხელზე აკოცებდა.—გამოეხმაურა ნინო.

— და ცრემლი მოადგებოდა. ცრემლი აუცილებლად მოადგებოდა.—დასძინა მიტომ.

— საბლერიც წავიყვანოთ! — თქვა ნინომ.

— ეგ, სადა?

— საით აპირებ?

არჩილმა და მიტომ შეფიქრიანებით მიხედეს ჯერ ნინოს ოთახში გამავალ კარს, მერე ერთმანეთს.

— მარილა, ჩემი წინადადება! — წამოიძახა ნინომ — არ მითქვამს, არა?

— თითქმის გამოგონება? აბა, თქვი!— მიაგება მიტომ და ლოგინში ჩაწვა.

— გუშინ პილნიკმა შემოგვითვალა, დათვის ბელები მყავს, თუ ჩამოხვალთ, ერთი თქვენი იყოსო. დავსხდეთ მანქანაზე, ჩავიდეთ, ბელი წამოვიყვანოთ... რა საყვარლები არიან! ღმერთმანი, წავიდეთ, ადე, მიტო, მომართე შენი პრიმუსი...

— პრიმუსი?.. — შეაწყვეტინა მიტომ შეურაცხყოფილი კილოთი — პრიმუსი, არა? არ მოვდივარ, არ მინდა ბელი!

— არჩილ, უთხარი, რა, ნუ მიედ-მოედება! — გამოემუდარა ნინო მეორე ოთახიდან.

— ნინო, მოიცა, თუ ხათრი გაქვს, ეს რაღა გამოიგონე! — მიუგო არჩილმა — გუშინ მე და შენ რომ შევპირდით, ქვაბულის სანახავად მოვალთო, დაგვიწყდა? ხვალ უნდა აფეთქება დავიწყოთ, რა დროის ბელია?!

— არავითარი ქვაბულები! კვირაა.

— ქალო, გუშინვე გეთქვა, აღარ შევპირდებოდით...

— გუშინ არ მინდოდა ბელი, დღეს მინდა!

— პატარა ჟირაფი არ გინდა?.. — ჰკითხა მიტომ.

— ხვალიდან ახალ სამუშაოს ვკიდებთ ხელს. რა გედათვისებელება, ადამიანო!

— აბა, ნუ გაწყალეთ გული, ძმობილებო! — შეუტია ნინომ — ადექით ახლავე!

ნინო ლოგინიდან გადმოხტა, ხალათში გაუყარა მკლავები, ქამარი უკვე აქვთ ოთახში შეიკრა.

— ადექით ახლავე! არ ადგებით? — ჯერ მიტოს წააძრო საბანი, მერე არჩილს ეცა.

ამან ხელებით დაბღუჯა, მაგრამ ნინომ მეორე ბოლოდან უყელა, მაინც წაართვა.

— ადექით! — ქაქანებდა ნინო — დაობდებით, ახლაბუდა გაგიჩნდებათ, ადექით!

კაცები ლოგინებზე წამომჯდარიყვნენ.

არჩილი განცვიფრებული შეჰყურებდა ნინოს.

მიტო მცოდნედ იღიმებოდა.

— საიდან რას მოიგონებს ეს ქალი! დათვის ბელი რაღა უბედურებაა?!

— უმი კარტოფილი... სადგისი... რა გითხარი? — ესროლა მიტომ არჩილს.

— არ დგებით?.. ახლავე! — ნინო გაიქცა.

კაცებს სიცილი წასდათ, მაგრამ ნინო ამ წამსვე აქ გაჩნდა გრაფინით ხელში და სიცილი ორთაოვეს სახეზე შეახმა.

— დგებით, თუ არა?!

კაცები გრაფინს მისჩერებოდნენ.

ნინომ პასუხი აღარ დაიცადა; ჯერ მიტოს მიაწუწა წყალი, მერე არჩილს. ორივენი წამოცვივდნენ. ერთი ალიაქოთი ატყდა.

კუთხეში მიიმწყვდია კაცები ნინომ. მიტო არჩილის უშველებელ სხეულს ამოეფარა. მხოლოდ თავი ჰქონდა გამოყოფილი; იმასაც მიაფარებდა ხოლმე, როცა ნინო გრაფინს იქნევდა. წყალი ერთიანად არჩილს ესხმოდა.

— მოიცა, ქალო!

— დათვის ბელი მომინდომა. შეხედე ერთი ამ სულელს?!

— არც ახლა წამოხვალთ?! ჩაიცვით ახლავე!

— მოიცა ქალო, ეეყო, კარგი!

— რად გინდა ბელი, ბაჭიებს მოგიყვან, ღმერთმანი, მოგიყვან!

გრაფინი დაიცალა.

მიტო საფარიდან გამოვიდა.

ნინო ისევ წყლის მოსატანად გაიქცა.

— რა ვქნათ? — ჰკითხა მიტომ არჩილს.

— შეპირებული ვართ, არ იქნება!

— მეე საქმეები მაქვს. არ მივდივართ, მორჩა! — დაეთანხმა მიტო.

ნინო დაბრუნდა. არჩილმა დროზე დაიხია, კუთხე დაიკავა. მიტომ საფარი დაკარგა და მიხვდა, რომ ახლა კი არ ასცდებოდა საფუძელიანი გაწუწვა.

— მოდიხართ, თუ არა?!

— მოვდივართ, როგორ არა! — მიუგო მიტომ სხაპასხუპით — სწორედ ახლა ვამბობდით... ძალიან მოგიხდება ბელი... თასმაზე, ან ჯაჭვზე. მე მგონი ოორივე უნდა წამოვიყვანოთ, მოვამრავლოთ, დავგეშოთ... წარმოდგენილი მაქვს აფიშა. „დიდი ატრაქციონი, სახელგანთქმული მწვრთნელი და უშიშარი მსახიობი... ჩვიდმეტი დათვით და სამი ასისტენტით...“, მე საბლერსაც ვგულისხმობ...

ნინომ წარბი შეჭკრა. გრაფინი მაგიდაზე დადო და ცივად გავიდა ოთახიდან.

კაცები შეფიქრიანდნენ.

— გაჯავრდა! — წაიჩურჩულა მიტომ.

არჩილი სდუმდა.

ნინოს ოთახიდან ფაჩი-ფუჩი ისმოდა.

გაწუწული კაცები გვერდი-გვერდ იდგნენ ტრუსების ამარა, ფეხშიშველები და ყოყმანით შესცქეროდნენ გამოღებულ კარს.

არჩილი შეშფოთებული იყო. მიტო არჩილის არევამ შეაწუხა, თავი ჩაქინდრა.

— ერთხელ რაღაც მოვინდომე... — წაიბუზღუნა ნინომ და გაინაბა. იგი ყურებდაცქვეტილი ელოდა რაიმე პასუხს.

— ჰმ, ერთხელაო, გესმის? — გადაუჩურჩულა მიტომ არჩილს.

— კარგი, მოვდივართ! — დაიძახა არჩილმა მტკიცედ, და უფრო ხმადაბლა, დამნაშავესავით დასძინა: — ოღონდ, ავტობუსით წავიდეთ. ექვსზე დავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრუნდებით. საკმარისია! ჩვენი მანქანის შემყურეებს კიდევ რაიმე აზრი დაგვებადება... დავრჩებით, ან სხვაგან სადმე ამოვყოფთ თავს. არ შეიძლება. ორშაბათს ყველას სამუშაო გველოდება.

— ბელი, ბელი, ბელი, ბელი! — მოისმა ნინოს გახარებული შეძახილი და ტაშისცემა. — აბა, ბიჭებო, დროზე! ათი წუთი. არ დავიგვიანოთ... ვინ იცის, დავიგვიანეთ!... გაინძერით!

მიტომ ლოგინის მილაგებას მიაყო ხელი.

არჩილი დარტიანებულივით შესცქეროდა ნინოს ოთახის კარს.

.მიტომ სწრაფად მიითავ-მოითავა საქმეები, საკმაოდ მოძველებული სამხედრო ხალათ-შარვალი და ჩექმა ჩაიცვა და გარეთ გავიდა.

არჩილი გაპარსვას შეუდგა.

ნინო შემოვიდა. ფარდა გადასწია, ფანჯარა გააღო. ოთახში სინათლე შემოიღვარა. დგამზე სხივები ათამაშდნენ.

ნინოს მუქი მწვანე ფერის თხილამურა ეცვა. ფეხზე — ყელიანი, მსუბუქი მესტები. ჯიბის სარკეში იყურებოდა, ქოჩორს ისწორებდა. ღაწვისთავებზე ღია ვარდისფერი ედო. დიდრონ თვალებში ალი უდგეოდა.

არჩილი ნინოს შეჰყურებდა.

ნინომ სარკე ჯიბეში ჩაიდო, არჩილს შეხედა. თვალები გადააჯვარედინეს.

არჩილი ფიქრობდა.

ნინო მშვიდად იყურებოდა. ელოდა. იცოდა, არჩილი უსათუოდ იტყოდა რასმე.

ქუჩიდან პატარა ბიჭების ჭაჭანი ისმოდა. ფანჯარასთან ორი მამაკაცი შეჩერდა. აურზაურმა მიიპყრო მათი ყურადღება. ბიჭების გაწამაწიას დაუწყეს ცქერა.

იქ თავგამოდებული დაკა-დაკა და ჭიდილი იყო.

ორნი ჩხუბობდნენ: ჩაფსკვნილი, დაბალი და ტანხმელი, მაღალი.

— მჯობნი, ნინო! — უთხრა არჩილმა ნინოს ღიმილით და ორთავეს ბიჭების ალიაქოთმა წასტაცა გულისყური.

— გავაშველოთ, სცემს — თქვა ერთ-ერთმა ფანჯრის იქით მდგომმა.

— იმანაცა სცემოს! — უპასუხა მეორემ.

— ეს ღონიერია, მოერევა.

— მაშ ამან უნდა სცემოს! — უპასუხა მეორემ გულგრილად.

ალიაქოთი მინელდა. ფანჯარასთან შეჩერებულმა კაცებმა ერთი კიდევ მიხედეს დაშოშმინებულ ბიჭებს და თვალს მიეფარნენ.

ნინომ გაიღიმა.

არჩილმაც.

— ყველაფერში ეგრეა! — განაგრძო ნინომ შეწყვეტილი საუბარი.

— როგორ? — ჰკითხა არჩილმა.

— ისე! — ნინომ ქუჩაზე მიანიშნა და დასძინა — როგორც ამ კაცებმა ილაპარაკეს ფანჯარასთან.

ოთახში სიცილ-ხარხარი ატყდა.

ხმაურზე მიტო შემოვიდა.

— მიტო, რანაირად გაცვია?.. სად არის შენი იასამნისფერი ჰალსტუხი? — გაიკვირვა ნინომ.

სამივენი კარში გავიდნენ.

— საბლერს უნდა გავუაროთ, უნდა ვისაუზმოთ, ბილეთების ყიდვა... რომელი საათია? — თქვა არჩილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნაუმ! დილა მშვიდობისა, რომელი საათია? — გასძახა მიტომ მოპირდაპირე ქვაფენილზე მიმავალ კაცს.

— ცხრა იქნება, გამარჯობათ!

მეგობრებმა საპასუხო სალამ-ქალამი დააყარეს.

— ახალი რა არის? — შეეკითხა მიტო.

— ახალი — გაზეთებში... — მანქანის ხმაურმა ჩაყაოუა დანარჩენი.

ძარაში აეტომატებით შეიარაღებულნი ისხდნენ. სასამსახურო ქოფაკებს გვერდულად გადმოეყარათ ვარდისფერი ენები, ყურებდაცქვეტილი გამოსცქეროდნენ ჩამოტოვებულ გზას.

— წუხელ საღამოს გაქცევა მოხდა. ეძებენ! — დაიძახა ნაუმმა.

— გაქცევა?..

— რამდენი?..

— ოთხნი. უკან მიჰყავდათ სამუშაოდან. ამბობენ, იარაღი ჩაუგდიათ ხელში: ორი ავტომატი, ერთი ნაგანი... კარგად ვნახეთ!

მეგობრებიც დაიძრნენ.

— საიდან გაიქცნენ... სადა ჰყავთ პატიმრები? — იკითხა ნინომ.

— აქედან ორმოცოდე კილომეტრზე. ალბათ იქიდან, თუკი სადმე მძვინვარე მკლელი და მძარცველია, იქა ჰყავთ თავმოყრილი.

— ოთხნი! იარაღი... ცუდია! ხალხს გააფუჭებენ, — თქვა არჩილმა.

— როგორ?.. „გააფუჭებენ“ — რას ნიშნავს? — იკითხა ნინომ.

— იძალადებენ. დაჭერის დროს წინააღმდეგობას გასწევენ.

— მოკლეზე გადავიდეთ! — მიტომ გაუხვია.

მეგობრები გაჰყვნენ.

ხმა აღარავის ამოუღია. ახალმა ამბავმა იმოქმედა. ყველა თავისთვის ფიქრობდა.

კარგახანს იარეს ასე.

ახალდასახლებას მიჰყვებოდნენ. აქ ნაკვეთები აიღო ხალხმა. ტყე გაიჩეხა, ფერდობები განაშენიანდა. ძელურ შენობებთან ფიქვები დატოვეს მოსახლეებმა. ახალშენი მწვანეში იყო ჩაფლული.

მესერს იქით, ახლადჩაყრილ არყის ხის ნერგებს პალოებს უგებდა ახალგაზრდა ქალი. იქვე ტიტლიკანა, ფეხშიშველი ბალღი იდგა.

— გამარჯობათ თქვენი! — გადმოსძახა დისასხლისმა.

მეგობრები შეჩერდნენ, სალამზე უპასუხეს.

ნინომ ბიჭუნას მიუალერსა.

ბალღმა დაირცხვინა, სალოკი თითი წაიღო პირში. ბიჭი ისეთი პატარა იყო, შემხედავი იფიქრებდა, ფეხზე დგომას როგორ ახერხებსო.

— რას მოიბუზე, დედა ნინო ვერ იცანი? — შეეკითხა დედა.

ბალღმა თითი გამოიღო პირიდან, ჯერ დედას ახედა, მერე ნინოს და ძალიან გამართულად თქვა:

— დედა ნინო! ჩვენ ახალი მამა ვიშოვეთ. ახლა მე მარტო მძინავს, ზანდუკზე.

ყველას სიცილი წასკდა.

დედამ ხელში აიყვანა, ლოყები ჩაუკოცნა ბალღს.

— ვალოდია სად არის? — იკითხა მიტომ.

— საძირკვლის ჩაყრაზე გაიქცა, მაღე დაბრუნდება, ხომ არ შემოხვალთ?

— მართლა! — მოაგონდა ნინოს — დღეს ხე-ტყის კომბინატის საძირკვლის ჩაყრაა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— უნდა მივსულიყავით! — თქვა არჩილმა.

— ყველა იქ იქნება. — დასძინა მიტომ.

გამოეშვიდობნენ. თავის გზაზე გასწიეს.

აქედან, ტყის გადაღმა, ხელის გულზე იდო ნაპირის უბანი—ნავსადგური, საყუდარები და მდინარის უზარმაზარი მოლურჯო ბაფთა.

ნაპირის უბანს და ახალშენს შორის უღრანი ტყე შემორჩენილიყო ნაზეკარკუნძულივით. აღმშენებლობა აქაც მხნედ უტევდა მომავალი დიდი ქალაქის სამფლობელოებში შემოჭრილ წარსულს. ტაიგა იხევდა, გრიალითა და ზათქით წვებოდნენ გიგანტური სახომალდე ხეები. ᲬᲮᲐᲛᲑᲘ მორებად იკრებოდა, სატყეო ქარხნებში იგზავნებოდა. წვრიმალი ტოტ-ნაფოტი ᲪᲔᲪᲮᲚᲘ იწვოდა. ძირკვებს ლაღები ჰგლეჯდა მიწიდან. თუკი რამ ფესვი ჩარჩებოდა ნიადაგში, სანამ სიღრმიდან დღის სინათლეზე ამოაწევდა — კვდებოდა. თავნება, გაუვალი უღრანის ადგილზე ახალი შენობები სხდებოდნენ სოკოებივით.

დაპურებული ფრინველის ყივყივს აეტანა ტყე. რბილი სინათლე იდგა. ᲮᲐᲕᲘᲡᲐ და წიწვნარში ჩაბუდებული სურნელება წამოადგო ღილის მზემ, ნამის ანაორთქლი გაეზავა, მთორობელი ოხშივარი მოსდო წარაფს.

ბილიკი ძარღვივით იწვა ხავსზე. ᲮᲐᲕᲘᲡ მოლურჯო იყო, ბილიკი მოპირისფრო.

მხარმარჯვენივ, გორაკის ფერდოზე აშოლტილ ფიჭვნარს ირიბი მზე სცემდა. ნიავი სხივების ფარდებს აკიმციმებდა, ᲮᲐᲕᲘᲡ ეალერსებოდა.. საღღაც, ორგზის ნაზამთრალი კოკოლი მოსწყვიტა ნიავმა ტოტს.

კოკოლმა ᲮᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ გაიღო თქაფანი.

ᲮᲐᲕᲘᲡᲜᲐᲠᲘ საგანგებოდ დაწმენდილივით სუფთა და რბილი იყო, კოჭამდე რომ დაიფლობა ფეხი, ისეთი.

შავჩოხიანი, ტანზორბა ᲑᲣᲬᲐᲜᲯᲐᲚᲘ ადგა ჟოლოდან. ᲑᲬᲘᲚᲘ ატეხა, ᲩᲖᲘᲡᲤᲔᲠᲘ ატლასის თვალები დაუბრიალა მოხშირებულ ქინქლას და ქორფა არყების ფოთლიანს მისცა თავი.

სამთავენი იდგნენ, გორაკსა და ფერდოს აჰყურებდნენ.

თბომავალმა ყიჟინა დასცა მდორე დინებას. გაღმიდან ᲑᲐᲜᲘ გამოიღეს კლდეებმა და ისევ მიწყნარდა ყველაფერი.

— აქ, ის უნდა... გახსოვთ, საფრანგეთში, იტალიაში საეკლესიო მუსიკა? ფისჰარმონიებზე და ორღანოებზე რომ უკრავენ... — თქვა მიტომ ძალიან ხმადაბლა.

ნინომ აღტაცებული ღიმილი მიანათა მიტოს.

— იქიდან დავეშვებოდი სირბილით, თხემიდან... ოღონდ ვინმე უნდა მომდევდეს ძვირფასი, საყვარელი ადამიანი. უნდა მომდევდეს და ვერ მიჭერდეს, ხელიდან ვუსხლტებოდე!..

— მანდ სახლი დაიდგმება, მალე. — ᲩᲐᲛᲐᲠᲗᲗᲐ სიტყვა არჩილმა ნინოს.

— ცელულოზის კომბინატის მუშა ან მოსამსახურე იცხოვრებს ექვსი პატარა ქერა ᲑᲐᲭᲝᲠᲘᲐᲜᲘ. ისინი ირბენენ მანდ. იმათი ყივილ-ᲮᲘᲕᲘᲚᲘ აიკლებს იქაურობას. მუსიკაც ის იქნება და სიყვარულიც! წავიდეთ.

მიტომ გაიღიმა.

ნინო შეეცადა აინუნში არ ჩაეგდო არჩილის ნათქვამი, თავისი ოცნების განგრძობა ეწადა, მაგრამ ვეღარ შესძლო.

— საბლერს არ აჩვენოთ ეს ადგილი. კეთროვანთა ᲑᲐᲜᲐᲙᲘ დააარსებს. — თქვა ნინომ და მეგობრები ბილიკს მიჰყვნენ.

— დაბერებულ მეძავთა თავშესაფარს! — გაუსწორა მიტომ. — ერთხელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმომიდგინა ასეთი პროექტი... სახელებითა და მეტსახელებით ჩამომითვალა, თუ ვინმე სცნობია ჰონოლულუს, მანილის, ჰონგკონგის ბულვარებზე.

არჩილმა გაიცინა. უკან მიიხედა, კიდევ ერთხელ შეავლო თვალი ფერდოს.

— მაგისი რა მოგახსენო და ქინქლა რომ ნაკლები იყოს, პიონერთა ბანაკისთვის კარგი იქნებოდა ეს ადგილი, ძალიან კარგი.

ტყე გაიარეს.

ნაპირის უბანში გავიდნენ.

ბარე თორმეტი ბეტონსარეველა ღრიალებდა ერთად. ავტომანქანები ხოჭოებივით ირეოდა. წითელი ტრანსპარანტი ფრიალებდა. „2650 კუბური მეტრი ბეტონი თვის ბოლომდე!“ — ეწერა დიდი, მოუხეშავი ასოებით.

ბეტონსარეველებიდან ყვირილი და ხელების ქნევა ატეხეს.

ვინ რას გაიგონებდა ამ ღრიანცელში. მეგობრებმაც ბლომად იყვირეს და იქნიეს ხელები მებეტონეების სალამ-ქალამზე.

— რაღა ასე წამოვედით! — იუხერხულა არჩილმა.

— მეტისმეტი ნუ იცი. ჩვენ მაგათზე მეტს ვმუშაობთ! — მოუჭრა ნინომ.

— ახლა მაგათ იმუშაონ; მთელი ზამთარი დათვებივით ბუნაგებში ისხდნენ. ერთი კვირადღე აღარ გვერგება? — თქვა მიტომ.

— ეგეც მართალია! — დაუდასტურა არჩილმა.

— საბლერ! — დაიძახა ნინომ საბლერის ფანჯარასთან.

— აუ!

— ოჯახს მოეკიდე?

— ჯერ არა, მარტოხელი ვარ! — მოისმა ოთახიდან.

— რას აკეთებ, წეგხარ?

— არა. პერანგს ვრეცხავ.

— დაანებე თავი; მიდდივართ!

— მივდივართ... ბარგი შევკრა? ვალები რომ გაუსტუმრებელი მრჩებაზ.. სად მივდივართ?

— დათუნიებთან!

— დათუნიებთან,—გაიმეორა მოულოდნელობისაგან დაბნეულმა საბლერმა. — თეთრებთან?

— რუხებთან.

— მე თეთრებთან მინდა, ან პინგვინებთან.

— ეგ მერე. ჯერ რუხებთან.

— მოვდივარ! ფული გვაქვს?

— ფული გვაქვს? — ნინომ მიტოს და არჩილს გაუმეორა შეკითხვა.

— სად არიან დათუნიები? — გაისმა ფარდის იქით, მელოტმა თავმა გაიკაფა მზის გულზე და ფანჯარა ჩაიკეტა.

— საბლერ, წარმოიდგინე დღის წესრიგის პროექტი. — მიმართა ნინომ, როცა ოთხივე მეგობარმა მოიყარა თავი.

საბლერმა ნერწყვი გადაყლაპა, სანამ ლაპარაკს შეუდგებოდა.

— ჩვენ მივდივართ პირდაპირ სამხეცეში. იქიდან სასადილოში...

— არავითარი სამხეცე!

— „ბავშვთა სამყარო“ ათზე ადრე არ გაიღება... მაშინ მივდივართ პირდაპირ სასადილოში, შემდეგ დათუნიებთან „ბავშვთა სამყაროში“.

— არ გვინდა „ბავშვთა სამყარო“!

საბლერმა ეჭვით გადმოხედა ნინოს.

— აჰაა! გასაგებია. მივდივართ პირდაპირ სასადილოში, შემდეგ სამხე-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ცეში... როდის ჩამოვიდა სამხეცე... სად დაბინავდა?

— დათუნიები პილნიაკს ჰყავს. გასაგებია? — მოუჭრა ნინომ.

— ფილიპოვში!

— ასოცდაათი კილომეტრი!

საბლერმა პირი დააღო.

მიტოს და არჩილს ისეთი გამომეტყველება ჰქონდათ, თითქოს საბლერს ეუბნებოდნენ, ბარემ არც ჩვენ გვინდოდა, მაგრამ ამ ქალთან ვინ რას გახდება და ან შენ რას გააწყობო.

საბლერს აზრადაც არ მოსვლია წინააღმდეგობის გაწევა.

— რით მივდივართ? — იკითხა მან.

— ავტობუსით.

— მიტოს ლიმუზინი?

— საქათმეშია.

— გასაგებია! — განაგრძო საბლერმა, — მივდივართ ავტოსადგურში, ანუ იქ, საიდანაც ავტობუსი გადის. ვსაუზმობთ. მივდივართ ფილიპოვში პილნიაკთან. ფილიპოვში ვყიდულობთ... ჩამოდით, ვის რა გაქვთ! — კაცებმა ფულები ამოიღეს. საბლერმა თავი მოუყარა, თვლას შეუდგა, თან „დღის წესრიგის პროექტი“ განაგრძო — ფილიპოვში ვყიდულობთ სასმელ-საჭმელს...

— საჭმელ-სასმელს! — გაუსწორა არჩილმა.

— აგრე იყოს... ვნახულობთ ბელებს, მივდივართ...

— მოგვყავს დათუნია და იმავე ავტობუსით ვბრუნდებით... ამხანაგებო! არის წინადადება, მიღებულ იქნას საბლერის მიერ შემოტანილი დღის წესრიგი, შესწორებათა გათვალისწინებით. ვინ არის წინააღმდეგი?

— მიღებულ იქნას!

— ერთხმად!

— მომეცი ოთხი ბილეთის ფული. სანამ თქვენ ფაშვიანის სასაუზმეში მოატანინებთ რამეს, მე ბილეთებს შევიძენ.

საბლერმა ფული გადაუთვალა ნინოს.

— ვისია ეს ახირებული იდეა?.. რატომ, მაინცდამაინც, ფილიპოვოდან დათუნია და არა იემენიდან კოზაკი, ან ნილოსიდან პატარა ნიანგი?.. საერთოდ, რა შუაში ვარ მე? — წარმოსთქვა საბლერმა ზულიანად — მე პერანგი მაქვს გასარეცხი და ჩემი ბრიგადა დღეს კარჭაპს ტვირთავს!..

— საბლერ, გაათავე, ჭირიმე, მოთქმა! — ესროლა ნინომ და ბილეთების საყიდლად გასწია.

მეგობრები მშენებლობებს გასცდნენ, ახალდაბინადრებული შენობის ფანჯრის მინაზე შიგნიდან მოტყეპებული ბარათი წაიკითხეს: „ვანია, მოდი „ზოლოტოპროდსნაბის“ კლუბში, მაშა“. ტალახიანი მოედანი გადაკვეთეს და სასაუზმეში შევიდნენ იმ ჩარდახის პირდაპირ, რომელიც ავტოსადგურის მოვალეობას ასრულებდა.

თითქმის არავინ იყო; ერთ მაგიდას ახალგაზრდა ქალ-ვაჟი უჯდა, ფეხთით ჩემოდნები ელაგათ, შეექცეოდნენ, ხმადაბლა საუბრობდნენ.

მეორე მაგიდასთან ოთხ კაცს მოეყარა თავი.

— რაიკავშირის ხელმძღვანელობას სალამი! — მიესალმა მიტო შორიდან და მეგობრებს გადაულაპარაკა — ხედავთ, ლუდი ჰქონია სტომაქიანს.

— ლმონადიც! — დასძინა არჩილმა.

დასხდნენ. ოფიციანტმა მოირბინა.

— საბლერ, შეუკვეთე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოთხი ერბოკვერცხი ძეხვით. ყველი. სამი ას-ასი არაყი. ოთხი ბოთლი ლუდი.

— ლუდი არ არის.

— ის რა, გოგირდის სიმჟავეა? — მიტომ რაიკავშირელების მაგიდაზე ანიშნა.

— აღარ არის, გაგვითავდა!

საბლერმა თითით იხმო ოფიციანტი, რაღაც მაქვს ყურში სათქმელიო და ჩაუჩურჩულა:

— ოთხი ბოთლი, პატივისცემა ჩემზე იყოს.

— არ არის. გაგვითავდა!

— სტყუი, ძმობილო!.. გამგე არის?.. დაუძახე სტომაქიანს!

ოფიციანტმა ირიბად გაიღიმა და წავიდა.

ცოტახანში გამგეც გამოჩნდა. დინჯად მოდიოდა. მოკლე, მძიმე ნაბიჯი ჰქონდა. ფეხის ყოველ გადადგმაზე ერხეოდა მსუქანი ლოყები.

— რაშია საქმე? — იკითხა მან ზოზინით.

— ლუდი გვინდა.

ფაშვიანმა დაუყოვნა.

— გათავდა... ლუდი.

— მოგვიტანეთ ოთხი ბოთლი ლუდი! — თქვა არჩილმა დაჟინებით. — ჩვენ გვინდა ოთხი ბოთლი ლუდი! — გაიმეორა მან.

ფაშვიანმა ისევ იყუჩა.

— ლუდი ყველას უნდა! — თითქო ლაპარაკი ეზარებაო, ისე თქვა.

— ჩვენ გთხოვთ მხოლოდ თითო ბოთლს, — განმარტა საბლერმა რბილად, თითქმის მუდარით.

— ყველა თითოს... არ არის!

— იმათთვის არის?

— იმათთვის?... სხვებისთვისაც არის, — ფაშვიანმა ოდნავ გაიღიმა.

— სხვები არა ვართ?

— თქვენ... სხვანაირი ის... სხვები ხართ.

არჩილს და მიტოს ენა ჩაუვარდათ.

— დასწყეველოს ღმერთმა! როდემდის იქნება ასე?!.. — ჩაილაპარაკა საბლერმა.

— სანამ რკინიგზა... მშენებლობა არ დამთავრდება! — თქვა გამგემ.

— ჩვენ ვიჩივლებთ, ასე არ დავტოვებთ!

— განა არა ჩივიან? ჩივიან. ვისთან იჩივლებთ, ამათთან? — ფაშვიანმა ლუდიანი რაიკავშირელებისკენ გადაიქნია თავი.

არჩილი და მიტო საბოლოოდ დაიბნენ.

— მეგობრებო, მე უარს ვამბობ ლუდზე! — განაცხადა საბლერმა.

— უმრავლესობა... უარს ამბობს... ეგრე ჯობია. — დაიზოზინა ფაშვიანმა. რაიკავშირელები სმა-ჭამას მორჩნენ, წამოიშალნენ და გავიდნენ.

— მოგვიტანეთ საჩიერის წიგნი! ტყავს გაგაძრობენ! — თქვა არჩილმა და კილოზე შეიტყო, თვითონაც არ სჯეროდა თავისი ნათქვამისა.

— ვინ?... ისინი? — გამგემ რაიკავშირელებს გააყოლა თვალი.

ნინო მოვიდა. მაგიდას მიუჯდა.

ნასიამოვნები იერი ჰქონდა, ღიმილი უთამაშებდა სახეზე.

— მომეცა! პირველი სავარძლები, ოთხი ადგილი. ჯიბის გოშიასავით შემომეცინებდა. სასაცილო კაცია, სასიამოვნო.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

გამგემ დრო იხელთა, რაიკავშირელებს გამოუდგა.

— აქ რაღაც ამბავი იყო, არა? — იკითხა ნინომ.

არჩილმა უამბო.

— გამოდის, რომ ჩვენ ლუდი არ გვეკუთვნის! — დამარცვლა ნინომ და სასაუზმე მოათვალიერა.

მოიღუშა, გაჯავრდა, თვალებში ავმა ნაპერწკლებმა დაუარა, მაგრამ ანაზდად გაუბრწყინდა სახე, რაღაც აზრს წაეწყდა, მხიარულად შეიშმუშნა.

— ახლავე გამოვალ! — თქვა მან და ადგა.

მეგობრებმა თვალი გააყოლეს.

ოფიციანტს მაგიდისაკენ წამოღებული ერბოკვერცხიანი ტაფა ჰაერში გაუშეშდა; გადამეტებულმა ცნობისმოყვარეობამ გაიფაციცა.

ნინო დახლს გადაახტა და მიიმალა.

— ჩვენ გვექნება, ლუდი, ამხანაგებო! მუქი ყვითელი ფერის, ქაფიანი, გემრიელი, ცივი... ბარაქალა, ნინო! — განაცხადა მიტომ და ხარხარს მოჰყვა.

ოფიციანტმა ტაფა დაადგა, ფაშვიანისკენ მოუსვა დამთხვეულივით.

— კარგი და... ფაშვიანი რაღას იზამს? — ჩაილაპარაკა შეფიქრიანებულმა არჩილმა და გაირინდა.

საბლერი უკიდურესად განცვიფრდა.

— ლუდი გვექნებაო?.. — იკითხა მან და თვალები აეაჭუნა.

ახალგაზრდა ქალ-ვაჟმა ჭიმას თავი მიანებეს, დახლს მიაჩერდნენ.

ნინომ ოთხი ბოთლი გამოიტანა სათავსოდან. დახლზე დაალაგა. ისკუპა, გადმოხტა და იქვე გაჩერდა.

რაღაცას ელოდა, სასაუზმეში შემოსასვლელ კარს უთვალთვალებდა.

ფაშვიანი შემოვარდა, ოფიციანტი შემოჰყვა.

დახლისკენ გამოსწიეს ორთავემ.

— ომი... მესამე წელიწადია... გათავდა! — უთხრა ფაშვიანმა ნინოს და ლუდის ბოთლებს დასწვდა.

— შენთვის... ომი არ ყოფილა, ზურგის ვირთხავ! მიიტანე ეგ ბოთლები მაგიდაზე. მიდი, დროზე! — ნინომ ღიპზე მიაჭირა ხელი. — წადი!

ფაშვიანი არ დაიბნა. გახუმრება სცადა ამ ქალის ერთობ გადამჭრელი შემოტევის საპასუხოდ:

— ომი?.. თქვენ ოთხი წელი იომეთ, მეტი ხომ არა?.. მე, ოცდასამი წელიწადია დახლში... სულ ომში არა ვარ?!

— შენისთანების მოსაყუჟი ომი ჯერ არ დაწყებულა... ნამდვილი ომი. ჩქარა, წაიღე! — შეუტია ნინომ და ისე რიგიანად ჰკრა ხელი, რომ ფაშვიანმა უნებლიეთ გადასდგა რამდენიმე ნაბიჯი.

ნინომ თვალები დაუბრიალა, ისევ მისკენ გამოიწია. ფაშვიანი შეყოყმანდა, დაჰყვა, მაგიდისაკენ გამოემართა.

— დაალაგე, ბაცაცავ! — დაუსისინა ნინომ.

ფაშვიანმა ბოთლები დადგა და ძლივს ჩაილუღლუღა:

— ეს... ძარცვაა!..

— ნამდვილი! — დაუდასტურა არჩილმა — მალე მოგაშლევინებთ, მოვიცლით თქვენთვისაც.

— ამასეე გავახსნევინოთ, ბარემ. გახსენი, ფუნჩრულავ! — მიმართა მიტომ ალერსიანად — ჭიქები! — რიხიანად, გასძახა დახლთან განაბულ პირღია ოფიციანტს.

ოფიციანტზე უცებ იმოქმედა მიტოს დაძახებამ. ჭიქები მოარბენინა, ბოთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების გასახსნელიც ელვის სისწრაფით მიართვა ფაშვიანს.

ფაშვიანმა სარქველები წაყარეგინა ბოთლებს.

საბლერი ოფიციანტს გაუსწორდა, ხურდა მიითვალა.

ნინომ ჯერ ღიაზე დაუთათუნა ხელი ფაშვიანს, შემდეგ დონდღოსა ლოყებზე უჩქმიტა მსუბუქად და აღელვებით უთხრა:

— როცა შენ აქ ამაებს იზრდიდი... გვეკუთვნის, მიგვაქვს!..

— თითო ბოთლი! — შეავსო არჩილმა ნინოს ნათქვამი.

— მშენებლობა ჭიანურდება... რკინიგზისა. ეს წვრიმალები... — ჩაილაპარაკა საბლერმა — აქედან იწყება...

ფაშვიანი უჩუმრად გაშორდა მაგიდას.

— თავნებობაა! — მოაწია კუთხის მაგიდიდან ქალიშვილის ნათქვამმა.

მეგობრები გაინაბნენ, თვალი იქით გააპარეს.

— ძალიანაც კარგი! რატომ არ აძლევს? ზოგს ეკუთვნის, ზოგს არა? — მიუგო ვაჟმა ცხარედ.

— ჩვენც გვეკუთვნის! ძალა ვიხმაროთ? — გამოედავა ქალიშვილი — ეს ანტისაზოგადოებრივი საქციელია!

— გამგის საქციელი?.. ანტისაზოგადოებრივია!

— მაგათიც... — ქალიშვილს სიტყვა პირზე შეაშრა, დაიბნა, თავი ჩახარა. ვაჟს გაუკვირდა. მიიხედ-მოიხედა, შენიშნა, რომ მათი საუბარი თავიდან ბოლომდე გაიგონეს და გაწბილებულმა თავი მოაბრუნა:

მეგობრებში სიჩუმემ დაიბუდა, განწყობილება დაეცა, გუნება წახდა.

კარგახანს აღარავის დაუძრავს კრინტი.

ბოლოს მიტომ დაარღვია სიჩუმე:

— ლურსმანი მაქვს ჩექმაში, ქუსლი გამიჩიჩქნა. ბარე სამჯერ ჩავქოლე. ისევ ამოიხედა, სიარულს მიშლის!

— გაზი და მაგის ჯანი. ძირიანად ამოითხრება! — გამოეხმაურა არჩილი ისეთ კილოზე, თითქო ლურსმანი ცოცხალი არსება ყოფილიყოს.

— რამდენი ხანი გატარა მაგ ჩექმამ! ვერა ხედავ, აღარ ვარგა?! გაიძრე, ეცდაყარე, ახლები იყიდე! — ურჩია ნინომ.

— სახარაზოში მიიტანე. გაგიკეთებენ, აღარ ამოძერება! — ჩაილაპარაკა საბლერმა.

მიტომ თავისი ბოთლი დაცალა. საბლერმა ნახევარი დალია. არჩილმა ჭიქაში კი ჩამოასხა, მაგრამ პირი არ დაუკარებია, ნინოს ხელი არ უხლია.

არჩილმა კედლის საათს ახედა.

— ავტობუსის გასვლამდე ერთი საათია. ბარემ ვნახოთ, ნინო, ის ქვაბული. აქვეა.

— კარგი, ვნახოთ, ახლოა! — უპასუხა ნინომ უგუნებოდ.

— მეც მივირბენ, ბრიგადას დავხედავ რა ქნეს, ტვირთავენ, არა ტვირთავენ?! — თქვა საბლერმა.

მიტომ ნინოს ბოთლიდან ლუდი დაისხა, დალია და თქვა:

— მე აქ ვიტრიალებ, ავტოსადგურთან.

მეგობრები დაიქსაქსნენ.

მიტო კარგახანს იდგა სასაუზმის ფრთაზე დონჯშემოყრილი.

მერე პაპიროსი გააბოლა და ქუჩას გაჰყვა.

რამდენიც დახვდა მაღაზია, იმდენი შევიდა და მაღვიძარები იკითხა. არცერთში არ აღმოჩნდა. ყველგან ერთი და იგივე პასუხი მიიღო:

— მომავალ კვირაში შეიძლება იყოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრო ბლომად ჰქონდა, თაროებს ათვალიერებდა, ფასებს კითხულობდა, ნაცნობ-მეგობრებს ემასლაათებოდა...

თერთმეტის ნახევარზე ავტოსადგურისკენ გამოსწია.

მოედანი მოუკიბწყლავი იყო, ლაფიანი. მოასფალტებული გზატკეცილი ტლაპოს სიგრძივ ჰყოფდა. გზაზედაც ბლომად იყო მანქანების ამოტანილი და რიგიანად თქვეფილი ტალახი.

სახელდახელოდ მოწყობილი ჩარდახი რუბეროიდისა იყო. ჩარდახქვეშ ხალხი იჯდა გაფრანდავი ფიცრებით შეკეთილ სკამებზე. ავტოსადგურიც ეს იყო და ამ უბნელების საკვირაო, თუ საღამოს სალაყბო-სამასლაათო ადგილიც. პროექტის მიხედვით აქ ღღე-ღღეზე უნდა დაეწყოთ რკინიგზის სადგურის მშენებლობა. ამის ეშხით უფრო იყრიდა თავს ხალხი და მთავარი სალაპარაკოც რკინიგზა და მისი შემოყვანა იყო.

აქვე, უგემური, ცისფრად შეღებილი ფანრის ხუხულა იდგა. ზედ დიდი, თეთრი ასოებით ეწერა: „ტირი“, და გარეთ გამოტანილი რეპროდუქტორი უღმერთოდ გაჰკიოდა ძველისძველ ფოქსტროტებს. შიგა და შიგ ომისდროინდელ სიმღერებსაც გამოურევდა ხოლმე.

მტო ტირის ზღურბლზე შედგა, რეპროდუქტორის ქვეშ. ხალხს დაუწყო თვალიერება, მეგობრებს ეძებდა.

საბლერს „ბავშვთა სამყაროს“ კარებში წაატანა თვალი.

არჩილი მოედნის მოპირდაპირე ბოლოში დაინახა, ტლაპოში ჩაფლულ სატვირთო მანქანასთან.

აქ რამდენიმე კაცი იყო. მანქანის ამოთრევას ცდილობდნენ; აწევბოდნენ, ყვიროდნენ, ქშინავდნენ, ტალახში იგანგლებოდნენ — არაფერი გამოუდიოდათ.

არჩილი თვითონ მიუჯდა საჭეს.

ხან წინ წასვლას ეცადა, ხან უკუსვლით ამოყვანას — ვერაფერს გახდა. ძირს ჩამოვიდა, დონეჯშემოყრილი უცქირა გულჯავრიანად მობურტყუნე მანქანას და საითღაც წავიდა.

— ბუქსირის მეტი არაფერი უშველის! — გამოსძახა მან მძღოლს — გარაჟში მივირბენ, ვინმე წამომყვება.

მიტომ გაიღიმა, თავი გადაიქნია. მერე ჩარდახზე გადააცურა თვალი, ნინო იპოვნა და იმას მიაჩერდა.

სალათისფერ პალტოში გამოწყობილი ქალი გატაცებით ლაპარაკობდა. ნინო უსმენდა და მალულად ათვალიერებდა თანამოსაუბრეს, მის უმოწყალოდ ნაწიწკნ, მოხატულ წარბებსა და შეთხელებულ წამწამებს, ფერუმარულით დამუშავებულ ღაწვებს, ერთ ციცქნა, სადღაც მიკარგულ მკერდს და მძიეების თოქმა ასხმას მილეულ ყელზე.

— არაფერი! საკმარისი იყო ამხანაგებისთვის მიემართა ჩემს ქმარს... მოსკოვშივე დავრჩებოდით. — სხაპასხუპით ამბობდა სალათისფერპალტოიანი ქალი. — კაცებისას ვერაფერს გაიგებს ადამიანი... მე კატეგორიულად წინააღმდეგი ვიყავი. მერე... რაც არ უნდა იყოს, აქაური ხელფასები... წანამატები: სიშორისა, ჩრდილოეთისა, ნამსახურობისა, ერთი სიტყვით წამოვედით.

... მტო ტირში შევიდა, თოფებს დააკერდა. მერე რაღაც ფიქრმა გაიტაცა. გარინდებული იდგა.

ტირში ხუთიოდ ახალგაზრდა კაცი შემოვიდა.

მიტომ თვალი შეავლო და კვლავ ფიქრებს წაჰყვა.

მეთოფეს იმედი გადაუწყდა, ეს კაცი სასროლად არ არის მოსულიო. რადიოლას მიუბრუნდა. მკვეთრად აუმაღლა ხმას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიტო შეკრთა, გამოერკვა. უნებლიეთ რადიოლას მიხედა, მერე მეთოფეს და კედელთან გამოფენილ ჯილდოებზე წაიღო თვალი.

რატომღაც ზეზე დაყენებული ვეება მათლაფა შემოეფეთა. წარწერა ჰქონდა ველზე: „ხარკოვის მარჯვენა ნაპირის კვებეაჭრობა“.

მიტო დაიმანჭა.

მათლაფის გვერდით, ჭრელჭრულად მომზირალ საგნებს შორის, პატარა, ლამაზი მაღვიძარა იდო. ამაყად იყურებოდა, თავის თანამოძმეებზე წარმოსადეგი იყო და ახალთახალი, კრიალა.

მიტომ ყურები სკქვიტა, ეშმაკურმა ღიმილმა გაუელვა თვალებში.

— მოდი აქ, ძმობილო!

მეთოფემ ორიოდ ნაბიჯი გადმოსდგა.

— არღანს დაუწიე! მოიტა ვაზნები. მაღვიძარას რამდენი ქულა უნდა?

ახალგაზრდებმა ერთმანეთს გადახედეს; ზოგმა თვალი ჩაიპაჭუნა, ზოგმა გაიღიმა.

— ორმოცდაცხრა ქულა.

— ოჰო!

— ორმოცდაცხრა? — გაუკვირდა რომელიღაც ახალგაზრდას.

— მაგრამ როგორი მაღვიძარაა! მეთოფემ ვაზნები წამოყარა — ამოირჩიეთ!..

მიტომ გულგრილი შეხედვით უპასუხა. მეთოფე მიხედა, რომ ვერ აამა მუშტარს, უმალ რადიოლას მიუბრუნდა, ხმას დაუწია, ამით მაინც ვასიამოვნოო.

— ინებეთ!

... საბლერი ნინოს მიუახლოვდა.

— გაიცანით... საბლერ, გაიცანით! — თქვა ნინომ.

— ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს. დილა მშვიდობისათ, როგორ გიკითხოთ, ხომ კარგად? — საბლერმა საპასუხო მოკითხვები მოისმინა, ჯიბიდან პატარა დათუნია ამოიღო და ნინოს გაუწოდა.

სანამ ნამდვილი გეყოლება, ნინო!

— საბლერ, შენ მშვენიერი ბიჭუნა ხარ! — წარმოსთქვა ნინომ გულწრფელი, ბავშვური სიხარულით და დათუნიას მიეალერსა.

— ვიყავი, ვიყავი ოდესღაც, ჩემო კარგო. ახლა მე მშვენიერი ახალგაზრდა კაცი ვარ! — საბლერმა მოტკლეპილ თავზე გადაისვა ხელი — ორმოციოდე წლისა... თქვენისთანა ეშხიანმა ქმნილებამ... — მიმართა მან სალათისფერ პალტოს — ასეთი წარმტაცი სამოსელი... ეს უკვე მეტისმეტია! ამტანობის გამოცდა... შეგვიბრალეთ, მამაკაცები!.. — ეს ისე ალალად, ისე მგრძნობიარედ იყო ნათქვამი, რომ ნინომ ყურებს არ დაუჯერა.

— თქვენ ხუმრობთ! — წაიკეკლუცა სალათისფერმა ქალმა — მაგრამ ეს პალტო... ამ პალტომ...

— ამ პალტოში თქვენ განუმეორებელი ხართ! — წაეშველა საბლერი და ქათინაურების მთელი სერია გაუფინა ფეხქვეშ უზომოდ ნასიამოვნებ ქალს.

ნინო უსმენდა, ერთობოდა, მაგრამ ჩუმად ყოფნა მობეზრდა. რამდენიმეჯერ სცადა ლაპარაკში ჩარევა. საბლერი შეუბრალებელი აღმოჩნდა, ყური არ ათხოვა, ვითომ ვერც გაიგონა ნინოს ხმა. რამდენიმეჯერ განმეორდა ასე. ნინო აღელდა, აცმუტდა. უხერხულად, უალაგო ალაგას იგრძნო თავი. საბლერი თითქოს ამას ელოდა, სალათისფერ ქალთან საუბარს დაუმოკლა, წასვლა დაუპირა. ნინო მოულოდნელად დამშვიდდა. მიუხვდა, მიხვედრას შესცინა და სალათის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერი ქალის ხმამაღალ ლაპარაკში ჩუმად, თითქმის ტუჩების შეურხევლად ჩაილაპარაკა:

— მიგიხვდი, მელავ! გაზღვევინებ.

— მითხარი რამე? — ესროლა საბლერმა სხვათაშორის და ისევ სალათისფერ პალტოს მიანათა თავაზიანი ღიმილი.

— თმა გაკლია, სამაგიეროდ ეშმაკობა გაქვს ზომაზე მეტი!

საბლერმა წაიყრუა, ორთავეს ბოდიში მოუხადა და არჩილისკენ გასწია.

— აგერ, თავისუფალი ადგილები; დავსხდეთ... მე ისე ვიღლები, ისე ვიღლები!.. — ქალები დასხდნენ, სალათისფერმა ქალმა თავის ნათქვამს უშუალოდ ბრაზილიური ფეხსაცმელების ამბავი წაუბა.

— ...მოიტა აქ სანიშნე, ძმობილო! — უთხრა მიტომ მეთოფეს.

რვიანისა და ცხრიანის არეში ისხდა ვაზნები, ათიანის ზემოთ, პერპენდიკულარზე, მაგრამ ისე კი, რომ ხუთივეს ერთად სამშაურიანის ფართი ეკავა.

— კარგად ისვრის. ხედავთ, როგორ ჩასხა?.. თოფის ბრალია, — თქვა ერთერთმა დამსწრემ.

— ზეკით მიაქვს! — დაუდასტურა მიტომ — ცოტა ქვევით უნდა დაეჭერა.

ღიმილმა გადაუბრწყინა, ეამა ქათინაური. ვაზნები დააძრო, ფარი მეთოფეს გაატანა და თოფი აიღო.

...არჩილს მანქანა მოეყვანა. მძღოლები ბაგირს აბამდნენ მანქანებზე. ვიღაცა უდგა გვერდში, საუბრობდნენ.

— ის კაცი, კი არ მსახურობს, სამსახურს ამთავრებს. საცაა პენსიაზე გავა. მისთვის საჭიროა საბუთებში ეწეროს „პირუთვნელი სამსახური"! ამიტომ ყოველგვარ სარისკო წამოწყებებს დიდი სიფრთხილით ეკიდება... — ამბობდა არჩილის თანამოსაუბრე.

— მოიცა, მოიცა!.. — ჩამოართვა სიტყვა არჩილმა — ხომ არსებობს ამ საკითხზე წერილობითი მითითება ზემოდან?

— არსებობს!

— უალრესად სასარგებლო საქმეა თუ არა?

— უდავოდ!

— ისიც ხომ საჭიროა, რომ ხალხმა დამატებითი ხელფასი მიიღოს?

— საჭიროა.

— მაშინ ჩვენი მოვალეობაა არ მივცეთ საშუალება ამ კაცს „ქაღალდს ქაღალდი დაადოს" და დამარხოს საქმე. ამ ზამთარსაც ხომ ყალეზე შედგა კარჭაპების წინასწარი დატვირთვის საკითხში? ხომ მაინც ჩვენი გავიტანეთ, ხომ ჩვენს მხარეზე აღმოჩნდა სიმართლე!

თანამოსაუბრემ გადაიხარხარა, მხარზე ხელი დაჰკრა არჩილს.

— არა, ღმერთმანი, ის საქმე კარგად იყო მოკვარაბუნებული. ინიციატივა ქვემოდან!!!

— ისევ ასეთი რამ არის საჭირო, — უპასუხა არჩილმა — გამოუვალ მდგომარეობაში უნდა ჩაიყენოს კაცმა. მე მოვიგონებ შესაფერის რაღაცას, ოღონდ მხარი ნუდა დამიჭირო შენებურად, ჭკუით.

— ვისი მანქანაა? — საბლერმა ტლაპოში ჩაფლულ მანქანაზე მიანიშნა არჩილს.

— არ ვიცი, — მიუგო არჩილმა.

... სალათისფერი ქალი მასლაათს განაგრძობდა. ნინოს ისე ეჭირა თავი, ვითომ დიდი ინტერესით უსმენდა. ნამდვილად კი მიტოს გასცქეროდა, მიტოს ხელებს, მიტოზე ფიქრობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

... მეთოფემ სანიშნე ჩამოიღო.

დახედა, შეფიქრიანდა და უქეიფოდ წამოვიდა დგარისაკენ.

ვაზნები ისევ ჯგუფად ისხდა, ოღონდ ამჯერად ქვეკით, შვიდიან-რვიანის არეში.

— გადავამეტე! — თქვა მიტომ.

ახალგაზრდებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მეორედ, ასე მჭიდროდ დასმულმა ვაზნებმა.

— ომში იყავი? — ჰკითხა მიტოს ერთერთმა.

მიტომ თავი დაუქიცინა.

— მეთაური ხარ?

— კაპიტანი! — მიუგო მიტომ და ახალგაზრდები შეთვალიერა.

გარუჯული სახეები ჰქონდათ. შავი სატინის ხალათები ეცვათ და უზომოდ განიერი ნაკეცებიანი შარვლები, ფეჩზე — შარვლებივით დაკეცილი ჩექმები, ტოტები ჩექმის ყელებში ჩაეტანებინათ. ქამრებში შავი სატინისავე ვეება ხელსახოცები გაერჭოთ. მაგრები იყვნენ, ტახზორბები, მხარბეჭიანები.

— მტვირთავები ხართ? საბლერის ხალხი ხომ არა ხართ? — ჰკითხა მიტომ.

— ახმადულაევისა! — უპასუხეს მტვირთავებმა ერთხმად, დინჯად, სიამაყით.

— მაგარი ბიჭია... კაი ბიჭია ახმადულაევი, ჩემი ძმაკაცია! — თქვა მიტომ.

საბლერი მოვიდა.

— გამარჯობათ, ბიჭებო! — მიესალმა იგი მტვირთავებს, მხრებზე ხელები შემოხვია და მიტოს უთხრა: — ვერთობით?

— ვშრომობთ. ვშოულობთ ქონებას ოჯახისთვის! — მიუგო მიტომ და დაუმიზნა.

გავარდა.

ვაზნა შუაგულ ათიანში ჩაჯდა.

— დავიჭირე! ახლა დამიხედე მაღვიძარას! — თქვა მიტომ, დაუმიზნა და ესროლა.

მეორე ვაზნა პირველს მიუჯდა.

მანქანის ხმა მოისმა.

საბლერმა გაიხედა.

ავტობუსი ჩამოდგა.

არჩილმა და მისმა თანამოსაუბრემ ბოლთას თავი დაანებეს, ავტობუსს დაუწყეს თვალიერება.

ავტობუსი ახალთ-ახალი იყო, დიდი, კომფორტაბელური. ვრცელი ფანჯრები ჰქონდა, მოხერხებული სავარძლები და ცისფრად მოკრიალე ლითონის, რკვიდრი ძარა.

— ლამაზია, — თქვა თანამოსაუბრემ.

— მთლიანლითონრკვი ძარაა, — დასძინა არჩილმა, — სახლს არ იშენებ?

— რად უნდა მშენებელს საკუთარი სახლი? — ორ-სამ წელიწადზე მეტს ერთ ადგილზე მაინც ვერ ვჩერდებით. შენ ხომ არ აპირებ?

არჩილმა გაიცინა.

— მეც მშენებელი ვარ!

— მნგრეველი!

— ეგეც მშენებლობაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ...მოიტა, ძმობილო, მაღვიძარა! — უთხრა მიტომ მეთოფეს და ხელებიც გადაიფშვნიტა.

ნინომ ყურები სცქვიტა.

მეთოფე სანიშნეს მოსტანად წავიდა. ახალგაზრდებმა რკალი შეკრეს მიტოს და საბლერის ირგვლივ.

— დავთვალოთ! — თქვა მეთოფემ და სანიშნე დგარზე დადო.

— ორმოცდაცხრა. მოიტა მაღვიძარა!

— ორმოცდაცხრაა?.. ორმოცდარვაა, დათვალეთ.

საბლერმა და მიტომ კვლავ გადათვალეს ქულები.

— რას ბრძანებთ, სუფთა ორმოცდაცხრაა... ორმოცდაათად შეიძლება ჩაითვალოს! — გაუკვირდა საბლერს.

— მოიტა მაღვიძარა! — გაიმეორა მიტომ.

— მივეცი! — დაიძახა ვიღაცამ ზურგსუკან.

— ორმოცდარვა! — გახაცხადა მეთოფემ და ვაზნები დააძრო სანიშნეს,—

— ორმოცდარვა. სუნამო „წითელი მოსკოვი“. ისვეთ.

მან მარდად გადმოიღო სუნამო და მიტოს მიაჩეჩა.

ნინომ გამოწვდილი ჯილდო დაინახა, ოდნავ გაიღიმა.

— მომილოცნია! თქვენ საუცხოო მსროლელი ხართ, — მეთოფემ ხელი ჩამოსართმევად გაუწოდა მიტოს.

დამსწრეები გაკვირვა მეთოფის კადნიერებამ.

მიტომ უნებლიეთ ჩამოართვა ხელი, ჩვეულებამ სძლია, მაგრამ უმალვე შეეკამათა:

— შენ, ძმობილო! წაათრიე ეს სიმყრალე და მომეცი რაც მეკუთვნის!

— სუნამო გეკუთვნით, — მიუგო მეთოფემ მტკიცედ.

— ამხანაგო! — უთხრა მეთოფეს ერთ-ერთმა მტვირთავმა — ჩვენც დავინახეთ, ორმოცდაცხრა იყო, მაღვიძარა ეკუთვნის!

— ახლაც შეიძლება დათვლა. კვალი მანდ არ არის? — დასძინა მეორემ.

— ყველამ თავისთავს მოუაროს! — მიუგო ცივად მეთოფემ — ორმოცდარვა. სუნამო „წითელი მოსკოვი!“

— შეხედე ამ მაიმუნს!

— თავისთავს მოუაროსო!?.

— თაღლითია, ვიღაც არის!

ერთი აურზაური ატყდა.

მეთოფე შედრეკელი გამოდგა, თავისას გაიძახოდა.

შუა დავიდარაბაში ერთი მტვირთავთაგანი შეუმჩნევლად გაცურდა ტირიდან.

ალიაქოთმა იმ დონეს მიაღწია, როცა ყოველი დამსწრე რაღაცას გაიძახის და არცერთს, არავისი არაფერი არ ესმის.

სწორედ ამ დროს დაიჭექა ფანერის კედელმა.

ტირში უმალ სიჩუმე ჩამოვარდა.

ავტოსადგურთან მყოფმა ხალხმა აქეთ გამოიხედა.

მეორედ, მესამედ, მეოთხედ მოისმა გამაყრუებელი ჩახანი.

მეთოფემ დგარის კრიჭას ასწია. ზღურბლამდე კი სირბილით მივიდა, მაგრამ მერე შეჩერდა და გარეთ მხოლოდ თავი გაჰყო.

შეუმჩნევლად გაცურებულმა მტვირთავმა კიდევ მიაცეცხლა რიყის ქვა ტირის კედელს. მეთოფის გამოყოფილ თავს არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია მასზე. იგი დაჟინებით, ბეჯითად განაგრძობდა ქვის სროლას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მილიციას შეავატყობინებ! — დაიძახა მეთოფემ.

მტვირთავი სიცილით ჩაბერდა. როგორც იყო მოითქვა სული, ერთი მოზრდილი ქვა კიდევ სტყორცნა ტირს, დაიძახა:

— იმ მილიციის ჭირიმე, შენ მხარეს რომ დაიჭერს, ტურავ! — ხელი დაუქნია მეთოფეს, შშვიდობით განახეო, და თავის გზაზე გასწია.

მეთოფე ბუზღუნით დაუბრუნდა დახლს.

— მაღვიძარა! — მიმართა ისევ მიტომ.

— მოეშვი, მიტო, სუნამო ჯობია. ნინოს უფეშქაშებ! — ურჩია საბლერმა.

მიტო შეკრთა, ნინოსკენ გაიხედა. სუნამოს ტანი მიაფარა, რომ ნინოს არ დაენახა.

ნინომ დროზე მოარიდა თვალი და გაწითლდა.

— თქვენ ცუდად ხართ?.. მე ისე ხშირად ვხდები ცუდად, ისე ხშირად! აღელდა სალათისფერი ქალი — თქვენ მართლა ამფეთქებლად მუშაობთ? საშიშია?.. ძნელია?.. საინტერესოა?.. ხელსაყრელია?.. თქვენ ცუდად გრძნობთ თავს?

— არა. არაფერია. ხანდახან ვიცი ხოლმე ასე, — ნინომ დათუნია შეათამაშა ხელში.

— არ მინდა! — უთხრა მიტომ მეთოფეს — ფულად მომეცი.

— ჯილდო ჯილდოა, ამხანაგო! უფლება არა მაქვს.

მიტო დაფიქრდა.

— მაშ რას გეტყვი: ეს სუნამო შენი იყოს. კიდე თხუთმეტი ვაზნა მომეცი და ქვით ვიყოთ. გინდა?

— არაფერი არ მესმის, — ჩაილაპარაკა საბლერმა — ნინოს...

— საბლერ, თავი დამანებე! არ უთხრა ნინოს...

— არც მაგის უფლება მაქვს, ამხანაგო! მომეცით ნასროლის ღირებულება და წაიღეთ სუნამო! — უპასუხა მეთოფემ მცირედი ფიქრის შემდეგ — თუ არ მოგწონთ ჯილდო, ნუ წაიღებთ, დატოვეთ.

— ეს ვინა ყოფილა! — აღშფოთდნენ მტვირთავები — თუმნიან რამეს შაურში გაძლევს, მეტი რა გინდა!

— თქვენნ საქმე არ არის! — მიუგო მეთოფემ უკმეხად.

— იცის; მაინც წაიღებს მაღვიძარას. რას მისცემს?! არ მისცემს ვაზნებს.

— ამოვატრიალოთ? — შეეკითხა ერთი მტვირთავი ამხანაგებს.

— ვინ? — უპასუხა მეორემ და მეთოფეს გადახედა.

— ეს ხუხულა! გადავაბრუნოთ?

— თან წავიღოთ. არც ისეთი მძიმეა.

— ჯერ გადავაბრუნოთ!

მტვირთავები გაცვივდნენ.

ტირში დარჩენილებს ენა მოჰკვეთა ამ მოულოდნელმა გადაწყვეტილებამ.

— ერთი, ორი, ავწიოთ! — მოისმა გარედან და ტირმა ცალი მხარე ქამრის სიმაღლეზე აიშვირა.

მეთოფე გაფითრდა. მიტოს სიცილი წასკდა.

საკვირველია! — ბუტბუტებდა საბლერი, — საკმარისია ოცი, ოცდახუთი მუშა კაცი მოგროვდეს სადმე, რომ ეს მუქთახორებიც მაშინვე იქ გაჩნდებიან. ყნოსვით გრძნობენ? საოცარი კანონზომიერებაა...

— აკი ვთქვი მსუბუქია-მეთქი. მოდი მდინარის ნაპირზე ჩავიტანოთ. ატაროს მერე, როგორც უნდა!

— ვაძლევ! — დაიყვირა თავზარდაცემულმა მეთოფემ — ვაძლევ ვაზნებს!

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მტვირთავებმა ჩურჩულით მოითათბირეს.

— საბლერ! დავტოვოთ თუ წავიღოთ? — მოისმა გარედან.

მეთოფემ ბღუჯით დაუყარა ვაზნები მიტოს. არც სუნამოს წაღება დავიწყებია.

— მე უკვე მივეცი! — დაიძახა მეთოფემ.

— დავტოვოთ, იძლევა ვაზნებს, — მიუგო საბლერმა.

ტირი დაეშვა.

მტვირთავები შემობრუნდნენ, დაღონებულები იყვნენ: არ დასცალდათ მდინარეზე ჩაეტანათ ხუხულა.

— მგზავრებო, დაიკავეთ ადგილები! — გაისმა ავტობუსის მძღოლის ძახილი.

მიტომ დაუმიზნა.

საბლერმა ნინოს მიაშურა.

— წავიდეთ, ჩავსხდეთ! — მიმართა საბლერმა ქალებს.

სალათისფერი ქალი უმალ წამოდგა.

ნინომ საბლერს სჭიდა თვალი.

ხელი გააპარა. საბლერის ნაჩუქარი დათუნია სკამზე დატოვა და ადგა.

წინა კართან მივიდნენ.

საბლერმა ჯერ სალათისფერ ქალს შეუმარჯვა ხელი, შემდეგ ნინოს და ის იყო უნდა თვითონაც ასულიყო მანქანაში, რომ ნინომ უკან ჩამოსასვლელად გამოიწია.

— რაშია საქმე? — ჰკითხა საბლერმა.

— საბლერ, ჩემო მშვენიერო.. ქათინაურების განუმეორებელო ოსტატო, დათუნია დამრჩა სკამზე, მომიტანე, რა!

საბლერი უმალ სკამისაკენ გაეშურა.

— არჩილ! ამოდი ჩქარა, ჩქარა! — დაუძახა ნინომ და პირველ სავარძელში ჩაჯდა, კართან.

არჩილი ამოვიდა.

— დაჯექი აქ, ჩემს გვერდით, არჩილ!

არჩილმა ეშვიანად გაიღიმა და ზანტად დაჯდა.

— ღმერთო ჩემო, რანაირია!.. რატომ ხედავ ყველაფერში რაღაცას? — არ შეიძლება მსიამოვნებდეს შენს გვერდით ჯდომა?

— შეიძლება. ოღონ ამ შემთხვევაში მგონი... — არჩილმა ისევ ისე გაიღიმა და თმაზე ხელი გადაუსვა ნინოს.

— არჩილ, ნუ ხარ აუტანელი!

საბლერი დაბრუნდა.

აღბათ არ მოელოდა, რომ ნინოს გვერდით ადგილი დაკავებული აღმოჩნდებოდა. გაშრა, მაგრამ არ შეიმჩნია. დათუნია თავაზიანად დაუბრუნა ნინოს. ნინომ ენის წვერი გამოუყო და სიცილი მიაყარა.

საბლერმა სიცილითვე უპასუხა, ორი სავარძლით გასცდა ნინოს და სალათისფერი ქალის გვერდით დაჯდა.

— რატომ უეშმაკე? — ჰკითხა არჩილმა ნინოს.

— ვის?

— საბლერს.

ნინომ უარი და განცვიფრება დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა.

— დიმსახურა. ჯერ თვითონ მიეშმაკა, გამაბრაზა... შენ რომ ყველაფერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ცხვირი არ ჩაყო, ხომ არ შეიძლება? — უპასუხა ნინომ, ცხვირზე წკიპურტი აუკრა და გულიანად გადაიკისკისა.

— ...ორმოცდათხუთი. ხელის საპონი „მროშანი“. უმაღლესი ხარისხის პარფიუმერია. მომლოცავს! — ჩააბულბულა მეთოფემ.

მიტოს არც პასუხი გაუცია, არც საპონზე დაუხედავს. მოსალოცად გამოწვდილი ხელი გაირიდა და კვლავ დაუმიზნა.

— ავტობუსი გადის, ამხანაგებო! — გამოაცხადა მძღოლმა.

მიტომ გაისროლა, ავტობუსს გამოხედა და ისევ დაუმიზნა.

ფაშვიანი ფაცხა-ფუცხით ამოვარდა ავტობუსში.

იღლიაში სქელი ტყავის პორტფელი ეჭირა, მაჯაზე ოქროს საათი უელავდა, ხელში ბილეთი ეჭირა.

ადგილის ძებნას შეუდგა. საბლერს მიადგა. სავარძლის საზურგეზე დახედა.

— ჩემია! — უთხრა მან საბლერს.

— ალბათ. ერთი სათხოვარი ამისრულეთ. აგერ იქ, პირველ სავარძელზეა ჩემი ადგილი, თუ არ შეწუხდებით. გთხოვთ!

ფაშვიანი დაფიქრდა, თავი დაიქნია და წავიდა.

— ხომ არავინ რჩება, ამხანაგებო? — იკითხა მძღოლმა.

— რჩება, რჩება, ერთი წუთი, ერთი წუთი! — უმალ მიაძახა ნინომ — მი-ტოო! — დაიყვირა მან ღია ფანჯარაში.

— მოვდივარ!

მიტო მართლაც მალე მოვიდა. ხელები ზურგსუკან ელაგა. უზომოდ გახარებული იყო, აღფრთოვანებული იერი ჰქონდა, სახე უბრწყინავდა.

— რაშია საქმე, მიტო? — ჰკითხა არჩილმა.

— ამაში! — მუცგო მიტომ მედიდურად და მაღვიძარა გამოაჩინა.

ხარის რგოლში გაუყარა თითი, მაღლა ასწია, შეატრიალ-შემოატრიალა.

— მაღვიძარა! როგორია? ოჯახში, დეიდა პაშას!

მიტო იმდენად გატაცებული იყო მონაპოვარით, რომ მანქანის დაძვრაც კი ვერ ეაიგო.

— რომელია ჩემი ადგილი? — იკითხა მან.

— აგერ იქ, პირველ სავარძელზე! — უპასუხა ნინომ.

ფაშვიანმა მუხლები გამოარიდა, გზა უტია.

— გავცვალოთ, მიტო! — დაიძახა ნინომ მოულოდნელად, რაღაც ანიშნა ფაშვიანზე და ზეზე ადგა.

მიტო დაჰყვა, აქეთ წამოვიდა.

ნინომ მაღვიძარა გამოსტაცა მიტოს, ფაშვიანს ჩაუარა და მის გვერდით მოიკალთა, ფანჯრის მხარეზე.

ფაშვიანმა ერთი კი გადმოაპარა ნინოსკენ ალმაცერი, შეშფოთებული მზერა და გზას გახედა მძღოლის გასწვრივ.

ნინო მაღვიძარას შესწავლა-თვალიერებას შეუდგა.

— რანაირად მოიგო? — გადაულაპარაკა არჩილისა და მიტოს უკან მჯდომმა კაცმა თავის თანამგზავრს — ეს ტირები არიფების ხარჯზე არიან. ისე რაღა... ხარახურა აწყვია, ხალხი მიიტყუოს. ერთი იყო ჩემთან, პეტროპავლოვსკის ციხეში, მეთოფე...

— მეთოფე? რისთვის ოჯდა?.. — ჩაეკითხა თანამგზავრი.

— ცოლსა სცემა. ხულიგნობისათვის...

— რატომ სცემა?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა ვიცი, სცემა! იმან მითხრა, ეს ტირი, თოფი, რამე, სულ მოტყუება არისო...

— ჩემმა ქმარმაც მოიგო ერთხელ... ვაიმე, რა მოიგო? — ელაპარაკებოდა საბლერს სალათისფერი პალტო, — რაღაც მოიგო. რისი მოგება შეიძლება ტირში?

— თეფში? — წაეშველა საბლერი.

— არა.

— კბილის ჯაგრისი?

— არა.

— ხორცის საკეპი.

— არა, რას ბრძანებთ! ხორცის საკეპი მქონდა.

— ქრლგა.

სალათისფერმა ქალმა თავი გაიქნია.

— პირსახოცი. საპონი. სავარცხელი. გეოგრაფიის სახელმძღვანელო. ჩაქუჩი. სკამი. ჩაიდანი. ღრუბელი. ვენტილატორი. მაკრატელი. მარაო. სათითე. წინდები. სალათისფერი პალტო ყველაფერზე თავს აქნევდა და ამაოდ ლამობდა მოეგონებინა, რა მოიგო ქმარმა.

მათ წინ ახალგაზრდა მეზღვაური იჯდა. იმდენად დაინტერესდა სალათისფერი პალტოს მეუღლის მოგებული საგნით, რომ მოტრიალდა და უნებლიეთ ჩაერია გამოცანაში.

— საფერფლე! — წაეშველა იგი საბლერს.

— არა, — უპასუხა სალათისფერმა პალტომ.

— სახაზავი ხელსაწყო. ღამის ფოსტლება. ჩემოდანი. რვეული. სამართებელი, — სალათისფერი ქალი ერთთავად უარს ამბობდა.

საბლერი შესცქეროდა, იღიმებოდა. არც დაცინვა იყო ამ ღიმილში, არც განცვიფრება, არც მსჯავრი, არც პატიება; კეთილი, გულღია, მოსიყვარულე გამომეტყველება ჰქონდა მის თვალებს, მის სახეს, მის ღიმილს.

— არა, ამხანაგებო, მომაგონდა... ვერაფერი ვერ მოიგო.

მეზღვაურს მეტისმეტად გაუკვირდა.

— ვერაფერი?..

— ძალიან ძნელია ჯილდოს მიღება! — თქვა საბლერმა მშვიდად — მე მყავს მეგობარი, შესანიშნავი მსროლელია, აგერ ის კაცი... — მან არჩილზე მიანიშნა—სასულე თოფით ვერაფერს ხდება. ის მაღვიძარა შემოხვევით არის მოგებული, ძალიან ძნელია. გასაკვირი არაფერია, რომ თქვენმა ქმარმა ვერაფერი მოიგო.

მეზღვაური გონს მოვიდა. თავის მეზობელს შეხედა, თქვენ რას იტყვით ამ ქალზეო.

მეზობელი, ვეება კაცი, მეზღვაურზე ორჯერ მეტი ზომისა, შუბლშეკრული გასცქეროდა გაქცეულ გზისპირებს. ერთხელაც არ მოუხედავს. გამხმარი, ჯავრიანი სახე ჰქონდა და ისეთი თვალები, თითქოს დანარჩენ მგზავრებს სისხლი ემართათ მისი და შურისგების დაუკმაყოფილებელი ჟინი აწამებდა.

გზატკეცილი ფართო იყო, სწორი და შედარებით დაუზიანებელი, ნაკლები მოძრაობის გამო. კვირა დღეს ორიოდ მანქანა თუ ჩაივლიდა.

გზა ტაიგაზე იდო. უღრანიდან დროდადრო საბურავების ხრიალის ექო ისმოდა; შორს მიმალული ფერდობები ისხლტდნენ ხმაურს და გზადაგზა აბრუნებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანქანა დიდი სისწრაფით მიჰქროდა. არც აღმართ-ჩაღმართ და მისახვევს მოსახვევი უშლიდა ხელს, არც შემხვედრი მანქანები.

საბლერის უკან ქალ-ვაჟი იჯდა, ისინი, სასაუზმეში რომ იყვნენ ლუდის გარშემო მომხდარი ამბის დროს.

თვალებში შესციცინებდნენ, ესიყვარულებოდნენ, ეალერსებოდნენ ერთმანეთს.

— დავიყოლიებთ მამას, არაფერია, ნუ ღელავ. — უთხრა ქალიშვილმა ვაჟს — შენც უთხარი, ინსტიტუტის დამთავრებამდე კიდევ სამი წელია, მოცდა აღარ შემიძლია-თქო. მოგვცემს უფლებას, და დავბრუნდებით თუ არა, მაშინვე მოვაწეროთ ხელი.

— სულ მოკლე ხანში ხელის საათები ჩეჩქვივით ეყრება. ჩვენ უკვე შევქმენით საკუთარი საათის მრეწველობა, — აუწყა ვექილმა მუსიკის მასწავლებელს.

— ყველაფერი ღვთის ნებაა! — აროწუნებდა თეთრხილაბანდიანი დედაბერი ექიმ ქალს, — ადამიანი თუ მოსარჩენია, ღმერთმა დაასნეულა, ღმერთი მოარჩენს. საავადმყოფოები, წამლები, გაზეთები, კინო—ყველაფერი სატანისეულია...

— როგორ გეკადრებათ! ვთქვათ, რეფლექსები... ეს როგორღაა?

— სატანისეულია!.. ღმერთო გვიხსენი... — დედაბერმა ფაციფუცით გადაესახა პირჯვარი.

— ეროთ მითხარი... — ჰკითხა ბეითალმა ვექილს — ამას წინათ თქვენ იცავდით მებუფეტეს, რომელიც წყალს ურევდა არაყში... კერძოდ, ვინ ზარალობს ამით, სახელმწიფო თუ მოქალაქე?

— მებუფეტე! — მიუგო ვექილმა — ყველაზე მეტად მებუფეტე. სახელმწიფო იმდენად, რამდენადაც მოქალაქეს პარავენ. მოქალაქე, ჩემის აზრით, ხეირობს: ნაკლებ ალკოჰოლს იღებს, მაშასადამე ორგანიზმიც ნაკლებად უზიანდება. ამდენად არც სახელმწიფო ზარალობს. მებუფეტეს კი ციხეებში ყოფნა უხდება.

ვექილმა შესცინა თავისსავე პარადოქსს და მერე სერიოზულად დასძინა: — კანონი კანონია, Pereat mundus, fiat justitia,[1] — ჩაულათინურა ვექილმა და ლაპარაკი შეწყვიტა: წინა სავარძელთან ზარი აწკრიალდა.

ყველამ ზარის ხმაზე გაიხედა.

მაღვიძარას ზრიალი გაუდიოდა. ნინო გულდასმით უსმენდა, ძალიან სერიოზულად დასცქეროდა ზარს.

ფაშვიანმა მხოლოდ მზერა ესროლა მაღვიძარას და თავისი უზარმაზარი პორტფელი გახსნა.

ჯერ მუყაოს ფურცელი ამოიღო, მუხლებზე დაიდო, შემდეგ ქაღალდებში გამოხვეული საუზმე გაშალა ზედ.

ზარი ზრიალს მორჩა.

— მოიბოხებს! — თქვა ნინომ და ზარს წაუჩხირკედელავა.

ფაშვიანმა წესრიგში მოიყვანა თავისი საუზმე: ძეხვის ნაჭრები მუყაოს ფურცლის ერთ კუთხეში მიალაგა, ყველისა — მეორე კუთხეში. შუაზე მოხარშული კვერცხები დაწყო. ცალი მხრიდან მარილი მიუმარჯვა, მეორედან ჩაის კოვზი. შოკოლადის ფილას ქაღალდი შემოაცალა, დაამტვრია, ოთხკუთხი ნაჭრების პირამიდა ააგო საგულდაგულოდ. თეთრი, ფუნნესულა პური დასჭრა, პორტფელიდან არყის ბოთლი და ორთომელი ამოაცურა.

[1] დაიქცეს ქვეყანა, ოღონდ აღსრულდეს სამართალი. (ლთ.)

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მარდად იქცეოდა. ყველაფერში პროფესიონალური ჩვევა ჩანდა, დანინს ხმარებიდან დაწყებული „სუფრის მხატვრული გაფორმებით“ გათავებული. მხოლოდ თვალები უციმციმებდა მსუნაგურად, არაპროფესიონალურად.

ნინომ ზარის ზამბარა მომართა.

ფაშვიანმა არაყი დაისხა. სინათლეზე გახედა, ფერი შეუმოწმა, მერე უყნოსა, ჰაერი ჩაისუნთქა და ერთ ყლუპად გადაუშვა ხორხში...

არაყი ჯერ კიდევ სადღაც გზაში იყო, როცა ნინომ ისევ ააზრიალა მაღვიძარა. ზარს ამჯერად გაცილებით მაღალი, წრიპინა ხმა ჰქონდა.

ფაშვიანი ალბათ არ მოელოდა ზარს ასეთ საზეიმო მომენტში, როცა არაყს თავის ადგილსამყოფელამდე უნდა ჩაელწია. შეკრთა, შეშინებული მზერა ცსრილო მაღვიძარას და ნინოს მიაჩერდა.

— მეტისმეტად მაღალია! — თქვა ნინომ თავისთვის — წრიპინებს, არ ვარგა.

ფაშვიანი ისევ მაღვიძარას მიაშტერდა და გატრუნული უსმენდა, სანამ წკრიალს მორჩებოდა. გათავდა თუ არა ზარის რეკვა, თითქოს ამას ელოდებოდა, უმალ ძეხვის ნაჭრებს ეცა, პირში გააქანა, პურიც მიაყოლა და ერთობ მხნე ღეჭვას შეუდგა. მძიმედ სუნთქავდა, შიგადაშიგ საკმლით გამოტენილ პირსაც იშვლეტდა ჰაერის შესასრუტავად, ეოშინი გაჰქონდა.

ძეხვს დაეწვა, კვერცხების ფცქვნას შეუდგა.

ნინომ ზარის რეგულატორი შეასწორა. ისევ მომართა ზამბარა.

ფაშვიანმა ძეხვი დანთქა. არაყი დაისხა, კვლავ ფერი და სუნი გაუსინჯა, ისევ გადაჰკრა.

ახლა კი უდროოდ მოუსწრო ზარმა, სასულეში გადასცდა არაყი, დიდხანს ახველა. ავტობუსი აიკლო ხველებით. ლოყები დაუწითლდა, სისხლი მოეწვა სახეზე.

საათი კარგახნის დაშოშმინებული იყო, ფაშვიანი კი ხველებას განაგრძობდა. გაჯავრებულ, სისხლმოწოლილ თვალებს წარა-მარა უბრიალებდა ნინოს. რაღაცის თქმას ცდილობდა, მაგრამ ატეხილი ხველება არ აძლევდა საშველს.

ნინო გულშემატკივარი თვალით შემოსცქეროდა, ხანდახან ეუბნებოდა:

— ალალი, შეგარგოთ!

შემდეგ ზურგში მუშტების ბაგა-ბუგი აუტეხა. ბევრი იქნია ფაშვიანმა მხარმკლავი, სანამ მოიშორა თავიდან.

როგორც იქნა, მორჩა ხველებას. რაღაც უნდოდა ეთქვა ნინოსთვის, პირიც კი დაღო, მაგრამ ნინომ დაასწრო:

— მეტისმეტად წრიპინა ხმა აქვს, არა? — ისე გულუბრყვილოდ იყო ნათქვამი, იმდენი ეში და სანდომიანობა ჩაყოლა ღიმილს ნინომ, რომ ფაშვიანის საომარი განწყობილება თამბაქოს კვამლივით გაიფანტა. აღარაფერი უთქვამს, თავის დაქიცინებით დაუდასტურა, ეგრეაო. ღრმა, შუქიან თვალებში ჩახედა... ისეთმა ღიმილმა გაუბადრა სახე, რომ ნინომ თავი ვეღარ შეიკავა, როლიდან ამოვარდა და გულიანად გადაიხარხარა.

ფაშვიანმა ცივად გაარიდა მზერა, საშველს შეუტია.

ნინო სიცილს მორჩა. ისევ წაუჩხიკინა რეგულატორს, ისევ მომართა საათი. საზურგეზე ჩამოდო მკლავი, ახლა საათი სულ ახლოს ტიკტიკებდა ფაშვიანის ჩაბანლულ ყურთან.

ფაშვიანმა მესამედ შეავსო ორთომელი. ისევ გახედა სითხეს მოციმციმე თვალებით, უფრო ღრმად ჩაყო ცხვირი ჭიქაში, მოიყუდა და თავი გადა-

იქნია, ვითომ გადაყლაპა, მაგრამ ეს მხოლოდ მსგავსება იყო. ნინო მოტყუვდა, ზარი აუშვა.

ფაშვიანმა კუპატის ნაჭერივით თითი დაუქნია ნინოს, ნიშნი მოუგო, ვერ მოგართვეს, აღარ მოვტყუვდიო და მერეღა გაცეცხლდა:

— თქვენ... ამას განზრახ ის, ხომ? — დაუტია მან ნინოს.

ნინომ მაღვიძარა გააჩუმა.

— აღარ შემიძლია ამის ის! — დასძინა ფაშვიანმა.

— თქვენ არ თქვით, მეტისმეტად წრიპინა ხმა აქვსო? — გაიკვირვა ნინომ — განა ისე ჯობდა? მაშინ ისეც ისე დავაყენებ. ახლავე!

— არა!.. ასე კარგია, — შესძახა გულგაწყალებულმა ფაშვიანმა.

— მართლა? ვითომ, ასე ჯობია? — დაეჭვდა ნინო და ზარი აუშვა.

ფაშვიანი რამდენიმე წამით გაირინდა, თითქოს იმისთვის, რომ გამბდადობა მოეკრიფა. მერე პორტფელი იღლიაში ამოიჩარა, იმავე ხელში მუყაოს სუფრა აიღო. მეორეში ორთომელი ეკავა და ფეხებში ჩადგმული არყის ბოთლი რიღათი უნდა წაეღო?.. დაიბნა, მაგრამ მალე მიაგნო ხერხს: არაყი პირში გადაუშვა, დაცლილი ჭიქა ბოთლის ყელზე დაამხო, ბოთლი განთავისუფლებულ ხელში აიღო და საბლერისაკენ გაემართა.

მანქანა უღელტეხილის ფერდობებს ასდევდა. გზა იკანკლედებად იდო. სისწრაფე დიდი იყო და მოსახვევებში წონასწორობის შენარჩუნება შეუძლებელი აღმოჩნდა, ფაშვიანი, სანამ საბლერამდე მიაწია, თითქმის ყველა განპირა მგზავრს გაედ-გამოედო. ალაგ-ალაგ ზომაზე მეტიც მოუვიდა; მეზღვაურის კალთაშიც კი მოხვდა, მაგრამ სუფრიდან ნამცეციც არ ჩამოვარდნია; მუყაოს ფურცელს წამითაც არ დაუკარგავს ჰორიზონტალური მდგომარეობა.

— აღარ მინდა! — უთხრა საბლერს.

საბლერმა მუყაოზე გაშლილ, საფუძვლიანად შეთხელებულ საშმელს დახედა და მიუგო:

— გმადლობთ, რისთვის გაისარჯეთ, არც მე მინდა. შეინახეთ. არც ისეთი სიცხეა, რომ წახდეს. აი, იქნებ... ხომ არ მიირთმევთ რამეს? — შეეკითხა საბლერი სალათისფერ ქალს.

ქალს უარი არცთუ მაინცდამაინც ცივი იყო... საბლერმა ფაშვიანს მუყაო ჩამოართვა, სალათისფერ ქალს შესთავაზა.

— შოკოლადი მაინც, შოკოლადი ინებეთ! — შესთხოვა საბლერმა.

— ოო, გმადლობთ, სიამოვნებით, — უპასუხა ქალმა, ცერი და სალოკი თითი ქორის ნისკარტივით მოყარა, შოკოლადისკენ წამოიღო, თითქმის დასწვდა კიდეც და აღება კი აღარ დასცალდა: ფაშვიანმა მუყაო ხელიდან გამოსტაცა საბლერს, განზე გაარიდა და თქვა:

— ადგილი აღარ მინდა... ჩემი მინდა!

— ახ, ადგილი! — წარმოსთქვა საბლერმა — ინებეთ, დაბრძანდით!

საბლერი ადგა, ნინოსკენ წავიდა.

ფაშვიანმა მოიკალათა და უმალ საუზმე განაგრძო.

მგზავრები შეკავებული ღიმილით უმზერდნენ.

საბლერი ნინოს მიუჯდა.

— რისთვის ამოართვი სული მაგ უბედურს? — ჰკითხა მან ნინოს.

— დილანდელი საუზმის სამაგიერო იყო.

— შურისძიებას პატიება ჯობს. დასჯა ადამიანის თანდაყოლილი თვისებაა. პატიება კი გამომუშავებული ღირსება და ამდენად რთული, ამაღლებული. შურისძიება ყველას ძალუძს, პატიება მხოლოდ საუკეთესოთა ხვედრია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე არ მინდა ვიყო საუკეთესო. მე მინდა ვიყო ასეთი, როგორიც ვარ. შენთვისაც მეპატიებინა?

— რა?

— დღევანდელი ფანდი ავტოსადგურზე... ფეხქვეშ რომ გაეგე იმ ქალს. მიეშმაკე, ვითომდა არაფრად გეჭაშნიკები! გარბენინე, თუ არა!

— სად მარბენინე?

— დათუნიას მოსატანად. გამიშვი, გადავჯდე!

საბლერმა გაიღიმა.

— ეშმაკი ხარ... იჯექი, რატომ გარბიხარ?

— არ მინდა შენთან ჯდომა, გამიშვი. ნაწყენი ვარ შენზე!

ნინო თავის ადგილს დაუბრუნდა არჩილის გვერდში.

მიტო საბლერთან გადაჯდა, მაღვიძარა აათამაშა ხელში. ესიყვარულებოდა, ეამაყებოდა საათი.

რაღაც ლაპარაკი გაბეს.

არჩილი ნინოს დასცქეროდა, ფიქრობდა. ნინო ფანჯარაში იყურებოდა. მიდამოს ათვალიერებდა.

ავტობუსმა უღელტეხილს მიატანა; ბოლო იკანკლედებსა და აღმართებს ეწეოდა.

თავის დროზე გზის ნაპირები გაეკაფათ, ამოეძირკვათ კიდეც. ადრე დაბნეულ თესლს მაინც ამოეხეთქა. ომის დროს ღრმა ზურგის გზების მოსავლელად ვის ეცალა. ახლა ისე მოსძალებოდა შარას შიმალი, რომ ხანდახან კატასავით გამოჭკრავდა ხოლმე თათს მანქანას, ფერდებს უხოკნიდა, ცისფერი საღებავით დაფარულ ფოლადს რიალი გაუდიოდა.

ავტობუსმა აღმართი აათავა, მოსახვევს მიუახლოვდა.

მძღოლმა გაზს უმატა, სისწრაფის დაკარგვა არ სურდა; რკალი მოხაზა, მაგრამ სწორზე გასულმა ერთბაშად დაამუხრუჭა.

მოულოდნელმა გაჩერებამ მგზავრები წაიგდო, საზურგეზე ატაცებინა ხელები.

ახრიალდნენ გაკავებული საბურავები და ისევ ჩაიწყვიტეს ხმა. მანქანა შედგა, მერე ერთი კიდეგ შეტორტმანდა, ასფალტს დაეცივდა და პნევმატურმა მუხრუჭმა ქშენით გამოუშვა დგუბებული ჰაერი.

ავტობუსის წინ, გზის გარდი-გარდმო იდგა შავი ფერის მსუბუქი მანქანა. საჭესეული კარი ღია ჰქონდა, წინა ბორბლები — უღელტეხილისკენ წახრილი.

— ვასილიევი! — წამოიძახა მიტომ და ადგა.

საბლერმა მუხლები გაარიდა, გზა მისცა.

მიტო ძირს ჩავიდა, მანქანას მიაშურა.

— მართლა, ვასილიევის „ოპელი“! — აღნიშნა საბლერმა და მიტოს მიჰყვა.

ნინომაც ჩასასვლელად წამოიწია. არჩილმა გზა არ მისცა. რაღაცას ათვალიერებდა მთელი გულისყურით.

— დაჯექი! — უთხრა არჩილმა ხმადაბლა.

ნინო დაჯდა. ამანაც „ოპელს“ გახედა.

„ოპელის“ ღია კართან მიტო და საბლერი ლაპარაკობდნენ. მარჯვენივ კარგა მოზრდილი, ხშირი შიმალი იყო, მარცხნივ — პატარა, შიშველი ადგილი გუბეთი ზედ შუაზე და იმას იქით ტყიანი ფერდო, ალბათ მეტისმეტად ჩამრეცი, რომ ფიქვების კენწეროები კიბეებივით ჩასდევდნენ ერთმანეთს.

მძღოლმა ძრავი ჩააყუჩა, ჩახტა, „ოპელთან“ მისულებს შეუერთდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანა კარიდან მეზღვაური ჩავიდა.

ნინოც შეაფიქრიანა არჩილის დაძაბულმა დუმილმა.

— რაღა ასე?... გარდი-გარდმო. საოცარია! — ჩაილაპარაკა არჩილმა. — თვითონ სადღაა?..

ნინომ რაღაცის თქმა დააპირა, გადაიფიქრა, ღიმილი შეიკავა.

სწორედ ამ დროს დაიტატანა იარაღმა და შიმალიდან ოთხნი გამოცვივდნენ.

ორს ავტომატი ჰქონდა. თითო, მოკლე რიგი კიდევ მისცეს. მესამეს რევოლვერი ეჭირა. მეოთხე უაირაღო ჩანდა, გზის პირასვე დადგა და დაიყვირა:

— ხელები მაღლა, ხმა-კრინტი, ადგილიდან არავინ დაიძრას! — საშუალოზე მაღალი ტანისა იყო, ძალიან გამხდარი, მხრებში მოხრილი. წვრილი, ძარღვიანი კისერი ჰქონდა და სილრმეში წასული პატარა თვალები. ტანთ ჭრელი საზღვაო მაისური ეცვა, წელქვეით ჩექმა და გარმონივით ჩაკეცილ ყელებში ჩატანებული შარვალი უქამროდ.

„ოპელთან“ მყოფთ უმალ მაღლა წაიღეს ხელები.

— დასხედით! — მოისმა ისევ.

იქვე ასფალტზე ჩაიკეცეს, „ოპელის“ საბარგულთან.

ავტობუსი სიჩუმეს, გარინდებამ მოიცვა.

მხოლოდ ფაშვინამა წამოიწია, შიმალიდან გამოცვენილებს ესროლა მზერა. მერე პორტფელიდან ასმანეთიანების მსხვილი კონა დააძრო სასწრაფოდ. თავისი საჯდომი ბალიში ასწია, კონა ქვეშ შეაგდო, დაჯდა, უზომოდ განცვიფრებულ სალათისფერ ქალს მიუბრუნდა:

— სსს! — თითი მიიდო ტუჩებზე და კვლავ კარში გაიხედა.

— ყველაფერი გასაგებია! — თქვა არჩილმა — შედი მძღოლის კაბინაში. ხედავ, ძალაკი გდია? ამოვა თუ არა, ვეცემი. შენ ზურგიდან... თავში ჩაუშვი. ერთი ავტომატი!... მიდი, მანამ ამოსულან... — გზა მისცა.

ნინო არ განძრეულა. არჩილი განცვიფრდა.

— არ გესმის?

ნინომ კვლავ დააყოვნა. შემდეგ თავი გაიქნია და გაფითრდა.

— გეშინია?

— ჩავარტყა... ზურგიდან! რომ მოკვდეს? — წაიჩურჩულა ნინომ.

— მაგისთანები ყოფილა?... თუკი საჭიროა...

— ის სხვა იყო! — შეაწყვეტინა ნინომ — მტერი იყო, ომი... ბრძანება. მეშინია, ვნახოთ და მოკვდეს?

არჩილმა მძღოლის კაბინას ესროლა თვალი, იქიდან „ოპელს“. დაფიქრდა, სახე ეცვალა, საფრთხემ გაურბინა თვალებში.

— ამუნია! — დაიძახა ჭრელმაისურიანმა — ამათ დაუდექი, თან იქითაც დაიჭირე თვალი, — ავტობუსის მძღოლის კაბინაზე მიუთითა.

ამუნიამ ავტომატი მოიმარჯვა, ასფალტზე მსხდომთ წაადგა თავზე.

— მაშ როგორ?.. არ ჩასულიყო მიტო, რა კარგი იქნებოდა! — ისევ დაილაპარაკა არჩილმა ხმადაბლა.

— ადიო! — უთხრა ჭრელმაისურიანმა დანარჩენ ორს. თვითონ საიდანღაც ვეებერთელა ბებუთი დააძრო, გამოიქცა, ავტობუსის უკანა კართან გაჩერდა.

— არაფერია. მე მარტო. შენ იატაკზე გაიშოტე, გესმის? — გადაულაპარაკა არჩილმა ნინოს.

ჯერ რევოლვერიანი ამოვარდა მანქანაში. მძღოლის კაბინას აეკრა. მგზავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებზე ააბორიალა თეთრი, ცივი თვალები. მელოტი იყო, თავი ულამაზესებდა საგანგებოდ დაქლესილივით. აქვე იდგა, სულ ახლოს.

არჩილი მანძილს ზომავდა. რაღაც აეშვებდა.

ალბათ ის, რომ მელოტს ძლიერ ნაჩვევად ეჭირა იარაღი, როგორც თერძს ნემსი ან სათითე.

ამობაში ავტომატიანი ამოვიდა, არჩილსა და მელოტს შორის გაიარა, იმ კუთხეში გაჩერდა, სადაც მიტო და საბლერი ისხდნენ ჩასვლამდე. პირდაპირ მგზავრებს მიაშვირა იარაღი, აქეთ-იქითაც კი წაიღ-წამოიღო, როგორც ბნევით სროლის დროს უნდა.

— ადექით, არიფებო! უკანა კართან მიდით. ჩქარა! — გამწივანი ხმა ჰქონდა, მძაფრი, ულაზათო.

შიშის ზარს ვერავინ დააღწია თავი, არავინ დაძრულა ადგილიდან.

— ვის ელაპარაკებიან?! აეთრიეთ! — დიყვირა მელოტმა — დროზე!.. სწრაფად, სირბილით! — ფეხს გამოსწია, ორი ტყვია მიაცალა ჭერს.

ყველა ერთდროულად წამოიშალა, ფაცი-ფუცი ატყდა. პირისპირ ეფეთებოდნენ, აწყდებოდნენ, უშლიდნენ ერთმანეთს.

— სირბილით, სწრაფად! — წარა-მარა ყვიროდა მელოტი.

არჩილიც წამოდგა.

ჯერ მელოტს ჰკიდა თვალი, შემდეგ ავტომატიანს.

არცერთს არ ეცალა მისთვის.

მაშინ არჩილმა ავტომატიანი შეათვალიერა, კვეთება დააპირა.

მელოტმა მყისვე შენიშნა განზრახვა არჩილს, უმალ ნინოს მიაშვირა რეოლვერი, ლამის მკერდზე მიადო.

— არჩილ! — იყვირა ნინომ.

არჩილმა უნებლიეთ მიიხედა.

მელოტი ნიშნისგებით, უკმეხად იღიმებოდა. არჩილი აღშფოთებამ აიტანა; მუშტები შეჰკრა, ისე მაგრად, რომ სახსრებმა ტკაცანი გაიღო. ყბებმა ლამის კბილები დაიფშვნეს. თვალი თვალში ატაკა მელოტს. ნელა, მტკიცედ წასდგა მისკენ ნაბიჯი... ერთი, მეორე...

— შენ, ე!.. მომხედე, გენაცვალე, — მოისმა ავტომატიანის ხმა.

არჩილს უნებლიეთ მისკენ წაუვიდა მზერა.

— ხედავ? — ავტომატი მგზავრებზე ჰქონდა მიმიზნებული.

თითი უკანკალებდა, მაგრამ გამოკვრის მეტი მაინც არაფერი იყო საჭირო.

— გაბრუნდი! მოვთიბავ.

არჩილს მჩვარივით ექცა ზამბარასავით დაჭიმული სხეული. რაღაცნაირ თოლ'თლიდ მოატრიალა თავი, მხარს ზემოდან გადახედა ავტობუსის ბოლოში მიხ; ეტილ მგზავრებს.

საშინელება აღმეჭდოდათ სახეებზე, სიკვდილის შიში ჰქონდათ თვალებში.

არჩილმა ზურგი შეუქცია მელოტს, ნინო გამოატარა და მგზავრებისაკენ წაათრია ფეხები.

თავჩაქინდრული მიდიოდა, ლურჯი ფერი ედო, მკვდრისა.

— სწრაფად, სწრაფად! — მოესმა ზურგიდან არჩილს და ავტომატის კოხდარი მოხვდა ბეჭებში.

ბაყვნნი გაიღო არჩილის მკერდმა; სახეზე ძარღვი არ შესტოკებია. ნაკვთი არ შერხეულა, ეგ იყო ნაბიჯმა იმატა თავისით.

მელოტი ჩახტა. ავტობუსის უკანა კართან მიიჭრა, ჭრელმაისურიანს ამოუდგა გვერდში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დროზე, ბეღურა! — უთხრა მელოტმა.

— მისმინეთ ყველამ! — დაიძახა ბეღურამ.

მგზავრებმა ყურები სცქვიტეს.

— ჩამოხვალთ სათითოდ. თუ ვინმეს იარაღი გაქვთ, მე ჩამაბარებთ. წახვალთ სირბილით და მიუჯდებით თქვენს ამხანაგებს იქ, ჩვენს მანქანასთან. აბა, დავიწყეთ, სწრაფად!

— სწრაფად, სირბილით! — აუტეხა ყვირილი მელოტმა.

ყოველ მესამე, მეოთხე მგზავრს პანღურს მიაყოლებდა, ან რევოლვერის ტარს უთავაზებდა ხოლმე ზურგში. მგზავრები ამ გაუთავებელმა ყვირილმა აიყოლია. ზოგი უკვე ხელებაწეული ჩამდიოდა ძირს და ბეღურას მიერ ზედაპირულად გაჩხრეკილი ფაცხა-ფუცხით გარბოდა „ოპელისკენ“. ზოგი მხოლოდ მელოტის მუჯლუგუნის შემდეგ სწევდა ხელებს ზევით და ნაბიჯიდან სირბილზე გადადიოდა.

სალათისფერი ქალი დინჯად ჩამოვიდა, თვალი თვალში გაუყარა ბეღურას, ცხვირი აბზიკა, თითქოს ავი სუნი რამ სცემოდეს, და სეირნობით გასწია „ოპელისკენ“.

მელოტმა პანღური უთავაზა. ქალს აზრადაც არ მოსვლია აჩქარება. ნაპანღურალი ადგილი ხელით გაიბერტყა და წავიდა.

— დაჯე! — დაუღრინა ამუნიამ.

ქალმა შემლღვალ ასფალტს დახედა.

— პალტო დამესვრება. გაგიჟდით?

— დაჯე, შენი...

მაშინ სალათისფერმა ქალმა კაბიან-პერანგიანად წამოიფარა პალტო და გახურებულ ასფალტზე მოიკალათა.

— არ შეიძლებოდა ისე... — ჩაიჩურჩულა არჩილმა.

— როგორ? — ამოხედა ნინომ.

— როგორც მინდოდა...

— ფიქრის დრო არ იყო.

— არ იყო. ისევ გეშინია?

— ნაკლებად... მაინც, ცოტა. რას გვიზამენ?

— გაგვძარცვავენ, ალბათ.

— ლამაზო, დროზე!

ნინო ჩავიდა. ბეღურამ რიგიანად ჩაათვალიერა. ნინომ აღარ მოიცადა, წავიდა.

ბეღურამ თვალი გააყოლა, რაღაც უნდოდა ეთქვა, არჩილი ჩამოვიდა, წინ დაუდგა.

ბეღურამ უნებლიეთ თავი მიანება ნინოს.

— იარაღი! — უთხრა მან არჩილს.

არჩილმა ღიმილი ვერ შეიკავა. ეს სინანულსაც ნიშნავდა, უარსაც.

ბეღურამ დააყოვნა. დაცლილ ავტობუსს ახედა.

— ნადი!

საბლერმა ნინოს დანახვისთანავე მიიჩოჩა.

— დაჯექი, ნინო! — მიიპატიჟა მან თავაზიანად, წამოიწია კიდეც.

ნინომ გაიცინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

-- ასფალტის ეგ ნაჭერი ჯობია? — ჰკითხა მან საბლერს.

საბლერი თავისი საქციელის უაზრობას მიხვდა.

— სულერთი კია, — შესცინა მან ნინოს დარცხვენით.

არჩილი მოვიდა.

— ხუთეულებად დასხედით! — უბრძანა ბეღურამ.

ვერავინ ვერაფერს მიხვდა.

მაშინ ბეღურამ ხუთი მგზავრი ერთ რიგად დასვა, პირით თავისკენ, და სხვებსაც ასეთივე რიგებად დასხდომა უბრძანა.

ნაპატიმრალი აღშფოთდა, რომ ამ ხალხმა ასეთი უბრალო რამ არ იცოდა; ხუთეულებად დაჯდომა. რაღაც ჩაიბურტყუნა, ხელი ჩაქნია.

არჩილი, ნინო, საბლერი, მიტო და ვექილი ერთ ხუთეულში მოხვდნენ.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯაგუ მებურიშვილი

მონადირული

შურთხები შორი სტვენით მართობენ
და მხიბლავს მშვიდი ზეცის იერი,
ერთი ხარჯიხვიც ვეღარ დავთოფე
და შინ ვბრუნდები ხელცარიელი.

კარგია ტყისთვის ფიქრის განდობა,
როცა ჩუმია და უშფოთველი,
როცა ჭიუხზე დანავარდობენ
შელის ნუკრები და ჯიხვის ფოთრები.

სუროს მუქმწვანე დალალები აქვს
მთას ხევებიანს და ხრამებიანს...
ტყვიის დაცდენა დამნანებია,
ვერ მომიკლავს და... გამხარებია.

წყალვარდნილები ხმაურობს ქვემოთ
და მზე ბეჭებზე მადნება შუქად...
ვგრძნობ მოხასხასე ჰაერის გემოს
და მჯიღის სიმსხო კვირტების სუნთქვას.

ღუღუნა ქედნებს ვუგზავნი ამბორს,
მტრედის ხუნდებო, ლაღად იქროლეთ...
ჯერ დაუწერელ, უთქმელ ლექსს
ვამბობ
და მთების სუნი ასდის სტრიქონებს.

უშენოდ

მიმწუხრში არ ჩანს მთათა გრეხილი.
ჩაშავებია ღამეს უპენი...
ბროლივით ტყდება ცა დამეხილი,
თოკივით იხვევს ელვას ღრუბელი.

ეს მეხთა ტეხა თითქოს გაქეზებს,
ზოგჯერ ვღონდები,
ზოგჯერ ვინთები...
ჩემი ოთახის ვიწრო სარკმელზე
იმსხვრევა წვიმის თეთრი თითები.

გადაყვითლებულ ბარათებს გავშლ ი:
„სხვა არვინ არის შენი ბადალი...“
შენ წყალდიდობა იყავი მაშინ
და გამიტაცე როგორც ნადავლი

და...
ბოლოს, კარგო, უშენოდ დავრჩი,
ვერ გადმოვვლე უარის ღობეს...
და ზლუქუნებენ ხეები ქარში,
როგორც კაცებმა იციან ხოლმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეზო ჭეიშვილი

ზაფხულის მეოცე ოცდაოთხი საათი

ზაფხულის მშვენიერი მთვარიანი ღამეა. ირგვლივ ისეთი სიწყნარე სუფევს, რომ ხიდან ფარფატით ჩამოვარდნილი ფოთლის ხმაურიც ესმის კაცს. სახურავზე ხანდახან კატა გადაირბენს; გადაირბენს ფრთხილად, თითქოს კრამიტების დამტვრევას ერიდება.

მთვარე გვარიანად გადახრილა და ხეთა ჩრდილები ჩრდილოეთისაკენ წაწეულა.

ბიჭიკოს სახლის კარზე ვიღაც კატური სიფრთხილით აკაკუნებს.

— რომელი ხარ? — კითხულობს უდროო დროს გაღვიძებული მასპინძელი.

— მე ვარ, გააღე კარი! — შინაურულად ეხმაურება უცნობი.

— ვინ შენ?

— მე, ტუკვაძე!

— ვინ ტუკვაძეა, აწი! — ფიქრობს ბიჭიკო და იცვამს. გასაღებს ატრიალებს; კარი ხელრიანად არცა აქვს გაღებული, მაგრამ სტუმარი უკვე გვერდულად შემოდის ოთახში. სტუმარი, ანდა, როგორც თვითონ თქვა — ტუკვაძე მაღალი სქელი კაცია. ამ კაცს ხელები საზაფხულო პალტოს ჯიბეში აქვს ჩაწყობილი; კეპი ისე მაგრად ჩამოუფხატავს შუბლზე, რომ პატარა, დაწითლებული თვალები აღარც უჩანს; მწითური, ჭორფლიანი სახე ელექტრონის შუქზე უბრიალებს.

ბიჭიკო იცნობს მოსულს და გაკვირვებისაგან ენა ჩაუვარდება.

— გამარჯობა, შენი! — გვერდულად გაუცინებს ტუკვაძე მასპინძელს და ოთახში უნებურად დაიწყებს წრიალს.

— ხომ არავინ გყავს სახლში! — მოსული ახლა თითქოს უფრო სანდომიანად გაიღიმებს და მეორე ოთახის კარს ფეხს ჰკრავს.

მეორე ოთახში სიბნელეა. ტუკვაძე შედის სიბნელეში. ბიჭიკო შეყვება. ტუკვაძეს ისევ ჯიბეებში აქვს ხელები. ბიჭიკო პაპიროსს გაიჩრის პირში და ცდილობს ასანთი აანთოს, მაგრამ ვერ ახერხებს, რატომდაც ხელები უკანკალებს.

ტუკვაძე ჯიბიდან **მარცხენა ხელს ამოწევს** და ბიჭიკოს ცხვირწინ ბენზინის ასანთს დაარჩაკუნებს. ოთახი უეცრად განათდება. კედელზე ორი არაპროპორციულად დაგრძელებული ადამიანის ლანდი გაიჭიმება. ბიჭიკო მღელვარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისაგან იგუდება, თუმცა არაფერს იმჩნევს. ტუკვაძე ასანთს აკრობს. ლანდები კედლიდან ჩამოდიან.

— აქეთ რა ოთახია?

— სამზარეულო.

— იქით?

— იქით მდგმურები მყავს, ცოლ-ქმარი... გვერდით ოთახშიც ცოლ-ქმარი ცხოვრობს, ისინიც მდგმურები.

— კარგი, ჩაიცი და წამოდი.

— რა ჩაცმა მინდა, ქამარს შემოვიჭერ მარტო. — პასუხობს ბიჭიკო და არც კითხულობს, სად ეპატიჟება ეს კაცი.

სტუმარ-მასპინძელი გარეთ გამოდის. მთვარე გვერდიდან ანათებს და მათი ჩრდილები ირიბულად წვება. ხის კიბე ყრუდ ჭრიალებს.

ბიჭიკოს გადმოშვებულ ხალათზე ქამარი აქვს შემოჭერილი. იგი ზომაზე მეტად არის წელში გამართული, ნერვიული სახე და დანით გადაპარსული თავიც უკან აქვს გადაქაჩული. ქუდი ხელში უჭირავს. ბიჭიკო ტუკვაძის სიმაღლეა, მხოლოდ ტუკვაძეზე გამხდარი, სამაგიეროდ უფრო ძვალმსხვილი.

პატარა, სუფთა ეზოში რამდენიმე კაცი ღობესთან ლანდივით დგას. კაცები ბიჭიკოს დანახვაზე მუჭში ახვევენენ. მასპინძელს უკვირს: ამ დაკეტილ ჭიშკარში ისე როგორ შემოვიდნენ, რომ ვერაფერი გავიგეო.

ქუჩაში, ღობეზე გადმომდგარი ტყემლის ჩრდილში, შავი ემადინია გაჩერებული. ბიჭიკო უკან იხედება, თავის სახლს უყურებს, რაღაცა უკვირს, რაღაცას ვერ გებულობს.

*

ეს ამბავი კარგახნის წინათ მოხდა. მაშინ პატარა ვიყავი; მაინც ყველაფერი მახსოვს.

ბიჭიკო ჩვენ მეზობლად ცხოვრობდა. მარტოხელა კაცი იყო, ცოლშვილი არ ჰყავდა, დედმამაც ადრე დაეხოცა.

ბიჭიკოს მთელი ქალაქი იცნობდა. ზოგი აქებდა, ზოგი აძაგებდა. ვინ იყო მართალი, ვინ იცის.

მე ძალიან მიყვარდა ის ადამიანი. შეიძლება ეს ბავშვური გულწრფელობის შედეგი იყო, შეიძლება... ამას ვინ უარყოფს; მაგრამ ეს ხომ ფაქტია, რომ ის კაი კაცი დღემდე მახსოვს, აქამდე რაღაც მაწუხებს.

მას შემდეგ რა ხანი გავიდა. როგორ თოვს ახლა გარეთ, მერამდენედ თოვს. ყველაფერს ვიხსენებ.

ჩვენი აჭვარტლული ქალაქი, ვიწრო, რიყის ქვით მოკირწყლული ქუჩა. ქუჩის იქითა მხარეს თავდაღმართი და მერე მაზუთიანი სადგური. თოვლის ფიფქები პრიალა ლანდაგებზე ეცემოდა და ზედ ადნებოდა. ბიჭიკო ოთხი ეტლით ქეიფობდა... ეტლები მაშინ ვის უკვირდა, მაგრამ მაინც მთელი ქალაქი შეჩოჩქოლდა: ბიჭიკოს უყვარდა ასეთი რაღაცეები.

გულგაღეღილი ბიჭიკო პირველი ფაიტონის კოფოზე იჯდა. მეორე ეტლში მისი ამფსონები ისხდნენ; ერთში დამკვრელები იყვნენ. ბიჭიკოს ქუდი მგონი მეოთხე თუ მესამე ეტლში იდო, არ მახსოვს; ასე დაწვრილებით ვერ ვიგონებ, მე უფრო გაორთქლილი ცხენები და მათი ფლოქვების ტკაცა-ტკუცი წარმომიდგება თვალწინ.

ბიჭიკო პროფესიით ინჟინერი იყო. იმხანებში ცნობილი ელსადგურის მშე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებლობის უფროსად დანიშნეს. ბიჭიკომაც ეტლებით ქეიფს თავი გაანებეს. ამის შემდეგ მას იღლიაში ამოდებული, გრძლად დახვეული ქაღალდებით მიმავალს ნახავდით. ბოლო დროს ძალიან საქმიანად დადიოდა. ეს ამბავი ბევრს უკვირდა.

ბიჭიკომ მალე ქალი დანიშნა, იმ დღეებში ქორწილსაც აპირებდა, მაგრამ ეს საქმე აღარ მოხერხდა: სხვათა და სხვათა მიზეზთა გამო.

*

ტუკვაძე ბიჭიკომ რესტორანში გაიცნო. როგორ მოხდა ეს გაცნობა, ახლავე მოგახსენებთ. მართალია, ამ ამბავს პირადად არ დავსწრებივარ, *მაგრამ ერთი პატიოსანი პიროვნება (ამისათვის მას მადლობას მოვახსენებ)* დაწვრილებით მომიყვა ყველაფერს.

ბიჭიკო თავის ძმაკაცებთან ერთად ქეიფობდა. მაგიდა შუა დარბაზში ჰქონდათ გაშლილი და ისეთნაირად იყვნენ ეშხში შესული, რომ ყველას ყურადღებას იქცევდნენ.

მარჯვნიდან და მარცხნიდან მათ სუფრაზე ღვინოებს აგზავნიდნენ. ეს ბიჭიკოსა და მისი ამხანაგებისათვის ისეთი ჩვეულებრივი რამ იყო, რომ ამ ამბავს ყურადღებას არ აქცევდნენ.

რესტორანში ტუკვაძე შემოვიდა. ტუკვაძეს ვიღაც პატარა ტანის, შავი კაცი შემოჰყვა. მაშინ ნაშემოდგომევი იყო და ორთავეს ტყავის პალტოები ეცვათ. ისინი მოშორებით ცარიელ მაგიდას მიუსხდნენ, ღვინო მოითხოვეს .

ბიჭიკოს ამხანაგები ტუკვაძეს მორიდებით მიესალმენ; ისინი იცნობდნენ ტუკვაძეს და მისდამი განსაკუთრებულ მოკრძალებასაც ამჟღავნებდნენ. ბიჭიკოს ახლადშემოსულებისაკენ არც გაუხედავს, თუმცა იგი ისევე იცნობდა ტუკვაძეს, როგორც დანარჩენი თანამესუფრენი.

ტუკვაძეს ამ ქალაქში ისედაც ყველა იცნობდა. უფრო მეტიც, მისი ეშინოდათ კიდეც: რატომ? — იკითხავს ახლა ზოგიერთი. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძალიან ძნელია და არც ისეთი საინტერესოა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს.

ტუკვაძე ზამთარ-ზაფხულ თვალებზე ქუდჩამოფხატული დადიოდა. ხელები ტყავის ან საზაფხულო პალტოს ჯიბეებში ჰქონდა ჩაწყობილი. სხვათაშორის, როცა კაცი ჯიბეებიდან ხელებს არ იღებდა, ეს მაშინ ბევრ რამეს ნიშნავდა.

ბიჭიკოს ამხანაგებმა ტუკვაძე ფეხზე ადგომით ადღეგრძელეს. ტყავის პალტოში გახვეული ტუკვაძე სკამზე ძლივს ეტია, მოქეიფეებს ხელით ანიშნებდა: მადლობელი ვარ, დაჯექით, ფეხზე ნუ დგებითო.

როცა ბიჭიკო ფეხზე წამოდგა, ტუკვაძე შეიშმუშნა, სკამზე გასწორდა და ღეგრძელობის მოლოდინში უფრო სერიოზული სახე მიიღო.

ბიჭიკომ სადღეგრძელოს თქმის ნაცვლად დამკვრელებს დაუყვირა რაღაც. დამკვრელებმა საცეკვაო დაკვეს. ბიჭიკომ შვიდი კაცის პურმარილით სავსე მაგიდა კბილებით ასწია და იცეკვა.

ტუკვაძე, როგორც შემდეგ თქვეს, საშინლად გააბრაზა ამ გამოხტომამ. მან მალე ღვინის სმაც მიატოვა და წავიდა. კარებთან ბიჭიკოს ნერვიული, ჭახჭახა სიცილი დაეწია. პატარა, შავმა კაცმა ბოროტი თვალებით მოიხედა უკან— ეს მოხდა იმ წლის 14 დეკემბერს. ამის შემდეგ, ე. ი. დაწყებული თოთხმეტი დეკემბრიდან გაზაფხულამდე ტუკვაძე თითქმის ყოველდღე ვარჯიშობდა, რაღაც მძიმე მაგიდა კბილებით აეწია. ბევრმა ისიც კი თქვა, — სასურველ შედეგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც მიაღწიაო. ამის შემდეგ ტუკვაძე ხელსაყრელ შემთხვევას ეძებდა, ეცდებოდა როგორმე ბიჭიკოსთან ერთად სუფრაზე მოხვედრილიყო:

— თუ რესტორანში, როცა ამხანაგებთან ქეიფობს, მაშინ დავინახე, მივალ, მათ მაგიდას კბილებით ავწევ და ვიცეკვებ. მერე გავიყვან გარეთ... ჩხუბზე უკან არ დაიხევს, თუ გამლახა, ამოვიღებ სასროლს და დავაგორებ ძირს, მაშინ ხომ მიცნობს, ვინცა ვარ.

ასეთ შემთხვევას ტუკვაძე ვერა და ვერ შეესწრო. მართალია, იგი ბიჭიკოს არც თუ ისე იშვიათად ხვდებოდა, მაგრამ ხვდებოდა მხოლოდ ქუჩაში და ისიც როცა ბიჭიკო ქალალდებითა და რაღაც ნახაზებით დატვირთული საქმეზე ჩქარობდა.

ასეთი შეხვედრების დროს ტუკვაძე ნაბიჯს ანელებდა, ბიჭიკოს გულდაგულ აშტერდებოდა და ფიქრობდა: თვალებით გავაფუჭებო. ბიჭიკო კი ან ზედაც არ შეხედავდა ტუკვაძეს, ან ირონიულად გაიღიმებდა. ამაზე ტუკვაძე ცოფდებოდა.

ამის შემდეგ მოხდა ზემოთ აღწერილი ამბავი. ტუკვაძეს არც ეგონა ბიჭიკოს ქეიფისა და დროსტარების მეტი თუ რამე შეეძლო და როცა ნახა, რომ ბიჭკო ყოველდღიურ საქმეში იყო ჩაბმული, მოთმინება დაელია.

ერთი ბნელით მოცულ საქმეზე ტუკვაძემ ვიღაცეებს ეჭვი ბიჭიკოზე ააღებინა და წარადგინა საჩივარი იქ, სადაც ჯერ არს.

როგორც გახსოვთ, ბიჭიკო იმ ღამესვე დაამტკიცერეს, თუმცა ამით არ გათავებულა ყველაფერი.

ბიჭიკო მეორე დილითვე მოვიდა სახლში. ხოლო ომმდევნო ღამეს ისევ წაიყვანეს. ისე რამდენიმე ღამის განმავლობაში აკაკუნებდა ტუკვაძე ბიჭიკოს სახლის კარებზე. ბიჭიკო დილით ჩვეულებრივად ბრუნდებოდა სახლში, ხოლო ერთ დილით არაჩვეულებრივად, უფრო სწორად, თავპირდასიებული დაბრუნდა.

გალახული ბიჭიკო ვიღაცეებს დაენახათ კიდეც, მაგრამ ამ ამბისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ. მეზობლებმა იფიქრეს, ალბათ დათვრა და გალახეს სასტიკადო.

ბიჭიკო მოსვლისთანავე ოთახში ჩაიკეტა, კარები დიდი ფიცრებით აკეედა დარაბები დახურა და დაწვა. მეორე დღეს მდგმურებმა რამდენჯერმე მიაყურეს კარებს: — რას შვრება, ხომ არაფერი დამართიაო. ბიჭიკო პაპაიროსს ეწეოდა და ლაპარაკობდა, მაგრამ ისე ხმადაბლა, რომ ვერაფერს გაარჩევდით. მესამე დილით, როცა მდგმურებმა ნახეს, რომ სახლის პატრონი გარეთ გამოსვლას ლარ აპირებდა, რაღაც მოითათბირეს და ოთახის კარებს მიადგნენ.

შუადღე იყო. მზე პირდაპირ აჭერდა. კარებზე ხნირმა სტუდენტმა, ჯარში რამყოფმა მდგმურმა ვარლამმა მიაკაკუნა. მეორე, ელამი თვალების პატრონი მდგმური კიბის ძირში გაჩერდა.

— რომელი ხარ? — მოისმა ჩაბნელებული ოთახიდან.

— მე ვარ, ვარლამი, გააღე ერთი კარი!

— მაცალე, ჩავიცვა.

ვარლამი კარების გაღებას მოლოდინში კიბის მოაჯირს ზურგით მიეყრდნო და თავი რაც შეეძლო უკან გადაწია, რათა სახე სახლის ჩრდილში მოექცია.

კარების მაგივრად ფანჯარა გაიღო. რაფაზე ხალათზე ქამარშემოკერილი, ჩვეულებრივად ჩაცმული ბიჭიკო იდგა. ვარლამს რაღაც უნდოდა ეკითხა, მაგრამ ვერ მოასწრო, ხოლო ელამმა იქვე შეატყო, საქმე მთლად კარგად რომ არ უნდა ყოფილიყო და ყოველ შემთხვევისათვის კიბის ქვეშ შეძვრა. ბიჭიკო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსაც სინათლე თვალებს ტკენდა, ძირს დახტა: მდგმურები არც შეუნიშნავს, ხის ძირას მოზრდილი ქვები აიღო და გაიქცა, სახლის უკან, ფეხსალაგთან ღობეს ეცა, ორი სარი ლურსმნებიანად გაიტანა და მეორე ეზოში, სადაც ძველი, თავწამტვრეული ეკლესია იდგა, ყვირილით გადაეშვა:

— ტუკვაძე, შენი დედა!.. მოგკლავ!.. სად წახვალ!

შეშინებული მდგმურები უკან დადევნენ. გარღვეულ მესერში პირველი ელამი გამოძვრა. მეზობლები ღობეებს მოაწყდნენ. ბიჭიკო გაცოფებული ყვიროდა და ეკლესიის გარშემო დარბოდა. ეკლესიაში იმყოფად საწყობი იყო მოთავსებული. საწყობის გამგე, რომელიც იმ წუთას თვეზს წონიდა, კასრებს უკან დაიმალა; მართალია, მისი გვარი ტუკვაძე კი არა, ბაზაძე იყო, მაგრამ რატომღაც ეშინოდა, რომ მას ეძებდნენ.

— ტუკვაძე, მოგკლავ! — ბიჭიკო როდესაც ქვის სროლას დააპირებდა, ტუკვაძე კუთხეში მიმალვას ასწრებდა. ბიჭიკო უკან ტრიალდებოდა და ტუკვაძეს თავს უვლიდა. ბევრს მართლა ეგონა, ვიღაც გაურბოდა და იმალებოდა:

— ტუკვაძე, შენი დედა!..

არ იფიქროთ, თითქოს განგებ, ზრდილობის გულისთვის ვამოკლებდე ამ სიტყვებს. ბიჭიკო მართლაც არ ამთავრებდა წინადადებას. — შენი დედაო...— იძახდა მხოლოდ.

ნახევარი საათის შემდეგ ბიჭიკო დაწყნარდა, ქვები გადაყარა, თავის ეზოში შევიდა და კიბეზე ჩამოჯდა. იგი მძიმედ სუნთქავდა, რაღაცას ჩურჩულებდა; თვალები უცნაურად ამოუთეთრდა. ეზო ხალხით გაივსო. ნაცნობი და უცნობი შიგ შემოვიდა. ბიჭიკო ხანდახან აწევდა თავს და აქეთ-იქით უაზროდ იყურებოდა: ცნობდა თუ არა ვინმეს, ძნელი სათქმელია. ერთ-ერთმა მდგურმა, ეზოში შემორეკილი ,ცნობისმოყვარენი ჭიშკარს გადაღმა გადარეკა. დიდად ნასიამოვნები ხალხი ნელნელა დაიშალა.

მეორე დღეს, ზუსტად ამავე დროს ასეთივე ამბავი განმეორდა.

ამის შემდეგ ბიჭიკო საავადმყოფოში მოათავსეს. მისი წაყვანა არ გაჭირვებიათ. ბიჭიკოს არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია, მშვიდად ჩაჯდა ეტლში და რაღაც წარტილს მიაშტერდა. ეტლიდან გადმოსვლისას ვიღაცეებმა ხელი შეაშველეს, მაგრამ ბიჭიკომ ყველანი გაწი-გამოწია. როცა სადარბაზო კარი გაიღეს, ბიჭიკო დაუკითხავად შევიდა შიგ და ქვის კიბეს აჰყვა. კიბეზე მოწითალო ნოხი იყო დაფენილი.

ოთახის კედლები თეთრად იყო შეღებილი. ფანჯარას რკინის გისოსები ჰქონდა. ექიმებს თეთრი ხალათები ეცვათ. ბიჭიკოს პირველად არაფერზე არ სურდა პასუხის გაცემა, მაგრამ ბოლოს აღმოჩნდა, რომ მისთვის სულერთი იყო, რას ეკითხებოდნენ და რას პასუხობდა. ამიტომ „ავადმყოფობის ისტორია“ ნაწილობრივ პაციენტისა და ნაწილობრივ სხვების დახმარებით მაინც შეივსო.

როცა ბიჭიკომ რამდენიმე უაზრო წინადადება წარმოსთქვა, ერთმა სათვალიანმა ექიმმა კოლეგას ავტორიტეტულად გადაულაპარაკა: გონების გაფხვიერება და აშკარად გამოხატული აუტიზმის ნიშნები აქვსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავადმყოფობის ისტორია

ავადმყოფი — ბიჭიკო ათანასეს-ძე
წლოვანება — 37
განათლება — უმაღლესი
ეროვნება — ქართველი
კლინიკაში შემოსვლის წელი — ... თვე... რიცხვი
ანამნეზისი:

დედა — დიასახლისი. წერა-კითხვის მცირე მცოდნე, ღვთის მოშიში; მგრძნობიარე ქალი, გარდაიცვალა ორმოცი წლის ასაკში.

მამა — ვაჭარი. ახალგაზრდობაში სვამდა. ბოლო ხანებში ქრონიკული ალკოჰოლიზმით იყო დაავადებული. გადაიტანა თეთრი ცხელება (delirium tremens), მოკვდა ორმოცი წლის ასაკში.

ავადმყოფის დედამ ჩვეულებრივად მოიღოგინა; მაშები ხმარებული არ იყო. ძუძუმწოვარ ბავშვს ღვინოს არ ასმევდნენ. ძილში არ ყვიროდა. მაღლიდან არ გადმოვარდნილა. სქესობრივად ნორმალურად მომწიფდა. იყო ჯიუტი, თავმოყვარე; ვენერიული სნეულება არ გადაუტანია. დიდი სულიერი, თავზარდამცემი უბედურება არ უნახავს. შეურაცხყოფა არავის მიუყენებია. ეწევა თამბაქოს. ეტანებოდა ღვინოს. ბოლო დროს აღარ სვამდა. ჰქონია პათოლოგიური სიმთვრალის შემთხვევებიც: გამოძინების შემდეგ თავს გრძნობდა ნორმალურად, თვითმკვლელობის ცდა და ბოდვითი იდეები არ ჰქონია.

როდის და რაში გამოიხატა ავადმყოფობის წინასწარი ნიშნები, გაურკვეველია. გადაჭარბებული მხიარულება ან დარდიანობა, კრიტიკის დაქვეითება, გულურები და სხვა არ შეუნიშნავთ.

ვინ იყო ტუკვაძე?.. როგორც ექიმებისათვის, ისე გარეშე პირთათვის პირველ ხანებში არ იყო ცნობილი, რადგან ამ კითხვაზე პაციენტი არც პასუხს იძლეოდა და გარკვეულ მომენტამდე, არც რეაქციას ახდენდა.

ავადმყოფის ისტორიის ის ნაწილი, რომელიც მე საქმის ფურცელი №-დან ამოვიწერე და რომელსაც ქვემოთ ვაქვეყნებ „ავადმყოფობის ისტორიაში", როგორც ჩანს, მოგვიანებით გაჩენილა. ვინ მისცა ასეთი ჩვენება ექიმებს, პირადად ჩემთვის საიდუმლოებითაა მოცული.

...ავადმყოფი... ბიჭიკო ათანასეს-ძე ყმაწვილკაცობაში და შემდეგაც ქალებისადმი უცნაურ მორიდებას ამჟღავნებდა. მდედრობითი სქესის საზოგადოებას გაურბოდა. კლინიკაში შემოსვლამდე მისმა ამხანაგმა ტუკვაძემ (ხაზგასმა ჩემია) წაიყვანა ვიღაც საეჭვო ყოფაქცევის ქალთან. ტუკვაძემ იგი, ე. ი. ავადმყოფი, ჩაბნელებულ ოთახში შეგზავნა. ბიჭიკო... ამან და ამან (განგებ ვამოკლებ გვარსა და სახელს. ავტორი) ტანთ გაიხადა და შეწვა საწოლში, სადაც, მისი აზრით, იმყოფებოდა ზემოხსენებული დედაკაცი; სინამდვილეში საბნის ქვეშ აღმოჩნდა კაცი, ნავარაუდევი ქალის ქმარი. ამასობაში ტუკვაძემ და დანარჩენმა ამხანაგებმა, რომლებიც ოთახში ყოფილან დამალულნი, სიცილი ატეხეს. ერთმა მათგანმა ელექტრონის ღილაკს დააჭირა თითი და შუქი აანთო.

ტუკვაძემ და მისმა ამხანაგებმა ეს ჩაიდინეს ხუმრობის მიზნით, არ გაუთვალისწინებიათ მეგობრის შთამომავლობითი ნერვული სისუსტე და სხვა.

იმავე დღეს ბიჭიკო ტანთ გააშიშვლეს, დაუწყეს ტანზე ნაწიბურებისა და ენაზე ნაკბენების ძებნა; მხედველობის, ყნოსვის, გემოს, სმენის ვარგისიანობის დადგენა; კუნთების მგრძნობიარობის გასინჯვა; თვალის გუგის რეფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექსების, რქოვანი გარსის კონიუქტივიტის ნიშნების, მუხლის მყესის შექმნადების, არტიკულაციის შემოწმება. მისცეს ენის გასატეხებიც: — შენი ყოჩი ჩემსა ყოჩსა რას ერჩოდა, რას ელტოდა, რას ერქავრეხილებოდა და სხვა მხიარული ანდაზები.

აქვე, ინტელექტუალური სფეროს გამოკვლევის მიზნით, ჩაუტარეს იდეათა ასოციაციური ექსპერიმენტები. ასეთი ცდების საფუძველზე ხშირად, მართლაც ხერხდება პიროვნების ზოგიერთი თავისებურებების დადგენა და ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზების ნაწილობრივი შესწავლა.

სიტყვა-გამღიზიანებლებზე ცდის პირი ზოგჯერ მართლაც საინტერესო პასუხებს იძლევა, მაგრამ ბიჭიკო უმეტესად დუმდა ან, ექიმების აზრით, ისე უშინაარსოდ პასუხობდა, რომ მეცნიერებისათვის ახალი არაფერი მიუცია.

ბიჭიკოს ექიმმა თვალები დახუჭა. ავადმყოფი მალე გადავიდა სომნამბულიზმში.

კითხვა	პასუხი
1. ხმა — (ოთხი წუთის შემდეგ)	დიახ, გასაგებია ბატონო, მესმის.
2. მიზანი (ორი წუთისა და 9 სეკუნდის შემდეგ)	მოვკლავ სულერთია.
3. კაცი (დრო არ ჩაუნიშნავთ)	არა, არ მინახავს.
4. გაქცევა	არც მიფიქრია.
5. მოკვდა (სწრაფად)	მე არა, ტყუილია.
6. ჩხუბი (II სეკუნდის შემდეგ)	ბევრი იყვნენ, ყველა ერთად (ენა ებმის)
7. შიში (ავადმყოფი ღელავს)	პასუხი არაა.
8. ცემა (ნერვიულობს)	ღამე...
9. თქვი (აღელვება. ავადმყოფს ოფლი ასხამს)	არ შეიძლება, მომკლავენ
10. ტუკვაძე (ავადმყოფი ზევით წამოიჭრება, შემდეგ წყნარდება)	ტუკვაძე
11. ღამე —	პასუხი არაა.
12. დიდი —	პასუხი არაა.
13. მგელი (არავითარი რეაქცია)	პასუხი არაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი თვის შემდეგ ავადმყოფი სახლში დაბრუნდა, მკურნალობას არავითარი ნაყოფი არ გამოეღო. ბიჭიკო ყოველ დღე, ერთსა და იმავე დროს, გავარდებოდა გარდვეულ ღობეში (ღობეს განგებ აღარ აკეთებდნენ), იყვირებდა, ირბენდა ეკლესიის გარშემო, შემდეგ დაწყნარდებოდა, დაჯდებოდა მშვიდად, ამის მეტს ქვეყანაზე არაფერს აშავებდა.

მეზობლები შეეჩვივნენ ამ ამბავს. ბიჭიკოს ყვირილზე აღარავინ ფრთხებოდა. საწყობის გამგე ბაზაძე იმ ადგილზე, სადაც გახელებული ადამიანი ქვებით ხელში დარბოდა, იდგა და ფულს ითვლიდა, ანდა ქვითრებს აწერდა ხელს.

ჩვენს ქალაქში ერთხელ, გავლით, ცნობილი პროფესორი ჩამოვიდა. ამ პროფესორს ბიჭიკოც ანახეს. პროფესორმა თქვა: — მორჩენა შეიძლება, რადგან ფიზიკურად ძალიან ჯანმრთელია და ინტელექტითაც გამოირჩევა სხვა ამდაგვარი ავადმყოფებისგანო. მხოლოდ რომელიმე დიდი ქალაქის კლინიკაში უნდა დაწვესო ხანგრძლივად.

ბიჭიკოს შორეული ნათესავები ძალიან შეწუხდნენ, მაგრამ მისი სადმე წაყვანა ვერც ერთმა ვერ იკისრა.

მოსკოვში მცხოვრებ ბიჭიკოს ბიძაშვილსაც შეატყობინეს ეს ამბავი. ბიძაშვილიც, რომელიც ბიჭიკოს გაზრდილი იყო, რასაკვირველია, დიდად შეწუხდა, მაგრამ რატომღაც ვერაფერი ვერ მოახერხა. ერთხელ წერილიც გამოგზავნა: თუ საჭირო იქნა, ფულით დაგეხმარებითო, მაგრამ ბოლოს, როგორც ჩანს, ესეც გადავიწყდა. ბიჭიკოს ამხანაგებმა რამდენჯერმე სცადეს ფულის შეგროვება; უნდოდათ თვითონვე წაეყვანათ მეგობარი სამკურნალოდ, მაგრამ ამ საქმეს თავი ვერ მოაბეს. ისინი სუფრაზე ქეიფის დროს საქართველოს და წინაპრების დღეგრძელობის შემდეგ, აუცილებლად ბიჭიკოს გაიხსენებდნენ, შემდეგ თავიანთ თავს და ერთმანეთს ლანძღავდნენ იმისათვის, რომ ამხანაგს ვერაფერს უკეთებდნენ.

— ჩვენ ვართ ხალხიო? — ამბობდნენ და სხვა სადღეგრძელოზე გადადიოდნენ.

მალე ომი დაიწყო. ბიჭიკო ათანასეულძისთვის მართლაც აღარავის ეცალა.

ბიჭიკოს ჯარში ნამყოფი მდგმური ვარლამი, როგორც გამოცდილი, სასწრაფოდ ფრონტზე გაიწვიეს. ვარლამს შვილი არ ყავდა და ცოლი კი ერთი წლის მერე გათხოვდა.

ბიჭიკოს სახლი მთლიანად მეორე მობინადრეს, ელამს დარჩა. იგი თვალების უსწორო-მასწორობისათვის გაანთავისუფლა სამხედრო კომისიამ და ღრმა ზურგში დატოვა.

ისე, ცოდვას ვერ ვიკისრებ, მდგმურს სახლის პატრონის გარეთ გაგდება არც დაუპირებია. პირიქით, სამზარეულოში რკინის საწოლი დაუდგა, აუშვადა, აცმევდა (შესაფერისად, რასაკვირველია). თავის მხრივ, ბიჭიკოს გაჩერებულს ვერ ნახავდით: ელამი ყოველგვარ საქმეში იყენებდა.

*

ომი დამთავრდა. ბიჭიკოსათვის არც არაფერი დამთავრებულა, არც არაფერი დაწყებულა. მის გარშემო კი ყველაფერი იცვლებოდა, ძველი მიდიოდა, ახალი ჩნდებოდა. ახლო-მახლო უამრავი სახლი გაშენდა, ხალხი გამრავლდა, ბავშვები დაიბარდნენ. ბიჭიკო წინანდებურად დასდევდა ტუკვაძეს. ამ პროცეს მხოლოდ ნახევარ საათს ანდომებდა. არც მეტს, არც ნაკლებს. თავწატეხილი ეკლესია შეაკეთეს, საწყობის გამგე ბაზაძე დაიჭირეს; ეკლესია გაწმინდეს, როგორც კულტურის ნაშთი დაიცვეს, შეინახეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიჭიკო ისევ ეძახდა ტუკკაძეს. მერე თვითონ ბიჭიკოს შეარქვეს ტუკკაძე და მალე მისი ნამდვილი გვარი გადავიწყდათ.

მოცლილმა ხალხმა, ვინც აღრე ბიჭიკოს არ იცნობდა, რამდენჯერმე სცადა კიდეც ბიჭიკოს გამასხარება, მაგრამ დაცინვაზე ბიჭიკო არ რეაგირებდა; ასეთი ცდები შემდეგში აღარ განმეორებულა.

ეკლესიის დიდ ეზოში სახლები ჩადგეს, თვითონ ეზოს აგურის ყორე შემოავლეს და ბიჭიკოს სირბილი და ყვირილი დაუშალეს. ბიჭიკომ რამდენჯერმე სცადა ყორეზე გადახტომა, მაგრამ ვერ შეძლო, თანაც მილიციის თანამშრომლებმა სასტიკად აუკრძალეს მშვიდობიანი მოსახლეობისათვის მყუდროების დარღვევა.

ამის შემდეგ ბიჭიკოს დიდი ხანი აღარ უცოცხლია. ხალხი ამბობდა: სირბილი და ყვირილი რომ დაუშალეს, იმიტომ მოკვდა. ეს რამდენად სწორია, ვერ ვიტყვი.

ბიჭიკო მაისის ბოლო რიცხვებში გარდაიცვალა. წუნარად, ხმისამოუღებლად გათავდა. სიკვდილის წინ ჭერს უყურებდა და რას ფიქრობდა, არავინ იცის. შეიძლება ვერც ხვდებოდა, რომ კვდებოდა. მას არ ახსოდა, თუ ვინმემ ოდესმე ცუდი გაუკეთა, ან ცხოვრებაში ვინმემ რამე დაკარგვინა; გარდაიცვალა დაფიქრებული და თავისი ბედის კმაყოფილი: ადამიანებს ყველაფერი აპატია.

*

გასვენებაზე უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. მართალია, ბევრი მიცვალებულის მდგმურის პატივსაცემად იყო მოსული, მაგრამ უმრავლესობა ბიჭიკოს ძველი მეგობარი და ნაცნობი იყო. აღმოჩნდა, რომ არავის დავიწყებოდა იგი ისე, როგორც ჩანდა; თურმე სადღაც ყველს ახსოვდა ბიჭიკო ათანასეს-ძე. ამ ზღვა ხალხში ისეთებიც ერიენენ, რომელთაც ბიჭიკოს გვარი ტუკკაძე ეგონათ.

სხვათაშორის, გასვენებაში თვითონ ნამდვილი ტუკკაძე მოვიდა; იგი ნაცნობმა მოიყვანა. ნაცნობმა უთხრა: — ერთ ჩემ მეგობარს (ბიჭიკოს ელამ მდგმურზე ამბობდა, ნათესავი მოუკვდა; თუ არ ვცდები, შენი მოგვარე უნდა იყოს, საქმე თუ არაფერი გაქვს, გასვენებაში წავიდეთო.

ტუკკაძემ ერთი გაიფიქრა — ვინ ჩემი მოგვარეა ნეტავ — და რადგანაც საქმე მართლაც არაფერი ჰქონდა, ნაცნობს წაყვა. როდესაც ისინი ეზოში შემოვიდნენ, ხალხი უკვე ხეებქვეშ გაშლილ სუფრაზე დახვდათ. ტუკკაძეს რაღაც გაახსენდა და ამხანაგს კითხა·

— აქ ამ ეზოში ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის წინათ ერთ კაცს ვიცნობდი, სად არის ნეტავ, ხომ არ იცით? — ამხანაგს პასუხი არ გაუცია, რადგან ჭიშკართან ხალხი ირეოდა და ნაცნობების მისალმებას ძლივს აუდიოდა.

ოთახის ღია კარებიდან ფისგარმონიის ნაღვლიანი ხმები გამოდიოდა. შიგ არავინ ტიროდა. სასახლესთან ბიჭიკოს თმაშეჭაღარავებული მეგობრები იდგნენ და რაღაცას ფიქრობდნენ.

სამძიმარზე ტუკკაძე არ შესულა. ამხანაგს უთხრა: — მე რა მინდა, რომ შემოვიდე, მაინც არავის ვიცნობ. ამდენ ხალხში ნუ შემიყვან, ისეც სული მეხუთება. ნაცნობს ძალი აღარ დაუტანებია. ტუკკაძე გვერდზე მიდგა და ღობესთან ლანდივით გაჩერდა. ცარიელი ძველი და ტყავი იყო დარჩენილი. ყველას გაუჭირდა მისი ცნობა. იგი ხალხის განაკიდეს საცოდავად იდგა და ისე საწყლად იყურებოდა, რომ გამვლელები ყურადღებას აქცევდნენ. ტუკკაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველას გზას უთმობდა, თუ ვინმე დაეჯახებოდა, პირიქით იხდიდა ბოდიშს.

საოცრად იყო შეცვლილი: სახე თითქოს დაპატარავებოდა და გაშავებოდა. გადაშვებული ხალათი ეცვა და მაჯაზე დიდი, ძველთაძველი საათი ეკეთა. ზოგიერთებმა მაინც იცნეს და კანტიკუნტად მიესალმენ კიდეც. ტუკვაძე ქუდს ჭმუჭნიდა ხელში, სალამზე თავაზიანი თავის დაკვრით პასუხობდა. ტუკვაძე დიდი ხნის გადაკარგული იყო ამ ქალაქიდან; აქაურებმა მისი ასავალ-დასავალი არ იცოდნენ. ამბობდნენ — დაჭერილია, ციმბირში მოკვდაო.

მამაკაცები ერთმანეთს უჩურჩულებდნენ: — ტუკვაძე ჩამოსულა, ნახე რას დამგვანებიაო. ბევრი ტუკვაძესთან ახლოს მივიდა, ზოგმა ხელიც ჩამოართვა. ბალე ტუკვაძის ირგვლივ პატარა წრეც შეკრეს. ზოგს უკვირდა კიდეც: — რაა ცხოვრება, როგორ თავისუფლად ველაპარაკებითო. ოთახიდან გამოსულმა ნაცნობმა, ორდესაც ტუკვაძესთან იმდენი მამაკაცი დაინახა, გაიფიქრა — ნაცნობები ისეც ბევრი უნახიაო — და პირდაპირ სუფრაზე დაჯდა.

ქელეხზე ტუკვაძეც მოიპატიჟეს. ტუკვაძემ უარი თქვა: — ჭამა მე არ შემიძლია და სმა, რა მინდა რომ დავჯდე, დიდი მადლობელი ვარ, ბატონო...

ტუკვაძე წუნარი, სუსტი ხმით ლაპარაკობდა: ჯიბიდან წამლებს იღებდა და მოსაუბრეებს უჩვენებდა:

— კუჭის წყლული მაქვს, მომკლა. აპერაცია გავიკეთე, მაგრამ ვერ მოვკეთდი ჯერ. ახლა დავდივარ ავადმყოფი კაცი, პენსია მინდა დავინიშნო, მაგრამ არ ხერხდება... არა და რა გინდა რომ ქნა... მუშაობა მე არ შემიძლია და არაფერი...

მოსაუბრეებს ეცოდებოდათ ტუკვაძე. ზოგიერთი სიტყვიერადაც ამშვიდებდა:

— გაგიკლის შე კაცო, არაფერი გიჭირსო.

ტუკვაძეს ნაცნობმა, როცა სამი-ოთხი ჭიქა ღვინო დალია, თქვა:

... ტუკვაძეზე მოგახსენებთ... კიბო აქვს გონია მაგ უბედურს და არ იცის თვითონ...

სახლიდან ჯერ ბიჭიკოს დიდი სურათი გამოიტანეს, შემდეგ კუბო გამოასვენეს. ბიჭიკოს სურათი პატარა ბიჭს ეჭირა ხელში. ამ ბიჭს თხელი, ქერა თმები გვერდზე გადაეკარცხნა, ტანზე ძალიან თეთრი პერანგი ეცვა. ეზოში მდგარი ხალხი სურათს მიცვივდა. ბიჭიკოს გულგადეღილი, ღირკლებიანი ხალათი ეცვა. სურათიდან ფართო მკერდი და ღონიერი კისერი ილანდებოდა. ბიჭიკოს წარბები ზევით ჰქონდა აჭაჩული და ცრობისმოყვარე ხალხს ამაყად უყურებდა.

კუბო ქუჩაში გაიტანეს. ბიჭიკოს გამტყდარი, გადაფითრებული სახე უკანასკნელად დავინახე.

ტუკვაძე პატარაზე გაყვა პროცესიას და შემდეგ უკან გამობრუნდა. ხალხი ჩუმი სიცილითა და მხიარული საუბრით მიაცილებდა მკვდარს. სასაფლაოსკენ მიმავალი ქუჩა აღმართად მიდიოდა. გრილი, სასიამოვნო ნიავი ქროდა. ხალხი ნელა მიაბიჯებდა აღმართზე. ტუკვაძე მარტოდ-მარტო მიდიოდა ქვევით და ჩანდა, ყოველი ფეხის გადადგმა უჭირდა: სახე ემანჭებოდა, ეტყობოდა აუტანელი ტკივილები აწუხებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომარ ხაიამი

რუბაიები

მახლობელი აღმოსავლეთის XI — XII საუკუნეთა დიდი მოაზროვნის, ფილოსოფოსის, ატრონომის, მათემატიკოსისა და სპარსულ-ტაჯიკური ლიტერატურის პარწყინვალე წარმომადგენლის ომარ ხაიამის პოეტური მემკვიდრეობა დღითიდღე მეტ ინტერესს იწვევს თანამედროვე მეცნიერთა და მკითხველთა შორის. ამის დამადასტურებელია სხვადასხვა ხელნაწერთა მრავალზისი გამოცემა და ახალ-ახალი თარგმანების სიუხვე, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე აზიისა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში.

პოეტის ლაკონიურმა, კომპოზიციურად უაღრესად შეკრულმა და სხარტმა რობაიებმა აზრთა სიღრმისა და აფორისტული მოქნილობის წყალობით კლასიკურობისა და ხალხურობის უფლება მოიპოვა.

ორთოდოქსალური ისლამის ფანატიზმით დასიცხულ უდაბნოში ოაზისივით ფშვენდა ხაიამის ხალასი ლირიკა. მუსლიმანურ მშრალ დოგმატიკას პოეტმა ამქვეყნიური სიამოვნებანი დაუპირისპირა, რომელთაც ყურანი სასტიკად კრძალავდა. თავისი დროის დიდი მოაზროვნე, პოეზიაშიც მეცნიერული პოზიციებიდან გამომდინარე, ჩვენისებური ლოგიკით ბჭეს ურყევდა ყოველგვარ ბრმა რწმენისა და თეოლოგიურ პრინციპებს. მის ლექსებში მხილებულ იქნა შუასაუკუნეობრივი ბნელეთი, მთელი თავისი ბრწყინვალეებთა და ძონძებით, კანონთა და უსამართლობით, ცრუ რწმენებითა და ურწმუნოებით. იმდროინდელი ერთ-ერთი თეოლოგის თქმით „ხაიამის ლექსები ისლამს შხამიან გველებად ევლინებოდა“.

რვანახევარი საუკუნის მიღმელი პოეტი დღესაც აღელვებს მკითხველს დიადი ჰუმანიზმითა და დახვეწილი ხელოვნებით.

მიეხებოდად იმ დიდი მუშაობისა, რომელიც წარმოებს ომარ ხაიამის პოეტური მემკვიდრეობის შესასწავლად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, ჯერჯერობით არ არსებობს აკადემიური, კრიტიკულად დადგენილი ისეთი ტექსტი, რომელიც საკმაოდ დააკმაყოფილებდა მეცნიერების დღევანდელი მოთხოვნილების დონეს.

ამის გამო, ქვემოთ წარმოდგენილ თარგმანებს საფუძვლად უდევს ომარ ხაიამის „რობაიათის“ როგორც ძველი, ისე უახლესი საუკეთესო ტექსტები, რომელნიც გამოცემულ იქნა გასული საუკუნის შუა წლებიდან მოყოლებული დღევანდლამდე მსოფლიოს სხვადასხვა მეცნიერთა მიერ, ესენია: ფ. ნიკოლს, ა. ქრისტენსენს, ფ. როზენის, ს. ნაფისის, მ. ფურუღის, ა. არბერის, მ. ზანდის, რ. ალიევისა და მ. ოსმანოვის გამოცემები.

*

რა საოცრად მიქარავნობს ჩვენი ყოფნის ქამი,
უღვინოდ და უქეიფოდ არ დავკარგოთ წამი,
მერიქფეკ, არ გაიგლო ხვალინდელზე სევდა,
ღამე გადის, აბა, ჩქარა, მომაწოდე ჯამი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

ყვავილის ღაწვზე გაზაფხულის ნამი სჯობია,
ბაღნარში ქალთან სალაღობო ჟამი სჯობია,
გუშინდელ დღეზე ნუ მოჰყვები სევდას და ნაღველს,
მთელ გუშინდელ დღეს დღევანდელი წამი სჯობია.

*

დღენი გადის, გინდ ილაღე, თუ გინდ დაინავსე,
ბაღდადი და ბალხი რაა, ჯამი თუ გაქვს სავსე,
მოასწარი და შეირგე ღვინო, თორემ მალე
ჩვენ წავალთ და ეს მთვარე კი კვლავ იბრუნებს ცაზე...

*

ნუ ნანობ ცოდვებს, არას გარგებს უიმედობა,
ტყუილ-უბრალო ცრემლების ღვრას ნურვინ ენდობა,
ვინც არრა სცოდა, რალად უნდა შენდობა იმას,
იცოდე, მხოლოდ ცოდვილთათვის არის შენდობა.

*

ამ ქვეყნად გმართებს, არ გადასცდე სიფრთხილის კიდეს,
მოსავალს შენსას ქვეყნად უნდა უჩუმრად მკიდე,
სანამ გაქვს ენა, ყურები და თვალებიც გიჭრის,
უნდა დამუნჯდე, დაყრუვდე და დაბრმავდე კიდეც.

*

შეეშვი ლოცვას, დიხსენი რწმენის მარწუხებს,
იყავ კეთილი და შენს მოძმეს ნუ შეაწუხებ,
მომეცი ღვინო და იმ ქვეყნად როცა წარვსდგებით,
იქ, სამსჯავროზე შენს მაგივრად მე ვუპასუხებ.

*

იმხიარულე და ცხოვრება გაილამაზე,
დრო რომ იცვლება, ნუ ინაღვლი, ძმაო, ამაზე,
ქვეყნად ყოველი მარადისი რომ ყოფილიყო,
არ გაჩნდებოდი არასოდეს ამ ქვეყანაზე.

*

ქვეყნად რაიმე ქარის გარდა არ არსებულა,
რადგან ყოველი დაქცეულა, არ ავსებულა,
არ არსებული არსებულად ჩათვალე, ძმაო,
არსებული კი მიიჩნიე არ არსებულად.

*

ჭირში გამოვლილ მაშვრალს შვებას არგუნებს ბედი,
სადაფს ტყვედმყოფი, მარგალიტად იქცევა წვეთი,
კვლავ დაბრუნდება დახარჯული ავლადიდება
და დაცლილ სასმისს კვლავ აღავსებს სასმელი მეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

სირცხვილი იმას, ვისაც ქვეყნად უნდა დიდება,
ან ზეცის შიშით ვისაც ტანჯვის ცრემლი დინდება.
სჯობს იყო მთვრალი სურნელოვან მტევნის ნაჟურით,
ვიდოე ბერობით მოიხვეჭო ქება-დიდება.

*

სანამ სული აღმოგვხდება ბედის ძალდაძალობით,
მანამ ღვინის ფიალები გამოვცალოთ ცალობით,
ჩქარა, თორემ ჩვენი წასვლის დრო-ჟამი რომ დადგება,
ძგონი წყალიც ვერ დავლიოთ მუხთალ ბედის წყალობით.

*

მე ღვინის სმაში გავატარე სიცოცხლე მთელი,
და ამ ღვინითაც მომეძალა სიმთვრალე მწველი;
მუდამ მაქეზებს მე ბაგეზე ჯამი ფაქიზი
და ხელადაზე მოხვეული ალერსით ხელი.

*

იცოდე, ქალთან ალერსი და ლოთობა თუნდაც,
სჯობს, ვიდრე ბერის თვალთმაქცობა დაიდო ხუნდად,
თუ ღვინის მსმელებს ჯოჯოხეთში მოუწევთ ყოფნა,
მაშინ ცარიელ სამოთხეში ვიღას რა უნდა.

*

მათ, ვინც კი იყო განსწავლული, მჭევრი და ზრდილი,
ცოდნის ძებნაში შეიძინეს სანთელი ცვილის;
მაგრამ წყვდიადში ამ სანთლებით გზა ვერ გაიგნეს,
ზღაპარი თქვეს და მოერიათ უეცრად ძილი.

*

გუშინ ბაზარში ჩავიარე და მეცა ელდა,
მექოთნე ვინმე მიწას უხეშ წიხლებით ზელდა,
გმინავდა მიწა—მეც შენებრი ვიყავ, ძმობილო,
ფრთხილად, შენც მიწად გარდაგაქცევს სიმრავლე წელთა...

*

მითხარ, რას გარგებს ეგ მუხლმოყრა სალოცავ ნოხთან,
ბედმა მრავალი მოინელა ჩვენსავით კოხტა.
ჩქარა დამიდგი ხელის გულზე ეგ სავსე ჯამი,
რა დროს დარდია, მოსახდენი უჩვენოდ მოხდა...

*

სულს გაეყრები, ვერ გაიგებ ვინა ხარ, რა ხარ,
ღვთის საიდუმლო ფარდის იქით ვერაფერს ნახავ,
დალიე ღვინო, ვინ რა იცის საიდან მოხველ,
ლაღად იცხოვრე, ვინ რა იცის საითკენ წახვალ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

ამ ქვეყანაზე განმკითხველი თვალი სად არის,
ჩვენი მოსვლის და ჩვენი წასვლის კვალი სად არის,
საწუთროს ცეცხლზე რაოდენი უბიწო თვალი
იწვის, ნაცრდება, ჰქრება, მაგრამ კვამლი სად არის.

*

ჩამოთავდა ყრმობის წიგნი ისე, როგორც წყალი,
აფსუს, ნორჩი გაზაფხული, სიჭაბუკით მთვრალი,
ან ის მტრედი რაღა იქნა, ბალღობა რომ ერქვა,
აფსუს, ისე გამიფრინდა, ვერც მოვკარი თვალი...

*

ჩვენ ეს ქვეყანა დროებით რომ გვერგუნა ბედად,
მწუხარება და უბედობა კვალდაკვალ გვდევდა,
აფსუს, რომ დარჩა აუხსნელი ეს გამოცანა,
ბივალთ და მიგვაქვს ათასგვარი დარდი და სევდა.

*

ზოგი ლოცვაში დღე და ღამე იყო ტყვედ ქმნილი,
ზოგმა ლოთობა აირჩია და ღვინო ტკბილი,
ახლა იმათგან ქვეყანაზე არ დარჩა არვინ,
ყველას უჩუმრად მოერია მარადი ძილი...

*

მოდი, ლამაზო, დაივიწყე მცნება ალაჰის,
შენი სიტურფით ამ ჩვენ დარდთა ბუე გადალახე,
მოდი, მოგვართვი ღვინის ერთი ხელადა ხელათ,
ვიდრე ხელადა შეუქმნიათ ჩვენივ ტალახით.

*

ამბობენ რომ ჯოჯოხეთში იქნებაო კრული,
ყველა ლოთი და არშიყი, ვინც შელახა რჯული,
ეს რომ მართლა ასე იყოს, მაშ სამოთხე ხვალვე
ისე დაცარიელდება, როგორც ხელის გული...

*

წელთა ცვალებადობა თავის დროთა ამალით,
ისე ჩაიფურცლება, როგორც წიგნი ფრთამალი,
ნუ იდარდებ, ღვინო სვი, ბრძენნი ასე ბრძანებენ,
ქვეყნის დარდი შხამია, ღვინო მისი წამალი.

თარგმნა სპარსულიდან
ვახუშტი კოტეტიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პერსი-ბიში შელი

ოთხმოქმედებიანი ლირიკული დრამა

Audisne hace Amphirae, Sub terram abdite?*

Dramatis personade

პრომეთე
დემოგორგონი
იუპიტერი
დედამიწა
ოკეანე
აპოლო
მერკური
აზია
იონე } **ოკეანიდები**
პანთეა }
ჰერაკლე
იუპიტერის აჩრდილი
სული დედამიწისა
სული მთვარისა
საათთა სულები
სულები
ეხოები
ფავნები
ფურიები

აქტი I

ხცენა — ღრმა ჭიუხი ინდოეთის კავკასიონის მყინვარ მთებში. **პრომეთე** ჩნდება კლდის ქიმზე მიჯაჭვული. მის ფერხთით სხედან **პანთეა** და **იონე**. ღამეა. სცენის განთავლობაში თანდათან თენდება.

პრომეთე — შენ ღვთაებანი, დემონნი და სულნი გმონებენ
ერთისგან კიდე; აღვსებენ ნათელს სამყაროს
რომელს მე და შენ ვუმზერთ მხოლოდ სულდგმულთა შორის
რულგაფრთხობილნი. მბრძანებელო, შეხე ქვეყანას!
მას აღვსებენ შენნი ყმანი კიდით კიდამდე,
რომელთაც ჯილდოდ თაყვანების, ლოცვის, ხადილის,
შრომის, ვაების, ჩაგრულ გულთა ჰეკატომბების,
მიუზღვე ოდენ ძრწოლასა და თვითმძულვარებას,

---

* გესმის თუ არა შენ, ჰოდ ამფირევ, მიწაში დაფლულო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე კი, მტერს შენსას, ულმობელი, ბრმა სიძულვილით
საუფლოდ მომეც და დიდებად ჩემივე ჭმუნვა
და შენი ფუქი და ამაო შურისძიება.
სამგზის ათასი წელი არის, არ ვიცი რული,
და წამი თითო, წელიწადს ჰგავს მძაფრ სატანჯველში,
დღენი წამებას, სიმარტოვის, სასოწარკვეთის
და მძულვარების — აი ჩემი საუფლო ვრცელი,
უფრო დიადა, შარავანდით უფრო მოსილი,
ვინემ ეგ შენი უბადრუკი საბრძანებელი!
უფალო მძლეო! ყოველის მძლეე-თქო, გეტყოდი მაშინ,
მეც რომ მეტვირთა ტირანიის შენის კირთება,
არ ვყოფილიყავ მილურსმული, ამ მთასა მყინვარს,
რომელს ორბნი და თვით არწივნი ვერ შეხებიან,
ამ კლდეს უდაბურს, ზამთრიანს და პირკუშ-ნამქრიანს,
მყინვართ უდაბნოს, უნაყოფოს და უკაცრიელს,
სად ნიშანწყალი სიცოცხლისა ძველგნით გამქრალა!
ვაჰ, ჭმუნვა, ჭმუნვა სამუდამოდ და საუკუნო!

არსაიდან ხმა, არცთუ შველა! და მაინცა ვთმობ.
მიწაო გკითხავ, არ თუ გრძნობენ მთანი მაღალნი,
ცავ შორიელო, შენაც მზეო, ყოვლისმხილველო,
ვერ მხედავთ განა? ზღვაო, ზვირთთა აღმაფეთებელო,
სარკეო ცისავ, მარად ცვლადო, მიწად გარშხბულო,
ჯრუ ექმნენ განა ძახილს ჩემსას შენნი ტალღანი?
ვაჰ, ჭმუნვა, ჭმუნვა სამუდამო და საუკუნო!

მცოცავ მყინვართა კრისტალური, მჭრელი ძგიდენი
ზურგს მიღდრავენ, ხოლო ჯაჭვნი ჭირხლმოდებულნი
ძველსა და რბილში ულმობელის თოშით მზარავენ;
და შენის ნებით მოვლენილი ძაღლი ფრთოსანი
გულმკერდს მიჯიჯგნის ზმამიანის თვასის ნისკარტით;
სიზმარეული, უსახური, ავი ლანდები
ჰქრიან ჩემს თვალწინ შავეთიდან გადმოხვეწილნი;
და მახელენენ მიწასმძვრელნი ეშმაკეულნი,
გლეჯენ შავ ღურსმებს ჩემს წყლულთაგან შეუბრალებლივ,
რათა გარდახსნან ჩემს ზურგსუკან კლდე წამიერად
და გამოიხმონ ქარიშხალის მძლე დემონები,
გააალმასონ ფრთამედგარი გრიგალი მეტად
და მომიელინონ სიტყვა ტანჯვის მაათასებლად.
მაგრამ დღის ღამით შენაცცლება მაინც მიხარის,
მიხარის როცა მტრედისფერად იკეფრიბანდებს,
ან ვარსკვლავეთდილ სამოსელში მორთული ღამე
მოიპარება ბრპენისფერი ცის კამადონზე,
რადგან ეგ ორნი მიუძღვიან საათთა რაზმებს,
რომელთა შორის ერთი, როგორც ზვარაკს ქურუმი,
შენ დაგანარცხებს ო, გულმხეკო მეუფევ ძორსა,
ჩემთა ფერხთაგან ასალოკად სისხლის და მტვერის;
თუმც ეს ფერხნი არ იკადრებენ მონის გათელვას;
იკადრებენ-თქო? არა, არა, მე შენ მებრალავ,
ო, რა უმწეოდ აღსრულდება ზეცის წიაღში
და შენი სული, ჯოჯოხეთის ეგ ბილწი ხახა,
რარიგ დაინთქვის უნაპირო ქაოსში ძოწოლით!
ო, აღტაცებით როდი ვამბობ, არამედ სევდით,
და აღარც მძულხარ, რადგან ჭირში გადვიქეცე ბრძენად;
გწყევლიდი ერთ დროს და აწ მინდა რომ გავიხსენო,
მე წყეული ავი. მარქვით მთანო, მისნი ეხონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისლშემომდგარი ჩანჩქერების გრიალს ჰფარავდნენ,
თქვენც, ნაკადულნო, გათოშილნო ყინვის სუნთქვითა,
რომ აკახცახდით ამა ხმისგან, მერმე შეჩქნდით,
და ინდოეთის ველებისკენ ილტოდით შიშით!
მარქვი ჰაერო, მოვარვარე მზის ფიანდაზო,
ხელნო გრიგალნო, უფსკრულებში ჩაბუდებულნო,
ირაოზე რომ ძალს იკრეფდით კვლავ სანავარდოდ,
ოდეს გრიალშან, თქვენს გრიალზედ უხმიანესმან
შესძრა სამყარო! და თუ ჰქონდა იმ სატყვას ძალი,
თუმც გარდავიქმენ და ყოველი ნება ბოროტი
მკვდარია ჩემში, სიძულვილიც გადამავიწყდა,
მაინც არ მსურს ძალი იგი სიტყვამ დაკარგოს!
გახსოვთ ის წყველა? თქვენ მისმენდით ყველანი, ძმანო!

ხმა პირველი (მთათაგან)
სამგზის ათასი საუკუნეა,
მიწისძვრაა თუ მეწყერა არი,
ჩვენის მკერდიდან ნაგუგუნევი,
მუქარად ზარავს კაცთათვის ზარი.

ხმა მეორე (ნაკადულთაგან)
ტანს გვისერავდნენ ლახტები ელვის
სისხლის გვჩენია ხშირად ღარები,
მრავლის მომსწრე ვართ ენებათაღელვის,
აღზევების თუ დასამარების,

ხმა მესამე (ჰაერიდან)
დასაბამითვე მიწა შფოთავდა,
თუმც უდაბნოთა ლაგვარდით მინა
მჩვეოდა, მაგრამ აღარ მოთავდა
მუნ კაცთა მოდგმის ვაება-გმინვა.

ხმა მეოთხე (გრიგალთაგან)
უხსოვარ დროდან ელოკავდით ამ მთებს
შეხთატეხათა მომსწრენი დიდთა,
მთებს ვეულანიურს, ღამით ანანთებს,
ქვესკნელურ ჯანყას ფალავან-მჭიდთა,
არა ჰქონიათ ეგზომი ძალი,
სამყაროს ძილის გამაღვიძალი.

ხმა პირველი
ხმათა მაგგვართა მძლავრი კვეთებით
აროდეს ძრულან ჩვენი ქედები.

ხმა მეორე
მოწმედ პირქუშნი ესე კლდენია,
ხმა ჯერ მსგავსა არ მიგვიწვდენია
ზღვისთვის აროდეს და მეზღვაური,
გაურეებული ზვირთთა ხმაური,
ნავით უფსკრულში ილტოდა შეთა,
არ ამნენებდა მწყრალი შავეთი.

ხმა მესამე
და ზეცისადმი ხმა მაგდაგვარი
ჩემი შემძრავი და დამდაგვარი
არ ზმულა. აგი როს მოვინელე
ვშობე სამყაროს წყველად სიბნელე.

ხმა მეოთხე
ჩვენაც შეძრულნი ამაზრზენი ხმით
მყინვარით სალტულ ქვაბებს შევახმით

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დავადუმეთ ქართა ზუმილი
თუმც ჯოჯოხეთად გვიჩნდა ღუმილი.

დედამიწა — ბნელით ავსილმა წყვარნებმა ციცაბ კლდეებზე
აწივლეს „ვაი!“ ამის გამგონთ და ცის ვეშმბათმაც
ხმა მოსცა „ვაი!“ ოკეანის მეწამულ ზვირთთა
შეჰლმუელეს „ვაი!“ თვის ქეჩოზე მიმფრინავ გრიგალს
და შეძრწუნებულ ხალხთა სმენას ხმა მიაწვდინეს.

პრომეთე — ხმანი ისმრან მრავალგვარნი, მაგრამ ჩემი ხმა
არსით მპასუხობს. დედაჩემო, შენ და შენს შვილებს,
სჩანს სთაკილოდ მიგაჩნიან იგი, ვინც ერთ დროს
შემოგაშველთ ნებისყოფის უდრეკი ფარი,
გიხსნიან ზეკეცის რისხვისაგან ვინც გაპირებდათ
გაჭრობას, ვითა ღრუბლს ჭარი. ვინა მერნობთ ვინა,
ტიტანს, რომელიც ბულუშიშრად გადაეღობე
მტერს ყოველისადმეცა, ოისაკენ [illegible] თქვენს დასამხობად?
ჰოი კლდოვანნო ადარაკნო, ზვავ-ნაკადულნო,
მაღლით რომ სჩანხართ გახეთელნი რძასფერ ბლონდებში,
მაგ სანახებში, მაგ დაბურულ ტყეებში ერთ დროს
ვნებით დამთვრალნი დავდიოდით მე და ჰაია;
აწ სული თქვენნ სულთამთქმელი, რაზედ თაყლობს,
მითხარით, ჩემთან შესიტყვებას, ვინაც ვლაგმავდი,
ვით სიავის ეტლს ღაგმავს ყოველსშემძლე სიკეთე,
თავგასულობას უზენაეს განმგებელისასს,
რომლის მონათა შემზარავი კვნესა-გოდება
მიწუივ აღავსებს თქვენს სანახებს კიდით-კიდემდე!
რად სდუმხართ ძმანო, მაპასუხეთ!

დედამიწა — ვერა ჰბედავენ.

პრომეთე — მაშ ვინ გაპბედოს! წყეული იგი მსურს მოვისმინო.
ჩუ, შემზარავი ისევ ატყდა ირგვლივ ჩურჩული,
ეს ხმა როდია ტკრცალია რამ უცნაური,
ელვა ტკრცალებს ამდაგვარად. იქუხებს ვიდრე;
იუბნე სული! მაგ ხმას შენსას არაორგანულს,
ძალუძს მაუწყოს მხოლოდ ის რომ ხარ მახლობელი,
და სიყვარული გამოძრავებს. მაშ გახსოვს წყეული?

დედამიწა — ეჰ, რომ არ ძალგიძს მკედართა ენის გაგება ცოცხალს!

პრომეთე — შენ ცოცხალი ხარ და შენ მარკვი იმათ მაგიერ.

დედამიწა — ეშიშობ ვიუბნო ვით ცოცხალმა, ნუსად მეუფევ
ცის და ხმელისამ შემიტყოს და მომხადოს ტანჯვა,
უფრო სასტიკი, ვინემ სრბოლა ორბიტის გასწვრივ.
შენში სიქეელეს ერწყმის, ძეო, სიბრძნე ქეშელი
და თუმც ღმერთებსაც ძალი ვერ უცთ მაგ ხმის შესმენად,
შენ სჯობხარ ღმერთებს შენის აზრით და სიკეთით,
აწ კი მისმინე.

პრომეთე — ვით ლანდები ფერგალეულნი,
შავი ფიქრები გროვდებიან ამქამად ჩემში,
ეგრძნობ სიძაბუნეს, ვით ორკერძი ტრფობის სახმილით
გზნებული კაცი.

დედამიწა — ვერა, მაგამ ვერას გაუგებ,
შენ უკადავი ხარ, ეგ ენა კი შეესმით მხოლოდ
მოკვდავ არსებათ.

პრომეთე — ბაშ ეს მარქვი, შენ თვით რაღა ხარ
ხმავ იღუმალო?

დედამიწა — დედამიწა, შენი მშობელი.
ვის გაქვავებულ ოოგებშიც გაჩნდა ნიშატი
და აუხეუბდა, თვით აღმდგომთა ძარღვებში სისხლი,
ააბიბინა მის გულსკერდზე მთანი და ტყენი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამᲮრალ ეთერში ზეშთაბერა სიცოცᲮლის სულთქმა,
ოდეს შენ აღᲩდი მის გულᲩერდᲖე ნათლისა სვეტად
და ცად ამაღლდი, განაᲩინის სულო ცᲮოველო!
შენს დაძახილᲖე მის ნაშიერთ ქედდაბრკალთა,
მᲖერა აღმართეს, მტვერᲩი გართხმული, დაღუნებული
ფერი ეეცალ ტირანს ᲩენᲗას ამის ხილვისას
იᲫᲘᲥᲐ რისხვით და მუნითგან აქ მიგაᲯᲐᲩᲐ.
ეჰა, უᲪᲔრᲘᲜ სამყაროᲗს უთვალავს ირგვლივ,
ეთერᲨი მᲖრუნავ ცდობილთა შუქს, ვის ბინადართა
ახლᲘს მაᲨინ ვით დამიცᲮრა არიელი მკეთრი,
ᲖᲓᲘᲗᲐ აღიძერნენ არნახული ᲩარიᲨᲖლის ფრთებით,
მთანი მყინვარნი შეᲮᲐნᲮᲐრდნენ და შეანერწყვეს
დათალᲮულ ᲖᲔᲪᲐ ᲩᲔᲗᲚᲘᲜᲔᲚᲘᲗᲐ ლაჟᲘ ᲩარᲪᲔᲪᲚᲘᲜ!
წარღენთ მოოᲮრდნენ ᲯᲔᲯᲔᲚᲘᲗᲐ, ტურფა მინდერᲗᲐ,
და ᲩალᲐᲩᲔᲗᲘ გარდაᲩᲙᲘᲜᲔᲗ ნᲐᲩალᲐᲩᲔᲗᲐᲜ,
ᲮᲐᲗᲘᲗ მოᲓᲔᲗ სრა დარᲑᲐᲖᲘᲗ და ᲒᲔᲗ-ᲑᲐᲘᲐᲗᲐ
ᲨᲔᲗ დაᲑᲣᲓᲔᲗ. ᲨᲔᲗᲚᲘᲗ ᲐᲔᲗᲔᲑᲓᲐ ᲨᲔᲗᲐᲮᲚᲔᲗᲐᲗᲐ
ᲨᲔᲣᲜᲐᲒᲔ ᲡᲐᲮᲐᲓᲐ და ᲨᲘᲨᲘᲚᲘ ᲛᲐᲓᲚᲗᲐ ᲡᲐᲨᲣᲒᲐᲚᲐᲓ,
ᲔᲒᲠᲐᲫᲔᲗ ᲛᲔᲓᲔᲗ ᲛᲔᲪᲔᲜᲐᲠᲔᲒᲚᲔᲑᲘ; ᲧᲐᲜᲑᲘ, ᲕᲘᲜᲐᲮᲑᲘ
ᲛᲧᲐᲚᲐ ᲑᲐᲚᲐᲮᲘ ᲨᲔᲘᲚᲘᲜᲐ ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲒᲚᲐᲕᲘ
და მოაᲮᲠᲐ ნათესᲑᲐ, რადგან ეს მკერი
ᲥᲛᲣᲜᲔᲘᲡᲒᲐᲜ ᲨᲧᲠᲘᲐᲓ შეᲥᲛᲜᲘᲚᲘᲧო, და თვით ᲯᲐᲠᲘ
ᲛᲝᲡᲬᲐᲛᲔ დედის წყᲔᲚᲐ-ᲙᲠᲔᲚᲗᲐᲛ, რომᲔᲚᲘᲪ ᲛᲐᲨᲘᲜ
ᲨᲔᲘᲚᲘᲡ დამᲛᲣᲨᲐᲔᲚᲘ გავᲣᲜᲯᲐᲕᲘᲜᲔᲗ ᲡᲐᲡᲘᲛᲬᲐᲠᲙᲔᲒᲝᲗ.
ᲓᲘᲐᲮ, ᲕᲘᲡᲘᲜᲔᲗ ᲨᲔᲜᲘ ᲬᲧᲔᲚᲐᲪ ო, ᲨᲔᲘᲚᲝ ᲩᲘᲗᲔ,
და თუ არ გᲐᲮᲚᲝᲗ ᲩᲘᲗᲚ ᲣᲗᲘᲐᲚᲐ ᲑᲔᲑᲘᲡ, ᲙᲐᲯᲐᲓᲣᲚᲔᲑᲘ,
ᲥᲔᲓᲘᲗᲐ, ᲛᲝᲒᲘᲛᲔᲑᲘᲗ, ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲩᲐᲠᲘᲗᲐ, ᲔᲗᲔᲠᲘᲡ მᲝᲜᲔᲚᲘᲛᲐᲠᲔᲗ
და ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲔᲚᲘᲚᲗᲐ დამᲗᲜᲯᲔᲑᲣᲚ ᲡᲣᲚᲔᲑᲘ ᲨᲐᲔᲯᲔᲑᲘ,
ᲨᲔᲛᲝᲬᲣᲚᲐᲮᲐᲗ იგი ᲒᲣᲚᲨᲘ ᲤᲠᲗᲝᲗᲡᲐᲜ ᲘᲛᲘᲓᲐᲓ,
ᲤᲐᲠᲣᲚᲘ ᲨᲔᲒᲔᲑᲘᲗ ᲒᲘᲮᲚᲘᲜᲔᲑᲘᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲕᲔᲠ ᲒᲕᲘᲓᲐᲕᲗ
ᲓᲐᲤᲐᲠᲣᲚ ᲐᲮᲠᲘᲡ ᲒᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲡ.

ᲐᲠᲝᲛᲔᲗᲔ — დედავ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲚᲘ!
ᲨᲔᲜ ᲐᲡᲣᲚᲓᲒᲛᲣᲚᲘᲗ ᲐᲠᲘᲡᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲗ, ᲨᲝᲐᲑᲠᲐᲕᲒ ᲫᲐᲚᲐᲡ
ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲡ, ᲮᲔᲑᲡ; ᲡᲮᲚᲐᲠᲣᲚᲘ და თვით ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲔᲣᲚᲡᲐᲪ
ᲗᲣᲛᲪ ᲬᲐᲠᲛᲐᲕᲐᲚᲔ, ᲐᲡᲣᲚᲓᲒᲛᲣᲚᲘᲗᲡ ᲨᲔᲜᲘ ᲮᲐᲚᲘᲡ;
მე კი არას გთᲮოᲗ, ᲩᲘᲛᲡᲐ ᲡᲘᲪᲮᲘᲗᲔᲑᲡ მᲝᲕᲚᲔᲗ მᲮᲚᲝᲚᲝᲓ.

ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐ — ᲨᲔᲣᲡᲛᲘᲜᲔ მᲐᲚᲔ. ᲑᲐᲑᲘᲚᲝᲜᲘᲡ ᲘᲐᲕᲐᲠᲘᲥᲛᲜᲐᲛᲓᲔ
მაგი ᲖᲝᲠᲝᲐᲡᲢᲠ, ᲕᲐᲫᲘ ᲩᲘᲗᲝ ᲐᲬ გარდაᲪᲔᲚᲝᲚი
გადაეყარა აᲩᲠᲓᲘᲚᲘ თვისას ერთ დილის ᲑᲐᲠᲨი,
მსგავსი ᲩᲔᲜᲘᲗᲐ ᲙᲐᲪᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲗ ᲣᲜᲐᲮᲐᲗᲘ,
რადგან სამყაროᲗ გაᲣᲛᲯᲝᲜᲐᲗ სიკᲔᲓᲘᲚ-სიცოცᲮლეს:
ერთი ნაწილი ᲮᲘᲚᲣᲚია, ᲮᲝᲚო მეორეს
სიკᲔᲓᲘᲚის შემᲓᲔგმᲐ განიᲪᲔᲓᲜᲐᲓ ᲐᲠᲘᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲜი,
ᲐᲠᲘᲚ-აᲩᲠᲓᲘᲚᲘᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲚ იგი დასახლᲔᲑᲣᲚი,
და გარდაᲪᲔᲚᲘᲚი ᲔᲠᲬᲧᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚ თავის ორეულს;
მუნᲔᲒ ნათობᲔᲓ ᲙᲐᲪᲗᲐ ᲐᲮᲠᲘᲡ და ᲝᲪᲔᲑᲜᲐᲜი,
ᲡᲐᲡᲘᲜᲔ, მᲠᲬᲐᲛᲡᲜᲔ, ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲔᲣᲚᲘᲡ ᲨᲛᲐᲒი ᲪᲮᲔᲚᲔᲑᲐ
და ᲩᲔᲜᲘᲗᲐᲜ ᲔᲒᲝᲗ ᲑᲝᲠᲝᲢᲝᲚᲔᲜᲘ, ᲘᲡᲔᲒ ᲩᲔᲜᲔᲚᲔᲜ.
მანდა ᲮᲐᲠ ᲨᲔᲜაც, მᲘᲯᲐᲯᲕᲔᲚ ᲛᲨᲕᲝᲗᲘᲐᲠᲔ ᲡᲣᲚᲔ,
ᲒᲠᲘᲒᲐᲚᲗᲡᲐᲑᲣᲓᲐᲠ კᲚᲔᲓᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ. და ᲡᲮᲕᲐ ᲓᲔᲠᲗᲔᲑᲐᲪ
ᲡᲣᲤᲔᲕᲔᲜ ᲨᲣᲜᲔᲒ; ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ ᲛᲠᲘᲡᲮᲐᲜᲔ ᲫᲐᲚᲜი,
ᲡᲙᲘᲞᲢᲠᲘᲡ ᲛᲨᲧᲠᲝᲛᲔᲚი ᲤᲐᲜᲢᲝᲛᲘᲗᲐ და ᲣᲠᲩᲮᲔᲚᲘᲡᲐ,
ᲓᲘᲛᲝᲒᲠᲐᲓᲜᲝ — ᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐ, ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲡᲝᲑᲐ,
და თვით ტირანი უᲛᲐᲦᲚᲘᲡი, ᲝᲭᲠᲝᲡ საყᲓᲐᲠᲖᲘ
განᲫᲒᲔᲚᲘᲐᲒ მᲯᲓᲐᲠი. ᲨᲔᲘᲚᲝ, ᲔᲠᲗᲘᲐ ᲐᲛᲐᲗᲗᲐᲒᲐᲜი,
ᲐᲛᲘᲡᲗᲥᲕᲐᲛᲡ ᲬᲣᲒᲔᲚᲡ, ᲨᲔᲜ კი მᲮᲚᲝᲚᲝᲓ გᲐᲛᲝᲘᲫᲐᲮᲔ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი აჩრდილი, ან აჩრდილი იუპიტერის,
ჰადესის ანდა ტიფონისა, ან ბოროტების
სხვა მესვეურთა ვინაც შენის დაცემის დღიდან
ფეხქვეშ სთელავენ მტეკარში **გართხმულ ნათესავს ჩემსას**
შესთხოვე მათ და მოგიგებენ; და შურისგება
უფლისა მათში შთაისმება როგორც ქარწვიმა
ავაარყოფილ და უკაცურ ციხე-დარბაზში.
პრომეთე — დედავ არა მსურს ბოროტების მომწყველი შხამი
ვანთხიო ანდა ვანთხევინო იმა ბაგეთა,
ჩემს ბაგეებს რომ ჰგვანან ეგზომ, ვით ორეული
ჩემი მგავს თურმე ბინდმორეულ სულეთში ახლა
იუპიტერის ჩვენებაო, აღსდექ, გამოჩნდი!

ი ო ნ ე

ფრთენი მიფარავენ სახესაც, ყურებსაც,
დავიხშე სმენა და დავხუჭე თვალები,
მაგრამ აღარ ძალუძთ ვერცხლის აფურებსაც
დაჩრდილვა, არხილვა შავ იდუმალების,
ხმის კორიანტელში თვალი მელულება, —
ო იქნებ დაგიცხროს
ახალმა ფანტაზმამ დიდი ხნის წყლულები
შენ, ვანაც ჩვენი დის სანაცვლოდ გიგლოვეთ
და ვისი ტანჯვეთიც დრონი გულს გვიკლავენ.

პ ა ნ თ ე ა

ხმაა შემზარავი ქვესკნელურ გრიგალის,
მეწყერულ ქარტეხილს დაუძრავს ქედები,
მწყარალია აჩრდილი და შეურიგალი,
ვარსკვლავმოოქვალი ცით ნამოქმედები,
ოქროვან ფაენით წყვდიადის გამხვევი
მოიწევს ღრუბელთა საგებზე,
ზესკნელი ბინდდება ფერებით თალხებით
სახე აქვს სასტიკი, მაგრამ გარინდება
ბოროტმოქმედური მზეროში ელინდება.
იუპიტერის აჩრდილი — რად გამომიხმო სამყაროის **ფარულმა ძალამ**
ფუყე აჩრდილი სულეთიდან ამ ციალკლდოვან
გრიგალქარების საუფლოში? ხმა ეჩვეული
რად ლამობს ახლა იმეტყველოს ჩემივე პირით
არა იმგვარად, ვით სჩვეული ნათესავს ჩვენსას?
ან შენ ზვიადო ჭირთამომენო, მარქვი, ვინა ხარ?
პრომეთე — გამოცხადებაკ ამაზრზენო, შენ ჰკავხარ იმას,
ვის ხატებადაც მომეელინე, მე, დუშმანს **შენსას**
ტიტანს პრომეთეს. მარქვი სიტყვა, რომელიც მე მსურს
ვისმენო, თუმც კი აზრი შენი მას ვერ წარმართავს.
დედამიწა — ისმინეთ მთენი! დაადუმეთ თქვენნი ეხონი,
ტყენო, მინდორნო, ჩქერალებო ბროლადმსხვრეულნო,
თქვენც წავარნებო, ხშირ ჯალებში ნაკადულებო,
ისმინეთ ინა თქმაც გაშინებდათ და გაიხარეთ.
აჩრდილი — ო, რაღაც სული მამეტყველებს ძალმომრეობით
და გულს მისერავს, როგორც ელვა ღრუბლებს მეხისას.
პანთეა — შეხე რარიგად აღაპყრო მან გოროზი მზერა,
ბნელდება ზეცა!
იონე — ბაგე გახსნა! ო, დამიფარეთ!
პრომეთე — ჰა, წყევლით სუნთქავს გოროზი და კუშტი მიმოხვრა,
ეერი მკაცრი, გამომწვევი — სიძულვილს ავლენს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასოწარკვეთის მწარე ღიმი თვითდამცინავი
მის ბაგეებზე აღბეჭდილა ვით პერგამენტზე.
ნუღარ აყოვნებ, ჰე, აჩრდილო, დაიწყე, ქმარო!

ა ჩ რ დ ი ლ ი

უარგაყოფ მტარვალო! უშფოთველ გონებით
მზადა ვარ ვიტვირთო ვნებათა კირთება,
შეძრული ღმერთთა და მოკვდავთა მონებით
სული ნებისყოფის ჯაჭვშანით ირთება.
მასეტყვე ურიცხვ ჭმუნვა და ვაება,
ჰა, ჭირთა ღრუბელი სევდის ცას ავმა,
სეტყვის ქარტეხილით დამაზრე ნიადაგ,
ცოფის უმწეერვალეს სამანებს მიადექ,
ზეცით მომიგლინე ყოელისდამდაგველი ელვის მიონგი,
და ავ ფურიების გრიგალს და გველს მძლე ლეგიონები.
აჰა, იმძვინვარე ყოელისმძლედ ხმობილო
არსთა განმგებელო კიდეგან ორისა,
ჩემის უდრეკობის ვერ დამაშობელო,
მსჯავრას ვერ დამდებო მრუდის თუ სწორისად.
კაცთ გადაანთხე ზხამი და სიავე,
ჩემი მონაგარი მით გაანიავე,
მოგვზადე ვაება მე და ჩემს ურვილებს
გვიხშობდე იმედებს, სანუკვარ სურვილებს
ქირშიგან ქვითკირი, ჯარში რულგამფრთხალი, კაცთათვის ვნებული
ვიდგები ამაყად ლაღი და მართალი, ცით მოყივნებული.
შენ კი, განმგებელო ცისა და ღმერთების.
შენგნით მალეთისა ცრემლი ზღვად ერთდება,
შენ ცისა და მიწის თაყვანს არ სჯერდები,
ძრწოლით აღგიესია სულდგმულთა მკერდებს;
გიგზავნი წყევლას და წყევლა ჭირთამთმენის
გიწევს ვით სიკვდილის მსახვრელი თათმანი,
შენს უსასრულობას მზღვარი დაედება,
შენი აღსასრული ფრთიან იმედებად
მოვა და ეგ შენი მრავალგზის ქებული მძლეობა ყოელისა
გაჰქრება ვით ყველა ცად ამაღლებული სხვა სისხლისმწოველსა.
სიავის ჭაობში შესტოპე წყეულო,
მანდ დაიღუბები სიკეთით ძლეული,
მარადს ებარება სკიპტრა დამსხვრეული.
ტარტარის ხახაში ჩარჩება ეულად,
როდესაც განგების პირქუში ჰეროლდი,
საათი, რომელსაც არსაით ელოდი
მოვა და უეცრად გამოგამზეურებს
შენს ყოველ ვედრებას გრიგალქარს შეურევს
და ბოროტგამზრახველს აროდესგანცდილის ტანჯვით დაგაოსებს
მერმე შეგაზაევებს დროის და მანძილის უფსკერო ქაოსებს!

პრომეთე — განა ეგ ჩემი სიტყვებია?

დედამიწა — სწორედ რომ შენი.

პრომეთე — ენანობ. ეყოფილვარ სისუსტის და სულსწრაფვის მსენი.
გახელება ხომ წუთით ბრმაა ავის ჩამდენი:
არ ვისურვებდა სხვას ხვედნოდა ჭირი ამდენი.
დედამიწა — ვაჰმე ბედდამწვარს და განაწამებს,
ძეს სახელოვანს ეკვრეტდე ნაწამებს!
აღელდი ზღვაო, შესძარი ხმელი.
აამთაგორე ტალღები ხელი,
ჰე სულნო მადლით და სიკეთით ცხებულსა
იგლოვდეთ თქვენსა მხსნელს აწ დამარცხებულსა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ეხო — იგლოვდეთ თქვენსა მხსნელს აწ დამარცხებულსა!
მეორე ეხო — აწ დამარცხებულსა!

ი ო ნ ე

ნუ შიშობთ, გაჰქრება მალე ჭირ-ვარამი,
ტიტანის დუშმანი ვეღარ იმძვინვარებს,
შეხეთ იმ ჯიუხებს ნისლნი რომ ფარავენ,
შეხეთ გადაეერცხლილ ქედებს და მყინვარებს
უცხო რამ ჰირდილი სჩანს სხივმომფინარე,
ხამლები აცვია ფერხთ ოქროცურვილი,
ჩვენს მხარეს მოფრინავს მეწამულ ფრთოსანი,
თეთრი რამ სადაფი ბრილ-ბადახშოსანი,
შვენის კაბადონებს ტურფად შეკუურვილი,
ალა გადმოსცრა ლურჯი ცადაქნილი,
ხელთა აქვს ფაენი გველშემოგრაგნილი.
პანთეა — ეგ არის მერკური, ზეევსის ჰეროლდი.

ი ო ნ ე

ვით კეცტყავიანი უშვერი ჰიდრები,
ფოლადისფრთიანნი მოჰქრიან ურჩხულნი
ჰა მათი სიმრავლით ზეცა ისუდრება,
ქარს მოაქვს საზარა ქშენა და ჩურჩული,
ჰფარავენ კამარებს შავლეგა ღრუბლებად...

პ ა ნ თ ე ა

ზეევსის ნაგზთა მოფრინავს კრებული
ვისაც ის სისხლით და ცრემლებით აპურებს
როს გადაუქროლებს ეთერულ ნაპირებს
ელვათა ეტლებზე ცად ამხედრებული.

ი ო ნ ე

ნუთუ სიკვდილის დასთმეს სამკვიდრო
ახალ საკბილოს სძებნიან ვიდრე?
პანთეა — ტიტანი მტკიცედ სდგას ვით მუდამ, არა ამაყად.
პირველი ფურია — ჰა, სიცოცხლის სუნი მომესმა!
მეორე ფურია — გამიშვით ერთა!
მესამე ფურია — ისე მწყურია მაგის სისხლი როგორც ყვავყორნებს
ჯიჯგნა სწყურიათ ბრძოლის ველზე კაცთა გვამების!
პირველი ფურია — ნუღარ აყოვნებ მეტს, ბელადო! ამა გამხნევდით
ჰეი, ტარტარის ვეშაპებო, მაიას ძემან
ახალ საკბილოს მიგვისია —ენახოთ ყოელისმძლეს
ვინ უფრო მეტად გაახარებს!
მერკური — გაბრუნდით უკან,
თქვენს რკინის კოშკებს შეეხიზნეთ, ცეცხლის ჯურღმულებს,
და აღუჩიალეთ მანდ კბილები! ოღსდეკ გერიონ,
შენაც გორგონავ, ქიმერავ და სფინქსო ცბიერო,
ვინაც თებელებს შეატყუე ცის ზმამ-ნეკტარად
ბოროტმოქმედერ სიყვარულით ნაშობი ზიზღი!
ამათ დაესაქმაკ თქვენს მაგიერ.
პირველი ფ. — ო შეგვიწყალე,
თორემ ნდომისგან დავიხრჩობით, ო ნუ გაგვრეკავ!
მერკური — დაწყნარდით მაშინ.
ჭირთამთმენო, თვალამაზრზენო!
არსაწადელი ამბის მაცნედ გეწვივე დღესა,
მამამან ჩვენმან მაიძულა მიწად გადმოსვლა

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ახალ პატიჟთა უნებლიე აღმასრულებლად.
მე შენ მებრალება ჩემი თავი კი მეზიზღება,
რამეთუ შეველ მე არ ძალმიძს: აქედან წასულს
ტარტარის ხახად მეჩვენება ცის საშვებელი,
შენი ჰირდღილი არ მასვენებს დღისით თუ ღამით,
ღამილით მყვედრის და გულს მიკლავს. გეტყვი ბრძენი ხარ.
მთმობი და ქველი, ყოვლისმძლეს კი ებრძვი ამაოდ,
რადგან მარტო ხარ მაგ ბრძოლაში. შენ ეთოსთაგლებს
უწყვეტი დროის განმავლობას ვით აღნესხავენ,
როშლის დინებას შეველ შენთვის არ მოაქვს არსით
და მოგიწოდებს მოქცევასკენ, ხოლო მტერს შენსას,
ჯერაც ჰმონებენ ჯოჯოხეთის პირქეში ძალნი,
უსასტიკესნი ადონიის მომხდელნი შენზე,
ვის მეთაურად განმამწესეს მე უნებლიედ,
და შიშის მომგვრელ, ხრიკიან და მაგნე დემონებს, —
ქვესკნელის მკვიდრთა, დაავალეს აქ შენი წურთვნა.
მაგრამ მე არ მსურს რომ გაწამო! შენ უწყი ერთი
რამ საიდუმლო, ერთადერთმა სულდგმულთა შორის,
იგი ეხება მეფობის ყველს დიდი ზევსასას,
შიშით ცახცახებს მის წინაშე უზენაესი,
სიტყვის სამოსით შემოძღარდნე და მორჩილებით
მბრძანებელს ჩვენსას მოახსენე: მოახარე ქედი,
ვით მავედრალმა ღვთის ტაძარში ლოცვად დამდგარმა.
რამეთუ მსხვერპლი, მორჩილება და სინანული
მოალობს ხოლმე თვით უშშაგესს და უსასტიკესს.

პრომეთე — ბორბენი ზნენი სიკეთეს ხომ ვერ იგუებენ,
სანამ ბუნების თვისის მსგავსად არ გარდაქმნიან,
მე მივანაჭე მას ყოველი, მან კი სანაცვლოდ,
აქ მიმაჯაჭვა. დღისით მდაგავს მზე ულმობელი,
ღამით მთოვარე გადმომათოვს ვერცხლის ფანტელებს,
თმაშეირხლული და ყინვისგან მოლად გაძაგრული
ეუცქერ საყვარელ მოდგმას ჩემსას როგორ სნაგრავენ
ოუპატერის ერთგული და მარჯვე მსახურნი.
ამგვარი არის ტირანების მადლიერება:
ბოროტ არსებათ ათვისება არ ძალუძთ ქველის:
და თუნდ სამყაროც უსახსოვრო, ვერ აღძრავ მათში
გრძნობას კიდეგან მძღლვარების და დარცხვენისას.
ამადაც მიზღავს სიკეთის წილ ამგვარ მუქაფას,
რადგან სიკეთე მაგგვართათვის არის ყვედრება
და გაღვიძება განკვირვებულ[1] შურისძიების.
მორჩილებას კი, თავად უწყი, ვერ გავამძღავენებ:
მორჩილება ხომ ბეჭედია საბედისწერო
კაცთა დათრგუნვის და მონობის მომასწავები.
მორჩილება ხომ მახვილია სიცილიური[2]
და მის გვირგვინსაც ემუქრება, თუ კი შემინდობს,
ან თვით დავკარგავ თმობის ღონეს. მაგრამ ო, არა,
სხვანი ლაქნიდენ ბოროტებას ფაენის მპყრობელს
ჯერაც ყოველისშძლეს: დაზღვეულნი არიან მაინც:
რადგან სიმაროლე, გამარჯვების თვისისა შემდგომ
მათ შეივრდომებს, ოდეს განსჯის მათს გზააბნევას,
ვით საკუთარი შეცდომების შედეგს უნებურს.
სჯობს ჭირთარი თმობა და ლოდინი განკითხვის დღისა,
რომელიც უფრო მოახლოვდა ჩვენს საუბარში.
მაგრამ ჩუ, აგერ ფურიების ისმის გნიასი,

[1] განკვირვება — მიძინება.
[2] იგულისხმება დამოკლეს მახვილი.

ჰა, მამაშენს რისხვამ ზეცა ბნელით შესუდრა!
მერკური — ო ამაღლინა შენს წამებას, ან შენ მას თმობას!
გემუდარები მიპასუხო განმეორებით:
უწყი თუ არა შენ ზევსის მეფობის ყოვლი?
პრომეთე — მე ვუწყი მხოლოდ რომ ეგ ყველი მცირეა.
მერკური — ეაჰმე!
ნუთუ არ ძალგიცს შენივ ტანჯვის დღეთა გამოთვლა?
პრომეთე — უნდა ვიტანჯო სანამ ზეკისი ღმერთ-მთავრობა ცაზე,
შიშით და ძრწოლით მე ვერ შევცვლი ვადას განსაზღვრულს.
მერკური — მო, დაუფიქრდი და განკურნიტე მარადისობა
სადაც დინება აზრის მიერ განსაზღვრულ დროთა,
საუკუნეთა მოზღვევება ფიქრუწყდენელი,
წამისყოფად-ღა ბედჩვენება, ხოლო გონება,
დასუსტებული უსასრულო თანმიმდევრობით
ზავდება ხოლმე ყოველდობის დავსილ წიაღში,
ნუუკვე წლები არ არიან ბნდ აღნუსხულნა
რომელთაც პატიჟთ გარდა შენთვის არარა მოაქვთ?
პრომეთე — გონების მიერ ვერ აღნუსხვა არ გამორიცხავს
გარდუვალობას.
მერკური — უმჯობესი არ იქნებოდა
განცხრომის ნექტარს მიჰხედომოდი ღმერთებთან ერთად?
პრომეთე — მე არ გავცვლიდი ამ ჭიუხებს გამყინვარებულთ
მსგავს განცხრომაზე.
მერკური — მოიცვა და თან მებრალები.
პრომეთე — სჯობს შეიბრალო თვითმძლეარე მონები ცისა
და არა იგი, ვის გულშიაც სიმშვიდე სუფევს,
როგორც მზის გულში ბრწყინვალება. აჰ, ამოოა
ეგ ლაპარაკი, უხმე დემონ!
ი ო ნ ე — დაო შეხედე,
ელვამ გააპო დათოვლილი ჯმუხი კედარი,
ო, რა საზარლად დაიტეკა, უფლის მუქაფამ!
მერკური — ვაი, რომ უნდა დავმორჩილდე შენს და მის სიტყვებს!
ო, უმძიმესი მელოდება ქენჯნის სახმილი!
პანთეა — შეხე ცისკოდურს სად ფრთოსანი ძე ლაქვარდისა
შეეყო სხივებს შუქნამკრთალი იალმისას!
იონე — ძვირფასო დაო აიფარე სახეზე ფრთები,
საზარი ხილვით სანამ გული შეგდონებია!
აჰა, მოდიან! დაიბნელეს ცარგალი ფრთათა
შავი სიკვდილის მომშერეველთა!
პირველი ფურია — ჰეი პრომეთევ!
მეორე ფურია — ჰეი უკედავო ჭირთამომენო!
მესამე ფურია — კაცთა მეოხე!
პრომეთე — ხმა შემზარავი ვისაც უხმობს, აქ არის იგი
პრომეთეოსი, მიჯაჭვული ტიტანი. თქვენ ძი
მარქვით ვინა ხართ? ჯერ აროდეს არ შეუქმნია
ურჩხულთსაუდარ ჯოჯოხეთის პირქუშ განმგებელს
ზევსის გონებას ჩვენებანი მეტად უშვერნი,
და სანამ გიუპრეტთ წყეულ ფორმებს აგრე მგონია
ეემსგავსებოდე თითქოს საგანს ჩემი ჭვრეტისას,
მწარედ ვიცინი და ზაზნარევს ვგრძნობ სიბრალულსაც.
პირველი ფ. — შიშის, პატიჟის, მძულვარების, სასოწარკვეთის
გულმხეცობის და ფესვმოავალი დანაშაულის
ვართ მესვეურნი, ვით ჯერგისას წუწკი ძაღლები
ირემს დაკოდილს სდევენ ხოლმე კვალდაკვალ ტყეში
ასევე დავსდევთ ყოველ აღმდგომს სისხლისგან დაცილულს.
დამაშვრალსა და ჯერეც ცოცხალს, როცა ეს ნებავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს დიდ მეუფეს.

პრომეთე — რაოდენი ბოროტებაა
მაგ ერთ სახელში! გიცნობთ, გიცნობთ. ტბანი, ეხონი,
ორთიან თქვენ ფრთათა ამაზრზენი **ტლაშუნის შიშქვეშ.**
რისთვის მოგლალთ თქვენზე მეტად უშეერმა აქეთ?

მეორე ფ. — ეგ ჩვენ არ ვიცით. ჰეი დებო, იმხიარულეთ

პრომეთე — ნუთუ არსებობს სიმახინჯე თვითკმაყოფილი?

მეორე ფ. — როგორც მიჯნურნი იხარებენ პირისპირ ჭვრეტით,
ასევე ვსტკებებით ჩვენც ურთ-ერთის მნახველ-განმცდელნი
და ვით ფერმკრთალი მოპკრეფს ვარდებს მოგვი ასული,
მოიწნავს გვირგვინს და მის ეშხით შეიფაკლება,
ასევე ვაძენთ ჩვენ სავსებას ჩვენი სახისას
ჩვენივე მსხვერპლის შემყურენი, ხოლო უმისოდ
უფორმონი ვართ როგორც ღამე — ჩვენი მშობელი.

პრომეთე — ვაფფრთხებ მე თქვენს ძლიერებას, მასაც აგრეთვე
ვინც წარმოგვზავნათ ზიზღის ნოხევად. მზად ვარ დავცალო
ტანჯვის ფიალა.

პირველი ფ. — იქნებ ჰგონებ, ძალები გიმსხვრიოთ
ცეცხლად შეგეგზნოთ ოიგებში, გიღადროთ გული?

პრომეთე — ჩემი სტიქია ტანჯვა არის, თქვენი კი ზიზღი
პატიოს არ ვეფრთხი და არც ვნაღვლობ.

მეორე ფ. — წარმოიდგინე
მხოლოდ შეგცინებთ ფუჭამწამო თვალებში ყველა!

პრომეთე — თქვენი ქმედება როდი მაკრთობს, არამედ ტანჯვა.
რომელიც ეზღვის ყველა ბოროტს. ბილწია ძალი
თქვენებრ უშვერთა შავეთიდან გამომხმობელი.

მეორე ფ. — იქნებ გგონია, რომ შენს გვამში ჩაბეღებულნი
ცხოველ არსებად ვერ აგიმღვრევეთ სულსა მგზნებარეს,
როგორც ბრძენაკაცის მყუდროებას აამღვრევს ხოლმე
ბრბო უგუნური, უწერთნელი და ენამრავალი,
ოდეს შენს ტკინში, ჩავსახლდებით საშინ აზრებად,
ბილწ სურვილებად მტკიცე გულზე შემოგეგზნებით
სისხლად შეეერთვით ლაბირინთებს ოიგეგბისას
და შეგიმზადებთ აგონიის მწარე სამსალას?

პრომეთე — ეგ ყოველივე რახანია თქვენ ჩაიდინეთ,
მაგრამ რადგანაც მეუფე ვარ საკუთარ თავის,
აელაგმავ ხოლმე წამს ტკივილებს ჩემსავ სხეულში,
ვით ზევსს სჩვევია ამბოხს დროს თქვენი ალაგმვა.

ინგლისურიდან თარგმნა **ზვიად გამსახურდიამ**

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲜᲐᲕᲐᲠᲝᲕᲘᲜᲘ

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ

თბილისის სამხრეთით, ალგეთისა და ხრამის წყლებს გაღმა, ლელვარის მთის მიდამოებში არის ერთი პატარა სოფელი, რომელსაც წარაქეს ეძახიან.

ძველად იშვიათად თუ ვინმეს გაეგონა ამ სოფლის სახელი.

ახლა კი ამ სოფლის სახელი სამუდამოდ არის აღბეჭდილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში: 1880 წელს, 8 ნოემბერს აქ დაბადა მიხეილ სპასს-ძე ჯავახიშვილი.

ამრიგად, მომავალმა მწერალმა პირველად თვალი გაახილა და ფეხი აიდგა საქართველოს იმ კუთხეში, რომელსაც ოდესღაც თრიალეთ-საბარათიანონ ეწოდებოდა.

წარმოშობით ამ კუთხის მკვიდრნი იყვნენ დიდი ქართველი პოეტები — გრიგოლ ორბელიანი და ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელთა დაუვიწყარი პორტრეტები დაგვიხატა მიხ. ჯავახიშვილმა თავის „არსენა მარაბდელში“.

თვითონ სოფელი წარაქვიც ოდესღაც ბარათაშვილს ეკუთვნოდა.

აქედან შორს აღარ არის არსენას სოფლამდე — მარაბდამდე.

ამრიგად, ოქელაშვილის ნაკვენარი იმ დიდი მწერლის ნაკვენარიც არის, რომელმაც ამ სახელოვან ქართველ ვაჟკაცს ხელთუქმნელი ძეგლი დაუდგა; ჩვენ ვგულისხმობთ ისევ „არსენა მარაბდელს“, ამ შესანიშნავ რომანს, რომელშიც მთელი სიძლიერითა და მონუმენტურობით გამოიხატა ქართული ნაციონალური ხასიათი.

მაგრამ ამ რომანს შემდეგ შევეხებით. ახლა კი გვიყვეთ ისევ ჯავახიშვილის ბიოგრაფიას და ერთი თვალის გადავხედოთ მისი ბავშვობისა და ყრმობის წლებს.

პატარა მიხეილის ბავშვობამ პრიეოლნოეს ანუ ჯელალოღლის სკოლაში გაიარა. ის უკვე ცამეტი წლის ყრმა იყო, როცა წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლაში მიბარეს.

მიხეილის მამა — საბა ჯავახიშვილი კარგი მეურნე იყო და იმას ნატრობდა, რომ შვილიც მის გზაზე წასულიყო, ოღონდ უფრო ცოდნითა და, მაშასადამე, უფრო ხელმარჯვეედ მოსჭიდებოდა მიწას. ის ნატრობდა მისი შვილი აგრონომი გამოსულიყო და ამიტომ წინამძღვრიანთკარის სკოლა აღარ აკმარა, ყირიმში, იალტის სამეურნეო სკოლაში გაგზავნა.

1887—1901 წლების მანძილზე მიხეილ ჯავახიშვილი ამ სამეურნეო სკოლაში იმყოფებოდა, სწორედ აქ შეიტყო მან თავზარდამცემი ამბავი. თვითონ მწერალი ამაზე ასე მოგვითხრობს: „1899 წლის დამლევს ჩვენს სახლს მეზობლები დაეცნენ. ჩემი უფროსი დის სოფიოს მოტაცება უნდოდათ. მამაჩემი შინ არ იყო. ქალები გაუძალიანდნენ, ბრძოლის დროს იმ მხეცებმა ჩემი დაც მოკლეს, დედაც და ჩვენი მოჯამაგირეც. მამაჩემი ათეიტი იყო, მაგრამ ამ უბედურებამ მოტეხა. ძველი ეკლესიის განახლებას დიდძალი ფული დაახარჯა და ერთი წლის შემდეგ თითონაც გარდაიცვალა. ამან იმდენად იმოქმედა ჩემზე, რომ 1902 წელს იქაურობის თავი მივანებე და მას აქეთ იმ სოფელში ერთხელაც აღარ მივსულვარ“.

ასეთი იყო ბედის პირველი მწარე და ულმობელი დარტყმა. თითქმის მთელი ოჯახი რაღაც ერთი წლის მანძილზე დაიღუპა. გასაგებია, რომ ჭაბუკის სულში ყოველივე ამან ტრაგიკული საწყისის მოძალებას შეუწყო ხელი; ადრე აჩვენა მას წუთისოფელმა თავისი ავბედითი სახე და ბრძოლა ამ ბორტიტებასთან შემდგომში მწერლის შემოქმედების მთავარ მოტივად იქცა. გიიხსენეთ ჯავახიშვილის მოთხრობები, სადაც საშინელი ტრაგიკული სურათებია გადაშლილი, სადაც არის საოცარი და გულამდე ჩამწვდენი, ისეთი უსაზღვრო სიბრალული ადამიანისადმი, ისეთი სიყვარული მისადმი, რომ არ შეიძლება მკითხველი გულის სიღრმემდე არ შეძრას და არ აათრთოლოს. ყველაფერს აქ ვერ ჩამოვთვლით, მაგრამ თუნდაც „ტყის კაცი“ გიიხსენეთ. პირველიდან უკანასკნელ სტრიქონამდე მოთხრობა აღსავსეა მძაფრი ტრაგიზმით. ბანდახან მწერალი ამბის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხრობას შესწყვეტს, ვეღარ მოიფიქრს ხოლმე, ჩაერევა გმირთა საუბარში და მისი ეს, თუ შეიძლება თქვას, რეპლიკა მუდამ მწარე ამოკვნესას ჰგავს, გმინვას ჰგავს იმ ნათელი სულის დიდმტვინებოანი ადამიანისა, რომელსაც არ შეუძლია ეფაფარილოდ ფერიცოს როგორ იღუპება მისივე ძომპე — ადამიანი. განა მწარე გმინვასაკვით არ ისმის მწერლის სუტყვები "ოფორისადი „თეთრ კერდღელში": „ბარეკე ზოფერო, თორეგ ისეთ ცოდვას აიკიდეს მაგ მსუქან კისერზე, რომ სუკდოლამდე ვეღარ მოიხსნან!" ან მწერლის რეპლიკა გიახსენეთ მოთხრობაში „მდევარი": „კანჭა-ბიეო, ხელი აიღე! ნუ ეკადიერები უსულო ქალაქს... ხელი აიღე სოფლის ბიეო!" მაგრამ ბიეი ხელს არ იღებს, უსულოდ ეცემა მიწაზე და მწერალიც ასე ამთავრებს: „ე-ე-ე-ეჰ, კანჭა-ბიეო, აკი გითხარი დროზე აიღე-მეთქი ხელი", ან საგურამოელი მენახშირე, საცოდავი ბაჩიოლა გიახსენეთ, საშინელი ცოდვა რომ აიკიდა კისერზე და მტკვრის პირას რომ დგას, მეტეხის მორეკთან. გაგონილი აქვს ბაჩიოლს, კამეჩისთანა მოცურავე ცხოველი სხვა არ მოიბოვება, მაგრამ მეტეხის მორეკს ვერცერთი კამეჩი ვერ მოერეკაო. და აი, ბაჩიოკეკ აპირებს ამ მორეკვნი გადახტომას — ბეური კი არაფერი უნდა, მოაჯირის რომ გადაალაჯოს...

და მწერალი აქაც ეკ ითმენს, ეცოდება ეს უბედური, საშინელი დანაშაული რომ ჰკიდია კისერზე და ჩასძახის თავის გმირს:

„— ნუ, ბაჩილა-ბიეო, თავს ნუ გიიმტეკ! აგრე ადვილად ნუ დასთმინ ჯაბუკობას... ეგეთი დედამ მიგიღოს და მამამაც შენზე გული მოიბრუნოს. ნუ ბაჩილავ, ნუ!"

ბაჩილასაც თითქოს ესმის მწერლის ხმა, გამობრუნდება, წავა საგურამოსაკენ, რათა თავისსავე ეზოში ჩამოინახრეოს თავი.

მწერლის ეს მხატვრული ხერხი — გასაუბრება თავის გმირებთან იმ წუთებში, როცა ისინი საშინელ განსაცდელში არიან — მუდამ ძლიერ ეფექტს ახდენს: აქ ყოველი სიტყვა სჭრის და სწვავს ადამიანის გულს, მაგრამ მალამოსაც თვითონვე ადებს. ამ მხატვრულ ხერხს სიტყვის დიდი ოსტატი მზოლოდ მაშინ მიმართავს, როცა მისი გმირების წინაშე სიკვდილს საშინელი აჩრდილი ვამოჩნდება ხოლმე.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ მწერლის ბიოგრაფია საშინელი ტრაგედიით დაიწყო და იქნება ამაზეც ითამაშა როლი სამყაროს ესოდენ ტრაგიკულ შეგრძნობაში. მაგრამ მარტო ამით ახსნა, ცხადია, გულუბრყვილობა იქნებოდა — მთავარი, რაც განპირობებდა მიხეილ ჯაჯანიშვილის შემოქმედების ტრაგიკულ ელეგიაობას — ეს იყო უსამართლობაზე, ადამიანის ჩაგვრაზე, მის ფეხქვეშ გათელვაზე დაფუძნებული ძველი სამყაროო, კაპიტალისტური წყობილება, რომელიც უწყალოდ ამპარხეკებდა ადამიანის სულს.

და აი, ამ უსამართლო სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლა იქცევა მის. ჯაჯანიშვილის შემოქმედების დედაზრად, მთელი მისი ცხოვრების დედაზრად. მიხეილ ჯაჯანიშვილის ბიოგრაფიის თხრობა ჩვენ ზემოთ იქ შევწყვეტეთ, როცა წერაქვიდან მის სამუდამოდ წამოსვლაზე ვლაპარაკობდით. ამის შემდეგ მ. ჯაჯანიშვილს დებედას ხეობაში, ალავერდის სპილენძის ქარხანაში ვხედავთ — ამფორიფილმა შთამეწდილებებმა ძლიერ გვიან, მოთხრობაში „ფესამეში" ჩანიეს თავი; სულ მალე, 1903 წელს მიხეილი საქართველოს დედაქალაქში გადმოდის და აქ საამწერლო მოღვაწეობას იწყებს. მწერლის პირველი მოთხრობა „ჩანჩური" იბეჭდება „ცნობის ფურცლის" დამატებაში, მალე იგი „ივერიის" კარსაც შეაღებს და მისი ფაქტიური რედაქტორი ხდება.

აქედან იწყებს მ. ჯაჯანიშვილის დაუცხრომელი ბრძოლა ძველ სამყაროსთან, სოციალური და ნაციონალური ჩაგრის ''ისტებასთან, მეფის დამპალ რეჟიმთან, რომელიც ცდილობდა ჩანასახშივე ჩაეკრა თავისუფალი აზრის ყოველი სხივი. ეს იყო წლები, როცა ცხრაასნეტი წლის რევოლუციის ქარიშხალი ახლოვდებოდა და ჩვენი სახელოვანი მწერალიც მათს რიგებში იდგა, ვისაც თავის დროზე წარწერილი ჰქონდა ხალხის განთავისუფლების დიადი მცნებები. ახალგაზრდა მწერალი არაერთგზის განიცდის დევნას — 1906 წელს გაზეთ „გლეხის" რედაქტორობისათვის ციხდარმებმა მის წინაალმდეგ სჯმე აღძრეს, მაგრამ მწერალმა მოასწრო და საზღვარგარეთ გაიქცა. ჩვენ აქ დაწერილებით ალარ მოეუვებით, როგორ შეეიალი ის სორბონის უნივერსიტეტში, როგორ იმოგზაურა ზვეიცარიაში, იტალიაში, ჩრდილოაფრიკაში, ინგლისში, ბელგიაში, თურქეთში; 1909 წელს მიხეილი არალეგალურად დაბრუნდა სამშობლოში, ქალაქ ეკურანლისტურ მოღვაწეობაში ჩაება, კვლავ დაუწყეს მას ციხდარმებმა ძებნა და ამჯერად კი მწერალი ვეღარსად გაიქცა მათ — ის დაიპატიჰრეს და მეტეხის ციხეში დაამწყვდიეს. ციხიდან ვამოსვლის შემდეგ მას სამშობლოში ცხოვრება აუკრძალეს; მიხეილი ახლა როსტოვშია, შემდეგ — კავკასეში. 1913 წელს იგი დაბრუნდეს სამზეოდოებში იწყებს მუშაობას და, როგორც ამ საზოგადოების რწმენებული, ჩამოდის საქართველოში; იგი მარჯვედ იყენებს ამ შემთხვევას და კვლავ ქალამსა ჰკიდებს ხელს, მაგრამ ციხდარმები კვლავ წაადგებიან მის კვალს და კვლავ რეპრესიებს მიმართავენ მის წინააღმდეგ. პირველი მსოფლიო ომის დროს მიხეილ ჯაჯანიშვილს სამხედრო მუნდრი აკვია, ის ოსმალეთის ფრონტზეა, როგორც წიფელი ჯვრის მუშაკი.

ფრონტზე ყოფნამაც დიდაანი ახალი შთაბეჭდილებანი დატოვა ხის სულში. საერთოდ ამ დაუსრულებელმა მოგზაურობამ მას მეტად ბევრი რამ შესძინა, უზრეველ მრავალი ქვეყანა, ათასობით ადამიანი, გააცნო ცხოვრების ყველა კუნჭული, რაც ესოდენ საჭირო და აუცილებელია მწერლისათვის — ყოველივე ეს მარილივ დიდი სკოლა იყო მწერლისათვის, რომელსაც მომავალში უნდა ეკისრა ახალი ქართული საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი უფიქმედესის როლი, და ამ ისტორიულ მისიას მან შესანიშნავად გაართვა თავი.

ამრიგად, მიხეილ ჯავახიშვილის მთელი შეჭოქმედება, მისი სამწერლო გზა თვითონ ცხოვრებამ გაკეთ ორ ანოთანაბარ პერიოდად — პირველი, ადრინდელ პერიოდს განეკუთვნებიან „ბანჩურა“, „ეეზენქმე გაბო“, „უპპტორნო“, „ეკა“, „ჯიღლდო“, „კურკას ქორწილი“ და „ეშმაკის ქვა“; ყველა ეს მოთხრობა დაწერილია 1903—1908 წლებს შორის; ყველა ამ მოთხრობას ძალას აძლევს ნათელი ჰუმანიზმი, ულრმესი სიყვარული განწირულ და განეკიცხული ადამიანებისადმი, ამ უკვე ჩანს დიდი და კეთილი გული მწერლისა, რომელსაც ვერ ოუტანია ამდენი უსამართლობა, რომელზეც აგებული იყო თვითმპყრობელობის რეჟიმი.

აქ განსაკუთრებით უნდა გამოეყოთ მოთხრობა „ჯიღლდო“, რომელიც პირველი რევოლუციის ქარიშხლიან დღეებს ეხება. მწერალი მეფის ჯარისა და აჯანყებული მუშების შეტაკებას გვიხატავს. ამ ჯარშია სოფლიდან ბიჭი გიორგი ჯიხაძე, რომელსაც მეფის არმია საშინელ დანაშაულს ჩაადენინებს — თანამოძმეს მოაკვლევინებს. აქ უკვე მთელი ძალით ჩანს, ორივე ბანაკი — ხალხი და მისი მტრები, ჩანს როგორენი სიმპრილე და სიკეთეა ხალხის გულში და და როგორენ ბნელია და შემზარავი მის მრავალფლა წრე.

რაკი-რა პირველი რევოლუციის თემაზე ჩამოვადგეთ საუბარი, აქვე უნდა შეეეხოთ ამ თემისადმი მიძღვნილ რომანს — „ქალის ტვირთში“, თუმცა იგი მწერლის ბოლო ნაწარმოება იყო. აქ ქრონოლოგიური თანამიდევრობა დაირღვევა, მაგრამ სამაგიეროდ ერთ თემაზე შექმნილ ნაწარმოებებს ერთად განვიხილავთ და გავადევნებთ თვალს იმ საერთოს, რაც ნათელ ზოლად გასდევს მწერლის მთელ შემოქმედებას.

„ქალის ტვირთში“ შესანიშნავად გამოხატა მწერალმა ის გაადფთრებული ბრძოლა, რომელმაც პირველი რევოლუციის წლებში საზოგადოების ყველა კლასი და ყველა ფენა მოიცვა. რა მშვენიერად გვიჩვენა ჯავახიშვილმა ის დაუვიწყარი წლები, რომელთაც წარეშლილი კვალი დაიჩნიეს მთელს ჩვენს ისტორიას. აქ უნდა გავიხსენოთ ერთი ადგილი რომანიდან — კრება ინტელიგენციისა, რომელმაც უნდა [illegible] დასწყვიტოს თუ რა პოზიციას დაიკავს ქართული ინტელიგენცია რევოლუციის მამოძრავებელი ძალების მიმართ. როცა შავი რაზმი, ამდენშელიშვილმა და ამილახვარმა რომ შეადგინეს ჯაჭვსაყვეტელი გლეხკაცობის დარბევის მიზნით, როცა ეს შავი რაზმი პირისპირ დაუდგა წითელ რაზმს, მაშინ ანდრო ახატელი შავრაზმელების მხარეზე აღმოჩნდა. აი, იგი სიტყვას წარმოსთქვამს ინტელიგენციის კრებაზე და მოიფიზოვს, რომ შავ რაზმს იარაღი და ფული შეუმოეოვონ. „თავადაზნაურობა პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას წინაშე უსაყვარლესი მეფისა,— ამბობს ტრიბუნიდან ახატელი,— დადგა დრო, როცა ის ბრძოლის ასპარეზზე იარაღით უნდა გავიდეს“.

მაგრამ ახატელის გზას როდი გაკვეთა მოწინავე ქართველი ინტელიგენცია. ეს ჩანს იმ კრებაზეეე და აქ მინდა სიტყვა თვითონ რომანისტს დავუთმო:

„ორატორს უცეტ ხმა ჩაუწყდა. ფეხზე მდგომი ხალხი შუა გიიპო და დარბაზში ილია ქავჭავაძე გამოჩნდა. მთელი დარბაზი შეირხა **და** ყველანი ახალმოსულს მიაჩერდნენ. დაბალი, მაგრამ სრული, თითქმის სამოცდაათი წლის მოხუცი შუა გარეეეულ ხალხში დინჯად მოდიოდა და თან მოჰქონდა თავისი სანაქებო დარბაისლობა, ეამთა ცვალებადობაში უკვე მინელებული დიდება, ნახევარი საუკუნის მესეეეურობა ერისა და უთვალეეი სულიერი ტრაღლობანი, რომელიც მას ამ ულეეეულ გზაზე მიაყენეს. კარგა ხანია, რაც ეს კბილგაცვეთილი ბებერი ლომი თითქოს სამუდამოდ შეიხიზნა ბუნაგში. აღარც მისი ბუხუნი ისმოდა, აღარც მისი კლანჭი ჩანდა. მხოლოდ ერთხელ კიდევ დაიბუხუნა მან ამის წინათ. გერიის ასაკუთად მძვინვარე გენერალ ალიხანოვს ჰგზავნიდნენ. ჯარი უკვე სადგურზე იყო გასული. მაშინ განცხადა ილიამ ამავე დარბაზში: ალიხანოვის გაგზავნაზე ხელი უნდა აეაღებინოთ, თუ არა და — ყველამ თავი უნდა დავდოთო....

ილიამ დრო იხელთა და გერიულებისაკენ მოქნეულ ხიშტს თავისი განიერი მკერდი მიუშვირა, მიუშვირა და აარიდა. ახლაც ამისათვის მოსულიყო, რომ კიდევ ერთხელ დაექუხნა და ეთქვა: მეც გეახელთ, ვინაიდან ჯერ ისევ ცოცხალი გახლავართ და ხმლის მოქნევაც შემიძლიანო“.

ახატელი დაჯდა. სიტყვა ვის სურსო, კითხულობს თავმჯდომარე, მაგრამ მსურველი არავინ ჩანს, ანდროს მიმბრეეეს არ უნდათ ილიას მძიმე ეროს კვეშ მოექცნენ, სხვები კი პირველ სიტყვას ილიას უთმობენ, ვინაიდან ამ ციხეს მარტო ისიც შეაღწევეს და ჩვენი ლაპარაკი ზედმეტი იქნებაო. ილიაც მიხვდა, რომ მთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარბაზი მას ელოდა, ცოტა ხანს კიდევ იყუჩა და თითი ასწია.

და აი, ილიამ, როგორც იტყვიან ხოლმე, ქვა ქვაზე არ დასტოვა ახატნელის საბუთებისაგან. „ბატონმა ახატნელმა წამლის მაგიერად ზმანი მოგვაწოდა“, — ამბობს ილია. მებრძოლი რევოლუციონერი ზურაბ გურგენიძე პირველი შესძახებს ილიას: „მართალია!“. „მართალია, შაბმა!“ — ყვიროდა უკანა რიგებში, სადაც მუშები და უცეცხო ინტელიგენციაა თავმოყრილი. ისინი მძლავრად უკრავენ ტაშს. „მთავრობა ფუოლსა და იარაღს გვაწვდის, — ამბობს ილია, — ასე მიაწვდიან ხოლმე მახვილსაც და ოქროსაც იმ ავაზაკს, ვინც ღვიძლი ძმის მოკვლას კისრულობს“.

— აგრეა! მართალია! — კვლავ იხუვნა დარბაზმა.

— ხალხის სისხლის დაღვრა არ გაბეედოთ-მეთქი, თორემ მწარედ ინანებთ და გვიანღა იქნება თითზე კბენანი. გეუბნებიმი, მტერი შაბმს გვაწვდის-მეთქი. და ვაი იმას, ვინც მას წამლად მიინნეს და ჩამოართმევს“.

აქ სურათი სავსებით ნათელია, ისიც გასაგებია, თუ რატომ ხდება, რომ ბოლშევიკი ზურაბი პირველი დაეთანხმებოდა ილიას, ის პირველი უჭერს მხარს ერთობის ძველ ლომს, დაბერებულს, მაგრამ მაინც გაუტეხელს. ანდრო ახატელი პირში ჩალაგამოვლებული რჩება. აქ ნათლად ეხედვით იმ ბრძოლას, იმ შინაგან წინააღმდეგობებს, რომლებიც ახასიათებდნენ იმ ეპოქას. ჯაჯანიშვილის ამ რომანში ილია ეპიზოდური გმირია, მაგრამ ამა შეხედვით ორიოდე კალმის მოსმით, როგორ გააცოცხლა ჯაჯანიშვილმა ეს ბუმბერაზი და ვეჩვენა, როგორც მამა ერისა, დიდი მედროშე თავისუფლებისა.

მიხეილ ჯაჯანიშვილმა თავის ამ რომანს საგულისხმო სათაური — „ქალის ტვირთი“ უწოდა. აქ ლაპარაკია სწორედ იმ ტვირთზე, რომელიც ორმა ქალმა წამოიკიდა — არისტოკრატიულ წრეში აღზრდილმა, ყველელვით ნაზმა და ნეზიერმა ქეთომ, მუდამ ლამაზი ილუზიების სამყაროში მოგზაურმა, და მუშათა კლასის წრიდან გამოსულმა მართამ, რომელიც ფხიზელი თვალით შეჰყურებს სინამდვილეს და რომლისთვისაც რევოლუცია ლამაზი ზღაპარი კი არ არის, არამედ მისი გულის ფეთქვაა. მისი სიცოცხლის წყაროა. თვითონ მიხეილ ჯაჯანიშვილი ერთ ჩანაწერში თავისი რომანის ამ მთავარ პერსონაჟებს შემდეგნაირად ახასიათებდა:

„ქეთო რევოლუციონერი არ არის, რევოლუციონერია მართა. ქეთო მხოლოდ გაბაკეებული იყო რევოლუციით. მაშინ მაგისთანა ტიპები მრავლად იყვნენ. ქეთომ ვერ ზიდა რევოლუციონერის ტვირთი. სამაგიეროდ, მეორე ქალმა, რომელმაც აგრეთვე აიკიდა ეს ტვირთი, ზიდა და პირნათლად მიიტანა ბოლამდე. ის ცომბორშიც კი გაკეკვა ქმარს. მართა გამოვიყვანე ჯანსაღი ქალი, გაცილებით ჯანსაღი, ვიდრე არისტოკრატიის წარმომადგენელი ქეთო“.

ასეთი იყო ჩანაფიქრი რომანისტისა — მას სურდა ეჩვენებინა, ერთი მხრივ, ტრაგედია ქალისა, რომელიც არ იყო დაბადებული ამ რევოლუციისათვის, არ ჰქონდა სულიერი ძალა გაეძლო ათასი განსაცდელისათვის, ამიტომ ბიბლიური ივდითის როლზე ოცნებობდა: რეაქციის ბანაკში უნდა შესულიყო, დანებებოდა მტრის სარაფლო — ოლოფერნს (ეს ოლოფერნი აქ ანდარამთა რატბისტური აშშროოა) და შემდეგ თავი მოეკვეთა მისთვის. თვითონ რომანისტიც ამბობს, რომ ამისათვის ძალა არ ჰყოფნის ქეთოს და ამიტომ იღუპება ის ასე ტრაგიკულად. მართა კი სულ სხვაა — ეს თვითონ ხალხია, ძლერი, ალალი, უშუალო და ფოლადივით გაუტხეული. მას ვერაფერი შეაკრთობს, უკან ვერაფერი დააბეჭენებს.

სოციალისტური რევოლუციის წლები მიხეილ ჯაჯანიშვილისათვის ხელახალი დაბადების წლები იყო. მანამდე არაერთგზის რეპრესირებულმა, სამშობლოდან განდეგილობამ მწერალმა ახლა იგრძნო, რომ დადგა თავისუფლების ის დიდი დღე, რომლისათვის იბრძოდნენ მთელი თაობები. 1923 წელს იწყება მეორე პერიოდი მ. ჯაჯანიშვილის შემოქმედებისა, ამ წელს ქვეყნდება მისი მოთხრობა „ტყის კაცი“, რომელსაც ერთი-მეორეზე მოჰყვებიან რომანები და მოთხრობები, რომლებიც მუდამ დარჩებიან, როგორც ქართული საბჭოთა პროზის უბრწყინვალესი ნიმუშები. მიხ. ჯაჯანიშვილის, როგორც მწერლის უპირველესი ღირსება ის იყო, რომ ის მუდამ ცხოვრების შეჯაღელში ტრიალებდა, მუდამ დიდ ეპოქალურ თემებს ეშიდებოდა; მას ჰქონდა მებრძოლის მდელვარე სული და უყვარდა ყოფნა იქ, სადაც დუღდა და ბობაკრობდა ცხოვრების დიდი მდღარე, სადაც ისტორიის მაღალი ძაბვის მავთულები იყო გაჭიმული. ახალი საბჭოთა ლიტერატურის მანიფესტიენი იყო მგზნებარე სიტყვები მ. ჯაჯანიშვილისა, მიმართული ქართველი მწერლებისადმი, რომელიც მან თავისი რომანის „ვეფი შაღერის“ მთავარ გმირს წარმოთქვეინა:

„თქვენ, ამირანებო, ახლა მოჰქრით და ყველაფერს მოანგრევთ. რაღაც ჰქუხს თქვენს სისხლში, ვიღაც მღერის მაგ სულში, რაღაც იწვის მაგ გულში... ფრთხილად, მზეკაბეკებო, ის ვიღაც თუ რაღაც არ დაადუმთო, არ ჩაავ-რთთ... იცოდეთ: სულიერ მოდუნებას ისევ თავის მოკვლა სჯობია“.

და შემდეგ:

„არწივი ფრთებით არსებობს, მგოსანი კი სახელით. დამიჯერეთ მეგობრებო: მკითხველსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მგოსანს შორის რაღაც იდუმალი, რაღაც უჩინარი აფეზია გამბედი, და ჯადოსანიც ის არის, ვინც ამ თილისმერ ტალღებს მიაგდებს, ჩაპაღუჯავს და თავის გულს რაღაინ-საღგურად გადაკაქცეს. ეს გულთახცილი მგოსანი და უთვალავი მკითხველი მუდამ ერთანაწყოს ეჩურჩულებიან და ერთ მთლიან სულიერივით არიან შეერული".

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ეს თვით მახ. ჯავახიშვილის მრწამსია და ისიც ნათელია, რომ ეს დახასიათება მწერლის როლისა — სავსებით გამოხატავს მის შემოქმედებითს ინდივიდუალობას. სწორედ ამით დაიპყრო მან ქართველის გული, სწორედ თვითონ იყო ის ჯადოსანი, ვინც მიაგნო უჩინარ ძაფებს, გამბედს მკითხველსა და მწერალს შორის, ამით აიხსნება ის გასაოცარი ტრიუმფი, რომელიც თან სდევდა ყოველ მის მოთხრობას თუ რომანს გამოქვეყნებისთანავე.

ამრიგად, მიხეილ ჯავახიშვილმა ახალი საქართველოს პირველივე წლებიდან დაიმკვიდრა ქართული სიტყვის ბრწყინვალე ოსტატის სახელი. იგი ერთ-ერთი დედაბოძი იყო იმ შენობისა, რომელსაც ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორია ეწოდება. პარტია მუდამ გვასწავლის, რომ ნამდვილი მწერალი — თავისი ხალხის მებაირაღტრე უნდა იყოსო, და ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მ. ჯავახიშვილი ეკუთვნის იმ მოწინავე ოსტატთა რიცხვს, რომელთა სიტყვას ჰკონდა და აქვს უზარმაზარი ძალა — დამპყრობი და მიმტაცი ადამიანთა გულებისაკენ. ასეთ ოსტატებს მუდამ ღონინერი მხრები აქვთ და ამიტომ იტვირთავენ ხოლმე ესოდენ მძიმე ტვირთს — ხდებიან მესიტყვენი და გულის მესაიდუმლენი მთელი ხალხისა, რომელიც ერთიანულს ისტორიულ ვითარებაში ჰქმნის თავის ახალ ისტორიას.

მ. ჯავახიშვილის პირველი რომანი „კვაჭი კვაჭანტირაძე" ერთი შეხედვით, თითქოს განცალკევებით დგას, რადგან იგი სათავეგადასავალო-ავანტურიულ ტანის განეკუთვნება, როგორც ცნობილია, მწერალმა აქ გამოხატა ჯერ აღზევება და ზენიტი ალსასრული ერთი უსასპორტო კოსმოპოლიტისა, მაწანწალისა, რომელსაც ადამიანის სახე დაუკარგავს. „სადაც გემრიელი ლუკმა მაქვს, ჩემი სამშობლოც იქ არის", ვეიძახის კვაჭი კვაჭანტირაძე. ჩვენში აიარეთხელ გამოთქმული აზრი, თითქოს ეს რომანი რაღაც მეტად მსგბუქი და მხოლოდ გასართობად დაწერილი წიგნი იყოს. არა, ეს ასე არ არის — ამ რომანს აქვს თავისი საზოგადოებრივი ღირებულება. გიიხსენეთ თუნდაც ის, თუ რა გამანადგურებელი ძალით ამხეილა აქ მწერალმა დამპალი და გახრწნილი რეჟიმი რუსეთის თვითმპყრობელობისა. ვეიჩვენა, როგორ განაგებდა მთელ იმპერიას ვაიძერი „წმინდანი" რასპუტინი, ვეიგორ ტიკინასაგან თავის ნებაზე თოძაშებდა ის რეგვენ იმპერატორსა და გარყვნილ დედოფალს, როგორ ნიშნავდა და ხსნიდა მინისტრებს მეძავებთან გამართული თავაშვებული ორგიების დროს; ამ რომაში გამოჩნდა ეპოქა პირველი მსოფლიო ომისა, ისაბა ვითარება ომის მომდევნო წლებისა, როცა რევოლუციამ მოსპო ის პირობები, ის ნიადაგი, რომელიც ბადებდა კვაჭს მსგავს საერთაშორისო ავანტურისტებს.

დიდ საზოგადოებრივ პრობლემებს შეეხება მწერალი „ჯაყოს ხიზნებშიც". ამ რომაინის გასაგებად დიდი მნიშვნელობა აქვს ერთ გამოუქვეყნებელ წერილს ჯავახიშვილისას, რომელსაც ეწოდება „მასალები ლექციისათვის". ამ წერილში იტერი ებრძვის ყველა ნიჰილისტებს, რომლებიც საქართველოს მომავალს ეკვის თვალით შესცქეროდნენ. მ. ჯავახიშვილი წერს:

„მაგონდება ჩემი თვიმეტრაზ ხევისთავიც. მას იმედი დაჰკარგვია და გული გაჰშვენია. „ვიღუპებით" — ჰკივის ხევისთავი და სასოწარკვეთილი უიმედობით იხრჩობა. მისი პესიმიზმი გადადის შავ მელანქოლიაში, ხოლო ასეთი გულის ნაღველი, ლოგიკურად განვითარებული იქმნდა მიდის, რომ ხევისთავი ქართველობას თაყლობს და ბედს შესჩივის — რატომ ინგლისელად, ფრანგად ან გერმანელად არ გამაჩინეო".

და შემდეგ:

„ჭრელად შეუშხაპუნეთ ჯანმრთელ ადამიანს ეკვის ბაქტერიები, ჩაუნერგეთ ირწმენი თავის თავს არარაობისა და შემდეგ თვალყური ადევნეთ: ეს ადამიანი სულიერად მოიშლება, მოიღუნება, მოტყდება და დაავადდება. ამ სენს ჰქვიან ნებისყოფის აბეილი. გდია ჯანსაღი ვაჟკაცი და თითსაც ვეღარ იქნევს, გდია და ეღოდება სიკვდილს, ზოგჯერ კი მოლოდინს უნარიც აღარა აქვს. ნერვნა, არარაობა, სრული გარინდება, სამუდამო დასვენება — აი მისი ერთადერთი საზრუნავი.

რა დაემართა ამ ადამიანს? თავისი თავის ირწმენა დაეკარგა, სიცოცხლის უნარი დაუჩლუნგდა, ნებისყოფა გამოეცალა. ფსიქო-პათოლოგია კარგად იცნობს ამ სენს — ზოგჯერ მასობრივსა და მუდამ სახიფათოს. ამავე კანონს ემორჩილება ხალხიც, ან მისი რომელიმე ნაწილი.

ტყუილად კი არ ამბობენ ფრანგები: თვითირწმენა გამარჯვების ნახევარიაო. იგივე თქმენის სოციალურ ფსიქეზეც".

მაშასადამე, მწერალი „ჯაყოს ხიზნებში" ეროვნულ ნიჰილიზმს ებრძვის, უიმედობასა და პესიმიზმს ებრძვის, რადგან მან კარგად იცის, თუ რაოდენ ძლიერია ხალხის სული, როდენ დიდია და სახელოვანი მისი ისტორია, მისი აწ-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მყო და მომავალი. ამავე თემას მიუძღვნა მწერალმა თავისი „თეთრი საყელო“. ერთ დროს ზოგიერთნი ფიქრობდნენ, თითქოს ამ ნაწარმოების მთავარი თემა—ერთი მხრით ცივილიზაციისა და მეორე მხრით, სიბინძურის, ᲭᲣᲭᲣᲚᲘ დაპირისპირება. ეს, რა თქმა უნდა, შეცდომაა. ისეთ ᲭᲘᲒᲜᲘ მწერალსა და მოაზროვნეს, როგორიც მ. ჯავახიშვილი იყო, არ შეიძლებოდა ეს პრობლემა წამოეყრა. არა, ჯავახიშვილი პატრიარქალობასთან დაბრძენებაზე კი არ ოცნებობდა, არამედ ერის ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ, ღონიერსა და ძლიერ მომავალზე და ეს მთელი ძალით ჩანს „თეთრ საყელოში“.

არა მარტო ჩვენში, არამედ საქართველოს ფარგლებს გარეთაც ფართოდ არის ცნობილი მიხეილ ჯავახიშვილის შესანიშნავი მოთხრობები — „მართალი ადდელა“, „ლამბალო და ყაშა“, „ორი განაჩენი“, „ᲮᲣᲗᲘ ᲐᲘᲗᲐᲯᲘ“, „მესიმე“ და სხვები. ყველა ამ ნაწარმოებში მწერალი განაგრძობს ქართული კლასიკური ლიტერატურის სახელოვან ტრადიციებს, აქვე ჩანს ის ახალიც, რაც ჩვენმა დრომ მოუტანა მწერლობას. როგორც ზემოხსენებულ მოთხრობებში, ისე მწერლის მთელ შემოქმედებაში, განსაკუთრებულ უურადღებას იქცევს უაღრესად დახვეწილი ენა. მიხ. ჯავახიშვილის ქართული განსაცვიფრებლად მდიდარი და უხვია, აქ ყოველი სიტყვა საოცრად დამტკვეა. ამასთან ერთად, ამ ნაწარმოებებში ჩანს სიფეთქის ბრწყინვალე ოსტატი, ადამიანის სულის განსაცვიფრებელი მეცოდნე, ტიპებისა და ხასიათების ᲩᲐᲛᲘᲪᲘᲡ უდიდესი უნარით აღჭურვილი ხელოვანი.

მიხეილ ჯავახიშვილს აქვს შორსგამსჭვარეტი თვალი, საოცარი ხიზვა ისტორიისა, საოცარი უნარი — გიგიხდოს შორს, საუკუნეების სიღრმეში და გადმოგვცეს ის შინაგანი, დიდი და ნათელი ძალა, რაზედაც ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲜᲐ დაფუძნებული. ეთიხეოლმი „ᲐᲠᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲠᲐᲯᲓᲔᲚᲘ“ და თქვენ თითქოს ᲮᲔᲚᲗᲐᲮᲔᲜᲐᲯᲔ ᲒᲠᲫᲔᲚᲝᲗ და ᲮᲔᲓᲐᲯᲗ, თუ რას ნიშნავს ქართული ეროვნული ხასიათი; აქ ᲩᲐᲜᲯᲔᲑᲘᲡ სული მთელი ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲐ— ძლიერი, ღონიერი, გაუტეხელი და აღსავსე სამეფოსო სიკეთით. აქ ჩვენ ᲒᲐᲜᲔᲑᲐ ერთი აღგილი გავიხსენოთ „ᲐᲠᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲠᲐᲯᲓᲔᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ“. ეს არის სცენა, როცა არისენ და მისი მოხუცი პაპა — მაბარა ერთიმერთსა სცდიან. არისენ და მისი თანამებრძოლები იწყვებენ დიდ სახალხო ლაშქრობას, დიდ სახალხო ომს თავისუფლებისათვის და აი, მათ გზას ულოცავს პაპა მაბარა, ის, ვინც ᲩᲐᲜᲯᲐᲜ საუკუნეს ეზიდებოდა საქართველოს მეურნავე დროშას. ტანზე ალგი აღარ აქვს მას დაუჭერია, დაუბეგვია. ᲐᲛᲯᲐᲠ დასერა მაბარამ სომხეთი და ახალციხე, ჯავახეთი და ᲯᲐᲠᲔᲚᲘᲞᲐᲜᲘ, ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲪᲘᲪᲠᲘᲡ შესართავი, შეკი და ᲨᲐᲨᲘᲛᲐᲓᲔᲠᲘ, განჯა და ყარაბაღი. და აი ამ ᲑᲘᲒᲠᲔᲚ ᲝᲛᲘᲡ ᲐᲮᲚᲐ ᲑᲐᲢᲠᲜᲔᲚᲘᲜ შვილებს უყიდიან, და შვილებიც საბრძოლველად ირაზმებიან, შეკუეურებს მაბარა მათ მზადებას და ამბობს:

„— ᲑᲘᲭᲘᲜᲘ, თქვენ თურმე არა ᲮᲣᲗᲘᲠᲛᲝᲗ... მართლა ვეძაკეცები ᲧᲝᲛᲘᲡᲬᲐᲠᲐ, — ᲒᲐᲘᲪᲘᲜᲐ ᲞᲐᲞᲐ ᲛᲐᲑᲐᲠᲐ.

— ვარო, რატომ არ-ვარო!

— რა დროს ᲮᲣᲗᲘᲠᲝᲛᲝᲐ, ᲞᲐᲞᲐᲠᲘ!

მაბარა ისევ ტახტზე ჩამოჯდა, ᲭᲘᲚᲘᲡ და ᲩᲘᲩᲘᲡ ამოიღო და არისენს აᲩᲯᲔᲓᲐ. მარაბდელი მიუხვდა და მაშას დაუწყო ძებნა, მაგრამ ვერ იპოვა. მისი პაპა კი უცნაურად იღიმებოდა, სდუმდა და თითქოს რაღაც სხვას ელოდებოდა. არისენმ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲐᲘᲪᲐᲯᲐ ᲙᲐᲯᲒᲘᲠᲪᲔᲚᲘᲗ, მაბარა კი კვლავ იღიმებოდა და ᲭᲘᲚᲘᲡ ძირში ნელნელა აფათურებდა თოფებს.,

მარაბდელი ᲙᲐᲯᲒᲘᲠᲪᲔᲚᲘᲗ ᲯᲔᲠ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲡᲖᲔ ᲐᲢᲠᲘᲐᲚᲘᲡᲓᲐ, მერე ორ თითში გაიჩენა, ᲙᲠᲘᲭᲘ შეიკრა და გაᲩᲘᲜᲔᲓ. პაპა კი არა ᲩᲭᲘᲠᲓᲐ, თითქოს არაფერს არ ამჩნევდა, ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ კი ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘᲡ ᲮᲔᲓᲐᲯᲓᲐ და ᲣᲪᲣᲠᲐᲕᲓᲐ ᲘᲦᲘᲛᲘᲓᲐ. ᲧᲕᲔᲚᲘᲜ ᲒᲐᲩᲣᲛᲔᲑᲣᲚᲘᲧᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲘᲡᲔᲜᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲠᲔᲑᲝᲜᲔᲑᲘ.

მარაბდელი ᲙᲐᲯᲒᲘᲠᲪᲔᲚᲘᲗ ᲯᲔᲠ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲡᲖᲔ ᲐᲢᲠᲘᲐᲚᲘᲡᲓᲐ, ᲛᲔᲠᲔ ᲠᲘᲗ თითში გაიჩენა, ᲙᲠᲘᲭᲘ შეიკრა და გაᲩᲘᲜᲔᲓ. პაპა კი არა ᲩᲭᲘᲠᲓᲐ, თითქოს არაფერს არ ამჩნევდა, ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ კი ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘᲡ ᲮᲔᲓᲐᲯᲓᲐ და ᲣᲪᲣᲠᲐᲕᲓᲐ ᲘᲦᲘᲛᲘᲓᲐ. ᲧᲕᲔᲚᲘᲜ ᲒᲐᲩᲣᲛᲔᲑᲣᲚᲘᲧᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲘᲡᲔᲜᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲠᲔᲑᲝᲜᲔᲑᲘ.

ᲛᲐᲠᲐᲯᲓᲔᲚᲘᲡ ᲙᲐᲯᲒᲘᲠᲪᲔᲚᲘᲗ ᲯᲔᲠ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲡᲖᲔ ᲐᲢᲠᲘᲐᲚᲘᲡᲓᲐ, ᲛᲔᲠᲔ ᲠᲘᲗ თითში გაიჩენა, ᲙᲠᲘᲭᲘ შეიკრა და გაᲩᲘᲜᲔᲓ. ᲞᲐᲞᲐ ᲐᲠᲐ ᲩᲭᲘᲠᲓᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუმარცხენია ნათელი ბნელს, არსენა — ეუჭატნელს, მაგრამ დაუმარცხენია იმიტომ, რომ არსენა მუდამ ეაყალეი და კეთილშობილი იყო რაღაც უზარმაზარი მორალური ძალა ხმალს არ აღამართვინებს ხოლმე მოწინააღმდეგეზე, როცა მას ხმალი ხელიდან დაუვარდებოდა.

მიხეილ ჯავახიშვილმა ძლიერ კარგად იცოდა ფასი იმ თავისუფლებისა, რომელიც საბჭოთა ეპოქამ დაუქცევრია ჩვენს ხალხს. მან ისიც კარგად იცოდა, რა ზღვა სისხლის ფასად დაუჯდა ჩვენს ხალხს ამ დიდი თავისუფლების დამკვიდრება; და „არსენა მარაბდელშიც" ამ დიდი სახალხო ბრძოლის სათავეები ნაჩვენები.

შემთხვევითი არ არის, როცა ქართული ნაციონალური ხასიათის დაბატება და გამოკვეთა გადასწყვეტა, მ. ჯავახიშვილმა სწორედ არსენაზე შეაჩერა თავისი ყურადღება. ეს თითქოს იღლის ანდრაძის ასრულება იყო. ვეიხსენებთ რა გორ ახასიათებდა ილია თავისი ერთი გმირის სიტყვებით არსენას:

ის ზღაპრები მე გულს მიღონებდნენ
და აქამდინა ჩამრჩნენ ხსოვნაში,
ძველებურ დროსა შემაყვარებდნენ
იმ ჩემ მხიარულ ყმაწვილობაში.

ეჰ, მარტო ერთი იმ ზღაპრებისა,
ღვიძლ დედასავით მე შემეთვისა!
ის მე ბევრ რამეს გულს ჩამძახებდა,
ხან შიმალზენდა, ხან მაღონებდა.

არსენა ჩვენი, ის მზნე არსენა,
ჩვენნამდე ძამო, ზღაპრად მოსული,
ის იყო ჩემი ჯაგრი და ლხენა,
ის იყო ჩემი სული და გული.

ეგრეთ გონება ხალისიანი,
არსენას ამბით მე მეზრდებოდა,
მიყვარდა მე ის კეთილდღიანი
და არსენობა მენატრებოდა.

დიადი და მონუმენტური ფიგურა არსენასი, ფართო და ხალვათია მისი სული, ის დაუცხრომელი მებრძოლია სიკეთისა და თავისუფლებისათვის და ამ წმინდა მცნებებისათვის ბრძოლის გზაზე ხდება ის ნამდვილი წინამძღოლი, ნამდვილი ბელადი თავისი ხალხისა.

რომანი გამსჭვალულია ულრმესი პატრიოტიზმით, რომელიც განუყრელია ხალხთა ძმობის გრძნობისაგან. ვინ უდგას არსენას მხარში, როცა ის თავისუფლების დროშას აფრიალებს? აქ მას მხარში უდგას რუსი ნასალდათარი კარპიჩა, ალალ-მართალი კაცი; ის ზედავს არსენას გულის დიდ სიკეთეს და ამიტომ შესძახის: „ბიჩი ხარ-მეტკი, ბიჩი!" და როცა მარაბდაში ხალხის დასარბევად კაპიტანი ირლოვის ჯარი შემოდის, ეი როგორ ხვდება კარპიჩა ამ ამბავს:

— „ფუჰ, — ვადაფურთხა კარპიჩამ, მერე ჭადრისკენ გიიხედა და დუმატა, — ჰუგაროვი გინტათ, მეტკი, ჰუგაროვი. გმერთმაც დაგწყევლოთ და ეშმაკმაც".

ნასალდათარი კარპიჩა იმიტომ შეაკედლებია არსენას, რომ იცის — ამ ქართველი ვეკაცის სული მოწმენდილ ცასავით სუფთაა და უძირო. როცა საექსპედიციო ჯარი სოფელს მხეცურად აიკლებს და აიწიოკებს, კარპიჩა იძახის:

„— დრო მოვა და ამ გენერალ ოფიცერებს მე თვითონ გავაშმაგებენ, ჩემისთანა გარიზგილებს მივუგდებ და ყველას გახურებულ ზუმბებს დავუოიგებ... დედას გტირებთ მაშინ, დედასან პუგაროვიც ამ მოგენატრებათ, მაგრამ გვიიანგა იქნება, გვიიანა".

არსენას მხარში უდგანან უკრაინელი ოსტაპი, თათარი ალი-ბასანი, მხარში უდგანან ოსმხები და ოსები — ყველა ისინი დეენილნი და წამებულნი არიან მხეცური თვითმპყრობელური რეჟიმისაგან და ერთად იწყებენ ბრძოლას მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, რომელიც მეოცე საუკუნემ დაიგვიგრგვინა.

მიხეილ ჯავახიშვილმა უზარმაზარი შემოქმედებით მემკვიდრეობა დაგვიტოვა, მაგრამ მას კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო. იგი დაიღუპა თავისი სრული შემოქმედებითი სიმწიფისა და სიჭარმაგის პერიოდში. მწერალს კვლავ არაერთი ახალი ნაწარმოები ჰქონდა ჩაფიქრებული. დაწყებულიც ჰქონდა მთიხრობა საყოლეერნო ცხოვრების თემაზე, მაგრამ მისი დამთავრება ალარ დასცალდა.

მაგრამ ცოცხალია და მუდამ იცოცხლებს სახელი ამ დიდი ოსტატისა. მის ნაწარმოებებს რომ ვკითხულობთ, ვგესმის მწერლის ცოცხალი ხმა და ვგვონია, აგერ გამოჩნდება თავისი ალერსიანი და კეთილი ღიმილით. მისი ქმნილებები— ეს არის ზეიმი ქართული სიტყვისა, ქართული აზრისა, ეს არის მშვენება და სიამაყე ქართული საბჭოთა კულტურისა.

დიდება კალამს იმ მწერლისას, რომელმაც ასე დიდი ამაგი და ღვაწლი დასდო სამშობლოს, ქართულ სიტყვას — ძლიერსა და ოინარს, მთელ ჩვენს საბჭოთა კულტურას, ჩვენს ისტორიას, რომელიც მუდამ სიამაყით ვაიხსენებს მიხეილ ჯავახიშვილის სახელს!

ქეთევან ჯავახიშვილი

„მე ჯერ არ მითქვამს ჩემი სათქმელი...“

„მე ჯერ არ მითქვამს ჩემი სათქმელი“, — ამ სიტყვებით გამოხატა და შეაფასა მამამ თავისი განვლილი ცხოვრება და შემოქმედება, რომელსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე პირნათლად ემსახურებოდა. ამ ხნის განმავლობაში მან ბევრი რამ გააკეთა, მაგრამ მომავალში გაკეთებით უფრო მეტის გაკეთებას აპირებდა და ფიქრობდა, რომ სამწერლო მოღვაწეობის ოცდათოთხმეტი წლის მანძილზე მან ბოლომდე ჯერ კიდევ ვერ შეძლო თავისი საყვარელი ხალხისთვის ეთქვა თავისი სათქმელი. მეტი ნაწილი მას გაუკეთებელი და უთქმელი დარჩა. განზრახული კი ბევრი ჰქონდა. მხოლოდ მათი განხორციელების შემდეგ აბოლუნთქავდა თავისუფლად, სანანურად აღარაფერი ექნებოდა და ვალსაც პირნათლად მოიხდიდა თავისი ხალხის წინაშე. მაგრამ ამის გაკეთება მან ვერ მოასწრო.

მამამ კარგად იცოდა, რომ მისი ნაწარმოებები ხალხმა მის სიცოცხლეშივე შეიყვარა და ღვაწლიც დაუფასა. იმასაც კარგად გრძნობდა, რომ ქართველი ხალხი მას არასოდეს დაივიწყებდა. ამიტომ იყო, რომ სიკვდილის წინაშე მდგომმა ეს სიტყვები წარმოთქვა: „მე საქართველოს მიწაწყალზე ისეთი მაგარი მუხა დავრგე, რომლის ფესვებსაც ვერასოდეს ვერ ამოგლიჯავენ იმის გულიდან. მე ფიზიკურად გამანადგურებთ, მაგრამ იმას ვეღარ მოსპობთ, რაც მე ხალხს დავუტოვე“. ეს სიტყვები ასე დარწმუნებითი და თამამად მას ხალხის სიყვარულმა ათქმევინა.

ქართველი ხალხის სიყვარულს ძალზე აფასებდა და სწორედ ეს აძლევდა მას შრომის უნარს და მუშაობის ხალისს. „ჩემი არსენა მშრომელი ხალხის გულს მისწვდომია. ამაზე დიდი ჯილდო კი მე არ მეგულება“, — ამბობდა მამა. ივი გრძნობდა, რომ ამ სიყვარულის გამო ყოველთვის ვალში იყო ქართველი ხალხის წინაშე და ამიტომ უნდოდა, რომ ვალი თავისი საყვარელი ერისთვის ასამაგად გადაეხადა. განზრახული ჰქონდა კიდევ ბევრი რამ გაეკეთებინა და დაეტოვებინა ხალხისთვის. „მე ჯერ არ მითქვამს ჩემი სათქმელი, ნაადრევია ჩემი სიკვდილი“, ჩასწერა მან თავის უბის წიგნაკში. ეს საშინელი წინათგრძნობაა და ღაღადია მისი.

ქართველი ხალხი და საქართველო—ამ ორ სიტყვაში იყო მისი სასიცოცხლო ძარღვი; რომელიც ამათთვისვე ფეთქავდა და მასაც სიცოცხლის უნარს აძლევდა, აცოცხლებდა. უამათოდ სიცოცხლე ვერც წარმოედგინა. ვერც ერთს ვერა თქმიდა და უამათოდ არსებობა არ შეეძლო. მისთვის არ არსებობდა არავითარი ბედნიერება თავისი სამშობლოსა და ხალხის გარეშე. „ჩვენ ხალხისთვის ეწერთ და მის სახელს ეფიცულობთ“, — წერდა მამა.

„რომ მეკითხონ სიკვდილით დასჯა თუ სამშობლოდან განდევნა, ისევ პირველი მირჩევნია“, — უწერია თავის უბის წიგნაკში. ეს ასეც სწამდა მას და ყოველგვარ პირობებში მყოფი, არჩევანს ყოველთვის პირველს არაუნებდა ხოლმე, ისევ პირველს ამჯობინებდა. სამშობლოდან წასვლა მისთვის სიკვდილზე მეტი იყო. ეს კი მან უკვე რამდენჯერმე განიცადა.

რაც თვითონ სწამდა ღრმად, იმასვე სხვას უქადაგებდა. მეც პატარაობიდანვე იმასვე მიერეკვოდა, თავისი შთანაბერი სულით მბრდიდა. მამის მიერ ჩემს ალბომში ჩაწერილი „ჩვენი დროის ათი მცნება“, ბავშვობიდანვე მასწავლიდა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ნამდვილი ადამიანი და რა მიზანს ემსახურებოდა მისი სიცოცხლე. მისი სიცოცხლე ხალხსა და სამშობლოს ეკუთვნოდა. ეს ათი მცნება ცხოვრების სწორსა და ნამდვილ გზას მინათებდა და ამ გზაზე მაყენებდა, პატარაობიდანვე პატრიოტულ გრძნობებს აღვივებდა ჩემში. მომიწოდებდა პიროვნების სისპეტაკისაკენ და სიწმინდისაკენ, ჩემში ნერგავდა შრომის სიყვარულსა და პატივისცემას. ზშრიად მეტყოდა ხოლმე.

რომ ადამიანში მეტად ძვირფასი და დასაფასებელი თვისებაა შრომისმოყვარეობა. ზარმაცობას და არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებას საქმისადმი არასოდეს არავის არ აპატიებდა, არც შინაურს და არც გარეშეს.

მისი ღრმა რწმენით ადამიანს, უპირველეს ყოვლისა, უნდა ებრწყინა თავის სამშობლოზე და თავის ხალხზე, შემდეგ კი თავის პირად ბედნიერებასა და კეთილდღეობაზე. პირად ბედნიერებას არასოდეს არ უნდა დაეჩრდილა საზოგადო და ეროვნული საქმე. „ვინც საკუთარი საქმე პატიოსნად, საუკეთესოდ მოაწყო, ის საქმეყნო საქმესაც მოერევა“, — უწერია მამას თავის უბის წიგნაში, მას სწამდა, რომ ადამიანს თავისი ცხოვრება უკვალოდ არ უნდა დაელია. თავისი კვალი, თუნდაც მცირე, ყველას აუცილებლად უნდა დატოვებინა. ეს უნდა ყოფილიყო ყოველი ჩვენგანის ცხოვრების მიზანი.

„უკეთესია შენი ერისათვის იცხოვრო, ვიდრე საკუთარ ბედნიერებისთვის“, — ასე სწამდა მამას და ამასვე სწერდა თავის უბის წიგნაში. „ვინც თავის დროისა და ხალხისათვის ცხოვრობს, ის ყველა ხანებისა და ხალხისათვის ცხოვრობს“,—უწერია იქვე. „ჩემი ერის გულში ვზიარ, ჩემი ხალხიც გულში მიზის“, — ვკითხულობთ იქვე. ასე გულით ატარებდა იგი თავისი ხალხის სიყვარულს და მის წინაშე ყოველთვის პირნათელი იყო კიდეც.

ერთ-ერთი საჯარო შეხვედრის შემდეგ კი მას თავის უბის წიგნაკში ჩაუნიშნავს: „და დღეს, ამ დარბაზში, მელანდებოდა, მეჩვენებოდა, ვგრძნობდი, თითქო მე და ჩემი ხალხი — ქართველი ხალხი და მთელი საქართველო — ერთმანეთს ვეხუტებოდით და ვკოცნიდით. ვიგრძენი ისიც, ვითომ ორივენი ერთმანეთში ჩავესხით და გავიხსენით, შევდუღდით: მე ჩემს ხალხში, ხოლო ქართველი — ჩემს გულში და სულში“.

მისი უკანასკნელი ნაწარმოები „ქალის ტკივრი“ იყო. ამ რომანს მან ორი წელიწადი მოანდომა და 1936 წლის ივნისში დაამთავრა. იმ წელს ჩვენი ოჯახი დასასვენებლად ქვიშხეთში იმყოფებოდა და სწორედ იქ, აგარაკზე დასასრული კიდეც მან რომანის წერა.

ეს ნაწარმოები ცალკეულ თავებად ყურნალ „მნათობში“ იბეჭდებოდა და მთლიანად, ცალკე წიგნად ჯერ კიდევ არ იყო გამოცემული.

რომანისათვის თავდაპირველად განზრახული ქქონდა „სახლი № 7“ დაეწერა, მაგრამ შემდეგომ, მუშაობის პროცესშივე გადაფიქრა და სათაური შეცვალა, „ქალის ტკივრი“ დატოვა. ამ ნაწარმოების დამთავრების შემდეგ თითქმის მთელი წელიწადი ისევ ამ რომანს მოანდომა. ზოგი რამ დაუმატა, ზოგი გადააკეთა და ამის გამო ზოგმა ადგილმა ყურნალში დაბეჭდილთან შედარებით ცვლილება განიცადა. რომანი ნაწილობრივ დაიბეჭდა, გადაიბეჭდა და ცალკე წიგნად გამოსაცემად მზადდებოდა. მამას ამ დროისათვის უკვე გამზადებული ქქონდა რომახის რუსული თარგმანიც, რომელიც მოსკოვში უნდა გამოსულიყო.

დასრულა თუ არა ამ რომანზე მუშაობა, მამა უკვე ფიქრობდა სხვა რომელიმე თემისათვის მოეკიდა ხელი, ახალი ნაწარმოების წერა დაეწყო. უქმად დიდხანს არასოდეს რჩებოდა რომელიმე ნაწარმოებს რომ დაამთავრებდა, ახალ თემას ჰკიდებდა ხელს და კვლავ ახალ ნაწარმოებზე განაგრძობდა მუშაობას. დროის დაკარგვას და გაცდენას ვერ ეგუებოდა. დროს ძალზე ზოგადად და უფრთხილდებოდა და გაცდენილი დღით ყოველთვის უკმაყოფილო რჩებოდა ხოლმე.

მამას ხშირად უთქვამს კიდეც და დაუწერია, რომ თემები მხატვრული ნაწარმოებებისათვის ყველგან უამრავია, თემებს ხომ თვითონ ცხოვრება გვაძლევს. თემები ყველგან ისე ჰყრია, როგორც ქვები რიყეზე. მხოლოდ საჭიროა მახვილი, დაკვირვებული და გამოცდილი თვალი, ალღო და ოსტატის ხელი, რომ ხელი იმას ჩასჭიდოს, რომელიც მას დაინტერესებს და გაიტაცებს და დაწერის რამე, შექმნას მხატვრული ნაწარმოები.

თემები მამას უამრავი ჰქონდა დაგრილი, დასაწერი მასალა საკმაოზე მეტიც კი იყო და ამიტომ ძალზე ეშურებოდა, რომ ყველაფერი, რაც გულით სურდა და იზიდავდა მთელი ცხოვრების მანძილზე, მოესწრო და დაეწერა. გასაკვირი წყურვილი ჰქონდა, დაუკმაყოფილებელი წყურვილი მუშაობისა და წერისა.

ბოლო დროს მხოლოდ ერთი რამ აწუხებდა, მხოლოდ იმასღა ფიქრობდა და ნატარობდა, რომ თავისთვის მყუდროდ მჯდარიყო სახლში, რაც შეიძლება იშვიათად გასულიყო გარეთ და ეწერა, ბევრი ეწერა, მთელი დარჩენილი დრო მუშაობისათვის მოენდომებინა. ძვირფასი დრო წვრილმან ამბებზე არ დაეხარჯა, სამუშაოს არ მოსცდენოდა. და რაც შეიძლება მაქსიმალურად გაეზარდა თავისი სამუშაო დრო, ნაყოფიერი გაეხადა და ბევრი რამის გაკეთება მოესწრო. უამრავი მოზღვაევებული მასალა მამისგან დიდ დროსა და ენერგიას მოიოხოვდა.

მაგრამ მას არ შეეძლო საზოგადოებრივ ცხოვრებას მოსწყვეტოდა, ვინაიდან ნიადაგ მის შეკავეში ტრიალება ხოლმე. როგორ შეეძლო სახლიდან გარეთ არ გასულიყო და განყენებულად. მხოლოდ თავისი ნაწარმოებებით ეცხოვრა და მარტო მათზე ეზრუნა. მას არ შეეძლო სხვა არაფრისათვის აღარ მიექცია ყურადღება და ცხოვრების არც ერთ საკითხში არ ჩარეულიყო. ასე ვერ მოიქცეოდა, ვინაი-

დან მისი ჩვეულება იყო ყველაფერს გასცნობოდა, ყოველივე შეეტყო, ეზრუნა ჩვენი ერის მტკივნეულ საკითხებზე. ყოველ წერილშიზეკი ტი ეტყობოდა. ზოგჯერ მცირე რამ ისე ითქმედებდა, რომ უმალ გამოიყვანდა ხოლმე მდგომარეობიდან, აიღელვებდა და აიფორიაქებდა მის სულსა და გულს მთლიანად.

ბუნებით მამა ისეთი ადამიანი იყო, რომელსაც არასოდეს არ შეეძლო მარტო ლიტერატურული მუშაობით, თხზულებების წერით შეზღუდულიყო, შემოფარგლულ თავისი სულიერი მოთხოვნილებები, დიემაყოფილებინა თავისი მოქალაქეობრივი მეობა. მისი მოესენებანი და დაუდგრომელი ბუნება უკარნახებდა ყოველთვის ცხოვრების შუაგულში ყოფილიყო თავის საყვარელ ხალხთან ერთად, ეზრუნა და ეფიქრა ქართველი ერის ინტერესებზე და მის კეთილდღეობაზე. თავისი საყვარელი ხალხის ტკივილები მისი ტკივილებიც იყო და მათი სიხარულით ცხოვრობდა კიდეც.

ყოველთვის ძალზე დატვირთული იყო ხოლმე სხვადასხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის საშუაშოთი და ამბებით. ყველა საქმეს, რომელსაც ხელს ჰკიდებდა, დიდის გულისყურითა და ყურადღებით ეპყრობოდა და ამიტომ საკუთარ ნაწარმოებებზე მუშაობისათვის ბევრი დრო აღარ რჩებოდა. მთელ გულისყურსა და სიყვარულს აქსოვდა ის საქმეში, რაც მას ინტერესებდა და აღელვებდა, რაც მის სამშობლოსა და ხალხს შეეხებოდა. სხვა საზრუნავი მას არა ჰქონდა. უბულოდ, ვალის მოსახდელად არასოდეს არაფერი ვაუკეთებია. ფუძილი და გაჩუმება არ ეხერხებოდა. მისთვის ფუძილი მორალური სიკვდილს ნიშნავდა. ყოველთვის რაღაც აწუხებდა, აფიქრებდა, მოსვენებას არ აძლევდა. რაღაც ძალა ამოქმედებდა და აიღელვებდა ხოლმე.

თუ საკითხება მოითხოვდა, საქმით ან სიტყვით არასოდეს უკან არ დაიხევდა და თავს ჩრდილს არ შეიფარებდა. საჭირო რომ ყოფილიყო, სიცოცხლეს შესწირავდა და არც ინანებდა. ის ყოველთვის თანაბარი ინტერესით აფეკვნებდა ხოლმე თვალს ქართველი ერის სიწმინდისა თუ ისტორიული ძეგლების დაცვის საქმეს. თანაბარი ყურადღებით ეკიდებოდა ახალგაზრდობის აღზრდას თუ ქართველი ერის გამრავლების საკითხს. ყველგან თავის სიტყვას იტყოდა და რჩევასაც დაპყოლებდა.

მამას ზშირად ეოქვამს კიდეც საუბრის დროს და დაეწერინა, რომ ახალგაზრდა მწერალმა უნდა ბევრი იმოგზაუროს, ნახოს, განიცადოს და წლების მანძილზე დასაწერი მასალა მრავლად დაიგროვოს. ჩემისთანა კაცი კი, რომელმაც ყველაფერი უკვე ძალზე ბევრი ნახა, უამრავი რამ საკუთარ თავზე გამოსცადა და გადაიტანა და ზომაზე მეტი მასალა აქვს დაგროვილი დასაწერად, უნდა ცდილობდეს, რაც შეიძლება ოქვაითად გამოვიდეს გარეთ, უნდა ღრმად ჩაუკვეს საქმეს, დროს გაუფრთხილდეს, გამოდგებით იჯდეს და წერდეს, რაც შეიძლება მეტ დროს მუშაობას უნდა ანდომებდესო.

მუშაობის დროს მამა ძალზე მომთხოვნი იყო საკუთარი თავისადმი და ზშირად კმაყოფილი არა რჩებოდა თავისი მუშაობით; ნამუშევარი მცირედ ეჩვენებოდა, მეტის გაკეთება ეწყალა, მცირედით არასოდეს არ კმაყოფილდებოდა.

უკანასკნელი ნაწარმოება „ქალის ტვირთი“ რომ დაამთავრა, მამა ძალზე გახარებული და კმაყოფილი იყო. ერთხელ ვეეთხრა: „ეს ორი წელი, რომელიც ამ რომანს მოვანდომე, ნაყოფიერი გამოდგა. დიდი ტვირთი დავაკარეულ. ერთი რომანიც დავამთავრე. ესეც კარგია, მაგრამ მე შემიძლო უფრო მეტი გამეკეთებინა და იმას ვწუხვარ. დამდეგი წელიწადი მაონა ჩემს ცხოვრებაში უფრო ნაყოფიერი უნდა გამოდგეს. მომავალი წელი უთუოდ ანაზზიერებს კიდეც წლეანდელი წლის დანაკლისს“. ასე ფიქრობდა მამა 1937 წლის დამდეგს.

თავის წერილში კი, რომელიც იმავე წელს გამოაქვეყნა, წერდა: „შემოქმედების მხრივ ეს წელიწადი უნაყოფოდ არ გამოტარენია. მოზრდილი ნაშრომის დასრულების თარიღი მწერლის ხსოვნაში ზოგჯერ სიკვდილამდის რჩება ხოლმე. შარშან ორი წლის ნამუშევარი რომანი „ქალის ტვირთი“ დავასრულე, რომელსაც სახელგამეცალე წიგნად წლეულ მიაწოდებს მკითხველს. რომანის თემა — 1905 წლის რეკოლუცია — კარგი ხანს მაწვალებდა და ამიტომ მისი დასრულების გამო დიდ მორალურ კმაყოფილებას ვანვიცდი. ყოველდღიურ წერილან ნამუშევარს ალარ ვანგარიშობ“.

ახლა, რასაკვირველია, ძალზე ძნელია ამის თქმა, თუ რომელ თემაზე შეაჩერებდა თავის ყურადღებას მამა, რა უფრო მიიზიდავდა მას და რომელ მათგანს მოჰკიდებდა ხელს, არჩევანს რომელ თემას მიაკუთვნებდა. მაგრამ ბევრი რამ რომ აწუხებდა, იზიდავდა და აფიქრებდა, ბევრი რამ რომ აზრად უტრიალებდა და გულით დაჩქონდა და ბევრის გაკეთებას ფიქრობდა, ცხადი იყო.

პირველ რიგში განზრახული ჰქონდა თანამედროვე თემაზე რამდენიმე მოზრდილი მოთხრობა დაეწერა. თანამედროვეობას იგი დიდ ადგილს უთმობდა და ამბობდა კიდეც: „თანამედროვეობიდან მოწყვეტა მწერალს არაფრით არ შეეძლია. მწერალი მოვალეა უპირველეს ყოვლისა თანამედროვეობას გამოეხმაურის და შემდეგ უკვე ისტორიულ თემებს მოჰკიდის ხელი“.

წარსულს, აწმყოსა და მომავალს არასოდეს ერთმეორეს არ აშორებდა, ერთიმეორისაგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ თამაედა. მისთვის ისინი ერთიმეორესთან მჭიდრო კავშირში იყვნენ. თვითონ მამა კი ყოველთვის მომავლისკენ იყო მიბრუნებული, მომავალს იმედიანად შეჰყურებდა.

„შესწავლა მახლობელ და შორეულ კულტურული წარსულისა და მისი მხატვრული გამოყენება ფიზიკიდელი ადამიანის გემოვნების მიხედვით“, — უწერია მამას თავის უბის წიგნაში. „განუკეთეელი კულტურული მთლიანობა წარსულისა, აწმყოსი და მომავლისა“, — წერია იქვე.

უბის წიგნაკი იყო მამის განუყრელი თანამგზავრი და მეგობარი, რომელსაც არასოდეს არ აშორებდა. ყველაფერს იწერდა ხოლმე, რაც კი გაახსენდებოდა. წიგნაკეს კი ძალზე სათუთად ინახავდა და უელდა.

მისი საქმიანობა მარტო საწერ მაგიდასთან შუშობით და წერით არ იფარგლებოდა. შემოქმედებითი პროცესი თითქმის განუწყვეტლივ მიმდინარეობდა და მთლიანად თითქმის არასოდეს არ ითიშებოდა იმ სამყაროდან, რომელშიაც ასე ღრმად იყო შეჭრილი. შემოქმედებითი მუშაობა არასოდეს არა წყდებოდა, არც დღისით და არც ღამით. მისი გონება ღამითაც არ ისვენებდა, ღამითაც არ აძლევდნენ მოსვენებას მოზღვავებული ფიქრები ან თავისი ნაწარმოებების გმირები, ისინი ძალიან ხშირად სიზმრადაც ელანდებოდნენ. ღამითაც ისევ იმ სამყაროში ტრიალებდა, რომელზედაც ფიქრობდა და წერდა.

სადაც უნდა ყოფილიყო, ყველაფერს, რაც კი მის ირგვლივ ხდებოდა, გულდასმით, მთელი თავისი გულისყურით აკვირდებოდა, თვალყურს ადევნებდა. სადაც უნდა ყოფილიყო, საზოგადოებაში თუ ქუჩაში, მატარებელში თუ მანქანაში, თავის ამ თვისებას არა ღალატობდა.

წესად ჰქონდა შემოღებული, ყოველდღიურად თავის წიგნაკში ჩაენიშნა რომელიმე მისთვის საჭირო სიტყვა, სახე, გამოთქმა, ამბავი. სხვადასხვა წერილმანი თუ მსხვილმანი ამბები, ყურმოკრული თუ თავისი საკუთარი აზრები, რომელიც მას სიარულის დროს ეიქმნებოდა. ყველაფერს უმალ თავის გონებაში გადაამუშავებდა, გაცხრილავდა და ჩაწერდა წიგნაკში. ამ აზრებს ძალზე უფრთხილდებოდა თვითონვე და არასოდეს არ კარგავდა, დავიწყებას არ გაატანდა. ყოველდღიური ამბები, ნაფიქრალი და აზრად გაელილი აქ იყრიდა ხოლმე თავს და შემდეგ ყველაფერი თავის ალაგს პოულობდა, სადმე რომელიმე ნაწარმოებში ამა თუ იმ ალგას გამოიყენებდა. ასე რომ ყველაფერი მარგალიტებივით წიგნაკში იკრიბებოდა, ინიშნებოდა და ინახებოდა. წიგნაკი ინომრებოდა და ერთიმეორეს ცვლიდა. წიგნაკზე ყოველთვის წელი იყო აღნიშნული და ქვეგვი კი მისი აეტოგრაფი იყო დასმული. ასე გადიოდა წლები და ეს წესი არასოდეს არ იირღვეოდა.

მამას ხშირად უთქვამს, რომ მწერალს აუცილებლად უნდა ჰქონდეს დაკვირვების უნარი. უამისოდ შეუძლებელია წერა. დაკვირვება მწერლისთვის, პროზაიკისისთვის იგივეა, რაც ჩიტისთვის ფრთები, ფრინველისოდაც იგი ვერ გაფრინდებაო. მწერალი უნდა ღრმად ჩაუკვირდეს ცხოვრებას, გაეცნოს ყოველ ფენომენს, დღენადაგ მის შეგანელში უნდა იმყოფებოდეს და ტრიალებდეს. გული შესტკიოდეს მის ავკარგზე და ცხოვრების შუაგულიდან ამოიყვანოს თავის ნაწარმოებებისათვის საჭირო ტიპები, აკვირდებოდეს და პოულობდეს მისთვის საჭირო სახეებს.

მის უბის წიგნაკში ვკითხულობთ: „მწერალო! ერთი ხელი წარსულს გაუწოდე, მეორე მყოფადს ჩასჭიდე, არც ერთი არ გაუშვა, თორემ დაიღუპები“, „წარსულო, აწმყო და მყოფადი— აი საქართველო“, და სხვა მრავალი.

დიდი ხანია აპირებდა საქართველოს ზოგიერთ კუთხეში გამგზავრებულიყო, იქაურობა მოეკლო, რამდენიმე ხნით იქ დასახლებულიყო და ამ კუთხის ცხოვრებას ბასკნობოდა. პირველ რიგში განზრახული ჰქონდა ასურეთის მიღონის კოლეეურნეობაში ჩასვლა, იქ ცოტა ხნით დარჩენა, მათი ცხოვრებისა და მიღწევების ნახვა, მათი საქმიანობის შესწავლა. უნდოდა თვალნათლივ დაენახა მათი შრომა და ცხოვრება და ყველაფერი ეს მხატვრულად აესახა, მკითხველისათვის ეჩვენებინა. მამა ყოველთვის გაოცებული იყო იმ ხალხის საქმიანობით, შრომისმოყვარეობით, ხალისითა და მიღწევებით. „ვნრის თვითონ დღეკანელობა გვთავაზობს. იგი ათასობით მოიპოვება კოლეეურნეობაში, ქარხანაში, მაღაროში, ყინულეთში, ჰაერში, წყალზედაც და წყალქვეშაც“, — ამბობდა ხოლმე და ყველგან უნდოდა დაენახა ახალი დროის გმირი და გმირობა. „შეგრძნობა და შეენახა ახალი ეპოქის სულისა და მისი მხატვრული ასახვა: ახალი ადამიანი, ახალი სტილი, ხერხები, კომპოზიცია, რითმი; ჰანგი; თემა; თვალი; ლექსიკონი“; — უწერია თავის უბის წიგნაკში.

მამას მიაჩნდა, რომ ეფაკცობა და გმირობა საჭირო იყო ყველგან, როგორც პირად ცხოვრებაში, ისევე შრომასა და მწერლობაში. „ეფაკცობის კულტი ქართულ მწერლობაში და ხალხურ პოეზიაში. ეს დედოფლური უნდა აღზდგეს, თორემ სულ დავიღუპებით“, — ასე წერია მის უბის წიგნაკში.

ყოველთვის აღტაკებაში მოპყავდა იგი იმ უზარმაზარ და ჩვენი ერისათვის დიდად სასარგებლო საქმეზე, რომელიც გაკეთდა კოლეტთის ჭაობების ამოშრობით. იქაც განზრახული ჰქონდა ჩასვლა, ყველაფრის დათვალიერება. უნდოდა ყველაფერი თვითონ ენახა,

განეცადა და პირადად დარწმუნებულიყო იმ დიდ ცვლილებებში, რომლებიც მოხდა ამ მხარეში უკანასკნელად მისი ამ ადგილებში ყოფნის შემდეგ. საჭირო იყო ეს უდიდესი საქმეც მოთხრობაში ჩაექსოვა.

ფიქრობდა აგრეთვე სამგორის ველებისთვისაც მოეცალა და იქაც ისეულიყო. იმ მიდამოებისთვისაც შეეკლო თვალი, ახალი ადამიანი იქაც დაენახა და აეწერა. უნდოდა საკუთარი თვალით ენახა და დარწმუნებულიყო იმაში, თუ რა გაკეთდა ჩვენი ხალხის, მშრომელი ხალხის მარჯვენის წყალობით. 1936 წელს ლაგოდეხელ კოლმეურნეებთან საუბარში კიდევ ასნიშნა: „ძლიერ მოსურნე ვარ პირადად გასაუბროთ, თქვენი ცხოვრება გავიცნო და საკუთარი თვალით დავათვალიერო თქვენი სანიმუშო კოლმეურნეობანი“.

ეწადა ყველაფრისა ნახვა, რაც არ ენახა უწინ და უნდოდა თვითონვე დარწმუნებულიყო იმ უდიდეს წვლილში, რომელიც შეპქონდა მშრომელ ხალხს საერთო საქმეში. ფიქრობდა ყველაფერს გამოხმაურებოდა, თავიანურად შეეფასებინა საკუთარი თვალით ნანახი და მათი აეკარგიანება.

ყველაზე წინ ის ყოველთვის ადამიანს და ადამიანობას აყენებდა, „კულტი ადამიანისა და ადამიანობისა“, — უწერია მამას თავის ეტიდ წიგნაკში. „საჭაროში არაფერია უულამაზესი ჩვენი ქვეყნისა. ჩვენს ქვეყანაში — ადამიანისა და ადამიანში — სულისა“, — წერია იქვე.

თანამედროვე თემების გარდა მამას განზრახული ჰქონდა რამდენიმე ისტორიული რომანიც დაეწერა. რუსთაველე, შამილი და გიორგი საკაძე — აი, ის ისტორიული თემები, რომლებიც ყველაზე ძლიერ აღელვებდა და ამირებდა კიდევ უახლოეს ხანში რომელმესთვის ხელი მოეკიდა.

გიორგი საკაძის პიროვნება ყოველთვის იზიდავდა. ამ თემას დიდი ხანია დასტრიალებდა თავს და მომავალში განზრახული ჰქონდა კიდეც იმ ეპოქის საფუძვლიანი შესწავლა და გიორგი საკაძის ეპოქისა და ცხოვრების ამსახველი რომანის დაწერა. მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი რამ გამოსარკვევი და შესასწავლი იყო. მამა ზშრიად აღნიშნავდა, კერძო საუბარშიც უთქვამს, რომ ინტერესი საკაძის ბიოგრაფიისადმი და იმ ეპოქისადმი წარსულშიც ყოველთვის ალაზე დიდი იყო და არც მომავალში შენელდებოდა, რომ ქართველი მწერალი ოდესმე ამ თემას დიდი გულისყურითა და ინტერესით კვლავ მოეკიდებოდა. იმ უამრავ თემებს შორის, რომლებიც მამას უნდოდა თავისი ცხოვრების მანძილზე დაეწერა, ერთ-ერთი მთავარი საკაძის თემა იყო. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს თემაც მას ხელუხლებელი და დაუწერელი დარჩა, ვინაიდან ყოველთვის ისე ხდებოდა, რომ მას სხვა რომელიმე თემა ეღოლეებოდა, ეზიდა და მის ადგილს იკავებდა, საკაკე კი დროებით განზე გადგებოდა და მამას სურეელი ისევ სურეველად რჩებოდა. მხოლოდ ზოგიერთი მასალა და ჩანაწერი დარჩა ხის უტის წიგნაკებში და საარქივო მასალებში, რომანის წერა კი იმ დროს მამას დაწყებულიც კი არ ჰქონდა, არც ერთი სტრიქონი არ ჰქონდა დაწერილი.

შამილის თემაც დიდი ხანია მამას უფრადღებას იპყრობდა და იზიდავდა. ფიქრობდა, მომავალში ამ თემისათვის მოეცალა და შამილის ცხოვრებაზე რომანი დაეწერა. ამ თემების გარდა მის საქაოლოგიებში ვხვდებით აგრეთვე მასალებს ფეერიდნელ ქართველებზე, ერეკლე მეორის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე და კიდევ სხვა მრავალ თემას. უთუოდ ამ თემებზედაც ფიქრობდა და თანდათანობით, წინასწარეე ამზადებდა და აგროვებდა საჭირო მასალებს.

მაგრამ ამ სამი ისტორიული თემიდან განსაკუთრებით აღელვებდა და მოსვენებას აღარ აძლევდა ჩვენი გენიალური პოეტის შოთა რუსთაველის ცხოვრება და ბედიერება. დიდი ხანია განზრახული ჰქონდა დაეწერა რომანი შოთას ცხოვრებაზე. მაგრამ ეს ამბავი არც თუ ისე ადვილი საქმე იყო და ძალიან დიდსა და დაძაბულ შრომას მოითხოვდა.

ასნან რომანის წერას შეუდგებოდა, საჭირო იყო წინასწარი დიდი სამუშაოების ჩატარება, უამრავი მასალის შეგროვება, დიდძალი ლიტერატურის გადასინჯვა და შესწავლა, მრავალალგის დათვალიერება, არქივ-მეზეუმების ქექვა და დიდი ხნის დაბაბული და დაუღალავი შრომა. წინასწარი გეგმა მოლიანად ჩამოყალიბებული კი ჰქონდა. ეს რომანი თავდაპირველად განზრახული ჰქონდა შოთა რუსთაველის იუბილესთვის დაეწერა და ამ თარიღისთვის მოესწრო, მაგრამ ასეთი დიდი ჯაფის გაწევა შედარებით მცირე ხნის განმავლობაში მის ძალ-ღონეს აღემატებოდა და ამიტომ, ცხადია, ვერ მოესწრებოდა. აჩქარება კი ამ საქმეში არ შეიძლებოდა. ამიტომ მამამ ამჯობინა მოგვიანებით მოჰკიდებოდა ამ საქმეს და ამისთანა დიდ ტვირთს დინჯად შესდგომოდა.

მის არქივში ინახება განაცხადი, რომელიც მან შოთა რუსთაველის საიუბილეო კომიტეტს წარუდგინა 1934 წელს შოთა რუსთაველის იუბილეს გამო. აქედან ნათლადა ჩანს მომავალი რომანის სახე. მამა წერდა:

„მე განვიზრახე დაეწერო ისტორიული რომანი „შოთა რუსთაველი“, რომელშიც აწერილი იქნება ცხოვრება და მოღვაწეობა ჩვენი უდიდესი გენიოსი პოეტისა.

მე შარშან ვწერდი „მნათობში“ და ახლაც ვიმეორებ, რომ მე არ ვეკუთვნი იმ ოშვიით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწერალთა ჯგუფს, რომელთაც თავიდანვე ზედმეწევნით აქვთ დაგეგმილი დასაწერი რომანის ფაბულა, სიუჟეტი, კომპოზიცია, ტიპები და სხვა. გეგმა წერის დროს მოდის. ეს ნამტანარკოგად იციან ისტორიული რომანების ავტორებმა, სანამ ისტორიული, სოციალური და კულტურული გარემო ზედმეწევნით არ ირის შესწავლილი, მანამდის ვერც ერთი ავტორი წინაშწარ ვერ შეადგენს გეგმას.

რაც შეეხება რომანის მთავარ გეზს, მე ახლავე შემიძლიან ზოგადად მოგახსენონ ეგ.

1. ცხადია, რომ შოთა რუსთაველი რომანის მთავარი გმირი იქნება. ისიც ცხადია, რომ ის ყოველ მხრივ უმჯობესი გმირად იქნება ასახული.

2. რუსთაველს ბიოგრაფია არა აქვს. ეს გარემოება ხელს შემაწყობს თავისუფლად ავსახო მისი ეინამა და ცხოვრება, ხოლო ის, როგორც მორალურ-ფსიქოლოგიური ტიპი, მკაფიოდ მოსჩანს „ვეფხისტყაოსანში“.

3. უეჭველია, რომ შოთა რუსთაველი (მესანი) ზემოურ კლასს ეკუთვნოდა, მაგრამ არა მგონია, რომ ის პირველი რიგის ფეოდალი ყოფილყო. მან უმადლესი განათლება მიიღო ბიზანტიაში, მან მაშინდელი კულტურული ქვეყანები მოიარა (არაბეთი, სპარსეთ) იქაური ენები და ფეენიერებაც ფეისწავლა და, უცხო მსოფლმხედველობით გაჟღენთილი, თავის სამშობლოში დაბრუნდა. მაშინდელი საქართველო ქრისტიანული, შოთა კი წარმართია. ოფიციალი საქართველო და პოეტი ერთმანეთს ვერ შეეგუვნენ. ამის გამო ორნაირი კონფლიქტი ჩნდება: სოციალური და იდეოლოგიური.

4. ამას ორი მწვავე რამ დაემატა: პირველი — ვენოსი თითქმის მუდამ დეენილია, შეჩვენებული. წარმართ შოთას ყველაზე მეტად სამღვდელოება აუმხედრდა, რომელმაც დასწყევლა პოეტი და მისი პოემა საჯაროდ დასწვა. მეორე და უმთავრესი ის არის, რომ შოთას გგიყებით უყვარს თამარ მეფე, რომელიც მას საიდუმლოდ ეხვარება. თამარსაც უყვარს შოთა, მაგრამ შუაში ტახტი და ფეოდალიზმი უდგამ. შოთას სიყვარულო გამეცალინდეს. ამას უდიდეს სასეელმწიფო პორობოქმედებად ჩასთვლიან, მთელ ქვეყანას აეშლიან, მოკლას დაუპირებენ, პოემას დაეწვიენ. ბოლოს შოთას ცხოვრება ტრაგედიად გადაიქცა. ის ვერ უძლებს მას — უიმედო სიყვარულს, დეენას, ზნეობრივ ჩაქოლვას. თამარი თვითონ შეატყობინებს რუსთაველს საიდუმლო სინკოლტის განაჩენსა და თვითონვე გაამაპარებს მას ეარაკიდან ბიზანტიაში.

5. თავის თავადაც ცხადია, რომ შოთა მარტო არ იქნებოდა. მას მომხრენი ჰყავს, რომელნიც მეფეურის წესელის შემდეგ მარცხდებიან. ფეოდალები და კლერიკალები იმათზე იყრიან ეჯაგრს და სასტიკად განაპენენ მათ.

6. რომანში ნაჩვენები იქნება მთელი მაშინდელი ფეოდალ სოციალურ-პოლიტიკური სამართველო — სოფელიც და ქალაქიც, ფეოდალიც და გლეხიც, ეჯაჭიც და ხელოსანიც, სასახლეც და ქოხიც, სასელმწიფოს განფიდებაც და მისი მომავალი დაეცემაც.

7. რომანი დაახლოებით 25 ფორმა იქნება“.

მომავალ რომანზე მამა ხშირად ფიქრობდა ერთხელ თავისი ფიქრები გაგეიზიარა და მომავალი მეშაობის შესახებ ვეეთხრა: „მე თითქმის ნათლად ეზედავ მომავალ რომანს, იმედიანად ვარ, რომ კარგი უნდა გამოვიდეს. არსენას არ ჩამოუვარდება, პირიქით, დარწმენებული ვარ, რომ მას აჯობებს კიდეც. მასალა ძალზე მდლანია და ნებას მაძლევს ჩემებურად, სანტიტრესოდ გავშალო. ეთქვაც ძალზე საინტერესოა, ამიტომ ჩემთვის ცხადზედ უცხადესია, რომ მომავალი წიგნი არსენას აჯობებს“.

ამ თემების გარდა მამას უნდოდა კვლავ „არსენა მარაბდელს“ მიბრუნებოდა და ერთი წიგნის ნაცვლად ტრილოგია დაეწერა. ამ რომანის დამთავრების შემდეგ მამა წერდა კიდეც, რომ ერთ წერილში მოთავსებული მასალა ზომაზე მეტიც კი აღმოჩნდა, მასალა თვითონვე მოითხოვდა გაშლასა და ტრილოგიად გადაკეთებას. მასალა იმდენი იყო, რომ სამ წიგნად თავისუფლად გაიაზეკოდა. ერთ წიგნად მოთავსებული კი ნაწარმოებს წარეოლობრივ ამძიმებდა და ამიტომ მამას გადაწყეეტილი ჰქონდა როდისმე ისევ თავის საყვარელ წიგნს ჩასჯდომოდა და სამ ტომად დაეწერა. პირველი წიგნი უნდა ყოფილიყო „ალექსანდრე ბატონიშვილი“, მეორე — „არსენა“ და მესამე წიგნი — „შეთქმულნი“. ეს სამეეე თავის მხრივ დიდ შრომასა და დაძაბულ მეშაობას მოითხოვდა რამდენიმე წლის მანძილზე.

ამ თემებისა და ძირითადი სამეშაოს გარდა მამას გადაწყეეტილი ჰქონდა თავისი მეეზარეების წერას შესდგომოდა. ფიქრობდა თავისი მოგონებები ასეთი სათაურით დაეწერა: „ფილიდან სალამმდის“. თავისი ცხოვრების ფილა, შეადეე და სალამი უნდა აეწერა. იგი უკვე ორმოცდათექვსმეტი წლისა იყო და ძალზე ეშინოდა, ძალ-ღონეს და მეხსიერებას არ ეღალატნა და მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე დაგროვილი ინერეტები მასალა დავწყებისათვის არ მიეცა, დიდი ცხოვრების გზა ჩქარდა გავლილი და ცდილობდა, არც ერთი წერილმანი მეხსიერებას არ დაკარგვოდა. უნდოდა ეს ძალზე საინტერესო და ძვირფასი მასალა ხალხისთვის დაეტოვებინა. 1937 წელს დაწერილ წერილში თვითონვე წერდა ამის შესახებ: „ეინაიდან მე ცხოვრების სამგოდ ჭრილი გზა განვლე და უამრავი მასალა დამიგროვდა, განვიზრახე მეოთხეულაც გავეუზიარო იგი, ე. ი. მოგონებები დაეწერო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გინდილი, ნანახი და მოსმენილი კალაპოტში მოქცეულს მოითხოვდა და მამასაც უკვე მოთხოვნილებად ექცა მოგონებების წერა დაეწყო. თვითოსეკ დროულად მიაჩნდა მოგონებების დაწყება. ერთხელ ჩვენც გვითხრა: „თქვენ მეუფნებით, რომ ნაღრეკია ჩემი მემუარების წერა. გეთანხმებით, მაგრამ ვინ დამიდგება თავდებად, რომ 70 წლამდე ვიცხოვრებ და ყველაფერს მოვასწრებ, რის გაკეთებაც მინდა“.

მამას შესანიშნავი მეხსიერება ჰქონდა, რომელიც არასოდეს არ ღალატობდა. მაგრამ ბოლო დროს, ისიც ძალიან იშვიათად, რაიმე წერილმანი რომ დაავიწყდებოდა, ძალზე მწვავედ განიცდიდა. ეშინოდა, მოგონებების წერა წლიდან წლამდე რომ გადავდო, ვაი თუ ამით საქმეს ზიანი მიეყენო, ვაი თუ მეხსიერებამ მიღალატოს და ზოგი რამ დამავიწყდეს. ამიტომ ეშურებოდა ასე.

დასაწერი და მოსაგონი კი განა ცოტა ჰქონდა მამას! რამდენი რამ ჰქონდა სათქმელი და გადმოსაცემი თავისი ხალხისათვის. ძალზე უზრუნველი, ბედნიერი და ათასგვარი ოინებით სავსე იყო მისი ცხოვრების დილა. სავსე და ბედნიერი იყო მისი ოჯახი მისი ცხოვრების გარიჟრაჟზე. სოფლად ცხოვრება, დედ-მამისა და დაძმის გვერდით. მომავალი იმედებით და ფიქრებით იყო აღსავსე მისთვის ეს ბედნიერი დრო. სწავლა საგურამოსა და ყირიმში და ზაფხულობით კელავ შინ დაბრუნება. ბედნიერად გრძნობდა მამა თავს, რომ ერთ დღეს თავს არ დასტყდომოდა უბედურება, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა მთელ მის ცხოვრებაზე. ერთ ღამეს მისი და უნდა გაეტანნათ და იმის გამო, რომ დედა და ეა, ორივენი სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ მოძალადეებს და არ ნებდებოდნენ. ორივე მოკლეს.

წლის თავზე კი მამა ამ დარღს გადაყვა. ასე დაკარგა მამამ ერთი წლის განმავლობაში თავისი შობილები. მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე თან სდევდა მამას ეს ტრაგედია. დაობლებული, გულგატეხილი, სევდიანი იძულებული გახდა ცხოვრების გზა თვითონვე გაეკვლია. ძრაგალი გაჭირვება ნახა მან, ვიდრე შრაგაზაზე გამოვიდოდა. მომავალს მაინც იმედიანად შეჰყურებდა და თავის ადგილს ეძებდა ცხოვრებაში. მან საშუალად ზურგი აქცია თავის მშობელ მხარეს და იმ სახლს, სადაც ბედნიერი ბავშვობა გაატარა. ამიერიდან აღარაფერი აღარ აკავშირებდა მშობელ მხარესთან, მოგონებაც კი შემზარავი იყო მისთვის. წამოვიდა იქიდან და იმ მხარეს აღარც გაპკრეზია. მხოლოდ 1937 წელს ერთი დღით ავიდა თავის სოფელში და იქაურობა მოინახულა.

ცხოვრების შუადღე მამამ მოგზაურობაში გაატარა. საქართველოდან გადადგეწილს საშობლოს სევდა არ ასვენებდა და კვლავ საქართველოში ბრუნდებოდა. შემდეგ ნათელი დღეები მოახლოვდა და მამაც დამშვიდდა. მუშაობდა, ბრუნავდა უამრავ საქმეზე და ცხოვრობდა იმ ზარაგანტებებითა და სიხარულით, რომელიც მოეტანა მას თავისმა ნაწარმოებებმა. სალამო ჟამს კი ის უკვე ძალზე დაღლილი და დაკანცული უახლოვდებოდა. ოცნებობდა მყუდრო და თბილ საღამოზე, რომელიც მას აღარ ჰქონდა.

მამას ძალზე დიდი სამუშაო გეგმები ჰქონდა დასახული და წერის წყურვილით შეპყრობილი დასვენებაზე არც კი ფიქრობდა არასდროს. ის შემოქმედებითი წვა, რომელიც მას ასულდგმულებდა, ვერაფერით ვერ ჩაქრებოდა, ვიდრე ქაღალდზე არ გადმოიღვრებოდა ყველაფერი, რაც მას აწუხებდა და ახარებდა.

ერთხელ გულახდილად გვითხრა: „იცით, რამდენი რამე მაქვს კიდევ გასაკეთებელი? რაც აქამდე გავაკეთე, ჩემის აზრით, ძალზე მცირეა იმასთან შედარებით, რაც მომავალში მინდა გავაკეთო. მხოლოდ ყველაფრის გაკეთება უნდა მოვასწრო, აი, ამის მეტი მე სანატრელი არაფერი მაქვს“.

ბოლო წელიწადს მამას, რომელიც გამბედაობით და თავისი უშიშარი ბუნებით ყოველთვის სხვებისგან გამოირჩეოდა, გულში რატომღაც შაში ჰქონდა გამჯდარი — ჯანმრთელობას ან მეხსიერებას არ ეღალატნა მისთვის და ამის გამო გაუკეთებელი არ დარჩენოდა რამე. მის უბის წიგნაკში ასეთ ჩანაწერს ვხვდებით: „ვაი თუ ვერ მოვასწრო, ნეტა ჯანმრთელობამ არ მიღალატოს“. მეორე ადგილას წერია: „ეს თემები მე მაწუხებს“. და იქვე: „დაეწერელი არ უნდა დარჩეს არაფერი, მე ჯერ არ მითქვამს ჩემი სათქმელი, ნაადრევია ჩემი სიკვდილი“.

ერთხელ საუბარში მამამ გვითხრა: „მე ვალად მაწევს ქართველ ხალხს დავეტოვო ჩემი ნაწარმოებები და ვალმოხდილი წავიდე ამ ქვეყნიდან. ჩემს ხალხს, რომელმაც მე ასე შემიყვარა და დამფასა, მე ვალი უნდა ჩემი ნაწარმოებებით გადავუხადოო“.

თავისი შესაძლებლობისა და უნარის მიხედვით მცირედ მიაჩნდა ის, რაც მანამდე შეექმნა. ძალზე ბევრი ჰქონდა დასაწერი, მაგრამ რატომღაც მთელი მისი შინაგანი სამყარო სავსე იყო შაშითა და წინააგრძნობით, რომელიც საუბედურად გამართლდა. ბევრი რამ გაუკეთებელი და უთქმელი დარჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე კოჭლავაშვილი

მიხეილ ჯავახიშვილი მეფის „ოხრანაის“ რაკურსი

დიდმა ქართველმა რომანისტმა მიხეილ ჯავახიშვილმა მოღვაწეობა დაიწყო მუშათა მოძრაობის ლიმელლობისა და რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო ცარიზმისადმი მისი ოპოზიციური განწყობილების უფრო აქტიურ ფორმებში გამოძალ-ღენებას. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია ხელისუფლებას და იგი, როგორც პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო პიროვნება, თავიდანვე ყანდარმერიის ფარული მეთვალყურეობის ქვეშ მოექცა. მეფის „ოხრანკა“ თვალს ადევნებდა მიხეილ ჯავახიშვილის ყოველ ნაბიჯს, სწავლობდა მისი მხატვრული და პუბლიცისტური შემოქმედების თვითეულ სიტყვას, რომელშიც ისახებოდა მწერლის ფართო დემოკრატიული მისწრაფებანი.

მიხეილ ჯავახიშვილი საზოგადოების დაბალი ფენიდან — გლეხობის წიაღიდან გამოვიდა და ამიტომ ზედმიწევნით იცნობდა გლეხობის დუჭჭირ ცხოვრებასა და მისწრაფებებს. 1906 წელს „ქართული გლეხის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ სტატიაში („გლეხის წერილები“) იგი წერდა: „ამხანაგო გლეხებო! მე თვითონ გლეხი ვარ, სოფელში დავიბადე, გლეხებში გავიზარდე და ძალიან კარგად ვიცი გლეხის ცხოვრება და ვიციო�gლეხი“.

ლორის დაწყებით სკოლასა და წინამძღვრიანთკარის სამეფო სასწავლებელში სწავლის პერიოდშიც იგი კვლავ გლეხურ გარემოში ტრიალებდა და თავისი ღარიბი ამხანაგებისაგან დაწერილებით ეცნობოდა მათი მშობლების ძნიშვ მდგომარეობას. მიხეილ ჯავახიშვილის დაკვირვებულ თვალს შეუმჩნეველი არ დარჩენია ის, რომ ქართველ გლეხობის ცხოვრებაც ისევთავე აუტანელი იყო, როგორც მისი მშობლიური კუთხის — თრიალეთისა და ჯავახეთის მთიანს შუა მცხოვრები გლეხებისა.

მიმაგალი დიდი მწერლის დემოკრატიულ შეხედულებათა ჩამოყალიბებაზე უმეტესად ნანახისა და გაგონილის გარდა, უეჭველია, კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა აგრეთვე წინამძღვრთიანთკარის სასწავლებლის პროგრესულმა მასწავლებლობამ, განსაკუთრებით კი ამ კულტურული კერის ფუძემდებლებმა — დიდმა ილია ჭავჭავაძემ და ილია წინამძღვრიშვილმა. მიხეილ ჯავახიშვილს კარგად ახსოვდა ილია ჭავჭავაძის მამაშვილური დარიგებაც: „აბა, შენ იცი, ვინძოო არ შეგვარცხვინო“.

წინამძღვრიანთკარის შემდეგ მიხეილ ჯავახიშვილი 1897 — 1901 წლებში იალტაში სწავლობდა ნიკიტსკის სიამპერატორო მებაღეობა-მევენახეობის სასწავლებელში. აქ იგი რუსი გლეხების ცხოვრებასაც გაეცნო. ერთ-ერთ თავის სტატიაში მიხეილ ჯავახიშვილი წერდა: „რუსეთში რამოდენიმე წელიწადი ვიცხოვრე, იქაურობა მიეიარ-მოვიარე, რუსი გლეხის ცხოვრებაც გავიცანი... რუსი და ქართველი გლეხი ერთმანეთისაგან თითქმის არაფრით განსხვავდებიან. ორივენი ერთ ფეღელში არიან შეშმეული, ორივენი ერთნაირად იტანჯებიან მთავრობისაგან, მემამულეებისაგან, პოლიციისაგან და ყაზახ-რუსებისაგან“.

მიხეილ ჯავახიშვილის რადიკალურ შეხედულებათა ფორმირებაზე გარკვეული გავლენა უნდა მოეხდინა იმ გარემოებასაც, რომ იგი 1901 — 1903 წლებში ალაევრდის მეტალურგიულ ქარხანაში მსახურობდა, სადაც უმეტესად გაეცნო მეშათა უმძიმეს მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობებსა და უფლებრივ მდგომარეობას. სწორედ ამ პერიოდში ალაევრდის ქარხნის მუშებმა ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით გაფიცვების სახით აქტიური ბრძოლა დაიწყეს ცარიზმისა და ქარხნის მფლობელთა წინააღმდეგ. სამწუხაროდ, საფდეესოდ დადგენილი არ არის ალაევრდელ მუშათა გაფიცვებისადმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ ჯაჯანიშვილის დამოკიდებულების ხასიათი, მაგრამ ეკეი არაა, რომ ის გაფიცულებისადმი სიძპათოდად იყო განწყობილი. ამას გვიფიქრებინებს, უპირველეს ყოვლისა, 1904 წელს ალაგერის წარმოებაზე დაწერილი მოკალმახრიგ საინტერესო მხატვრული ნარკვევი („ოფიციდ დღე ალაგერდის მადანში"), აგრეთვე მწერლის ინდროინდელი მხატვრული შემოქმედება, რომელშიც დიდი უშუალოებითაა გადმოცემული ხალხის მდგომარეობა, მისი რეკოლუციური განწყობილება და ავტორის დამოკრატიელი მისწრაფებანი. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი დეტალიც: ების წიგნაკში, რომელიც მეფის „ოხრანკაა" მიხეილ ჯაჯანიშვილის ბინის ჩხრეკისას აღმოჩინა, მწერალს თავისთვის ჩაუნიშნავს: „ჩემი დეკინია: ყველაფერი *დემოკრატიისათვის*".

ცნობილია, რომ რუსეთის პირველმა რეკოლუციამ ვერც აგრარული საკითხის გადაწყვეტა შეძლო დადებითად, ღარიბი გლეხობა კვლავ უმიწოდ დარჩა. ამაეე დროს, მნიშვნელოვნად გაიზარდა გადასახადების რაოდენობა, რაც უფრო მეტად აშძიმებდა მურჩომებელთა მდგომარეობას. *მეფის მთავრობამ, რომელიც მხარს უჭერდა მემამღლეთა თავაწყვეტილ თვითნებობას, სისხლისმღვრელი დამსჯელი ღონისძიებების ჩატარება დაიწყო რევოლუციურად განწყობილი გლეხობის მიმართად.*

სწორედ ასეთ ძნიმე ვითარებაში გამოქვეყნდა მიხეილ ჯაჯანიშვილის სტატიები — „გლეხის წერილები". ერთ-ერთ სტატიაში ავტორი აღნიშნავდა ქართველი და რუსი გლეხობის „ერთ ბედ ბედ ვყვნს", და ექვე მიუთითებდა იმ განსხვავებაზეც, რომელიც მათ შორის არსებობდა, სახელდობრ იმაზე, რომ ქართველი გლეხი სხვა საერთო უბედურებასთან ერთად ეროვნულ ჩაგრასაც განიცდიდდა. მიხეილ ჯაჯანიშვილი წერდა: „რუსეთში შემოღებული ეერობა... ხალხს ნება აქვს თვითნ�განაგოს თავისი შინაგანი საქმეები. მართალია, მთავრობა ამ ერობას ძალიან აბერს ხელს და თავისუფლად განცრეკილ ნებას არ აძლევს, მაგრამ ხალხს არჩეული კაცები მაინც მუშაობენ და სოფელს ეხმარებიან... მთავრობამ ჩვენთვის ასეთი კედმოკეკეცილი ეერობაც დაიშურა და ჩვენი გლეხობა ეიღაც ბოქაულებსა და გუბერნატორებს დაუყენა ყმებად. რითია? რისთვის? ჩვენ რაღა დავაშავეთ? წლისა და წლის თავზე მთავრობა ხალხს ტყვეს აპრობს, იმოდენა ფულს აგროვებს და დიუშოს გლეხებისათვის არაფერი არ გაუკეთებია".

სტატიაში ხაზგასმით არის აღნიშნული, თუ რატომ იყო მეფის მთავრობა ხალხის განათლების წინააღმდეგი. „ჩვენ, — წერდა ავტორი, — განათლება რომ მეიღოთო, თვალები რომ ეკეხლოთო და ყურები გამოვიჩიჩნოთ, ერთმანეთს ხელი ხელს მივცემთ, პირს შეკრავთ და ვიტყოვთ: ქმარა მონობა! ვეეყო ამდენი ტანჯვა და ეწვალება! ვეეყო ამდენი უსამართლობა და ცარცვა-გლეჯა!.. დღეის იქით არც ღალს მოვცემთ, არც ფოსტის ფულს, არც ფრამას, არც გზირს შევინახავთ, არც მამასახლისს, და არც მღვდელს... ვინ არ გინდა, რომ თავში არ გვიფარეტნებდეს!.. ყველა ჩვენ ვვიბრძანებს, ვვიკვირის, ვვლანძღავს, ვვაგინებს და ვვათრევს". სტატია მთავრდება მოწოდებით, რომ გლეხობამ მამა-პაპას მიბაძოს და ხელი მოკეფლოს იარაღს მრაგვრელთა წინააღმდეგ.

მიხეილ ჯაჯანიშვილმა საგანგებო სტატია მიუძღვნა მეფის მთავრობის საქმიანობის მხილებას. ამ სტატიაში აღნიშნულია, *რომ გლეხობას ჩაგრავს, ეროი მხრით, მთავრობა და მისი პოლიცია, მეორე მხრით კი — კულაკობა;* მდიდრების ინტერესებს იცავს მთავრობა და მეფე. ხოლო ამ უკანასკნელი — მდიდრები. „ვინ არის მეფე?" — სვამს კითხვას მწერალი და იქვე პასუხობს: იგი „ყველაზე მდიდან ია... მარტო ისაა და მის ოციოდე ნათესავს მთელ *რუსეთში* აქეთ სამიკი მილიონი დესეტინა მიწა, ე. ი. ათეკერი მეტი მთელ საქართველოზე... მშრომელი ხალხი ამ უსამართლობას ხედავს, მაგრამ ჯერჯჯერობით... ვერ მოუსპია. რატომ, რა ამბავია? ის ამბავია, რომ ვინც ასეთ უსამართლობას არ დიდმორჩილება, ეინც თვითნაგა თვალს აახელს და სხვებსაც ასწავლის რაფეს, ვინც მოინდომებს ასეთი უსამართლობის მოსპობას, მას მაშინვე თავზე მოიგვეგენ ჩაფრეს, ბოქაულებს, მთელ პოლიციას, სასამართლოსა და ან ციხეში ჩასვამენ, ან ციმბირში გადაასახლებენ, ან სახჩრობელაზე აგზავნიან. მერე რათა შერება ამას მთავრობა? ეშიტრამ, რომ ის თავის თავსა და მუქთახრობა მდიერებს იცავს და უყარაულებს... რასაც მთავრობა სწადის, მეფის თანხმობით ხდება. განა მეფემ არ იცის, რომ მთავრობა ხალხის ფულს ფლანგავს?.. ხალხს ეზობოდ სტანჯავს, იჯლებს, აწიოკებს და აოხრებს? განა მეფემ არ იცის, რომ წრეულს მთელი საქართველო გადასწეს და მიწასთან გაასწორეს? როგორ არ იცის! მერე რას ამბობს, რას შერება? ოჯიდდოვებს, აქეს და თავზე ხელს უსვამს ამ მთავრობას... მეფის პირველი მოსამსახურენი არიან მინისტრები და სენატორები. მინისტრებს მოსდევს გუბერნატორები, გუბერნატორებს — მაზრის უფროსები, მაზრის უფროსებს — ბოქაულები, ბოქაულებს — მამასახლისები, მამასახლისებს — გზირები, ხოლო გზირებზე ქვევით სდგას ეს ორმოცი მილიონი ხალხი, რომელიც მუშაობს და

ოფლს ღვრის ერთი მუჯა მთავრობისათვის და მდიდრებისათვის“.

ამის ნათელსაყოფად, რომ სამღვდელოება მეფის მთავრობის ნებასურვილის აღმსრულებელი იყო, სტატიაში დამოწმებულია მრავალმხრივ საინტერესო კონკრეტული ფაქტი, რომელიც თვით მწერლის იმფრიონდელ პოლიტიკურ შეხედულებასაც ამედავნებს. სტატიაში ვკითხულობთ: „ამას წინით სევაკტოპოლში დახვრიტეს ოფიცერი შპიდტი, რომელმაც ჯარი აიყენა მთავრობის წინააღმდეგ... სამღვდელოება დაემორჩილა მთავრობის ბრძანებას და შმიდტისათვის არ ილოცა, მაგრამ შმიდტი ისედაც წმინდაა ხალხის თვალში და უკანანშვიდოთაც არ დაიკოწყეს მას მთელი რუსეთი“. ავტორი შემდეგ აღნიშნავდა, რომ სამღვდელოება მეფის „ოხრანკასაც“ ეხმარება. საკმარისია, ვინმემ აღსარების დროს მღვდელს განუცხადოს, რომ ის მთავრობის წინააღმდეგია, და ეს მყისვე „ოხრანკას“ ეცნობებაო. მიხეილ ჯავახიშვილი მოიხსენიებდა საეკლესიო გადასახადებისაგან განთავისუფლებულიყვნენ ის გლეხები მაინც, ვისაც სამღვდელოებისა არაფერი წუხდა.

გლეხობისა და მემამულეთა ურთიერთდაშოკებულმღვდელებისადმი მიძღვნილი სტატიაში მიხეილ ჯავახიშვილი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ბატონყმობა მხოლოდ ფორმალურად არის მოსპობილი. ფეოდალური ის უფრო მწვავე ფორმებში განაგრძობს არსებობას, რითაც გლეხობის მდგომარეობა მეტად გაუარესდა და ასე დარჩება კიდევაც, ვიდრე „მიწა არ ჩამოერთმეცა მემამულეებს“; ეს კი შეიძლება მიღწეული იქნას მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლით, რადგან მთავრობა ეხმარება მემამულეებს, „სოფლები სულ სალდათებითა და ყაზახებით აავსო, რომელთაც ნაბრძანები აქვთ იიკოოს ვლეზები, თუ გადასახადს არ მისცემენ და წინააღმდეგობას გაუწევენ მემამულეებს“. მწერალი აღნიშნავდა რუსეთის გლეხობის რეგოლუციურ გამოსვლებს ცარიზმისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ და ქართველ გლეხობასაც მოუწოდებდა ბრძოლისაკენ, ვინაიდან მხოლოდ ამ გზით შეძლებთ მიწის მიღებასო.

„გლეხის წერილების“ უკანასკნელი სტატია შეეხება სახელმწიფო სათათბიროს საკითხს. მიხეილ ჯავახიშვილი წერდა: „ჩვენ ყოველთვის ამ აზრისა ვიყავით, რომ სახელმწიფო სათათბირო ხალხს ვერე მიწას მისცემს და ვერც თავისუფლებას“, რადგან ეს ეწინააღმდეგება მეფის სურვილებსო. როგორც ცნობილია, ეს ასეც მოხდა. მეფემ სათათბირო დაითხოვა და ხალხისათვის არანდესაფერი ახალი არჩევნები დანიშნა. ამასთან დაკავშირებით მიხეილ ჯავახიშვილი წერდა: „რა მოხდა, რად დათხოვა? რად გაუწყრა ჩვენ „გულკეთილი“ და „მოწყალე“ ხელმწიფე ხალხსა და იმის წარმომადგენლებს?“ ავტორის სამართლიანი დასკვნით, ეს იმიტომ მოხდა, რომ მიწების მიცემა და ხალხის თავისუფლება ხელსაყრელი არ იყო მეფისათვის, მთავრობისა და მემამულეებისათვის. ამიტომ მეფემ სათათბირო დაითხოვა. მაგრამ ვიდრე ახალი სათათბირო შედგება, წერდა ბ. ჯავახიშვილი, მანამდე „მთავრობა კარგად მოახწრეს აუარებელი სოფლის დაწვას, დანგრევას, აუარებელი ხალხის დახვრეტას და ციხეში დალპობას“.

ითვალისწინებდა რა მოელენათა განვითარებას, მწერალი ხალხს შემდეგი საბრძოლო მოწოდებით მიმართავდა: „ან სირცხვილი და უღელში შებმა, ან სიკვდილი და გამარჯვება! ან მუდმივი მონობა, ან მიწა და თავისუფლება! ან ვეკაკცური ბრძოლა და სახელის მოხვეჭა! სხვა გზა არ არის!.. ჩვენ სათათბიროსაგან არაფერს არ უნდა მოველოდეთ, თუ რამე გვინდა და თუ რამე შეგვიძლიან, ჩვენივე ხელით უნდა ეიშოვოთ მიწაც და თავისუფლებაც... საბოლოო ბრძოლის დღე გეიახლოვდება და ამიტომ საბრძოლველად ვემზადებთ, ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ ჰაერში სისხლის სუნი ტრიალებს, საიდანღაც ჭახა-ჭეხი ისმის და ალმოსავლეთიც ცეცხლის ფერად შეიღება. საცაა, მზე უნდა ამოვიდეს! დიაღ, უნდა ამოვიდეს და ჩვენც მზად ვართ გაწმენდილნი, გასპეტაკებულნი და საბრძოლველად მომზადებულნი ამ ამაყად დაუხვდეთ სიკვდილს, რომელიც მოგვიტანს მიწასა და თავისუფლებას! საცაა, მზე უნდა ამოვიდეს!“

ასეთი ამაღლებული მგზნებარებით მიმართავდა მიხეილ ჯავახიშვილი ქართველ გლეხობას რეაქციის შემოტევის დასაწყისშივე, ეს იმ დროისთვის მეტად გაბედული ნაბიჯი იყო. მწერალი პოლიტიკურად მახვილი სტატიები, ფართო მასებში გარკვეულ დადებით რეზონანს „წვეედა, ხოლო მეფის ადგილობრივ ორგანოებში, კერძოდ, „ოხრანკაში“ — შეშფოთებას. თუ მანამდე „ოხრანკას“ მეთვალთვალეები მიხეილ ჯავახიშვილს ამრდილივით უკან დასდევდნენ და ყოველ მის ნაბიჯს გფფაცეცებით ინიშნავდნენ (სხვათა შორის, მიხეილ ჯავახიშვილს ფარული მეთვალყურეობის დროს „ოხრანკაშ“ მეტსახელად შერქვეა „კუტკა“ — იმ პერიოდში მწერლის მიერ გამოქვეყნებული მოთხრობის „კუტკას ქორწილის“ მთავარი გმირის სახელი), ახლა ყოველგვარი ცერემონიის გარეშე მისი საქმე პროკურორს გადაეგზავნა.

საგულისხმოა, რომ მიხეილ ჯავახიშვილმა ამავე პერიოდში სხვა წერილებიც გამოაქვეყნა, სახელდობრ, „შვიდი თავისუფლება“, „ჯარი“ და სხვა, რომლებშიც ასევე დაუნდობლად აკრიტიკებდა მეფის მთავრობას. მაგრამ ხელი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუფალნი ისე არაფერს შეუძრწუნებია, როგორც ყურნალ „ბლეხსი“ დაბეჭდილ მის „ბლეხის წერილებს“ და ეს გასაგებიცაა.

აღნიშნული სტატიების გამო 1906 წლის 12 იელისს ბეჭდვითი სიტყვის სამსჯოთა თბილისის კომიტეტის მიერ შედგენილ საბრალდებელო დასკვნაში მიხეილ ადამიშვილის (ჯაჯახიშვილის), როგორც ყურნალ „ბლეხის“ რედაქტორის, პასუხისგებაში მიეცმა მოტივირებული „ბლეხის წერილებისა“ და ერთი თარგმნილი მასალის დაბეჭდვით. „დასკვნაში“ წერია, რომ მ. ადამიშვილმა ყურნალ „ბლეხის“ მესამე ნომერში 1906 წლის 5 იელისს გამოაქვეყნა „ხალხური ზღაპარი“ და „ბლეხის წერილები“. პირველი მათგანი წარმოადგენს გერმანელი სოციალისტის ლიბ.ნეხტის ბროშურიკა თარგმანს, რომელიც რუსულ ლტერატურაში „ობობა და ბუზნის“ სახელწოდებით არის ცნობილიო. ამ ბროშურის მიზანსა და საგანს, — ვკითხულობთ დასკვნაში, — შეადგენს გააშენკოს დამოკიდებულება დამქირავებლებსა და მეშუბს შორის. პრიველი ავტორი უწოდებს ობობებს, მეორეს — ბუზებს. ობობები, ამბობს ავტორი, ეს ყველა ისინი არიანო, ვინც ჩვენი ხალხის ხარჯზე ცხოვრობენ, ვინც ფეხქვეშ გასრესსავს, ვინც ჩვენს მუუხარებაზე, უნაკოფო შრომაზე ღვარძლიანად იცინინო. ბუზი — ეს სპარალო მუშაა, რომელიც უნდა დაემორჩილოს ყოველ კანონს, რაც კი კაპიტალისტს თავში მოუვა, უნდა დაემორჩილოს, ვინაიდან საწყალი ულუმპაპურია... „ეს წყენი დამქირავებლებისადმი მუშათა უკმაყოფილებას აღიზიანებს და, ბოლოს, მეშუბს მოუწოდებს სოციალური მონობის ქონით გაარღვიონ. მეორე სტატიაში საუბარია მდიდრების მიერ ღარიბთა დამონებაზე, მთავრობისა და პოლიციის მხრით მდიდრების დაცვაზე...“ სპარალოებმ დასკვნაში ვრცლად არის გადმოცემული მიხეილ ჯაჯახიშვილის სტატიის ჩვენს მიერ ზემოთ უკე დამოწმებული ადგილები და მთავრდება სიტყვებით, რომ „სტატია უპატივცემლოდ ეპყრობა შეფეს და მას ხალხს საზიანოდ მოქმედ მდიდრთა მომხრედ ხატავს“.

ამ სპარალებმ დასკვნის საფუძველზე პროკურორს გადაუწყვეტია მიხეილ ჯაჯახიშვილის პასუხისგებაში მიეცმა. მაშინ არც მეფის „ოხრანკამ“ და, მით უმეტეს, ბეჭდვითი სიტყვის საქმეთა კომიტეტმა ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ მიხეილ ჯაჯახიშვილი არა მარტო რედაქტორი, არამედ „ბლეხის წერილებისა“ ავტორიც იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში მწერალს პატიმრობა არ ასცდებოდა. მეფის „ოხრანკამ“ და მისმა აგენტურამ საგრძნობლად დაიგვიანეს, ხოლო მიხეილ ჯაჯახიშვილმა, პროკურორის გადაწყვეტილების გაგებისთანავე, მოახერხა და მიიმალა, მიუხედავად იმისა, რომ ფანატიკოსი ზედამხედველების ქვეშ იმყოფებოდა. არქივში დაცულ საბუთებიდან ჩანს, რომ მიხეილ ჯაჯახიშვილი 1906 წლის იელისს შემდეგ თბილისში არალეგალურად ცხოვრობდა ქაშვეთის ეკლესიის დიაკვნის შვილის — ირაკლი ნიკოლოზის-ძე ოქრომშვდლიშვილის პასპორტით.

ასეთი სახიფათო და რთული პირობების მიუხედავად, მიხეილ ჯაჯახიშვილს ყურნალ „ბლეხს“ გამოაქვა არ შეუწყვეტია და 1906 წლის 3 ავგისტოს გამოუშვა უკანასკნელი ნომერი. მწერლის მდგომარეობა თანდათანობით უფრო გართულდა. მეფის „ოხრანკა“ დაეძებდა მას. ამიტომ მწერალი იძულებული გახდა შეეიცვალა მისი გამარტოლეო, სიიდანაც 1907 წელს მეცრე დროით საქართველოში დაბრუნდა და სხვა და სხვა ფსევდონიმებით სტატიებსა და შენიშვნებს აქვეყნებდა. მაგალითად, 1907 წელს „ალი“-ს ხელმოწერით გაზეთ „ისარში“ გამოაქვეყნა წერილი სათაურით „დაეწყუებული ქვეყანა“, რომელშიც მკაცრად ამპორახებდა ცარიზმის კოლონიზატორულ პოლიტიკას საქართველოში, ეკრძოდ, კოლონისტების მასობრივად ჩამოსახლებას თრიალეთის მიდამოებში, რამაც უფრო მძიმე პირობებში ჩააყენა ადგილობრივი მოსახლეობა. აი, რას ეუწყებოდა მიხეილ ჯაჯახიშვილი: „თრიალეთისა და ჯავახეთის მთებს შუა, ქართლის სამხრეთ საზღვარზე, იქ სადაც მდინარე ხრამი და ბორჩალოს წყალია, საქართველოს განცალკევებული პატარა კუთხეა, მიუვალი, უგზო-უკელო, ცივი და მცირე მოსავლიანი. პური ღვარძლ-ნარევი იცის და ადამიანს აბრუებს, ათრობს, სიცივეს გავო ზოგჯერ ქერიც კი არ შემოდის, ცივდება და იძვრის. მაგრამ ხორბლის მაგიერობას ამ მთაგორიან და ცივ ქვეყანაში შესანიშნავი, ვემრიელი და ნოყიერი ბალახი სწევს... თითქმის ეიმპერიერობას უწევდა ქვეყანას თრიალეთი-ქართლ-ჯავახთიდან გადახვეწილი ადამიანი. თრიალეთში თაკისუფლებას პოულობდა და იყო ვითარცა ფრინველი ცისა და ნადირი ველისა. ყმა, ბატონის მონაც კი, თავისუფალი ადამიანი ხდებოდა, თუკი თრიალეთს შეაფარებდა თავს. რუსეთთან შეერთების შემდეგ თრიალეთს უცხო ხალხი ეტუბარა და დაბინავდა... მისდევენ საქონლის მოშენებას და არიან არხეინად. უხვად ნაბიძგს მამულსაძოვარს ამეშვეებენ და მომავალს იმედანად შეკუტრებენ. შორიდან მოსულ სტუმრათა შორის ობლად გამოიყურება ის ადგილები, სადაც შეჯუჯგულან ქართველები დიდ და პატარა გომარეთისა, კაკლინისა, მამეკას სოფლისა და ახოსი... ქართველების მეზობელ გერმანელებს უპირავთ მამრობით სქესის სულნე... თექვსმეტ დესეტინაზე მეტი სახელმწიფო ადგილი, ხოლო ქართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველებს: ახოელებს — ერთ დესეტინაზე მეტი, გომაურელებს — 1,77, პატარა გომარეულებს— 2,53 და მამეკას სოფლელებს — 2,91 დესეტინა. ახლა შეხედეთ, ხარჯიც რა ღვთისნერად შეეწრალათ დალოცვილ მოხეელებს, კერთხეული მარჯვენა რომ აქვთ. გერმანელი იხდის დესეტინაზე 22 კაპიეკს, ახოელი 65 კაპ., დიდ-გომარელი 63 კაპ, პატარა გომარელი — 50 კაპ., მამეკას სოფლელები 40 კაპ. და კაკლიანელი — 1 მ. და 30 კაპ“.

მიხეილ ჯავახიშვილი მისივეს ჩვეული ირონიით შენიშნავდა, რომ მეფის მთავრობა ზრუნავს კოლონისტებისათვის და უკანასკნელნიც ვალში არ რჩებიან. ისინი არა თუ არ მონაწილეობენ რეკოლეციურ მოძრაობაში, არამედ რეკოლეციურად განწყობილ ლეგუნებს ებრძვიან კედეციცო. „ამ ორი წლის წინად, — წერდა მიხეილ ჯავახიშვილი, — ქართველებმა მაყოლესავით „ერთობა“ რომ შემოსძახეს, სპართველს ხეგ-ხუვეს საოცარი სისწრაფით მოეფო ტბილი სმიდენა. თრიალეთსაც უწია მისმა ქანგმა, მაგრამ ქართველების მეტმა ბანი არაკინ უთხრა ახალ სიმღერას. მოგეხსენებათ, ახალი სიმღერა ბეეერს არ ესიამოვნება, ძილს უფრთხობს და რადგან ძალა ამათ ხელშია, აიღეს და თრიალეთ მობანეგებს ცხვირი ლაზათიანად გაუგალეს“.

ამავე პერიოდში მიხეილ ჯავახიშვილმა გაზეთ „ისარში“ მრავალმხრივ საინტერესო წერილი გამოაქვეყნა ილია ჭავჭავაძის ვერაგეული მკედელობის გამო.

რეაქციის მძვინვარების პირობებში გაძლელდა სპართველოში ფარფლად ცხოვრება. მეფის „ოხრანკამ“ მუშაობა გაძლიერი მისი დაგეშილი ჯაშუშები გამალებით ეძებდნენ ცარიზმის წინააღმდეგ განწყობილ ადამიანებს და მათ შორის „ეკრკად“ შერქმეულ მიხეილ ჯავახიშვილს. იგი იძულებული გახდა სპართველოს გასცლოდა და წასულიყო საფრანგეთში, სადაც სწავლა განაგრძო, მაგრამ ამისათვის საჭირო სახსრები მას არ გააჩნდა. ერთ-ერთი საარქივო საბუთიდან ჩანს, რომ პარიზშიდე გზის ფულის მისაღებად არალეგალურად მცხოვრებ მიხეილ ჯავახიშვილს 1907 წლის დეკემბერში თხოვნით მიუმართავს ქიუთერის მარგანეცის მრეწველთა საპჭოსათვის, რომელსაც 18 დეკემბერს დაუდგენია: „შუამდგომლობა აღიძრას საპჭოს გაერთიანებული საკრებულოს წინაშე ადამშვილის თხოვნის დასაკმაყოფილებად, რის შესახებაც ეცნობოს მთხოვნელს საპჭოს თავმჯდომარის მოადგილის საშუალებით“. მიიღო თუ არა საბჭოდან საგზაო ფული, დაუდგენელია, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ მიხეილ ჯავახიშვილი 1907 წელს გაიპარა საზღვარგარეთ, სადაც ქვეყნებსა და სორბონის უნივერსიტეტებში სწავლობდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე-მეცნიერები ეიკოტ ზუბალაშვილი ბიერ დანიშნული სტიპენდიით. მეფის „ოხრანკა“ მას კვლავ დაეძებდა და სპეციალურ სამძებრო ცირკულიარებს აგზავნიდა მიხეილ ჯავახიშვილის შესაპყრობად, მაგრამ ამაოდ.

მიხეილ ჯავახიშვილი საზღვარგარეთიდან 1909 წლის 20 სექტემბერს დაბრუნდა. იგი მაშინვე ჩაება ცარიზმის საწინააღმდეგო მუშაობაში. მაგრამ ამჯერად მეფის „ოხრანკის“ კლანჭებს ვეღარ გაექცა, რადგან იმ არალეგალურ ორგანიზაციაში, რომელსაც მიხეილ ჯავახიშვილი ეკუთვნოდა, მეფის „ოხრანკას“ თავისი ხალხი ჰყავდა და მათი საშუალებით კარგად იცოდა თითოეული წევრის, მათ შორის მიხეილ ჯავახიშვილის ყოველი ნაბიჯი. „ოხრანკამ“ მხოლოდ 1910 წლის აპრილის მიწურულს გადაწყვეტა ამ ორგანიზაციის დარბევა. 28 აპრილს დამეს დაიწყო ორგანიზაციის მონაწილეობაში ეჭვმტანილ პირთა ბინებისა და აგრეთვე გაზეთ „დროების“ რედაქციის ჩხრეკა. როგორც ჩანს, „ოხრანკა“ იმდენად კარგად ყოფილა ინფორმირებული, რომ მისმა მუშაკმა, რორმისტრმა ლომიაშვილმა ის წერილებიც კი „აღმოაჩინა“, რომლებიც ილია ჭავჭავაძის სურათის უკან იყო დამალული. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვან საბუთად „ოხრანკამ“ მიიჩნია გაზეთ „დროების“ რედაქციის თანამშრომლის ნიკო კაიშაურის უჯრაში აღმოჩენილი ლევ ტოლსტოის ილია ნაკაშიძისადმი გაგზავნილი წერილის ქართული თარგმანი, რომელშიც ტოლსტოი მადლობას უხდიდა ნაკაშიძეს „K“ გაცნობისათვის, რომელმაც მას ვრცლად გააცნო გურიის გლეხთა მოძრაობის ვვრიული ისტორია. ახლა უკვე ცნობილია, რომ „K“ საქართველოდან ტოლსტოისთან საეკლესიოდან გაგზავნილი ცნობილი ქართველი ხალხისანი მიშო ყიფიანი იყო, მაგრამ რადგანაც ტოლსტოის ეს წერილი კაიშაურის უჯრაში აღმოაჩინეს და მისი გვარიც „K“-თი იწყებდა, გადაწყვიტეს, რომ წერილში სწორედ კაიშაური არის მოხსენებული და ეს დიდ მონაპოვრად აღიარეს ბრალდებისათვის.

კაიშაურის უჯრაში აღმოჩენილად ითვლებოდა რეკოლეციური შინაარსის წიგნაკი. ასეთივე ლიტერატურა აღმოჩენილ ორგანიზაციის სხვა წევრებსაც.

1910 წლის 30 აპრილს მეფის „ოხრანკამ“ დაპატიმრა მიხეილ ჯავახიშვილი და იმავე დამეს გაიხრიკა მისი ბინა (ბებუთოვის, ახლა ენგელსის ქ. № 29 სახლში). „ოხრანკამ“ აქ ნაკლები, მაგრამ მაინც ვნიშნელოვანი, „ნადავლი“ აღმოაჩინა, რომელიც მიაბოლებდა მაინც ასახავდა მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკურ მრწამსს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ ჯავახიშვილი დაპატიმრებისთანავე, პირველ მაისს, დუტკოთავეთ და ბრალდებად წაუყენებიათ წერილის მამაცურად მთავრობის საწინააღმდეგო პოლიტიკური მუშაობა და 1906 წელს „გლეხში“ დაბეჭდილი წერილები. მიხეილ ჯავახიშვილს კატეგორიულად უარყოფია ეს ბრალდება, რის დასამტკიცებლად მიუთითებია სხვადასხვა გაზეთებში დაბეჭდილ თავის წერილებზე შემდეგი ფსევდონიმებით: „ალ“, „ად-ლი“, „მ. ადლი“, „ფსა“ „ისალი ფსა“ და სხვა. ამასთან ერთად მას განუცხადებია, რომ

1906 წლის აპრილში ტურნალ „გლეხის“ გამოშვებაზე ნებართვა იმ მიზნით გამოითხოვა, რომ „ივერიის“ დახურვის შემთხვევაში მას განეგრძო მუშაობა, რომ გაზეთის რედაქტორად იყო ვლ. ლორთქიფანიძე და არა ჯავახიშვილი. მაგრამ ბეჭდვითი სიტყვის სამქმეთა თბილისის კომიტეტმა „ოხრანკას“ კიდევ ერთაელ დაუდასტურა, რომ ტურნალ „გლეხს“ რეკალტორობდა სახელდობრ მიხეილ ჯავახიშვილი და მანვე მოთმაცხა მთავრობის საწინააღმდეგო სტატეები. 25 მაისს იგი კიდევ ერთხელ დაუკავეთ და 1910 წლის სექტემბრის დასაწყისში მას სხვა პატიმრებთან ერთად მიესალა ადმინისტრაციული წესით სამკრეველოდან გასახლება ხუთი წლის ვადით. სასჯელის მოსახდელად მიხეილ ჯავახიშვილს მიეჩინეს როსტოვი, სადაც მან დაყო 1913 წლის ივნისამდე.

მიხეილ ჯავახიშვილი გადასახლებაში დიდ მატერიალურ გაჭირვებას განიცდიდა, რადგან სამსახური ვერ იშოვა. მხოლოდ 1912 წელს მოეწყო რუსეთის პირველი სადაზღვეევო საზოგადოების როსტოვის განყოფილების ინსპექტორ-ორგანიზატორად თბილისში. მაგრამ თბილისში ჩასელის უფლება არ ჰქონდა და ამიტომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება არ შეეძლო, უმუშევრად ყოფნა კი უფრო გაართულებდა შვიდი სულისგან შემდგარი ოჯახის შენახვას. ამიტომ მწერალი იძულებული გამხდარა 1913 წლის დასაწყისში გუბერნატორისგან თბილისში ერთი თვით ჩასელის ნებართვა გამოეთხოვა. 1913 წლის მარტში მიხეილ ჯავახიშვილი ცხოვრობდა თბილისში, სასახლის ქუჩაზე მდებარე სასტუმრო „ერმიტაჟში“ და ცდილობდა გადასახლებიდან განთავისუფლებას, რასაც 1913 წლის ივნისში მიაღწია კიდეც.

გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ იგი მსახურობდა სხვადასხვა დაწესებულებებში, ხოლო ლიტერატურულ-პოლიტიკურ მუშაობას დროებით ჩამოშორდა.

მიხეილ ჯავახიშვილი რუსეთის პირველი რევოლუციის მომზადებისას, რევოლუციის შედეგად წლებშიც და შემდეგ, რეაქციის პერიოდშიც მაზნებარე მოწოდებებით გამოდიოდა და ებრძოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ; დაუნდობლად აკრიტიკებდა მეფის მთავრობას, მემამულეებს, სამღვდელოებას, ხოლო რეაქციის დასაწყისში იარაღისაკენ მოუწოდებდა მასებს. თუმცა ამ პერიოდში იგი ერთგვარ არათანმიმდევრობასაც იჩენდა. იწერალი ბოლომდე ვერ დარჩა თავის პირველად პოზიციაზე, რადგან მას, როგორც წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენელს, ყოველთვის სწრაფად როდი ესმოდა ისტორიულ მოვლენათა განვითარების კანონზომიერი ტენდენციები. ამიტომ ის თანდათანობით შორდებოდა თავის პირველად რადიკალურ პოზიციებს, განსაკუთრებით, ცარიზმის წინააღმდეგ რევოლუციური მეთოდებით ბრძოლის აუცილებლობის საკითხში, ხოლო ბოლოს, გადასახლებაში ყოფნის დროს, თავისი პოლიტიკური მრწამსის უარყოფამდეც კი მივიდა.

მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკურ შეხედულებათა ასეთი მკვეთრი გარდატეხისა და დიამეტრალურად საწინააღმდეგო განწყობილებათა გამომქეყნენების ძირითადი მიზეზი წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის სოციალურ ბუნებაში უნდა ვეძიოთ. ცნობილია, რომ რეაქციის შემოტევამ რევოლუციის თანამგზავრთა შორის, პირველ რიგში წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენციაში, თვით სოციალ-დემოკრატ ინტელიგენტთა რიგებშიც კი, დაბნეულობა, გულგატეხილობა და უიმედობა შეიტანა. მათ არასწორად ესმოდათ რევოლუციის ძირითადი მამოძრავებელი ძალის — რევოლუციური პროლეტარიატის ისტორიული მისია და როლი, რევოლუციური მოძრაობის ობიექტური კანონზომიერება და აღმავლობიდან იძულებითი უკან დახევის ტაქტიკა. ამიტომ ბევრი მათგანი ჩამოშორდა რევოლუციურ მოძრაობას. ნაწილი საბოლოოდ ტბრის ბანაკში გადაბარგდა, ნაწილმა კი ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პასიური გზა აირჩია. მიხეილ ჯავახიშვილის, თუმცა აქტიურად აღარ იბრძოდა, ორგანულად სძულდა ცარიზმი, ამიტომ მეფის „ოხრანკას“ არც შედგომ დაუტოვებია იგი თავისი ფარული მეთვალყურეობის გარეშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი კაღანდაძე

ირაკლი აბაშიძე

ირიან პოეტები, რომლებიც ადრეული, ახალგაზრდობის ასაკშივე ამოწურავენ თავიანთ შემოქმედებითს ენერგიას და შემდგომ, ჭარბადობისა და მოხუცებულობის ჟამს, მნიშვნელოვანს აღარფერს ქმნიან, მაგრამ ის, რისი თქმაც მათ ხანმოკლე, მეტად ენერგიული შემოქმედებითი წვის პროცესში შესძლეს და მოისწრეს, ძვირფას წყლილად შედის დიდი პოეზიის საგანძურში. ირიან ისეთნაირ, რომელთა შემოქმედებითი ცეცხლი, რახან ერთხელ ანთებულა, სიცოცხლის მთელ მანძილზე განაგრძობს გიზგიზს. ირაკლი აბაშიძეს ახლახან ორმოცდათა წელი შეესრულდა და ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ასაკი მისთვის შემოქმედებითი სიმწიფისა და დაეჭაკაცების ბედნიერი ასაკი გამოდგა. მაშასადამე, ნაადრევი არ იქნება, თუ მას იმ პოეტების კატეგორიას მივაკუთნებთ, რომლებიც ხანგაზრდულობის ჟამს არა თუ ანელებენ, პირიქით, უფრო აღეკვეტენ თავიანთ შემოქმედებითს ცეცხლს.

ირაკლი აბაშიძე იმ რჩეულთა რიგებში დგას, რომელთა პოეტურ სიტყვაშიც მძაფრი განცდების ელნისდება ჩვენი დროის რთული პროცესები, მისი პათოსი, სიხარული და ტკივილები. თვალი გადავავლოთ ამ შესანიშნავი ქართველი საბჭოთა პოეტის სახელოვანსა და საინტერესო შემოქმედებითს გზას.

ოციანი წლების დასასრულს ქართული საბჭოთა პოეზია ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, მაგრამ მას აშშვენებდა „ეპოქისა“ და „რევოლუციური საქართველოს“ ავტორის პოეტური გვნია. საბჭოთა სინამდვილესთან თანდათან მოდიოდნენ და მის პოზიციებზე მტკიცედ მკვიდრდებოდნენ მეოცე საუკუნის ქართული ლექსის გამოჩენილი ოსტატები: იოსებ გრიშაშვილი, ალექსანდრე აბაშელი, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, გიორგი ლეონიძე და სხვები. ამ დიდ ინსამბლში მძლავრად ჟღერდა კომკავშირული პოეტების პირველი თაობის — ალიო მაშაშვილის, კარლო კალაძის, კონსტანტინე ლორთქიფანიძის და სხვათა გაბედული და მზარდი ხმა. მაღე პირველ თაობას მხარში ამოუდგა კომკავშირული პოეტების მეორე თაობა, რომელმაც კიდევ უფრო მეტი სიახლე და ენერგია შემატა მთელ იმდროინდელ ქართულ პოეზიას. ირაკლი აბაშიძე ამ მეორე თაობის ღირსეული წარმომადგენელია. მან თავისი „რამდენიმე ლექსით“ (1932 წ.) ფართო მკითხველი საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. ეს იყო ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტის პირველი შემოქმედებითი ნაბიჯი. „რამდენიმე ლექსის“ ავტორი რევოლუციურ-რომანტიკული თვალთახედვით ჭვრეტდა და აღიქვამდა იმ დროის საბჭოთა სინამდვილის დამახასიათებელ მოვლენებს და მათ სახვად პოეტური შთაგონების წყაროდ.

ირაკლი აბაშიძე ახლის უტოპიური განცდის პოეტია. მას სისხლხორცეულად ეზიდავს ჩვენი ხალხის ცხოვრებაში მომხდარი ყოველი ახალი პროგრესული მოვლენა. ასეთი მოვლენები არის მისთვის ესთეტიკურად მშვენიერი, ლამაზი და, მაშასადამე, პოეტური შთაგონების წყარო. თუ დეკლარაციულ ლექსში „შეიქმენ გმირი“, ოცდაათიანი წლების დასაწყისში, საბჭოთა პოეტის „დაფი და ნაღარა“ ახალი დროის გმირს უხმობდა და ეძიებდა, შემდგომში საბჭოთა სინამდვილემ დაამტკიცა, რომ ეს არ იყო „ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. საზოგადოებრივ ცხოვრებაში უკვე შეინიშნებოდა ტიპიური სახე ეპოქის მომავალი გმირისა. სოციალისტური ყოფის თანდათანობითმა დამკვიდრებამ, თავისუფალმა შემოქმედებითმა შრომამ მრავლად დაბადა ასეთი გმირები. პოეტი გმირის პირისპირ დგება. გმირობის თემატიკა ზუსტდება. იგი აბსტრაქტულიდან კონკრეტული ხდება. ირაკლი აბაშიძე მთელი ხმით უმღერის ოდიშის ჩაის პლანტაციებისა და სამურზაყანოს საკოლეგურნეო მინდვრების სოციალისტური შრომის გმირებს. ლექსში „ოდიშის პლანტაციები“ ირაკლი აბაშიძემ პეიზაჟის ხატვის მაღალი შესაძლებლობა გამოამეღავნა.

აპრილის თვეში ბაღში ხეხილებზე კვირტების

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

აფეთქება, ბუნების ზეიმი, პოეტს სამშობლოს ბედნიერი მომავლის დასაწყისის — კაცობრიობის დიდი გაზაფხულის ასოციაციებს აღუძრავს. პოეტი თავდაჩრილი ეიმბორება საჭარბეველოს ყოველ ახალ გაზაფხულს, რომელიც, როგორც „ცეცხლი მარადისი“, ოდესღაც მხოლოდ ხალხის გულში იყო დამარხული, ახლა კი იგი სამშობლოს მინდორ-ველად გაჭრილა და ხალხთა ბედნიერების დიდი გაზაფხულის დღე გაუჩაღებია („დიდი გაზაფხული“).

> მე ვაძლევ დასტურსა, რომ ჩემს ლექსებში
> ხმა აღიდგინონ ხრიზანტემებმა —

წერდა ირაკლი აბაშიძე თავის ერთ-ერთ ცნობილ ლექსში 1935 წელს. აბობოჭრებელი ცხოვრება კალაპოტში ჩამდგარა. საბჭოთა ხალხი თავისუფალი, მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომით, პირველად მთელ მსოფლიოში, ახალ, სოციალისტურ ცხოვრებას აწყობს. მზე, მთვარე და ვარსკვლავები, ზამბახები, ქრიზანტემები და ვარდ-გვირილები, — ეს განუყრელი თანამგზავრნი პოეზიისა — კვლავ დაპბრუნებიან პოეტის სულიერ სამფლობელოს („ყვავილები ქალაქში“).

ამ პერიოდში ირაკლი აბაშიძის პოეზიაში თავს იჩენს მიდრეკილება ინტიმური ლირიკისაკენ. ცნება „ინტიმური“ ვიწრო სუბიექტურ ნაუბეში მოქცევად არ უნდა გავიგოთ. შეშარტი ინტიმური ლირიკული ლექსი ღრმა ადამიანურ განცდათა გამომხატველი უნდა იყოს. ინტიმური ლირიკის პრწყინვალე ნიმუშია „პირველი თოვლის სიმღერა“, რომელიც ამშვენებს ირაკლი აბაშიძის ლექსების მეორე კრებულს. ეს ლექსი სატრფიალო ლირიკის სფერს განეკუთვნება, მაგრამ იგი არ წარმოადგენს ტრფობის ობიექტის ტრადიციულ ხოტბას, მისი მშვენიერების ხატვას ან მისადმი სიყვარულის ფიცს. სიყვარულის მარადიული და უსაზღაპვნო გრძნობა ირაკლი აბაშიძემ განთიადის მყუდროებაში დაფენილი, ფეხდაუდგამი პირველი თოვლის სიწმინდისა და სილამაზის ასოციაციებით წარმოგვისახა. პოეტურ სახეთა რთული ასოციაციები და ერთი ძირითადი ფერის — თეთრის — მრავალმხრივი ტონალობა განუმეორებელ ელვარებას აძლევს ამ ლექსში დახატულ პეიზაჟს:

> დაეყარა სახლებზე და ვერის გზაზე
> თოვლი თეთრად დასახული,
> ასე თეთრად, გულუბრყვილოდ ჰყვავის ასე
> იმერეთში ტყემლის ხეზე გაზაფხული.
> ჰყვავის ასე და განთიადს მიხალისებს
> ეს ზამთარიც, დეკემბერში თოვლის ხვავი,
> ის თბილისის ხეივნებში კიპარისებს
> იმერულად გამოასხამს ტყემლის ყვავილს.

„პირველი თოვლის სიმღერა“ ქმეყნად სიცოცხლის, სილამაზისა და სიყვარულის დამამკვიდრებელი ჰიმნია.

ასევე მაღალი პოეტური ოსტატობით არის გამოკვეთილი ლექსი „ორი ირმის ქანდაკი კომკავშირის გორაზე“. აქაც ორიგინალური გაბარება თემისა, ორიგინალური პოეტური ხილვა. ირმებს, უცხოეთში თუ შორეულ მთებში დეკნილთ, სამუდამო სამშვიდობო თავშესაფრი თბილისის კარებთან, ძველი ნარიყალას მაღალ ნანგრევებზე მოუნახავთ და ბრინჯაოში სახეცალილნი დედაქალაქის თავზე გადმომდგარან. მათ ხიბლავთ და აოცებთ ახალი თბილისის მშვენება. დაბლა, ღამით, ზღაპრულ ტბაში ჩაძირული ვარსკვლავებივით ჩანან ქალაქის ჩირაღდნები.

> აქ—სიყვარული და გასართობიც,
> აქ—მშვიდობა და არ ჩანს მდევარი,
> წინ მოედანზე ბევრიც მნათობი
> და რამოდენა დუღს შადრევანი.

ირმები თავს დაპხარიან ჩვენი დედაქალაქის ადამიანთა თავისუფლებასა და ბედნიერებას და ამ სიხარულს ყოველ ღამით გამყვანი ირმული ყვირილით გამოხატავენ. მკაფიოდ იქნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ირმების ყვირილს იგი ნამდვილად გაიგონებს, თუ ვეფინ ღამით, ქალაქის მყუდროებაში, გამახვილებული სმენით კომკავშირის ხეივნისაკენ მიაყურადებს. ასეთია ამ ლექსის პოეტური ზემოქმედებით სიძლიერე. „ორი ირმის ქანდაკი კომკავშირის გორაზე“ ახალი თბილისისადმი სიყვარულით სუნთქავს და ეს არის მთავარი, რისი თქმაც პოეტს ამ ლექსში სურდა.

ირაკლი აბაშიძის შემოქმედებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავრს მშობლიური დედაქალაქის— თბილისის თემა. პოეტს თბილისი ისე უყვარს, როგორც იგი „უყვარდა სამას არაველს“. ამაზე შორს კი ადამიანური სიყვარული ვერ წავა. სამასი არაველის გახსენება თბილისისადმი მიძღვნილ ლექსში შემთხვევითი არ არის. თანამედროვე თბილისისადმი დიდი სიყვარულის შთამბეჭდავად წარმოსახვის მიზნით, ირაკლი აბაშიძე შემოქმედებით ზომიერებით იშველებს ქართველი ხალხის გმირული წარსულის ერთ-ერთ ეპიზოდს. ლექსი „თბილისი“ დაწერილია 1934 წელს. ამდენად სწორი არ არის ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში გამოთქმული მოსაზრება თითქოს ირაკლი აბაშიძის ადრინდელ პოეტურ ქმნილებებში ისტორიული თემა გაშუქებული იყოს ახალთან დაპირისპირების მიმართებაში, რომ მათში „გარდასულ დროთა გმირები იხსენიებოდნენ მხოლოდ ახალ გმირებთან კონტრასტული დაპირისპირების მიზნით“.

კარგი მეტები, მამადავითი, ნარიყალა, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ ახალი თბილისის პატრიოტი საბჭოთა პოეტი, პირველ ყოვლისა, „მტკვრის ამწვანებულ სანაპიროს“ გადამწერია.

ისტორიულ წარსულთან დამოკიდებულების პრობლემებია დასმული და გადაწყვეტილი აგრეთვე ომამდელ ლექსში „კოლხიდის საგანძური“ და ლექსების ციკლში „დმანისი“. პოეტისათვის უცნობა ნიპილისტური დამოკიდებულება ჩვენი სახელოვანი ისტორიიადმი წარსულისადმი.

ლექსში „კოლხეთის საგანძური“ პოეტი მოკრძალებით ეპყრობა კოლხეთის სანახებში აღმოჩენილ მითრიდატისდროინდელ ძვირფას ნივთებს, რაც ახლა საპუზეუმო სანახობად ქცეულა. მაგრამ განახლებული კოლხეთის ცხოვრებას დღეს სულ სხვა საგანძურები ასულდგმულებს: სუბტროპიკული ბაღები, ცადაკვრაფნილ კოლხური ხეები, ფორთოხლები — პოეტური ასოციაციით, თითქოს, ხეზე ასხმული ეს ძველი, მითრიდატისტორინდელი ოქროს ფულები და ბედნიერი ახალგაზრდობის დაუცხრომელი ყიჟინა. ამიტომ ეტერს პოეტის ხმა ასე ბუნებრივად და შთამბეჭდავად.

ძველ საგანძურებს ჰქონდეთ მშვიდობა,
ახალ განძებით ვარ მოხიბლული.

ლექსების ციკლი „დმანისი“ ფილოსოფიური ხასიათის ლირიკული ტრილოგიაა, იდეურად ღრმად გააზრებული და პოეტურად მაღალმხატვრული ოსტატობით შესრულებული. განვითარების ლოგიკური ხაზი თავიდან ბოლომდე გასდევს ამ ტრილოგიას და მის მკაცრ კომპოზიციას ქმნის. პირველ ნაწილში („ავტო და დმანისი“) უკაცურ ნანგრევთა შორის დასადგურებული მყუდროება და კედლის თაღებზე „მოქირქილე“ ფრთებგაშლილი ამაოება მანქანის ცხელ ლითონსაც აფრთხობს: ავტო, „როგორც მშიერი ვეფხვი“, ტოვებს მკვდარ ნანგრევებს და კვლავ სიცოცხლით სავსე ტრამალებისაკენ მოისწრაფვის. მეორე ნაწილი („დმანისის ქვები“.) იხსენებს გარდასულ დროთა საგმირო საქმეებს, რომლებიც ახლა უტყვ ქვებშია ჩაკირული. ლირიკული გმირი, თავის ინტიმურ მეგობართან ერთად, ნანგრევებისაკენ შებრუნდება. მესამე ნაწილში („ინვენ ნატრობენ“) უკაცრიელ ნანგრევთა შორის სიყვარულის ჩურჩული ისმის, სიცოცხლის კოცონი ჩაღდება.

ირაკლი აბაშიძის სამამულო ომის წინადროინდელი შემოქმედების უფრო სრული წარმოდგენისათვის საჭიროა ყურადღება შევაჩეროთ ლექსებზე: „ხე და ქარი“, „მე ალპანში არ გელოდები“ და „განთიადის თოვლი“.

ადამიანის ცხოვრებაში არის ხოლმე წუთები ბედნიერების თავდავიწყებითი განცდისა. ბუნების მშვენიერებამ ან სიყვარულის უხილავმა ძალამ შეიძლება ისე დაგატყვევოს და გაგიტაცოს, რომ სამყაროო განახლებულად, უფრო ლამაზად და მიმზიდველად მოგაჩვენოს. ამგვარი განწყობილების გამომხატველი ლექსია „მე ალპანში არ გელოდები“. მშვენიერ დილით მშობლიური მთების ბუნებით მოჯადოებული პოეტი სტოვებს „შფოთიან თბილისს“, ბუნების წოლაში მიდის და იქ, დაბურული მთის ბილიკებზე, „იყარება“. ამ ლექსის ლირიკულმა გმირმა კარგად იცის ბუნებასთან თანამეგზაურე ადამიანის ბრძოლის ფასი, მაგრამ ამჯერად იგი ბუნების სიიდუმლოებათა ამოცნობას აღარ უღრმავდება, არამედ მხოლოდ ჭვრეტს მის მშვენიერებას, რითაც უდიდეს სულიერსა და ესთეტიკურ ტკბობას განიცდის:

მე უზრუნველი და ბედნიერი
მის სიღიდმლოს დღეს დავეხსენი,
ახლად მენეგნა ზღსენელ-ქვესკნელი
და ფრინველივით ვარ ბედნიერი.

ბუნების წინაშე ამგვარი მოჩვენებითი დანმენულობა, მის წოდში უგზოდ შესვლა, მთის ბილიკებზე „დაკარგვა“, მხოლოდ და მხოლოდ პოეტური ხერხია ბუნების დიადი სილამაზისა და მისი პოეტური ხიდვით აღძრული ესთეტიკური განცდის წარმოსახვისა. ზოგიერთი კრიტიკოსი, როდესაც ამ ლექსს განიხილავს, პოეტს ბუნებისადმი პასიერ მჭვრეტელობითს დამოკიდებულებას უსაყვედურებს. ეს მოსაზრება ჩვენ არ შეგვიძლია მართებულად მივიჩნიოთ. განა შეიძლება პასიერი ჭვრეტა ეწოდოს ბუნების სილამაზის იმგვარ ხიდვას, რომ ამ უკანასკნელმა ადამიანს უსაზღვრო ბედნიერება აგრძნობინოს და სამყაროო განახლებულად მოაჩვენოს?!

ახლა პეიზაჟის საკითხი ავიღოთ. პეიზაჟს შეიძლება სიმბოლური გაგზრებაც ჰქონდეს, შეიძლება იგი ბუნების გარდამქმნელი, მებრძოლი განწყობილებითაც იყოს შესრულებული, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ იგი აგრეთვე იყოს ჭვრეტითი, ე. ი. მისი შემოქმედი, პოეტი იქნება ის თუ მხატვარი, მხოლოდ მას ხედავდეს და მის მიღმა სხვას არაფერს გულისხმობდეს. ასეთ პეიზაჟსაც, თუ იგი ეკუთვნიერი ხელოვნის მიერ არის შესრულებული, შეუძლია ადამიანში ჯანსაღი ასოციაციები, ჯანსაღი განწყობილება აღძრას. პოეტი ხატვის არც ერთ აღნიშნულ ხერხს არ უნდა გაურბოდეს. წინაადმდეგ შემოხვევაში მისი შემოქმედებითი სამყარო ერთფეროვანი ვახდებოდა, გაღარიბდებოდა. პოეტური ფერწერის შესანიშნავი ნიმუშია ირაკლი აბაშიძის „განთიადის თოვლი“. იგი სულ თორმეტი სტრიქონისაგან შედგება. მშობლიური დედაქალაქი — თბილისი—ამ ლექსში გასულდგმულებულად არის წარმოდგენილი, მასზე გადატანილია ადამიანური თვისებები. პოეტური ფრაზა

უაღრესად დაწურული, ნათელი და ხატოვანია. „გაყუჩდა მიწა, ვით წოგნსაცავი". — მარტო ეს ერთი სტრიქონიც კი ბევრისმთქმელია. დიდ წოგნსაცავში დუმილია, მაგრამ იმ დუმილში კაცობრობის მოღვაწრე გრძნობა და გონება დუღს. პოეტს ამ ასოციაციებით წარმოუსახავს ღამის სპანგადამძვარალი, განოიადის პირველი თოვლის თეთრეულში გახვეული, გაყუჩებული დედამიწა. თთწრინდიდან თბილისს გადმომზირალი „ღრმად და კეთილად მოხუცებული" აკაკის სატანაც წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს.

ასე ეითარდებოდა და მწიფდებოდა ირაკლი აბაშიძის პოეტური შემოქმედება ოცაინ წლების დასასრულიდან დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებამდე. ომმა ახლებურად გარდაქმნა ქვეყნის ცხოვრება, თავის სამსახურში ჩააყენა მთელი მისი შესაძლებლობა: ეკონომიკა, კულტურა, ხელოვნება, ლიტერატურა. ქართულმა საბჭოთა პოეზიამ, მრავალსუკუნოვანი გმირული ტრადიციებით შთაგონებულმა, თავისი დიდი ხმა აღიმაღლა ფაშისტს დამპყრობელთა წინააღმდეგ და იგი მთელი საბჭოთა ხალხის საბრძოლო ყიჟინას შეუერთა. ირაკლი აბაშიძე სამამულო ომის მთელ მანძილზე ქართველი საბჭოთა პოეტების მოწინავე რაზმში იდგა და მიზანსაუცდენელი მებრძოლი პოეტური სიტყვითა და საზოგადოებრივი მოღვაწეობით იბრძოდა სამშობლოს დასაცავად.

სამშობლოს დაცვა თავდასმსმელი მტრის გაანადგურებას მოითხოვს. ამიტომ უდიდესი პუმანური გრძნობით აროს ნაკარნახევი ცნობილი სტრიქონები ლექსიდან: „ბრისხანე ცხრას ორმოცდაორი":

შემოსიეული მტრის ამოცლტება
არის პირველი კაცთმოყვარება.

ბოროტება უნდა მოისპოს და რაც უფრო მკაცრნი და პირდაპირი ვიქნებით მასთან ბრძოლაში, მით უფრო მაღალი და სრულყოფილი იქნება გამარჯვეველი სიკეთის ზეიმი — ასეთია პოეტის მრწამსი.

ალსანიშნავია, რომ ირაკლი აბაშიძის პოეზიაში თემატური აქტუალობა არ იწვევს მბატარეულ ეიმპრომისს. პირიქით, აქტუალური თემა ყოველთვის მაღალ პოეტურ ფრთებშესხმას პოულობს. აი, ქართველი საბჭოთა მეომრისადმი მიმართული, ერთი შეხედვით, სრულიად უბრალოდ, მარტივად დაწერილი ლექსი „შეტეეის წინ".

რამდენჯერ მოგაგონდება
შენი ეზო და სახლ-კარი,
იმდენჯერ გაიფთრებელმა
მტერს ლომკაცურად დაჰკარი.

ავტორი მტრის წინააღმდეგ მებრძოლ ვაჟკაცს თვალწინ დაუყენებს მისი მამული, მისი ეზოსა და სახლ-კარის მშვენიერებას და, უეცრად. ბრწყინვალე პოეტურ სახეს ჰქმნის: „ეზოს პირას ღელე — ქალწულის ნაწნავი გაუშრობელი".

ირაკლი აბაშიძის ომისდროინდელ საბრძოლო ლირიკაში მძლავრი გამოხმაურება ჰპოვა ქართული ხალხური სავმრო ლირიკის მოტივებმა.

სამამულო ომისდროინდელ ქართულ პატრიოტულ ლირიკას ამშვენებს ირაკლი აბაშიძის „კაპიტანი ბუხაიძე". ესაა დაღუპული გმირის მონოლოგი. პოეტური მეტყველების ეს ხერხი დამახასიათებელია ძველი ქართული ხალხური პოეზიისათვის. ირაკლი აბაშიძემ „კაპიტან ბუხაიძეში" შესანშნავად დაიჭირა ძველი ქართული ხალხური პოეზიის ვმრიული სული და იგი, საბჭოთა პატრიოტზმის უაღრესი კეთილშობილური გაჩაღთან, სამამულო ომის ფრონტზე ბალაყარეთის მთებში დაცემული ქართველი ვაჟკაცის გმრულ სულს დაუნთებსაგა. აქ უნდა ვეძიოთ ამ ლექსის დიდი წარმატების საიდუმლო გასაღები.

რომ შემეძლოს საფლავიდან,
ძმებო, მბრეების წამოწევა,
მე სიცოცხლეს ხელმეორედ
შევწირავდი მშობელ მხარეს,
შევწირავდი იმავ მიწას,
დღეს რომ გულზე დამაყარეს.

მშობლიური მიწის ასეთი უმკნობი სიყვარულიც უცხო არაა ქართული ხალხური სავმრო-პატრიოტული ლირიკისათვის, მაგრამ ხალხური პოეზიის ეს მოტივები თანამედროვე ქართველი პოეტის შემოქმედებაში ახლებურად გადატყდებიან და, ორიგინალური პოეტური ხმის ბეჭედდასმულნი, ლიტერატურულ მოვლენად იქცევიან.

სამამულო ომის ფრონტზე დაღუპული მეგობრის ვაჟკაცური დატირებაა ლექსი „ლესელიძის ხსოვნის". პოეტს არ სურს დაიჯეროს სამშობლოს დიდებისათვის მებრძოლი გმირის სიკვდილი და იგი ისე ესაუბრება მის აჩრდილს, როგორც ცოცხალს. დაღუპული გმირის კვლავ ცოცხალთა შორის წარმოდგენის მოტივიც ერთ-ერთი ძირითადი მოტივთაგანია ჩვენი ძველი ხალხური სავმრო პოეზიისა: „შენ სიკვდილს ვინ დაიჯერებს, შე გალავანო ქვესაო".

დიდი სამამულო ომის თემაზე ირაკლი აბაშიძემ შექმნა ბალადური ხასიათის რამდენიმე ლექსი, რომელთაგანაც მკვეთრად გამოხატული სიუჟეტითა და დრამატიკით სიმძაფრით გამორჩეული „დაჭრილის ლექსი" და „შენ კვლავ ცოცხალი ხარ?!." ორივე ეს ლექსი ტრიბიური თანამედროვე რეალისტური ბალადებია. პირველ მათგანი დაჭრილი მებრძოლის მონოლოგს წარმოადგენს.

თხრობის უკიდურესი ლაკონიურობა, ხატოვა-

ნი პოეტური თქმები, სწრაფი, მაკორული რიტმი „დაკრილი ლექსს“ სრულიფოფილ მხატვრულ ქმნილებად ხდის.

ბალადაში „შენ კვლავ ცოცხალი ხარ?!“ ავტორი ორიგინალურ პოეტურ ხერხს მიმართავს — უადრესად რეალისტურ ნაწარმოებში ფანტასტიკური ელემენტი შეაქვს. აღელვებული შავი ზღვის ტალღა შურისძიების დემონად იქცა და თავგანწირვით ეკვეთა ფაშიტს მფრინავს, რომელიც აფეთქებული „მესერშმიტიდან“ ზღვაში ჩავარდნილი, ცდილობს დახრჩობას დაღწიოს თავი, ნაბიჯზე გასცეროს:

—ეს შენ ხარ?!—ო, კაინ, ო, კაინ, შავპირო!“—

შედგა და ეკვეთა ალაყდ;

— „ქვესკნელში, ქვესკნელში!“—დაკკა და

დასძირა

და ლაღად გაცურდა ტალღა.

„სტუმარამოიყვარე“ ზღვას მტრის მტრულად დახვედრაც სცოდნია. ბალადის შინაარსს შეადგენს შავი ზღვის ტალღისა და მტრის მებრძოლის სამკვდრო-სასიცოცხლო ურთიერთშეღონილი, რომელშიაც პირველი იმარჯვებს.

*

პტერზე ძლევამოსილი გამარჯვებით დამთავრდა დიდი სამამული ომი, მაგრამ ხალხს ომთანამეშავს კვლავ დიდხანს არ ასვენებდა შორეული ექო ქვემეხების გრიალისა და საბრძოლო თვითმფრინავების გუგუნისა. განუკურნავი სენდა ომში დაღუპულთა გამო შემორჩან არა მარტო მათ უახლოეს ჭირისუფლებს, ჭირისუფალი აქ მთელი საბჭოთა ხალხი იყო. პოეტი ხომ, ყველას მაგარ, პირველი განიცდიდა ამ დიდ ტკივილებს:

რად არის —
როცა განრიდებული
შენთვის ალაგებ ფიქრებს უნენებლებს —
გული რად უცდის გარინდებული
მეგობრებს უკან დაუბრუნებებს.
(„რად გელანდება“).

შინმოუსვლელთა ლოდინი, ომის მრისხანე სურათები, „ორმოცდაორის ცხელი ზაფხული, სისხლის წვიმები კავკასიაში“, — დიდხანს შერჩა პოეტის ხსოვნას, მაგრამ გამარჯვებული სიცოცხლე თავისას მოიფხოვს. სიცოცხლის მომფეფრალმა პოეტმა უნდა ფასქლიოს წარსულის ტკივილები და აღორძინებული ცხოვრების ფეფლის სულიერ საზრდოდ წინ მომავლის მაღალი იდეალები შთაგონებული ლექსი წარუმძღვაროს:

გასწი, ისეთმეკ ქეეყნის ამბავეთ,
მისი სიცოცხლის ხარ მოზიარე;
ღღეს სხვა ტკენი გაქეს გასაკეთეკ,
შენ ვეკეკი ხარ, გასწი, ირე.

ამ დეეზით განაგრძობს ირაკლი აბაშიძე მოქმედებთის წინსვლას სამამული ომის მომდეგენო პერიოდში. მის მიერ წინ გადადგმული ყოველი ახალი პოეტური ნაბიჯი გაუკაფავი ტეგრის გაკაფვაა შემომქმედებითი ცხოვრების გზაზე. ამგვარად არის შექმნილი ლექსების ციკლი „მონადირის ღამეები“. არც ლირიკული დეკალრაცია და არც მომწოდებლობითი ტონი, რაც ნაწილობრივ ახასიათებდათ ირაკლი აბაშიძის ადრინდელ ლექსებს, ალარ ისმის ლექსების ამ ციკლში. „მონადირის ღამეებში“ საქმე გვაქვს დინჯ, ამაღლებულ პოეტურ თხრობასთან, რითაც ავტორს ეპიკის ელემენტები შეაქვს ლირიკაში. პოეტური მეტყველების ეს ხერხი, რომელიც ადრეეე, ოცდაათიან წლებშივე, შეინიშნებოდა ირაკლი აბაშიძის პოეზიაში („ბეთონი“, „გადგარჩენის ბალადა“), თანდათან ეითარდებოდა და სრულიფოფილ სახეს იღებდა. ამ გზით იგი პოეტური მეტყველების ამ ფორმას უდიდეს როლს აკისრებდა, როგორც ადამიანის პირადი სულიერი განცდების, ისე საზოგადოებრივი ცხოვრების რთული პროცესების წარმოსახვაში.

„მონადირის ღამეებიდან“ სანიმუშოდ განვიხილოთ ორი ლექსი: „ინგილოები“ და „მონადირის ღამე“. ერთიც და მეორეც თხრობითი ხასიათის სიუჟეტიანი ლირიკული ლექსებია. სიტყვა „თხრობითი“ თავისთავად ეულისხმობს ეპიკურ ელემენტებს. მეთხველს თავისუფლად შეუძლია ამ ლექსების წაკითხვის შემდეგ გიამბოთ მათი შინაარსი. მაგრამ აქაც, ისე როგორც სხვერთდ, ირაკლი აბაშიძის პოეტური დამპინანტი ლირიკაა. ლირიზმი არის გამბობარი ამ ლექსების თითქმის ყველა სტრიქონი. პლასტიკური ხატეთი, პოეტური სალებავების შერწყვეთ, ლექსის მელოდიურობით და მონუმენტური პოეტური წარმომსახველობით „ინგილოებში“ და „მონადირის ღამეში“ ირაკლი აბაშიძემ, როგორც იტყვიან, თავისთავს აჯობა.

ლექსი „ინგილოები“ ღამით, ღია ცის ქვეშ, ბუნების წიაღში გაჩაღებული კოცონის ირგვლივ შემომსხდარი მწყემსი ინგილოების სურათის ხატეთი იწყება. ბრწყინვალედ დახატულ რეალისტურ სურათში დიდი შინაგანი რომანტიკაცაა ჩაქსოვილი. თეთიეული ინგილო მკოთხველს ვეფაფშვილის გოგოთურიეთ თუ რომეოლიოც სხვა ზღაპრული დეკაცეთეთ წარმოდგება თვალწინ. კოცონის გარშემო მსხდომ „ღამის მოეველთა“ შორის განსაკუთრებით გამოირჩეა ერთი მეხრეთავანი, — ეინმე ლაზარე, — რომელიც სხვებთან შედარებით, უფრო „ეფაწყვლელი“ ჩანს და ბევრის მნახველი. მასაც ვიკასავე ბინდისასაკი, თავისი ბერდი ჰაკეს მიჩნეული — ეინმე ელია. ეს უკანასკნელი ღვინით სავსე მთარის გადაუწყვეს ლაზარეს და თან

შესთხოვს, უამბოს დამსწრეთ თავისი საგმირო თავგადასავალი, ნახული, განცდილი თუ გაგონილი. ლექსის შემდგომი განვითარებიდან ვიგებთ, რომ ინგილო ლაზარე სამამულო ომის ქარცეცხლგამოვლილი ვაჟკაცია, რომ მის მამაპაპათ არც დაესიზმრებოდათ ის, რაც მას უნახავს და თავს გადახდომია. იგი თურმე კენგსბერგს უშენია ყუმბარებს, მის თვალწინ გატეხილი „ქვეყნის ოფანა ციხე-ქალაქი“ ბრესლაუ, მას ფეხით გაუვლია შტეტინი, გადაულახავს ოდერი და ალში გახვეული ბერლინის დაცემის მოწმე გამხდარა.

ხელისგულივით ვიცი პრუსია,
ვით ზაკანთია და ბელაქანი —

ამბობს იგი და მკითხველს სჯერა რეალობა ინგილო მწყემსის მიერ წარმოთქმული ამ პოეტური ჰიპერბოლისა. ლექსის ამ მოკლე შინაარსიდან ჩანს, რა დიდი ამბების დატევა შეუძლია არც თუ ისე ვრცელ (თორმეტტერფიან) ლირიკულ ლექსს.

პოეტური წარმოსახვის ასეთივე მონუმენტურობით არის შესრულებული „მონადირის ღამე“. გამოცდილი ფერწერული თვალით დანახული მეტყველი დეტალები ერთ მთლიან დინამიკურ სურათს ქმნიან — ესაა სცენა ნადირობისაგან დაღლილი მონადირეების სამზადისისა ვახშმისათვის და შემდეგ თვით ვახშმობისა, ღამით, ალი-ბაადთან, ულრან ტყის პირას გაჩაღებული უზარმაზარი კოცონის შუქზე.

პოეტს მახვილ თვალსა და ყურს არცერთი დეტალი არ რჩება შეუმჩნეველად: ცეცხლმოკიდებული სველი ხის გამმეულ შიშინში ტყის ნაირთა უცნაური ამბავი ისმის, მეძებრები კოცონის ირგვლივ გაწოლილ ლანდებს უყეფენ, ბერმუხის უკან მგლის თვალი მოჩანს.

ღამით, მთელ ღამით, შფოთინან ძილში
დაგვდევდა სიხმრად ყუმი და კახი
და თასმანლუსთან, ბერმუხის ძირში,
ხმელ ფესვებს გლეჯდა დაჭრილი ტახი.

„მონადირის ღამე“ და „ინგილოები“ პატრიოტიზმის მაღალი გრძნობით შთაგონებული ლექსებია.

ნათქვამია, საქართველოში რამდენი თმაცაა, იმდენი ციხე-სიმაგრეაო. თავდაბსმელსა და სხვისი ტერიტორიის მიტაცებელ ერს ამდენი ციხე-სიმაგრის შენება არ დასჯირდებოდა. ციხე-სიმაგრეებს ქვეყნის თავდაცვის მიზნით აშენებდნენ. ცნობები ქართველი ხალხის ისტორიული გმირული ბრძოლების თავდაცვითი ხასიათის შესახებ ჩვენს ძველ ციხე-სიმაგრეთა ნანგრევების საკუთარ სახელებსაც შემოუნახავს:

ძურის ძველ ციდთან, სადაც გორაშვილი
თითქოს მდინარეს დანა დაუსვა,
სამი ციხე დგას: ციხე — „დაუხვდი“,
ციხე — „დაკკარი“, — და „არ გაუშვა“.

სამი ძველი ციხე-სიმაგრის ამ სამ ქართულ საკუთარ სახელს შთაგონებია პოეტისათვის ბალადური ხასიათის სამგირო — პატრიოტული ლექსი „სამი ციხე“, რომელიც ღრმნშნულ სახელებში დფერფლილი ისტორიული საიდუმლოების ერთგვარ ამოხსნას წარმოადგენს. ლექსში ნათდება გარდასულ დროთა სიმბოლური სურათი. აი, მტერი შემოესია საქართველოს და არ-ბევს მთს მიწა-წყალს. ციხე „დაუხვდი“ „ფიცები ჰპპუკის“ მკერდით პირველი შეეჯახა მომხდარ მტერს, მაგრამ მტრის ალყამ იმძლეურა და შეტეხა ციხის მაგარი ზღუდე. მაშინ ომის ცეცხლში „დინჯი ვაჟკაცი“ — ციხე „დაკკარი“ გადაეშვა, რისხვად დაატყდა მტერს. მტრის შემოტევა შენელდა. მალე იგი, დამარცხებული, ალმათ, უკან იბრუნებს პირს, მაგრამ „ციხე ბერკაცი“ „არ გაუშვას“ შეძახილებით წინ გადაუდგება, გასაქცევ გზას გადაუღობავს მას. „დაკკარ“... „დაუხვდი!“... „არ გაუშვა!“ — ისმის გოლიათური გუგუნი და „ნანგრევების მტვრიან ჰაერში“ „წეოლად ეტყვარებს ქართული ხმალი“. ასე შთამბეჭდავდ, ასეთი დიდი ემოციით გაკაოცდა ირაკლი აბაშიძეს ჩვენი ხალხის მგრიელი წარსული ლექსში „სამი ციხე“. როდესაც ეს ლექსი იწერებოდა, მეორე მსოფლიო ომის ქარიშხალი ახალი ჩამდგარი იყო და ახლად გამეფებულ სიმშვიდისა და მყუდროებაში, თითქოს, კიდევ უფრო მეტი ძალით გისმოდა გარდასულ დროთა გმირული ბრძოლების შორეული გუგუნი.

პატრიოტული მოტივი ყოველ ლექსებში: „არაწი“, „რადიო კახეთი“ და „მასწავლებელი“.

*

ლექსების ორი დიდი ციკლი — „ჰყვავის გურია“ და „სიმღერა მკის დროს“ — ირაკლი აბაშიძემ მიუძღვნა სამამულო ომში გმირჯვებული, ძლევამოსილი საბჭოთა ხალხების მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას.

მკითხველის თვალწინ იშლება განახლებული საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე — ვერია: თვალწარმტაცი ბუნება, „ცას შეჭიდებული სოფლები“, „ბორკილახსნილი შრომის დღეობა“, მობინინე ყანები, ნარინჯის ველები, ქედებზე ლურჯად გადაშლილი ჩაის პლანტაციები... „ამირეიდან აქ დაესახლდები“, — აცხადებს ამ სილამაზით აღტაცებული პოეტი და მაღალ, განზოგადებულ ხასიათს აძლევს ლექსის იდეურ ჩანაფიქრს: განა რითია ნაკლებ ლამაზი და მიმზიდველი „ტკბილი იმერეთი“, ოდიში, აფხაზეთი, განახლებული ქართული თუ მესხეთი! რომელი მათგანი შეიძლება გაიმეტო?!

ყველა ღვიძლია მიწით ზეცამდე,
ჩვენი ხორცია, ჩვენი გული
და ნუ გაოცებს — თვისკენ გეძახდეს
იქით კახეთი, აქეთ ფოთი.
(„აქ დავსახლდები“).

რეგოლუციურ-რომანტიკული ხილვით არის წარმოსახული ისტორიული ადგილები — ხიდისთავი და ნასაკირალი. პოეტს ახალი ცხოვრების ჰანგებში, თავისუფალი შრომის სიმღერების ჰაჯარებულ რიტმში ცხრაასუთის საბრძოლო — რეგოლუციური სიმღერებიც ჩაესმის, თუმცა ახალ ნასაკირალს აღარც კი ახსოვს ის ცეცხლიანი დღეები, „ძველი ოხვრა“, ამბოხება და თავგანწირვა, რადგან ყველაფერი ახლის სიმშვენიერეს დაეფფარავს.

ირაკლი აბაშიძის მიერ დახატული გურიის პეიზაჟი გაცოცხლებული, გასულდგმულებულია. მას თან ახლავს დროის შეგრძნება, სიახლის განცდა. ტყის ყვავილები ღობეზე „მგზავრის სამზერად“ აყოცკებულან, ხოლო, ერთი შეხედვით, სრულიად უბრალოდ და ძალდატანებლად ნათქვამ სტრიქონებში —

მოფენილია ჭილის ქუდებით
მწვანე ველები და მთა-გორები, —

ჩვენ ნათლად ვხედავთ ჩაის ველებზე მოფენილ კოლტ ქალთა გმირული შემოქმედებითი შრომის პროცესს.

თავისუფალი, მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის სადიდებლად თქმულ ერთ მთლიან სიმღერას წარმოადგენს ლექსების ციკლი „სიმღერა მკის დროს“. მასში ბევრისმეტყველი სურათებით არის წარმოსახული სამშობლოს ველ-მინდერებზე გაჩაღებული სოციალისტური შრომის პროცესი. ხატვის ფონად აღებულია კახეთი — ალაზნის ველები.

ამ ციკლის ერთ-ერთ შესანიშნავ ლექსს პოეტმა „სიმღერა დიდ მოსავლზე“ უწოდა. ეპითეტი „დიდი“ აქ სიმბოლური გაზრებით არის ნახმარი. „დიდი მოსავალი“ მარტო უხვ მოსავალს როდი გულისხმობს, არამედ გაცილებით მეტს— მშრომელი ადამიანის შემოქმედებითს გამარჯვებას, მის მშვიდობასა და ბედნიერებას.

ლექსების ციკლში „სიმღერა მკის დროს“ განსაკუთრებით გამოირჩევა ცნობილი რუსი საბჭოთა პოეტის ნიკოლოზ ტიხონოვისადმი მიძღვნილი „შვიდობა ჯუგაანში“. მასში დახატულია კახური სოფლის შვიდობიანები შემოდგომის მიმზიდველი სურათი. თუ ომის მძლავრი გრიგალის განუწყვეტელ გუგუნში ადამიანის ყურთასმენის ხანდახან ქვეშეხების ქუხილიც ძლივს სწვდებოდა, ახლა, შემოდგომის ოქროს ნამქერში მეურავი მთა-ბარის საოცარ დუმილში კრაზნის ფრენაც და აურ-ზაურად ისმის. მახვილი პოეტური სმენით დაჭერილი „მეღერი ინჩუმის“ ასეთი მძაფრი განცდა და მასში შეკრული კონტრასტის ასეთი ჰიპერბოლური წარმოსახვა შეეძლო მხოლოდ იმ პოეტს, ვინც სამამულო ომის ქარიშხალი უშუალოდ განიცადა.

მარტო ერთი რამ აურ-ზაური,
ერთი ხმა ისმის — ფრენა კრაზნის, —
ისე საოცრად დუმს ქიაური,
ისე უჩუმრად დის ალაზანი.

როდესაც პოეტი ასეთ საოცარ დუმილსა და სიმშვიდეში „ქვეყნის მთელ სილამაზეს“ ხედავს, ეს აღარაა უბრალო დუმილი და სიმშვიდე, რადგან მათ სიმბოლური ხასიათი ენიშნებთ.

ლექსებია: „ორი ალაზანი“, „შინაკისაკენ, ალაზნის წყალო“, „ნეტავ უეცრად ამ ალაზნიდან“ და „საღდეგრძელო“—ირაკლი აბაშიძე კიდევ უფრო მეტი ახალი საღებავებით ამდიდრებს ალაზნის ველზე მოსავლის აღების წარმომსახველ დიდ ტილოს. ამ საღებავებში წამყვან ტონს ხალხთა მეგობრობის დიადი გრძნობა ქმნის. ალაზნის ველზე გაჩაღებული მკის გუგუნში ლირიკული გმირი აიწევის ფრთების გამოსხმასა და ცისკენ აზიდვას ნატრობს, რათა ვოლგისპირეთსაც გადახედოს და იქაური მკა იხილოს, ამ გრძნობას ქართული ხალხური პოეზიის ნიშეიერად მოშველიება ათბობს და აძლიერებს:

წინ გადამშვია ვოლგისპირეთი,
ახალ მოსავალს გლეხს რომ ულოცავს,
იქ რომ ვეფხურად მკიან გმირები,
იქ რომ ღომები გრეხენ ულოსა.

*

ირაკლი აბაშიძე მიძღვნითი ლექსების შესანიშნავი ოსტატია. თუ მიძღვნითი ხასიათის ლექსში ავტორი ვერ აღწევს მიძღვნის ობიექტის შინაგანი ბუნების, მისი შინაგანი სულიერი სამყაროს გახსნას, ლექსი მხატგრულ ღირებულობას კარგავს. ლექსში „ბაღდადი — მაიაკოვსკი“ ბრწყინვალეულ არის გახსნილი საბჭოთა ეპოქის დიდი პოეტის, ვლადიმერ მაიაკოვსკის შინაგანი პოეტური სამყარო.

მიძღვნითი ხასიათის ლექსებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გაცილებით უფრო გვიან, 1958 წელს დაწერილი ლექსი „პაოლო იაშვილს“. მასში, გარდა იმისა, რომ საოცრად სწორად არის გახსნილი პაოლო იაშვილის, როგორც პოეტისა და მოქალაქის ბუნება, მხატგრული ზომიერების ტაქტით არის მინიშნებული დროის დიდი ამბები, და როცა პოეტი მამრთავს ოცი წლის წინათ „თავათ მტერთაგან საქართველოს მტრებზე მითვლილ“, უდროოდ დაღუპულ ნიჭიერ ქართველ პოეტს —

ვიცი, ჰო, ვიცი,
დღეს ამის თქმა არის იოლი,
ოცი წლის შემდეგ,
დროის წამლით განკურნებისას, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკითხველს უთქმელადაც ესმის ამ სტრიქონების ქვეტექსტი. მკითხველი გრძნობს, რა დიდ ეროვნულ სულიერ ტკივილებზე მიგვანიშნებს ნიკიერად გააზრებული მეტაფორული სახე:

შენ,
შენ დაეცი იმ წყლს,
როცა საქართველოზე
კაენის სულის აღზევებამ
გადისრიალა.

იგრძნობა რაღაც სულიერი ნათესაობა დიდი პოეტური ექსპრესიით დაწერილი ამ ლექსისა მაიაკოვსკის ცნობილ ლექსთან „Сергею Есенину“.

*

1959 წელს ირაკლი აბაშიძემ გამოსცა ლექსების კრებული „რუსთაველის ნაკვალევზე“, რომელიც პოეტის შემოქმედებაში საეტაპო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ამ კრებულის ყურადღებით გადაკითხვა გვამცნობს, რომ ირაკლი აბაშიძეს კიდევ უფრო გაუღიმავვნია ლირიკული გმირის შინაგანი ბუნების წყდომა, კიდევ უფრო ჯანუვითარებია ცხოვრების კონკრეტულ მოვლენათა მხატვრული ამსტრაქციის გრძნობა.

ლექსების წიგნმა „რუსთაველის ნაკვალევზე“ ჩვენი ლიტერატურული კრიტიკის დიდი ყურადღება მიიპყრო. ძირითადად ამ წიგნს მიუძღვნეს თავიანთი წერილები დ. ბენაშვილმა, გ. ნატროშვილმა, ლ. ყალანდაძემ, რუსმა კრიტიკოსმა იური სუროვცევმა, მწერალმა შალვა აფხაიძემ და სხვებმა. ასეთი ფართო გამოხმაურება ამ წიგნისადმი შემთხვევითი არ არის. ირაკლი აბაშიძის ლექსების აღნიშნული კრებული, შეიძლება თქვას, რომ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს არა მარტო ქართულ, არამედ მთელს თანამედროვე საბჭოთა პოეზიაში. ამ სიმაღლიან უნდა იქნას იგი განხილული და შეფასებული.

პატრიოტიზმი, ხალხთა მეგობრობა, ისტორიული წარსული და თანამედროვეობა, ჩვენი კლასიკური მემკვიდრეობა, — აი, ძირითადი მოტივები ამ წიგნისა. მოტივთა მრავალფეროვნების მხრივ ეგ ახალი ისეთი არაფერია, რაც ირაკლი აბაშიძის პოეზიისათვის, ცოტად თუ ბევრად, აღრე დამახასიათებელი არ იყო. მაგრამ ლექსების წიგნი „რუსთაველის ნაკვალევზე“ ყურადღებას იპყრობს არა მოტივთა სიხალითა და მრავალფეროვნებით, არამედ პოეტური წარმოსახვითა სიღრმით და სრულყოფილ. რუსმა კრიტიკოსმა იური სუროვცევმა ამ წიგნის პოეტური სტილი მოხდენილად შეადარა ორი, ერთმანეთის დიდი ხნის უნახავი მეგობრის შეხვედრასას მათ შორის გამართულ ინტიმურ საუბარს: ერთი მათგანი ეს-ეს არის დაბრუნდა შორეული მოგზაურობიდან და, უცნო საოცრებათა ნახვით აღტაცებული, გულწრფელად მოუთხრობს მეორეს მიღებულ შთაბეჭდილებათა გამო. ამას შეიძლება დავუმატოთ, რომ ეს გულწრფელი თხრობა დიდი შინაგანი პოეტური ღელვის მომცველია, რომ მხატვრულ სისადავესთან ერთად, მას ახასიათებს გრძნობისა და აზრის სიახლე, სიღრმე და სინათლე.

არა, შორით
ამ სამყაროს წარმოდგენა
ჯერ არ ძალუძს
კაცს გონების თვალით.

აცსადებს პოეტი ლექსის „რუსთაველის ნაკვალევზე“ პირველსავე სტროფში, რითაც თავიდანვე განაწყობს მკითხველს რაღაც დიდისა და საოცარის გაგნდისათვის. მომდევნო სტროფში მკითხველის ამგვარი განწყობა თანდათან მყარდება, რასაც პოეტი დამარწმუნებელი ლოგიკური განმეორებებით აღწევს:

წარმოიდგენ
თეირანის მტვრიან ქუჩებს,
მაგრამ ვერა
ფენჯაბსა და ლახორს,
უნდა ნახო,
უნდა ერთხელ ჩამოფრინდე,
უნდა ნახო,
შენი თვალით ნახო.

ინდოეთში მოგზაურობის შედეგად მიღებული წარეფშელი შთაბეჭდილებები, რომლებიც შთაგონების წყარო გახდა ლექსების ციკლისა „რუსთაველის ნაკვალევზე“, ირაკლი აბაშიძემ ქართველ მკითხველს გააცნო მხატვრული ნარკვევიათ. აღნიშნული ნარკვევი („ინდოეთის გზებზე“), რომელიც პირველად „ცისკარში“ დაიბეჭდა 1957 წელს, თავის სხვა მრავალ ღირსებებთან ერთად, წარმოადგენს ღრმა და საინტერესო ქვეტექსტს ლექსების ციკლისა — „რუსთაველის ნაკვალევზე“.

ინდოეთი — იდუმალ სანახაობათა ზღაპრული მხარე, — რომელიც ქართველ ხალს ჯერ კიდევ რვაასი წლის წინათ გააცნო თავისმა უკვდავმა ეროვნულმა გენიამ, შოთა რუსთაველმა. ბევრ რამეზე მიანიშნებს და უსაზღვრო ფანტაზიისათვის განაწყობს მის საკვირველებათა მხილველ ქართველ საბჭოთა პოეტს.

„გავედით თუ არა დელიდან და დავადექით თუ არა სოფლებსა, ფიდ ტყეებსა და ტრამალებში მიმავალ გზას, ხეებიდან და ციხეთა ნანგრევებიდან დაეშვა და პირდაპირ წინ გადაგვეოთნა აუარებელი მაიმენი... შოფრებმა მათ მიწის თხილი გადაუყარეს სერის საყურებლად და შეიქმნა რია-რია... აგერ, თხილის ამ ნადაყლის ხელში ჩასაგდებად ხეებიდან თრიფინებიც ჩამოსხლიდნენ, სასწრაფოდ მოორანჟნენ ყვავებიც... ერთი სიტყვით, გადაიშალა სურათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რა ესმოდეს მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდნან“... — სრულიად რეალისტური სურათი“. ეს და მსგავსი სხვა მრავალი სანახაობა, ხოლო უპირველეს ყოვლისა ის, რომ „ვეფხისტყაოსანის“ მთავარი მგრი ტარიელი ინდოეთია, შთაგონებს ინდოეთში მოგზაურ თანამედროვე ქართველ პოეტს თავისი დიდი წინაპრის კვალი მოიძიოს და მოინახნოს ამ შორეულ გზებზე, მაგრამ საუკუნეთა ქარტეხილებს, დროის ოლმობელი გრიგალის ქროლვას „რვაასი წლის, რვაათასი წვიმის შემდეგ“ წაუშლია ეს კვალი. წაწლილა ურთიერთობა ერთმანეთისაგან ვეფოგრაფიულად დიდად დაშორებულ უძველეს ქვეყნებს, ინდოეთსა და საქართველოს შორის. ასეთ მხატვრულ განზოგადებას იღებს პოეტის მიერ რუსთაველის გახსენება ინდოეთში.

სად ჩამოჯდა,
სად გარინდდა,
სად შეჩერდა,
სად აღმოხდა
მშობელ ქვეყნის ჰანგი?
განვის პირას
მწირთა ლოცვას
თუ შესცქერდა,
მეც მათ შევეცქერ,
აი, ჩემ წინ განგი.

ეს მუსიკალურად კეთილხმოვანი სტრიქონები მკითხველს ნიმღოვეს პოეტური წარმოსახვის სიძლიერით. დაკვირდით სტროფის აგებულებას: მისი პირველი ნახევარი წარმოადგენს ოთხმაგ შეკითხვას, რაც სძიებლის პოეზის ძმაფრი სუბვეილით არის ნაკარნახევი. მეორე ნახევარი კი ჩვენს თვალწინ დიდსა და არაჩვეულებრივ ჰარმონიას შლის. „აი, ჩემ წინ განგი!“ — ამბობს პოეტი და საოცრად გვიახლოვებს ინდოეთის „წმინდა მდინარის“ შორეულ ნაპირებს. გავიხსენოთ მწირთა ლოცვა განგის ნაპრას, შესანიშნავად აღწერილი ირაკლი აბაშიძის მიერ ზემოხსენებულ მხატვრულ ნარკვევში და ჩვენთვის ცხადი გახდება ბევრის მთქმელი ქვეტექსტი მოტანილ სტროფში წარმოსახული სურათისა.

პოეტს, რომელსაც რუსთაველის აჩრდილი ხან დელიდან აგრისაკენ მიმავალ გზებზე დაედგება თვალწინ და ხან „წმინდა ქალაქის“ — ბენარესის მახლობლად, განგის ნაპირებზე მლოცველ მწირთა შორის მოელანდება, დანამდვილებით სჯერა, რომ მიაგნო თავისი დიდი წინაპრის კვალს:

არა, ეს გზა
როგორც მგოსანს,
როგორც მხედარს,
არ იქნება,
არ ენახოს რუსთველს.

მკითხველსაც სჯერა ამ პოეტური აღმოჩენის.

მკითხველს თითქოს ნამდვილად ჩაესმის ყურ-ში რუსთაველის ოდუმალი ხმა, თანამედროვე ქართველი პოეტის მახვილი სმენით ინდოეთის ყრუ ტრამალებში დაჭვრილი. ასეთია გადამდები ემოცია ინდოეთის ციკლის მეორე ლექსსა „რუსთაველის ხმა ყრუ ტრამალებში“, რომლის ღრმა იდეური ჩანაფიქრი ასე წარმოგვესახება: სიყვარულის ძალა განეზომლად დიდია. სიყვარულს მეტი შეუძლია, ვიდრე მტრობას, შურს, ღალატს, ცბიერებას და სიძულვილს. ლექსი „რუსთაველის ხმა ყრუ ტრამალებში“ ერთ მთლიან, კომპოზიციურად შეკრულ დიალოგს წარმოადგენს.

ერთ-ერთ ლექსში ირაკლი აბაშიძეს. დაახლოებით, ამგვარი აზრი აქვს გამოთქმული: ქართველს, სადაც არ უნდა წავიდეს იგი, განუყოფლად თან სდევს თავისი მშობელი ქვეყნის სიყვარული. ინდოეთში მოგზაურობის შთაბეჭდილებებით დაწერილი თავისუფლად მსუნთქავი ლექსები ამ აზრის პოეტური ფრთებშესხმაა. აქ, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ მეტად საინტერესო ლექსი „მერცხლები“, რომელიც ავტორს ინდოეთის დედაქალაქში — დელში გამართულ პოეტების შეჯიბრზე — მუშაობაზე წაეკითხავს. დიახაც პატრიოტული გრძნობის უფაქიზესი განცდაა, როდესაც შორეულ ჯელამთან მერცხლების ნახვას პოეტი თვისტომი ადამიანების ნახვად მიიჩნევს:

არ გადირეკი — ნახო ჯელამთან
შენი ფშაველები, შენი მესხები?
სად შემგებენენ, სად მომელანდნენ
ჩვენი მერცხლები, ჩვენი მერცხლები.

დაკვირდით, რა დიდი სიყვარულია ჩაქსოვილი უბრალოდ ნათქვამ სიტყვებში: „შენი ფშაველები, შენი მესხები“. ამ ლექსის კითხვისას უნებლიეთ გვახსენდება ერთი ეპიზოდი მაქსიმ გორკის მოგონებიდან უკრაინელი მწერლის, მიხაილო კოციუბინსკის შესახებ, რომელიც იტალიაში ყოფნის დროს განუყოფელად ატარებდა გულში შობილური უკრაინის ფაქიზ სიყვარულს.

«Он особенно нежно любил свою Украину и часто слышал запах чебреца там, где его не было.

А однажды, увидев у белой стены рыбацкого дома бледнорозовые мальвы, — весь осветился улыбкой и, сняв шляпу, сказал цветам:

— Здоровенки були! Як живется на чужини?» — ლამაზი და დიდებული გრძნობაა. ქართველ პოეტს, რომელსაც მშობელ მხარეში, თურმე „ღრუბლების სუნთქვაც“ არ დარჩენია შეუმჩნეველად, მერცხლების ფრთების ჩქმისაოვის პირველად იქ, შორეულ ინდოეთში მიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურადღებია და გაზაფხულის მხიარული შიკრიკებისთვის საყვარელ ეპითეტად კუთვნილებითი ნაცვალსახელი „ჩვენი“ მოუნახავს: „ჩვენი მერცხლები“.

ასეთივე გულწრფელი პატრიოტული გრძნობით არის შთაგონებული უსათაური ლექსი, რომელიც იწყება სტრიქონით: „ბევრი ამ ქვეყნად ერთ თბილ დღეს ნაბრობს“. სამშობლო ჩემ მარტო გეოგრაფიული ცნება არ არის.

...მაგრამ შენ არ ხარ მარტო ბუნება,
მაგრამ შენ არ ხარ მარტო მთა-ბარი.
სუნთქავ ხარ, სუნთქავ, გულის ფანცქალი,
ლნინის ალდაფა, ჭირთა მოთმენა,
მაგრამ მცირე ხარ, შენ გენაცვალე,
სულ პატარა ხარ, გულისოდენა.

ასეთი ინტიმური საუბარი სამშობლოსთან, როგორც სტრფოსთან, დიდ ემოციურ ძალას აძლევს ლექსს, ზრდის მის ესთეტიკურ — შეპეკნებითს ღირებულებას.

პოეტური ფერწერის ოსტატობა არის გამოვლენილი ლექსში „იანვარი განგის ნაპირას“. აქ ორგანულად არის შერწყმული ერთმანეთთან ორი დიდი გრძნობა: პატრიოტიზმი და ხალხთა მეგობრობა, რომლებიც განგის ნაპირას გაშლილ სუფრისა და „ზეიმის ეშში“ შესული ბუნების ვრანდიოზულ ფონზე ისახება. ლექსი ბუნების აღწერით იწყება, მაგრამ პეიზაჟს მალე განზოგადებული, სიმბოლური გააზრება ეძლევა:

მზეს მოეხარა მსხვერპლის წინ ქედი,
შერიგებოდა ფრინველს ფრინველი
და ქორის ვეფრდზე სუფთა პირველით
ტკბილოდ გალობდა ფეზეკაბის მტრედი.

პეიზაჟის ხატვაში ჩანს მახვილი პოეტური თვალი. შესანიშნავი სახეა:

ქორები, თითქოს ისხდნენ დოლაზზე,
დასტრიალებდნენ ველს დაფიქრებით.

თქმულია, ლამაზი ბუნება მომხიბვლელობის ძალას მაშინ იძენს, როცა იგი მეგობრის თვალთა სარკეში აირეკლებაო. მსგავს მოვლენასთან გვიქვს საქმე ამ ლექსშიც, განსაკუთრებით მის ბოლო სტროფებში, როცა „ეშში შესულ“ ბუნების ამ „ტკბილ დღესასწაულში“ ხალხთა დიადი მეგობრობის, ქვეყნად სიცოცხლის ზეიმის ძმაღლური ხმები ისმება.

მშვენიერია ინდოელი პოეტი ქალის ამრიტა პრიტამისადმი მიძღვნილი ლექსი. ამ ლექსის, ისე როგორც ირაკლი აბაშიძის მიერ სიყვარულის თემაზე დაწერილი სხვა ლექსების დამახასიათებელი თვისება არის ვიწრო პიროვნული განცდების მხატვრული აბსტრაქცია, მათი აყვანა ზოგად-ადამიანური განცდამდე. ჩანს, ინდოელი პოეტი ქალის მშვენიერებას, რომელშიც სინაზეცა და სილამაზესთან ერთად, დიდი ინტელექტიც ყოფილა შერწყმული, ნამდვილად მოუჯადოებია ჩვენი პოეტი. აი, რას მოგვითხრობს იგი ამრიტა პრიტამის შესახებ თავის მხატვრულ ნარკვევში „ინდოეთის გზებზე“. „ამრიტა პრიტამი მეტად ლამაზი, მშვიდი და ეშხიანი ქალია, ხშირი წამწამების ქვეშოდან წყლიანი შავი თვალებით დამატყვევებლად გამომზირალი, მუდამ მღიმარი. ყურში თითქოს ახლაც ეღერს მისი დაბალი ქალური დერინი, გულის სიღრმიდან ამოსული ხავერდოვანი ხმა, ლექსის კითხვის დროს დინჯი, უფრო მეტად სევდიანი და მწუხარე, მაგრამ ეს სევდა, ეტყობა, სიყვარულის სევდაა, მხოლოდ სიყვარულის სევდა“.. ამ, თუმცა მოღალვარე, მაგრამ მაინც პროზაად ნათქვამმა, როგორც ჩანს, ვერ დაკმაყოფილა პოეტი, რომელმაც მომხიბვლელი ამრიტას ქება მაღალი პოეტური სტრიქონებით,— ლექსად გვითხრა:

ამრიტა,
ლექსად დამწვარო ქალო,
ყველაფრის ენა
მე განა მესმის?
ბულბული ვარდზე
რა სიტყვით გალობს,
ან მტრედი ტოტზე
რა სიტყვით კვნესის?..

პოემა იცის ბულბულისა და მტრედის ენა, რადგან მას სწამს, რომ ყოველი სულდგმული ამ ქვეყნად ტკბილი ხმით მხოლოდ სიყვარულს უგალობს.

ამრიტა პრიტამის სახე, თუმცა მინიშნებით, მაგრამ კვლავ გაიელვებს სხვა ლექსში, რომელიც ბუნებრივად ჩაკვეს ინდოეთში მიღებულ პოეტურ შთაპეჭდილებათა თემატიკურ რაკლს:

... მე ინდოეთში
მაინც ისევ მოსასელელი ვარ, —
მანდ დელში დამრჩა
ერთთან გული
ისარდაკრული.

ეს გასლავთ ბოლო სტრიქონები ახალგაზრდული შემოქმედებითი გზნებით დაწერილი ლექსისა — „ინდოეთის პოეტებს“, — ჩონლითაც იხსნება წიგნი „რუსთაველის ნაკვალევზე“. ლოგიკურად კი ეს ლექსი ამ წიგნის ბოლოთქმის წარმოადგენს, რადგან იგი ერთვარი პოეტური რეზიუმეა ინდოეთში მიღებული პოეტური შთაბეჭდილებებისა. იგი ინდოეთისადმი გამოთხოვების ჰიმნია. პოეტი შემოქმედებითი ტკივილებიანი ეთხოვება აღმოსავლეთის ამ ზღაპრულ ქვეყანას და გამომშვიდობებისას პოეტურ აღთქმას აძლევს ინდოელ მეგობრებს:

სანამ ჯანმრთელ ვარ,
სანამ კვლავ ვგრძნობ ახალგაზრდობას,
უნდა გადმოვჭრა

ხელმეორედ შაქი, შირაზი,
ღელში ხელახლა
უნდა შეგხვდეთ მუშაირაზე,
თქვენთან ქართველი
ვერ ვიჯერე გული ამგზობას.

წიგნში „რუსთაველის ნაკვალევზე“ ავტორმა შეიტანა ლექსების ციკლი „მიახლოება ნახევარ საუკუნესთან“. ამ ციკლის ლექსები: „თუმც სულ ქართული მქონდა ბუნება“, „ხან წუთი, ხან საუკუნე“, „მეცხეთაში“, „ალაზანთან“, — ენთუსიაზმით ერთმანეთის თავიანთი ფილოსოფიური ხასიათით. ესაა ორმოცდაათ წელს მიღწეული პოეტის დფიქრება სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ პრობლემებზე, შემოქმედის ბედზე, მის ძლიერებასა თუ უძლურებაზე, ადამიანის ჭეშმარიტი შემოქმედებით გენიის უკვდავებაზე.

დრო, რომელსაც ძველი ბერძნები თეთრწვერა მოხუცის სახით წარმოიდგენდნენ, თავის ულმობელ დაღს ასვამს ამ ქვეყნად ყველაფერს, ასაკი კარნახობს შემოქმედს და ზოგჯერ სცვლის კიდეც მის სულიერ განწყობილებას. ყოველ შემთხვევაში, ხანში შესულა, მეტ წილად, ანელებს ახალგაზრდულ შემოქმედებითს ცეცხლს.

ლექსში „თუმც სულ ქართული მქონდა ბუნება“ ისმის შემოქმედებითი დაუძაყოფილებლობის ხმა. ახალგაზრდობა ისე გაფრენილა, რომ პოეტს, თურმე, პირველი სიყვარულის გრძნობაც არსად გაუმხელია. მაგრამ ჭეშმარიტი შემოქმედის სულიერი სამყარო ამოუწურავია:

თუმც გაფლანგული მაქვს ასეული
ხან სიხარული, ხან დაღონება,
მაინც ათასი ზეშთაგონება
მაქვს შენახული, ვით ფასეული.

აქ პოეტი ერთგვარი დიღმის წინაშე დგება, მას, თითქოს, შემოქმედებითი სკეპსისისიც კი იპყრობს: ვითუ ხანდაზმულობის ჟამს შენალდეს პოეტური ცეცხლი, „სტრიქონს აწინდელს დააკლდეს ელვრა და ხმოვანება“, „სიტყვას დაეტყოს აზრის მეტობა“, მოაკლდეს „ნამიან ლარიფონ ბალახის სილბო“, „ქალწულის გამმული ფიქრის სმენა“, „ლექსს თვთონ გამოერიოს“, „ბეგრულად მოტყდეს იგი“; მაშასადამე, პოეტმა ძველებური ზზნებით ვეღარ თქვას თავისი სათქმელი, ანდა სრულიად უთქმელი დარჩეს, დავიწყების მტვერმა დფაროს „შენახული ზეშთაგონება“. ლექსის დასასრულს პოეტი ახერხებს ამ ერთგვარი შემოქმედებითი შიშის დაძლევას.

არა, ო, არა, ჩემო ფიქრებო,
ნუმც გაგვეგონოს ეს საოცრება.

პოეზია არ ბერდება. მისი ცეცხლი მარად ახალგაზრდული მგზნებარებით უნდა ციოდეს.

ირაკლი აბაშიძის ფილოსოფიური ხასიათის ლექსებში ადამიანის ცხოვრება წარმოსახულია ისტორიული განვითარების უწყვეტელ პროცესში. მართალია, დროის მარადიულ დინებაში ადამიანის სიცოცხლე, რომელიც ხან წუთსა ჰგავს და ხან საუკუნეს, თითქა ენებათა ღელეთ, სიარულითა და ტკივილით, — წარმავალია, მაგრამ ადამიანის შემოქმედებითი გენიის ნაყოფი, ხელოვნებისა და ლიტერატურის ძეგლები, — ეამთასელის ჭარტეხილებს უძლებს და უკვდავების ძალას ინარჩუნებს (ლექსები: „ვარაფფრის ქვეყნად ვერ შეველიე“, „ხან წუთი, ხან საუკუნე“, „მეცხეთაში“). მეცხეთის სამარხებში თუ არმაზის სარკოფაგებში აღმონილნ მატერიალური კულტურის განძებში — საოცარი თვლებით მოჭედილ თასებში, ძვირფას სურებსა და ვერცგვინებში, ბოლოს, ამაყად აღმართულ თვით მცხეთის ჯვარსა და სვეტიცხოველში, — ჩვენი დიდი წინაპრების უკვდავი შემოქმედებითი ცეცხლი ღვივის.

რომ იქნებ მათაც, მიწიდან ეხლა
ამ ძვირფას თვლებით რომ შემოვგხედეს,
სიზმრად მიანჩდათ ყოველი ქვეყნად,
ამ უკვდავ განძის ძველ შემოქმედებს,
ჩვენ კი დღეს სწორედ,
ჩვენ კი დღეს სწორედ
ათას წელს ქვეშმი მოწმედ დებულებს,
ათას წლის შემდეგ მაღლა ვწევთ სურებს,
სასმურებს მათგან მოწოდებულებს.
(„მეცხეთაში“).

ადამიანთა ყოველი ახალი თაობა შემოქმედებითად აღიქვამს, გარდაქმნის და ანვითარებს მას, რაც მისმა წინა თაობებმა შექმნეს. საუკუნეთა შემდგომ, ახალი თაობები, ამ „სასმურებთან“ ერთად, ახალი თვალით შეხედავენ ჩვენი ეპოქის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლებს, „მაღლა ასწევენ“ და კიდეც შემდგომ თაობებს გაუწოდებენ მათ. მაშ, ადამიანის სიცოცხლის ფიზიკური წარმავლობა სიზმრად და ბინდისფრად ნუ მოგვაჩვენებს ამ ქვეყნად ყველაფერი. ისეთი ოპტიმისტური სულისკვეთებით მსჯელავს მკითხველს ლექსი „მეცხეთაში“.

ლექსების წიგნი „რუსთაველის ნაკვალევზე“ პოეტის მიერ წინ გადადგმული შემოქმედებითი ნაბიჯია. იგი ირაკლი აბაშიძის დიდ პოეტურ შესაძლებლობაზე მეტყველებს. ქართველი მკითხველი კვლავ ახალ-ახალ ლირიკულ ქმნილებებს მოელის მისი ავტორისაგან. ამ მოლოდინს ირაკლი აბაშიძე ღირსეულად ამართლებს, რაზზედაც მეტყველებს მის მიერ ჟურნალ „ცნობარის“ ფურცლებზე უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებული ლექსები: „ჭობა“, „ხვამლს, ჩემს ოცნებას, ხვამლს“, „დაცილი ავარაკი“, „შემოდგომა“ და სხვები. ეს ლექსები თანამედროვე ქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თული საᲑᲭᲝᲗᲐ ლირიკის საგანძურში შეედენ. მათში იგრძნობა წარსულსა და აწმყოს შორის უწყვეტელი კავშირი, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული, ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობის ორიგინალური პოეტური ხილვა. ორიგინალურია მათი არა მარტო იდეური გააზრება, არამედ პოეტური წარმოსახვის ფორმაც. ასეთია, მაგალითად, თხრობითი ხასიათის ლექსის „ᲯᲝᲭᲘᲡ“ დასასრული ავტორის ფილოსოფიური მიმართვა თავისთავისადმი.

*

რამდენიმე სიტყვა ირაკლი აბაშიძის ზოგიერთ პოეტურ ხერხზე. პოეტური მეტყველების ძირითად ხერხად ირაკლი აბაშიძე თხრობას იყენებს. ამ მხრივ დამახასიათებელია თვით პოეტის აღიარება. მოკლე ავტობიოგრაფიის დასასრულს, როცა იგი უცხო ქვეყნებში თავის მოგზაურობას ეხება, აცხადებს: „აძეკამად გატაცებული ვარ ამ თემატიკით, მერე კი ჩემი ოცნება არის ერთხელ კიდევ გადავხედო ჩემს განვლილ ცხოვრებას, რის შესახებაც ორიოდე სიტყვა ვთქვი მხოლოდ და მოგონებები დავწერო ლექსად“. დააკვირდით ამ წინადადებების ბოლო სიტყვებს: „მოგონებები დავწერო ლექსად“. მოგონებების ლექსად დასაწერად პოეტური თხრობა ყველა სხვა მხატვრულ ხერხზე უფრო მოხდენილი ხერხია. ირაკლი აბაშიძე ხშირად მიმართავს პოეტური შეკითხვა-შეძახილებს და ამ ხერხის ბუნებრივად გამოყენებით ზრდის მკითხველზე ლექსის ემოციურ ზეგავლენას:

ის როდის იყო,
შენ რომ თლიდი ჩალის ურემსა?
ჰაუ, მას შემდეგ
რა უზომოდ დიდი ხანია!

(„ხან წუთი, ხან საუკუნე“)

რამ გადმოგხეწეა
ამ ცხელ ალმურში,
რამ აგიყარა მესხეთს კარავი?!

(„რუსთაველის ხმა ყრუ ტრამალებში“);

რა თოვლია!
შენობებს და ბაღნი ხარდნს
ფარავს თეთრად დასახული

(„პირველი თოვლის სიმღერა“)

პოეტი ამგვარ შეკითხვა-შეძახილებს ზოგჯერ ლოგიკური გამეორებებით აძლიერებს:

რა ხნის,
რა ხნის ხარ,
რა წლის, რამდენის,
ეს კვლავ შენა ხარ?
ეს კვლავ შენა ხარ?

ხანდახან კი ამგვარი პოეტური შეკითხვა-შეძახილი, ერთხა და იმავე დროს, ლამაზ მეტაფორულ შედარებასაც წარმოადგენს:

დგას ბუჩქები ვერის ბაღში, შემკთალები,
ზედ თოვლია, თუ ფრიალი ფაფანაკთა?!

ირაკლი აბაშიძის ლექსისათვის დამახასიათებელია პოეტური მოულოდნელობანი. მოხდენილი პოეტური მოულოდნელობა ბუნებრივში იმ საოცარის მიგნებას ნიშნავს, რომლის დანახვა და გაგება მხოლოდ ᲮᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ შემოქმედს შეუძლია. ამგვარ მოულოდნელობასთან გვაქვს საქმე, მაგალითად, როცა რეალტიკული თვითმფრინავით, ღამით, ცაში გაფრენილ პოეტს ღრუბლებთან სიახლოვე, მათთან ძილი თუ ღამისთვეა ყრმობის სანეკვარი სიზმრების ადგილად წარმოესახება:

ნუ, მაღალ ღრუბლებს
ნუმც რამ ეწყინოთ,
ღრუბლები ჩემი მ.ᲡᲮᲘᲜᲓᲔᲚᲘᲐ,
ამაღამ მათთან უნდა მეძინოს,
როგორც ყრმობაში დამსიზმრებია.

უნდა აღინიშნოს, რომ მეტწილად, სწორედ ამგვარ მოულოდნელობებში ხსნის ირაკლი აბაშიძე ლექსის იდეურ ჩანაფიქრს („ᲛᲐᲛᲐ“, „პირველი თოვლის სიღერა“, „რუსთაველის ხმა ყრუ ტრამალებში“, „ხან წუთი, ხან საუკუნე“, „ᲕᲘᲠᲐᲒᲣᲠᲘ ᲥᲕᲘᲧᲜᲐᲒ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲕᲘᲚᲔᲗᲐ“ და სხვ.).

ირაკლი აბაშიძის პოეტური თხრობა ხატოვანია, პეიზაჟი — მხატვრული ზომიერების გრძნობით შესრულებული, პოეტური ფრაზა — უაღრესად დაწურული, ენა — სადა, დახვეწილი. ლექსის რიტმი ცხოვრების ᲨᲘᲠᲝᲕᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ არის შეწყობილი. ამიტომ პოეტი მუდამ ინარჩუნებს სიახლის გრძნობას, რადგან თვით ცხოვრება ახლისკენ ლტოლვის, განვითარების მუდმივი პროცესია. რითმა ირაკლი აბაშიძის ლექსში ბუნებრივად ყღერის და მეტწილად ლექსის შინაარსისაგან გამოძახებულად გვეჩვენება.

თქმულა, პოეზია გაოცებაა. მოვლენათა პოეტური ხილვით, მათი მძაფრი განცდით აღელვება და განცვიფრება ირაკლი აბაშიძის ლექსში ზოგჯერ პოეტური მეტყველების ხერხად არის გამოყენებული.

მკითხველს ხიბლავს ირაკლი აბაშიძის ლექსის აზრობრივი სინათლე, მელოდია და შინაგანი მუსიკა, რაც ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, ქმნის პოეტის საკუთარ ხმას.

ირაკლი აბაშიძის პოეტურ ბუნებაში იგრძნობა ᲫᲘᲠᲘᲗᲘ ინტელექტრისა და ემოციის. უმეტეს შემთხვევაში ეს ᲫᲘᲠᲘᲗᲘ შერიგებით თავდება და სწორედ ამ ორი საწყისის ᲰᲐᲠᲛᲝᲜᲘᲜᲐᲗ ქმნის პოეტი ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲘ ᲚᲘᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲥᲛᲜᲔᲚᲔᲑᲘᲗ, რომელთა ნიმუშები ზემოთ საკმაოდ იყო განხილული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალინ მეჯრეველი

დიდი მეცნიერის საინტერესო წერილი

ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის არქივში დაცულია ივანე ჯავახიშვილის წერილი გიორგი ზდანოვიჩისადმი[1], რომელიც საინტერესო ცნობებს შეიცავს გამოჩენილი ქართველი მეცნიერის ივანე ჯავახიშვილისა და ცნობილი მხატვრის დავით კაკაბაძის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

როგორც ცნობილია, დავით კაკაბაძე პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლისას (სწავლობდა ბუნებისმეტყველების ფაკულტეტზე) სავალდებულო საგნებთან ერთად მხატვრობასა და ხელოვნების ისტორიასაც ეწაფებოდა. მხატვრობას იგი სწავლობდა, როგორც აკად. ი. ჯავახიშვილიც მიუთითებს, დიმიტრიევ-კავკაზსკის სკოლაში, ხოლო ხელოვნების ისტორიას — უნივერსიტეტში ინაილოვთან. ნიჭიერი მხატვარი ამითაც არ კმაყოფილდებოდა და იმავე უნივერსიტეტში ქართული ხელოვნების ისტორიას სავანგებოდ სწავლობდა პროფ. ი. ჯავახიშვილთან. „...ამასთანავე (ი. ჯავახიშვილი ლაპარაკობს დ. კაკაბაძის შესახებ. რ. მ.) ჩემთან სწავლობს და მუშაობს, რამდენადაც ეს საჭიროა ქართული ხელოვნების ისტორიის შესწავლისათვის". სახელოვან პროფესორს მოსწონებია დავით კაკაბაძის ნაშრომები და იმთავითვე მაღალი შეფასება მიუცია მისი მხატვრული ნიჭისათვის.



ზემოხსენებული წერილიდან ირკვევა, რომ დავით კაკაბაძე პეტერბურგში სწავლისას მატერიალურ ხელმოკლეობას განიცდიდა. სწორედ ამიტომ წერს ქართველი პროფესორი პირად წერილს შავი ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარეს გიორგი ზდანოვიჩს და ითხოვს, რომ შავი ქვის მრეწველთა საბჭომ დავით კაკაბაძეს მისცეს სტიპენდია ან ერთდროული დახმარება. „პეტერბურგის ქართული სათვისტომო შავი ქვის მრეწველთა საბჭოს სთხოვს, რომ მან დაუნიშნოს აქაურს სტუდენტს დავით ნესტორის ძე კაკაბაძეს სტიპენდია ან ერთდროული დახმარება".

წერილი თარიღდება 1912 წლის 6 ოქტომბრით.

ივანე ჯავახიშვილი ახასიათებს დავით კაკაბაძეს, როგორც საუკეთესო სტუდენტს და, ამასთანავე, კარგ მხატვარს. წერილიდან ირკვევა, რომ ქართველ პროფესორს დ. კაკაბაძისათვის მიუცია ერთი ძველი ქართული მხატვრობა (ვახტანგ მეექვსისა და სულხან-საბა ორბე-

[1] გიორგი ფელიქსის ძე ზდანოვიჩი-მაიაშვილი (1855—1917) იყო ცნობილი ხალხოსანი, წლების განმავლობაში მუშაობდა შავი ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარედ.

ლიანის პორთი), რომელიც შემონახული ყოფილა ძველ ქართულ ხელნაწერში, და უთხოვია მისი ფერადებითვე გადმოხატვა. მინდობილი საქმე მხატვარმა „სიტყვოდ ასარულა“. ეს უნდა მომხდარიყო 1911 წელს, რადგან ი. ჯავახიშვილი გარკვეული მიუთითებს — შარშან მივეცეო გადმოსახატად. ივანე ჯავახიშვილისავე რჩევით ქართულმა სასტორიო საზოგადოებამ დ. კაკაბაძეს მცხეთის ტაძარში შენახული მარიამ დედოფლისა და სხვათა სასტორიო სურათების ფერადი საღებავებით გადაღება მინდო, მხატვარს ეს დავალებაც წარმატებით შეუსრულებია.

როგორც ი. ჯავახიშვილი წერს, დ. კაკაბაძე 1912 წლის თებერვლიდან ამზადებდა თურმე „სატარა გამოკვლევას“ — „ჩუქურთმიანი სახეების (ორნამენტი) განვითარება ქართულ საოქრომჭედლო ხელოვნებაში ქართული ხატების მიხედვით“. თებერვალ მეშაობისას მომავალ ხელოვანს დაბპარებას უწევდა ი. ჯავახიშვილი. მართლაც, შემდეგში, ესეც 1913 წელს, სამეცნიერო წრის სხდომაზე დავით კაკაბაძემ წაიკითხა ეს გამოკვლევა. მასში შეკრებილი იყო ქართული ორნამენტების ყველა ნიმუში და ქრონოლოგიურად იყო დათარიღებული მათი თანდათანობითი განვითარება.

„ერთი სიტყვით, — წერს ივანე ჯავახიშვილი. დ. კაკაბაძე ქართული ხელოვნების ისტორიის შესწავლისათვის ემზადება და მისთვის ხელის გამართვა, როგორც შშრომელისა და ნიჭიერი ყმაწვილისათვის, ძალიან სასურველია.

„გთხოვთ თქვენ, — ბ-ნო გიორგი, — მიმართოს იგი ზადნოვიჩს, — მხარი დაუჭიროთ ამ თხოვნას და ხელი გაუმართოთ ამ ყმაწვილს. თქვენნი პატივისმცემელი ივ. ჯავახიშვილი“.

ასეთია წერილის შინაარსი.

წერილი მეტად საინტერესოა დავით კაკაბაძის ადრინდელი ბიოგრაფიის დაზუსტებისათვის, ასევე მნიშვნელოვანია ივანე ჯავახიშვილის პიროვნების, მისი კეთილშობილებისა და დიდბუნებოვნების დახასიათებისათვის.

აკად. ივანე ჯავახიშვილის ყოველმხრივი მოღვაწეობა ქართულ ისტორიოგრაფიაში საყოველთაოდაა ცნობილი. მისი უდიდესი მეცნიერული დამსახურების გვერდით აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ ზრუნვას ახალგაზრდობაზე. მომავალ კულტურულ კადრებზე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 20 წლისთავზე თავის მოხსენებაში „უნივერსიტეტის დაარსებისათვის ბრძოლა საქართველოში“ 1938 წლის 25 მაისს ივანე ჯავახიშვილი ამბობდა: „...ყოველ ჩვენთაგანს, მეტადრე მოხუცებულებს, უნდა ახსოვდეთ, რომ „იგი წაეა და სხვა მოეა ტურფასა სამაღნარისა“. ძველმა თაობამ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ ტურფა სამაღნარო ტურფა სამაღნაროდ დარჩეს. ეს შესაძლებელია მხოლოდ ახალი კარგად მომზადებული კადრების შექმნით, რომლებიც არათუ ჩამოუვარდებიან ამ ძველ თაობას, არამედ ძველ თაობაზე უკეთესები იქნებიან“.

აღნიშნული წერილი მიუთითებს იმაზე, რომ გამოჩენილი მეცნიერი ადრევე საქმით ასრულებდა თავის ამ ნათქვამს და მამობრივი ზრუნვით დასტრიალებდა მომავალ მოღვაწეებს, რა დარგისაც უნდა ყოფილიყვნენ ისინი.

წერილი საინტერესოა იმითაც, რომ იგი ზოგიერთ ცნობას გვაწვდის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს საქმიანობის შესახებ. როგორც ცნობილია, შავი ქვის მრეწველთა საბჭო სტიპენდიებს უნიშნავდა იმ ქართველ სტუდენტებს, რომლებიც საქართველოს ფარგლებს გარეთ და, კერძოდ, პეტერბურგში სწავლობდნენ.

ჩვენთვის უცნობია, მართლაც შეწყვეტა თუ არა ხსენებული წერილის დაწერის პერიოდში შავი ქვის მრეწველთა საბჭომ სტიპენდიების მიცემა სტუდენტებისათვის, მაგრამ ის ფაქტია, რომ რაღაც ამგვარს ადგილი უნდა ჰქონოდა. ამის შესახებ ი. ჯავახიშვილის წერილში კონკრეტულად არაფერია ნათქვამი, მაგრამ ქართველი სტუდენტობის მომავალ პროფესორი მიუთითებს, რომ „მგონი სტიპენდიის მიცემა შეწყვეტეთო“.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, წერილის ღირებულება დიდია.

აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა ჯერ კიდევ ადრე, ახალგაზრდა მხატვრის შემოქმედების გარიჟრაჟზე, თქვა — „დ. კაკაბაძე მშვენერი მხატვარია“, დაინახა მასში ის დიდი ძალა და ენერგია, რომელშაც შემდგომში სასტატო ადგილი მიეჩინა დავით კაკაბაძის შემოქმედებას ქართული ხელოვნების დიდ საგანძურში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერნესტ ჰემინგუეი ლიტერატურული ოსტატობის შესახებ

— სასიამოვნო თუა თქვენთვის ის საათები, როცა მუშაობთ?

— ძალიან.

— იქნება რამდენიმე სიტყვით მაინც გვითხრათ, როგორია წერთ? რა დროს მუშაობთ? მტკიცე განრიგი თუ გაქვთ?

— როცა რომაზს ვწერ ან მოთხრობას, ყოველდღიურად ვმუშაობ, დილდილობით. ირეკრაყებს თუ არა, ვცდილობ მაშინვე შევუდგე საქმეს. კაცაშვილი არ გაწუხებს ამ დროს; გრილა, ზოგჯერ ცივა კიდეც. შეუდგები წერას და მუშაობაში თანდათანობით გახურდები. ჯერ გუშინდელ დაწერილს გადაკითხავ, როცა ჩაათავებ, უკვე იცი, მერე რა უნდა მოხდეს: რაზეც გუშინ შეჩერდი, იქიდან დაიწყებ. წერ და წერ, მანამ „საწვავი“ არ გამოგლეკავი. მერე რა მოხდება, წინასწარვე იცი, ოღონდ როგორმე ხვალამდე უნდა გასძლო, ხვალ კი ისევ ჩართავ მოტორს. დაიწყებ, ეთქვათ, დილის ექვს საათზე, და შუადღემდე იმუშავებ, იქნებ უფრო ადრეც დაამთავრო. მუშაობას რომ მორჩები, თითქოს ერთიანად განადგურებული ხარ, მაგრამ ამავე დროს ხალისსა და სასიცოცხლო ენერგიას გრძნობ, სწორედ ისე, როგორც საყვარელ ქალთან სიახლოვის შემდეგ. ხვალამდე ვეღარაფერი ვერ გაგიფუჭებს გუნებას, არაფერი დაგამარცხება, არც არაფერზე გაგულისდები... ხვალ კი ისევ შეუდგები საქმეს. ოღონდ ხვალამდე გაძლება არ გინდა?!.

— იმას თუ ახერხებთ, რომ როცა საბეჭდ მანქანასთან არა ხართ, თქვენს გმირებზე არ იფიქროთ?

— ეს, რა თქმა უნდა, თვითდისციპლინას მოითხოვს, ჩვენვის გამომუშავებას. მე პირადად გამომუშავებული მაქვს ასეთი ჩვევა. ისე არაფერი გამოვა.

— ყოველდღიური გადაკითხვის **დროსვე ასწორებთ** გუშინდელ ნაწერს, თუ გასწორებას მერე შეუდგებით, როცა საკმარისი დაასრულებთ ნაწარმოებს?

— ყოველდღიურად ვასწორებ. სულ რომ მოვრჩები, მერე, რაღა თქმა უნდა, თავიდან მოვუყვები ხოლმე სწორებას. მერე ისევ გადავიკითხავ და გავასწორებ — გადათვირების შემდეგ უფრო კარგად ხედავ ტექსტს. ჩასწორების უკანასკნელი შესაძლებლობა კორექტურის დროს გვქონია. და ყოველ ასეთ შესაძლებლობას სიხარულით იყენებ.

— რამდენჯერ გადასწერთ ხოლმე ერთსა და იმავე ტექსტს?

— ხან ასე, ხან ისე, როგორც საქმეს მოუხდება. „მშვიდობით იარაღის“ ბოლო ვერსია ოცდაცხრამეტჯერ მაქვს გადაწერილი.

— ფორმალური ხასიათის სიძნელეები შეგხვდათ? რამ შეგაფერხათ?

— შესაფერი სიტყვების პოვნამ.

— იმ „საწვავს“ გადაკითხვის დროს ღებულობთ ხოლმე?

— გადაკითხვის დროს თანდათანობით უახლოვდები იმ ადგილს, სადაც უნდა გააგრძელო: თან იცი, რომ გუშინ, რაც კი შეგეძლო, ყველაფერი გამოწურე. „საწვავს“ რა გამოლევს!

— ისეთი დღე თუ გამოერევა, როცა სულ არ ძოდის შთაგონება?

— რა თქმა უნდა. მაგრამ როცა იცი, გუშინ სად შეჩერდი და მერე რა უნდა მოხდეს, გაგრძელებას, ასე თუ ისე, მაინც მოახერხებ. ხოლო რაკი დაიწყებ — მერე თავისით წავა.

— ტორტონ უაილდერის აზრით, მწერალს თავისებური პირობითი რეფლექსები უმუშავდება, და მერე ეს ეხმარება მუშაობის დაწყებაში. ის კი არა და, თითქოს თქვენც გეთქვათ მისთვის — ჯერ ოცამდე ფანქარს უნდა წავეთალოთ წვერი და მხოლოდ ამის შემდეგ შეძინილია დაწყებაო.

— არა მგონია, ერთდროულად ოცი ფანქარი მეკონოდეს როდესმე. მთელი დღე რომ ვიმუშაო. ზვიდ ფანქარზე მეტი არც დამჭირდება.

— ყველაზე გემრიელად სად მუშაობდით? ინის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რაც „Ambos Mundos-ს სასტუმროში დაგიწერიათ, ყველაზე

* ეს წარმოადგენს ჰემინგუეის ინტერვიუს, ამოღებულს წიგნიდან „Hemingway and His eritics“. დაბეჭდილი იყო „ინოსტრანნაია ლიტერატურაზეა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგად აღმათ იქ გეწერებოდათ. თუ არცა აქვს დიდი მნიშვნელობა თქვენთვის გარეშო პირობებს?

— Ambos Mundos-ი, ჰავანაში, მართლაც რომ დიდებული სამუშაო ადგილია. საერთოდ, ჩინებული სასტუმრო იყო. ახლა როგორია ვერ გეტყვით, თუმცა მე ყველგან კარგად ვმუშაობდი. ესე იგი, რა პირობებიც არ უნდა მქონოდა, ყველგან მაგრად შემეძლო მუშაობა. მარტო ტელეფონი და სტუმრები მიშლიან ხელს.

— კარგად რომ წერო, ამისათვის სრული სულიერი წონასწორობაა საჭირო? თქვენ ერთხელ მითხარით, შეყვარებული როცა ვარ, კარგად მხოლოდ მაშინ ვწერო. იქნება ცოტათი უფრო გაგეშალათ ეს მოსაზრება!

— ძნელი კითხვაა. მაგრამ შეეცადები მაინც გიპასუხოთ. წერა ყოველგვარ პირობებში შეიძლება, ოღონდ თავი უნდა გაგანებინ და მუშაობას არაეინ მოგწყვიტოს. უფრო სწორად რომ ვთქვათ, საკმაო შეუბრალებლობა უნდა გამოიჩინო სტუმრების მიმართ. რაღა თქმა უნდა ყველაზე კარგად მაშინ წერ, როცა შეყვარებული ხარ. თქვენც თუ არაფერი გექნებათ საწინააღმდეგო, ამ აზრს აღარ გავშლი.

— მწერლის მატერიალურ უზრუნველყოფაზე რა აზრისა ხართ? ამ ფაქტორს მწერლის შემოქმედებისათვის ზიანის მიყენება თუ შეუძლია?

— თუ ეგ უზრუნველყოფა ძალიან ადრე გაუვლეთ, და ამასთან, შენს საქმეზე ნაკლებ არც ცხოვრება გიყვარს, დიდი ნებისყოფა იქნება საჭირო, რომ ეფუნებას გაუძლო. ხოლო, როცა შემოქმედება შენს მთავარ მანკადა და უდიდეს სიამოვნებად იქცევა — სიკვდილის მეტი ვეღარაფერი მოგწყვეტს საქმეს.

— იქნებ გაიხსენოთ — როდის გადაწყვიტეთ, რომ მწერალი გამხდარიყავით?

— ვერ გავიხსენებ. მთელი ჩემი სიცოცხლე მაგაზე ვოცნებობდი.

— ფოლის იანგი წერს, თითქოს თქვენს მწერლობაზე დიდი გავლენა მოეხდინოს 1918 წელს მიღებულ ძმის ვრილობის ტრავმას. მახსოვს, მადრიდში თქვენ სასხვათაშორისოდ შენიშნეთ, იანგის ეს მოსაზრება არასერიოზულიაო, და იქვე დასძინეთ — მე მენდელის აზრს ვიზიარებ, რომ მხატვრისათვის აუცილებელი ყველა თვისება თანდაყოლილია და მერე არ შეეძინებაო.

— როგორც ჩანს, გონება მაშინ დაბინდული ჭქონია, მადრიდში. კიდე კარგი, რომ ეს შენიშვნები, — მისტერ იანგის წიგნისა და ლიტერატურულ მუშაობაზე ტრავმის გავლენების შესახებ, — სასხვათაშორისოდ გავაკეთე. ჩემი მაშინდელი უსასუხისმგებლო განცხადება აღმათ აიხსნება ორი კონტეტენთით და თავის ქალის ბზარით, რაც სწორედ იმ წელიწადს მომივიდა. ახლაც მაგონდება ჩემი სიტყვები, რომ შემოქმედებითი წარმოსახვა რამდენიმე თაობის მემკვიდრეობითი გამოცდილებით შეიძლება მოვიტანო. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს იყო ლაღი საუბარი, და ისიც კონტუნის შემდეგ, გასაკვირი აღარაფერი იქნება. სწორედ ასეთ ლაღ მუსაიფს თუ შეეფერება მსგავსი განცხადებანი. ასე რომ, ამ თემაზე დისკუსია მორიგ ბხსნელ ტრავმამდე გადადეთო. თქვენც თანახმა ხართ? მადლობელი ვარ, რომ ნათესავები მაინც არ მიხსენეთ, რომლებიც ისე რიხიანად ჩამოვთვალე მაშინ.

ყოველგვარ საუბარში ყველაზე საინტერესოა სიტყვის მოსინჯვა, მაგრამ რასაც იტყვი ყველაფერი კი არ უნდა ჩაიწერო, მით უმეტეს, როცა სასხვათაშორისოდ ამბობ რამეს. დაწერილს მერე ვეღარაფერს მოუხერხებ. რა იცი, იქნებ მხოლოდ იმიტომ იყო ნათქვამი, რომ თვითონვე დარწმუნებულიყავი — ნამდვილად გაგიკვა ეს თუ არა.

თქვენ ტრავმაზედაც მეკითხებოდით — ათასნაირად შეიძლება მოხდეს: მსუბუქი ჭრილობა — ძვალს თუ არაფერი მოსცელა — სათვალავში ჩასაგდებიც არ არის. ის კი არა და ზოგჯერ საკუთარი თავის რწმენასაც გიმტკიცებს ასეთი ჭრილობა. ხოლო როცა ძვლებიც დაგეწეწება, ნერვული სისტემაც მოგეშლება... ასეთი ჭრილობა მწერალს კარგს არაფერს მოუტანს; კაცმა რომ თქვას, ან კი ვის დააყრის ხელის?

— რა სულიერი წრთობა მიგაჩნიათ თქვენ მომავალი მწერლისათვის ყველაზე სასარგებლოდ?

— რაცა თვითონვე დარწმუნდება, რომ კარგად წერა ჯოჯოხეთურად ძნელია, ურიგო არ იქნებოდა, ეთქვათ, ამდგარიყო და თავი ბაწარში **გაეყო. მერე კი ხელადვე** უნდა მივარდნენ და უბოდიშოდ გამოაძროს მარყუჟიდან. ამის შემდეგ მთელი თავისი დღე და მოსწრება სულ იმის მეცდინეობაში იქნება, რაც შეიძლება კარგად წეროს. სხვას რომ თავი დაეანებოთ, დასაწერი მასალა მაინც გაუჩნდება — ჩამოხრჩობის ამბით დაიწყებს.

— რას იტყოდით: ბევრი მწერალი, ლიტერატურულ საქმიანობას ეპედაგოგიურ მოღვაწეობასაც რომ უთავსებს, ამით კომპრომისს ხომ არ აკეთებს?

— გააჩნია, რა კომპრომისს გულისხმობთ: ისეთ კომპრომისს, რასაც ქარაფშუტა ქალი იჩენს სინდისის მიმართ, თუ ისეთს, რასაც სახელმწიფო მოღვაწეობენ მიმართავენ ხოლმე? ანდა იქნება ისეთ რამეს გულისხმობთ, როცა ეთქვათ ბაყაღს ან თეძოს ზედმეტს შეპირდები, ოღონდ იქვე დასძენ — სამერმისოდო? თუკი წერაც შეუძლია კაცს და მასწავლებლობაც, ღმერთმა ხელი მოუმართოს — ერთიც აკეთოს და მეორეც. ბევრმა ნიჭიერმა მწერალმა საქმით დაგვიმტკიცა, რომ ეს შესაძლებელია. მე პირადად, ეიტყოს ვერ მოვახერხებ, და იმ მწერლებითა ვარ აღფრთოვანებული, ვინც ამას ახერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებს. ისე კი, ვაი თუ უნივერსიტეტის ატმოსფერომ სულ მოსწყვიტოს მწერალი გარე სამყაროს და ცხოვრების ჯეშმარიტი ცოდნა შეუზღუდოს!

თუ გინდა სრულფასოვანი რამე შექმნა, მთელი შენი ტრო ამხოლოდ ამ საქმეს უნდა შესწირო: იქნებ საწერ მაგიდასთან დღეში სულ რამდენიმე საათი იჯდე, მეტი არა, მაგრამ მაინც სულერთია. მწერალი ჭას შეიძლება შეეადაროთ. ჭები ხომ სულ სხვადასხვანირია, ასევე მწერლები. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ ჭაში მუდამ კარგი წყალი იდგეს, ამასთან სუფთა ზომიერად იღო წყალი, ერთბაშად არ ამოხაპნა და ისე არ დაიშრო, რომ მერე ლოდინი დაგჭირდეს, ხელახლა როდის გაივსებაო. ვატყობ, თქვენს კითხვას გადაეუხვიე, მაგრამ შეკითხვა არც ისე საინტერესო იყო.

— ვის დაასახელებდით თქვენს წინამორბედებად? უმთავრესად ვისგან სწავლობდით?

— მარკ ტვენი, ფლობერი, სტენდალი, ბახი, ტურგენევი, ტოლსტოი, დოსტოევსკი, ჩეხოვი, ენდრიუ მარველი, ჯონ დონი, მოპასანი, კიპლინგის სატკეთესო ნაწარმოებები, ტორო, მარიეტი, შექსპირი, ოფატრი, კეედი, დანტე, ვირგილიუსი, ტინტორეტო, იერონიმ ბოსხი, ბრეიგელი, პატინიე, გოია, ჯოტო, სეზანი, ვან-გოგი, გოგენი, სან ხუან დე ლა კრუსი, გონგორა... — ყველა რომ გვიფხანეო, მთელი დღე დამჭირდება. გარდა ამისა, იქნებ იფიქროთ, რომ მე იმ ხალხის გახსენებას ან კი ვცდილობ, ეისაც რაიმე გავლენა მოუხდენია ჩემს ცხოვრებაზე, არამედ — ჩემი ერუდიციის გამოჩენას, რაც ფაქტიურად არ გამაჩნია.

თქვენი შეკითხვა არც გაცვეთილია და არც მოსაწყენი. საინტერესო შეკითხვაა, მაგრამ ძალიან სერიოზულიც, და კეთილსინდისიერ პასუხს მოითხოვს. აქ მე რამდენიმე მხატვრიც ვახსენე, იმიტომ რომ მხატვრებისაგანაც ისევე ვსწავლობ წერას, როგორც მწერლებისგან. მაინც როგორო, შემეკითხებით. ეს რომ აგიხსნათ, მთელი დღე დამჭირდება. კომპოზიტორებს რაც შეეხება, ისევაც ცხადია, თუ როგორ გვასწავლიან ისინი ჰარმონიისა და კონტრაპუნქტს.

— თქვენ თვითონ თუ გისწავლიათ როდესმე მუსიკა?

— ოფესოლა ვიოლონჩელოზე ვუკრავდი. დედაჩემის დაკვინებით მთელი ერთი წელიწადი სკოლაში არ მიველია და მუსიკას ვსწავლობდი. დედას ეგონა ნიჭი მქონდა, მაგრამ სავსებით უნიჭო გამოვედეკი. კამერულ მუსიკას ვუკრავდით ხოლმე: ზოგჯერ ვინმე შემოვლიდა და ვიოლინოს მივაჩეჩნებდით, ჩემი და ვიოლზე უკრავდა, დედაჩემი — როიალზე, ვიოლონჩელს მე მივუჯდებოდი. ამაზე საშინელს ვერაფერს მოისმენდა კაცი. რაღა თქმა უნდა, სხვა რამესაც ვაკეთებდი იმ წელიწადს.

— ხელმეორედ თუ კითხულობთ ხოლმე იმ მწერლებს, ვინც აქ ჩამოთვალეთ? ტვენს, მაგალითად?

— ტვენს ორ-სამ წელიწადში ერთხელ თუ გადავიკითხავ, ადვილად გამახსოვრდება კაცს. შექსპირს კი ყოველწლიურად. ნორმა და უსათუოდ „მეფე ლირს“. ძალიან მაბნევენებს ხოლმე.

— ალბათ სისტემატიად კითხულობთ და დიდ სიამოვნებასაც განიცდით კითხვით?

— მუდამდღე ვკითხულობ, და ყველაფერს, რაც ხელში მომიხდება. ნორმა მაქვს განსაზღვრული. ამიტომ წიგნები გამოუელვალად მომეპება.

— სხვის ხელნაწერებს თუ კითხულობთ ზოგჯერ?

— ამით ბიზიათში იგდებ კაცი თავს, თუ პირადად არ იცნობ ავტორს. ამ რამდენიმე წლის წინათ პლეგიატობა დამწამეს და სამართალში მიმიყვანეს. **მომჩივანი ამტკიცებდა, თითქოს „ვის უფლითს ზარი“** მისი გადოუქვეყნებელი კინოსცენარის მიხედვით მქონდეს დაწერილი. ეს სცენარი მან წაიკითხა ერთ წვეულებაზე, ეიღაც ჰოლივუდელთან. ჩემზე ამბობდა, ეგეც იქ იყოო, ყოველ შემთხვევაში, ეიღაც ერნი ნამდვილად იყო იმ წვეულებაზე და ისმენდაო. ეს უკვე საკმარისი გახდა, რომ ერთი მილიონი დოლარის სარჩელი წამოიყენებინა ჩემთვის. ჩემთან ერთად უჩიენა ოგრეთვე კინო-ფილმების — „ჩრდილოდასავლეთის ცხენოსანი პოლიციისა“ და „პატარა ჩისკიოს“ რეჟისორებსაც. ეს ფილმებიც იმავე სცენარის მიხედვით არის გაკეთებული. წარდექით სასამართლოში და, რა თქმა უნდა, მოგიგეთ საქმე. გადახდის უუნარო გამოდგა ის სცენარისტი.

— ისევ თქვენს მასწავლებლებს მინდა დავუბრუნდე და უფრო დაწერილებით გკითხთ რომელიმე მათგანზე, ვთქვათ ბოსხზე. მისი ტილოებისთვის ხომ კოშმარების სიმბოლეკაა დამახასიათებელი, და ეს თითქოს ძალიან შორს დგას იმისგან, რასაც თქვენ წერთ!

— კოშმარები ზოგჯერ მეცა მაქვს, და ისიც ეიცი სხვებს რა კოშმარები აწუხებთ. მაგრამ სავალდებულო როდია ამის ქაღალდზე გადატანა. რაც იცი, იმას თუ გამოტოვებ, სულერთია ეს გამოტოვებული მაინც იგრძნობა შენს ნაწარმოებში. ხოლო, როცა ისეთ რამეს გამოტოვებს მწერალი, რაც მან არ იცის, ეს სიცარიელე მუდამ ჩანს ხოლმე.

— თქვენ ზემოთ ჭა ახსენეთ — ფუყოუს თუ არა ხელ ჭის გავლებას თქვენს მიერეე ჩამოთვლილი ოსტატების შემოქმედების ახლო გაცნობა? თუ მათგან თქვენ ტექნიკის სრულყოფას სწავლობდით, საგანგებოდ?

— ისინი ვეერდნი მედგნენ ხოლმე, როცა მე ვსწავლობდი: როგორ უნდა დამენახა და მომეს-**მინა, როგორ მეგრძნო ან არ მეგრძნო, როგორ** უნდა მეწერა... ჭა კი ისეთი რამეა, საიდანაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საწვავს“ ღებულობ: კაცმა არ იცის იმ „საწვავის“ შემადგენლობა, ყველაზე ნაკლებ კი შენ იცი. შენ მარტო იმას გრძნობ — გაქეს თუ არა აშკამად ეს „საწვავი“, თუ დაცდა საპირო, მანამ მიიღებდე.

— ზოგიერთები თქვენს რომანებში სიმბოლიკას ნახულობენ — თქვენ თვითონ თუ ეთანხმებით ამ მოსაზრებას!

— რაკი კრიტიკოსები ასე თავგამოდებით ეძებენ და ნახულობენ, ალბათ მართლაც არის. ნუ მიწყენთ, მაგრამ ამაზე ლაპარაკს ვერ ვიტან და არც მიყვარს, როცა მეკითხებიან. წიგნებისა და მოთხრობების წერაც საკმაოდ ძნელი საქმეა, ახლა ახსნა-განმარტებებს რომ არ მოვყევით. ეგეც არ იყოს, რატომ უნდა წავართვა ლუკმა-პური სპეციალისტებს?! თუ მეტი არა, ხუთი-ექვსი კაცი ხომ მაინც ამისთანა მოსაზრებების ჩამოყალიბებით ირჩენს თავს, და ხელი რად უნდა შეკვეშალო. იკითხეო, რასაც მე ვწერ და პირადი სიამოვნების მეტს შიგ სხვას ნურაფერს ეძებთ. ხოლო თუ მაინც აღმოაჩენთ რაშეს, ეს უკვე თქვენი შენაძახი იქნება წაკითხულისათვის.

— მესმის, რომ ისეთი შეკითხვები წერის „საიდუმლოებების“ შესახებ მართლაც არასასიამოვნოა.

— გონიერული შეკითხვები სასიამოვნოც არის და არც არის სასიამოვნო, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ მწერალს ძალიან ვნებს იმაზე ლაპარაკი, თუ როგორა წერს. წერს იმიტომ, რომ წაიკითხო, და არავითარი ახსნა და განმარტება საჭირო არ არის. დამეწერმენეთ, რომ მწერალს გაცილებით იმაზე მეტი აქვს ნათქვამი, ვიდრე პირველი წაკითხვით ამოიკითხავ, მაგრამ რა მისი საქმეა, მოდგეს და ახსნა-განმარტება აძლიოს მკითხველს, ან თავისი წიგნის ძნელი ადგილები განემარტოს.

— ამასთან დაკავშირებით თქვენნ ნათქვამი მომაგონდა, რომ წიგნის წერის პროცესში მისი ჩანაფიქრის მოყოლა საშიშია მწერლისთვის — ეგი თუ ამით წინასწარვე გამოთქვას ყველაფერი და ამოწუროს. მაინც რატომ? მე ამას ინტომ გეკითხები, რომ ბევრი მწერალი — მაგალითად, ტვენი, უაილი, ტერბერი, სტეფენსი — წინასწარვე ცდიდნენ ხოლმე მსმენელზე ტვესტს და ამით ხვეწდნენ ნაწარმოებს.

— არა მგონია, რომ ტვენს „ჰეკლბერი ფინი“ მსმენელებზე „გამოეცადოს“. თუ მართლა შვრებოდა ამას, ალბათ ბევრი კარგი ადგილი ამოიღებინეს და ცუდი შეატანეს.

ვინც პირადად იცნობდა უაილს, ერთხმად ამბობდნენ — ისე კარგად ვერ წერდა, როგორც ყველგოდაო. სტეფენსიც — როგორც მთხრობელი უფრო კარგი იყო, წერით უფრო ცუდად წერდა. მისი დაწერილიცა და მონაყოლიც ზოგჯერ ძნელი დასაჯერებელი იყო, და ბევრი მისი მოთხრობა წლიდან წლამდე იცვლებოდა ხოლმე. ტერბერი თუ ისე კარგად ყვება, როგორც წერს, ეს შინ დიდებული და ყველაზე ნაკლებ მოსაწყენი მთხრობელი ყოფილა. ვისაც კი დღემდე შევხვედრივარ, ყველაზე უფრო ცოცხალი და გესლიანი ლაპარაკი ხუან ბელმონტეგმ იცის, მატადორმა, — და ყველაზე კარგად თვითონვე ყვება თავის საქმიანობის ამბავს.

— იქნება გვითხრათ — საკუთარი სტილის გამომუშავებაზე ბევრი იწვალეთ?

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემას დიდი დროც უნდა და დამქანცველიც იქნება. ერთი და ორი დღეც კი არ ეყოფა, ხოლო ბოლოს ისეთ არეულ ბუნებაზე დადგება, რომ წერასაც ვეღარ მოახერხებ. მე ასე ვიტყოდი — დოლეტანტები რომ სტილს ეძახიან, ის ბოლოს და ბოლოს ჩონკლია. ამ ხორკლს მწერალი ვერასდროდან ვერ აცდება, და იმის შედეგია, რომ კაცი ცდილობს ისეთი რამე შექმნა, რაც დღემდე არ შექმნილა. არცერთი ახალი კლასიკოსი წინანდელ კლასიკოს არა ჰგავს. თავდაპირველად მხოლოდ ეს ხორკლი მოგხვდება თვალში. მერე და მერე სულ უფრო და უფრო შეუმჩნეველი ხდება. მაგრამ სწორედ დასაწყისში, როცა უფრო თვალშისაცემია ეს ხორკლი, ადგებინან და სტილად მოგინათლავენ, და წამბაძველებიც ხელად გამოგიჩნდებინან... ძალიან სამწუხაროა.

— თქვენ ერთხელ მწერდით, რომ თვით ის პირობები, რომელშაც ამა თუ იმ ნაწარმოების წერა გიხდება, შესაძლებელია ჯეუფსსაწყველებელი გახდეს. „მკვლელებზე“ ხომ არ იტყოდით ამას? თქვენივე სიტყვებით, ეს მთხრობა, „ათი ინდიელი“ და „დღეს პარასკევია“ ერთ დღეში დაგიწერიათ, თანაც თქვენნ პირველი რომანის — „ალმოხდების მზისათვის“.

— აბა გავიხსენნ. „ალმოხდების მზე“ ვალენსიაში დავიწყე, ჩემი დაბადების დღეს, 21 ივლისს. ჩემი ცოლი ჰიდლი და მე დღესასწაულებამდე ცოტა ხნით ადრე ჩავედით ვალენსიაში, რათა ხეირიანი ადგილები გვეშოვა. დღესასწაული 24 ივლისს იწყებოდა. იმდროისათვის ჩემს ტოლებს უკვე თითო რომანი ჰქონდათ დაწერილი, მე კი — ერთი აბზაციც არა. ერთი სიტყვაც, ეს წიგნი ჩემი დაბადების დღეს დავიწყე, დღესასწაულების წინ. ვმუშაობდი დილაობით, ლოგინში. მერე მადრიდში გადავინაცვლე და იქ განვაგრძე წერა. მადრიდში დღესასწაულები ალარ ყოფილა, და უფრო ადვილად ვიშოვეთ მაგიდიანი ოთახი. ასე რომ მთელი კომფორტი მქონდა — ხან ჩემივე ოთახში მივუჯდებოდი მაგიდას, ხან ლუდხანაში გავიდოდი, მეზობლად. გრილოდა ხოლმე იქა. მერე ისეთი სიცხეები დაიჭირა, რომ წერა ალარ შეიძლებოდა, და ჩვენც ანდეისაკენ გავწიეთ. ვცხოვრობდით ერთ იაფფასიან სასტუმროში, რომელიც ფართო და გრძელად გადაჭიმულ პლიაჟზე იდგა. მაგრადაც ვიმეშავე. მერე პარიზში ჩავედი და იქ დავამთავრე რომანი,

Notre Dame des Champs-ის ქუჩაზე, 113 ნომერში. ოთახი ზედ სახერხი ქარხნის თავზე მქონდა დაქირავი. სულ ექვსი კვირა მოვუნდი ამ რომანს.

მერე ავდექი და ხელნაწერი წავიკითხე მწერალ ნაათ აშს, *რომელიც მაშინ მაგარი აქცენტით* ლაპარაკობდა: „ჰეი, სათთან მოიქნე, რომანი დავსერეო? სადაური რომანია! ეს ქომ მგსავრის შანსაერებია!“ გული მაინც არ გამტეხია: ავდექი და გადავწერე მთელი წიგნი, სამგზავრო ჩანაწერებიც დავტოვე (პამპლონის ამბები, სთივენაოდ წასულა...)

ის მოთხრობები კი, თქვენ რომ ამბობთ, მადრიდში დავწერე, 16 მაისს, ისიდორობა ღღეს. უცებ მაგარი თოვლი მოვიდა და ხარების ბრძოლა გადასდეს. ჯერ „მკვლელები“ დავწერე. ადრეც ვცადე ამ მოთხრობის დაწერა, მაგრამ არ გამომივიდა. ნასადილევს ლოგიწში მოვეწყე, არ გავიიანო-მეთქი, და „ღღეს პარასკევია“ დავწერე. იმღენი „საწვავი“ დამეროვებოდა, რომ შემეშინდა, ხომ არ ვგიჟდები-მეთქი. არა და, ბარე ექვსი მოთხრობა მქონდა მოფიქრებული. მერე ავდექი, ჩავიცვი და, „ფორნოსისაკენ“ გავწიე. ეს იყო ძველებური კაფე, სადაც ტორეროები იკრიბებოდნენ ხოლმე. დავლიე ყავა, შინ მივბრუნდი და „ათი ინდიელი“ დავწერე. ამ მოთხრობამ ნაღვლიან გუნებაზე დამაყენა. კონიაკი გადავეკარი და ლოგინში ჩავწექი დასაძინებლად. ჭამა დამავიწყდა, მაგრამ ოფიციანტმა ცოტაოდენი ვირთეკვნა, ერთი მოციცქნილი ბიფშტექსი, შემწყალი კარტოფელი და ერთი ბოთლი ვალდეპენიასი მომიტანა.

პანსიონის დიასახლისი სულ იმას წუწუნებდა, ცოტას ჭამო, და ოფიციანტიც სწორედ მას გამოეგზავნა. ახლაც მახსოვს, როგორ წამოვჯექი ლოგინში და როგორ შეეფიქეი ბიფშტექსს ჭამას და ვალდეპენიასის სმას. ერთ ბოთლს კიდევ მოგიტანო, ოფიციანტმა მითხრა. მერე შემოვიდა და მკითხა, ქალბატონმა დამპალია გავიგო — ამაღამ გათენებამდე თუ აპირე წერასო. არა-მეთქი, მე ვუთხარი, ცოტა უნდა დავისვენო-მეთქი. ბარემ ერთი მოთხრობაც დაგეწერაო. დღეში თითო მოთხრობის მეტი არ შეიძლებაო-მეთქი. სისულელეა, შენ ექვს მოთხრობასაც კარგად მოერევიო! ხვალ ვსინჯავ-მეთქი. ახლავე სინჯეო; როგორ გგონია, დედაბერმა ვახშამი რისთვის გამოგიგზავნაო.

დავიღალე-მეთქი, მე ვუთხარი. სისულელეა, (წარამარა ამ სიტყვას ისმრდა ხოლმე) სამი მოციცქნილი მოთხრობის დაწერა როგორ დაგღლიდაო. აბა ერთი მაინც მითარგმნეო!

ნუ ჩამაცივდი-მეთქი, მე ვუთხარი, თუ კი ალარ მომეშვები, როგორ უნდა დავწერო-მეთქი!

ერთი სიტყვით, ვიჯექი ლოგინში, ვალდეპენიასს ვსვამდი და ვფიქრობდი: შენც რომ დიდებული მწერალი ყოფილხარ — მხოლოდ პირველი მოთხრობა გამოგიგია ისეთი, როგორც ჩაფიქრებული ხარ?

— რა სისრულით მოიფიქრებთ ხოლმე მომავალ მოთხრობას? იცვლება თუ არა წერის დროს წინასწარ ჩაფიქრებული თემა, სიუჟეტი, სახეები?

— ხან წინასწარვე იცი, როგორი მოთხრობა გამოვა, ხან კი თანდათანობით ყალიბდება, წერის დროს, და წარმოდგენაც კი არა გაქვს, ბოლოსდაბოლოს რა უნდა გამოვიდეს. მოქმედების განვითარებასთან ერთად ყველფერი იცვლება. ეს ქმნის მოძრაობას, მოძრაობა კი, თავის მხრივ მოთხრობასა ქმნის. ზოგჯერ ისე დუნეა ხოლმე მოძრაობა, თითქოს სულაც არ ყოფილიყოს. მაგრამ, სინამდვილეში, არ იქნება, რომ არ იყოს.

— რომანის წერის დროსაც ასე ხდება, თუ წინასწარ შეიმუშავებთ მთელი რომანის გეგმას — თავიდან ბოლომდე — და მერე ამ გეგმას მიპყვებით?

— „ვის უსმობს ზარი“ თავსატეხ ამოცანად გამიხდა, და მუდამდე მის გადაწყვეტას ვუნდებოდი ხოლმე. საერთო მონახაზზით ვიცოდი, რა უნდა მომხდარიყო. მაგრამ ყველფერი, რაც რომაზში ხდება, ყოველდღიურად არის მოფიქრებული, წერის დროს, თანდათანობით.

— „აფრიკის მწვანე კენდები“, „ქონა და არ ქონა“, „ზღინარის გაღმა ხეების ჩრდილში“, თავიდან მოთხრობებად ხომ არ გკონიათ მოფიქრებული? და თუ ასეა, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ორივე ანარი — რომანი და მოთხრობა — ძალიან ახლოს დგას ერთმანეთთან, და მწერალს ადვილად შეუძლია ისე გადავიდეს ერთიდან მეორეზე, რომ თემისადმი თავისი შიდგომა ძირფესვიანად არ შესცვალოს?

— არა. ეს ასე არ არის. ჯერ ერთი, „აფრიკის მწვანე კენდები“ სულაც არ არის რომანი — მე მინდოდა აბსოლუტური სისწორით ამეწერა და ჩამომეთვალა ყველა ის ამბავი, რაც ერთი თვის განმავლობაში შემეხდა, და მერე მენახა: ბუნების სურათებისა და მოვლენების ასეთი ზუსტი აღწერა მეტოქეობის თუ გაუწევდა შემოქმედებით ფანტაზიის. ამ წიგნის შემდეგ მე ორი მოთხრობა დავწერე: „კილიმანჯაროს თოვლიანი მთა“ და „ფრენსის მაკომბერის ხანმოკლე ბედნიერება“. ორივე მოთხრობა დაწერილია იმ ცოფნისა და გამოცდილების მიხედვით, რაც იმ გრძელი ნადირობის დროს მივიღე, რისი ერთი თვის აღწერაც მთელის სიზუსტით ვცადე „აფრიკის მწვანე კენდებში“. რაც შეეხება რომანებს „ქონა და არ ქონასა“ და „ზღინარის გაღმა ხეების ჩრდილში“ — ესენი თავიდან მოთხრობებად დავიწყე.

— სხვა მწერლებს თუ ადარებთ ხოლმე თქვენს თავს, გუნებაში?

— არასოდეს. ადრე ვცდილობდი, ზოგიერთი გარდაცვლილ მწერალზე უკეთ მეწერა. მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეკ დიდი ხანია, იმასღა ვცდილობ, რაც შეიძლება კარგად ვწერო. ზოგჯერ ბედი გამიღიმებს ხოლმე, და ვიღრე შემიძლია, იმაზე უფრო კარგადაც ვწერ.

— თქვენივე წიგნების გადაკითხვა თუ განიცებთ სიამოვნებას — იმისდა მიუხედავად, გასწორება გინდათ რამესი თუ არა?

— ზოგჯერ ჩემს წიგნებსაც ვკითხულობ ხოლმე, თავის გასამხნევებლად, როცა წერა მიძნელდება: მაშინ ვიხსენებ, რომ წერა არასოდეს არ ყოფილა ადვილი, ხოლო ზოგჯერ შეუძლებელიც კი იყო.

— სათაურს როდის შეარჩევთ ხოლმე — წერის დროს?

— არა. რომანს ან მოთხრობას რომ მოვრჩები, საკარაუდო სათაურების სიას შევადგენ. ზოგჯერ ასამდეც გამომდის. მერე კი თითო-თითოდ ვშლი. ზოგჯერ მთელ სიას წაშლი.

— მაშინაც, როცა სათაური ტექსტიდან არის ამოღებული? როგორც, მაგალითად, „თეთრი სპილოები"?

— მაშინაც. სათაური ბოლოს მოდის. პრიფუნი ხამაწყვანის საშენად შევედი, სადილობამდე, და იქ ერთ ქალიშვილს შევხვდი. ვიცოდი, რომ ამორტი ჰქონდა გაკეთებული. დავსხედით და სუფ სხვა რამეზე გავაბით საუბარი. მაგრამ შინისკენ რომ წავედი, გზაში მოთხრობა შევთხზი. იმ დღეს ალარ მისადილია, საღამოს კი დავწერე ეს მოთხრობა.

— ეტყობა, როცა არ წერთ, მაშინაც აკეირდებით ყველაფერს; ეძებთ, რისი გამოყენება შეიძლება...

— რა თქმა უნდა. დაკვირვებას რომ შესწავლეს მწერალი, მისი საქმე წასულია. მაგრამ საგანგებოდ კი არ ემზადება დაკვირვების მოსახდენად, არც იმას ფიქრობს — ესა თუ ის ფაქტი როგორ გამოვიყენოთო. ახალგაზრდობაში იქნებ ასეც იყოს. მაგრამ მერე და მერე, ყველაფერი, რასაც ის ხედავს, თანდათანობით ავსებს მისი ცოდნისა და დაკვირვების უდიდეს მარაგს. იქნებ რამე მნიშვნელობა იმასაც ჰქონდეს, რასაც ახლა გეტყვით: მე მუდამ ისიზრგისნარიად ვცდილობ წერას. ისიზრგის შეიდი მერვედი წყალშია ჩაძალული და ამის ოთხი მერვედი ნაწილი ჩანს. რაც იცი, ისის გამოტოვება შეგიძლია— ამით არაფერი შენს ისიზრგს არ დაკლდება, პირიქით, უფრო გამაგრდება. სულერთია, ამ ნაწილს მაინც წყალი ფარავს. მაგრამ არცოდნის გამო თუ გამოტოვებს მწერალი რამეს, მოთხრობა უსათუოდ ჩაუფლავდება.

„ბერიკაცსა და ზღვაში" ათასი გვერდიც არ გეყოფა, რომ მოსდგეს და მეთევზეთა პატარა დაბის მცხოვრებნი აღწერო: თავს როგორ ირჩენენ, როგორ იბადებიან, როგორ იზრდებიან და რა ვიცი... ეს სხვა მწერლებს აქვთ დაწერილი და ჩინებულადაც. ყველაფერი კარგი, რაც აკამდე დაწერილი, ერთგვარად ზღუდავს მწერალს. ამიტომ მე ვცადე, უფრო სხვანაირად გამეკეთებინა. უპირველეს ყოვლისა — გვერდი ამეკლო ყველაფერი ინსოთვის, რისი გამოტოვებაც შეიძლებოდა, და ბოლოდან ის დამეტოვებინა, რაც განცდილის მკითხველთან მიტანაში დამეხმარებოდა, რათა მკითხველს ეგრძნო, რომ ეს ყველაფერი სინამდვილეში მოხდა, და თვითონ მას გადახდა თავს. ეს ძალიან ძნელი საქმეა, და დიდი მუშაობაც დამეჯიდა.

ეს როგორ ხდება, ამას ალარ მოვყვები. იმასღა ვიტყვი, რომ „ბერიკაცმა და ზღვამ" უჩვეულოდ გამიმართა — მე მოვახერხე მკითხველამდე მიმეტანა მთელი ჩემი ცხოვრებისეული გამოცდილება, და თანაც ისეთი გამოცდილება, რაც ჯერ არავის დაეწერა. გამარჯვება იმან მომიტანა, რომ მე შევიცანი კარგი ბერიკაცი და კარგი ბიჭი. მწერლებმა ამ ბოლო დროს დაიიწყეს, რომ ქვეყნად კიდევ არსებობს კარგი ხალხი. გარდა ამისა, ოკეანეც ისეთივე ღირსია აღწერისა, როგორც ადამიანი. და გამიმართა კიდეც იმ მხარეში წასვლამ. მე ვნახე მარლინების ჭორწილი, და ვიცი, ეს როგორ ხდება. ამიტომაც, ავდექი და გამოტოვეე. იქვე ვნახე ხუთასზე მეტი კამალოტის ქარავანი, ერთხელ დავიჭირე კიდეც სამოცამდე ფუტის სიგრძე კამალოტი და მერე გავუშვი. ამიტომ არც ეგ ამიწერია. არც ის ამბები დამიწერია, რაც მეთევზეთა დაბაში ვნახე. მგრამ ამეკეთა ცოდნა, ისიზრგის წყლით დფარული ნაწილისა ქმნის.

— არჩიბალდ მაკლიში რაღაც განსაკუთრებულ მწერლურ ხერხს ახსენებს, რომელიც თქვენ აღმოგიჩენიათ და რომელიც თითქოს საკუთარი გამოცდილების მკითხველამდე მიტანაში ეხმარება მწერალს. მაკლიშს თუ ეკრწმუნეთ, ეს ხერხ, თქვენ დიდი ხნის წინათ აღმოგიჩენიათ, როცა „კანზას-სიტი-სტარში" ბეისბოლის მატჩებს, ანგარიშებსა წერდით. ეს ხერხი იმაში მდგომარეობს, რომ მოჩვენებითი უმოქმედების დროს მწერალმა მთელი გულისყური უნდა დაძაბოს, და მერე ასეთი წუთების აღწერა მთავარდოვლად იმოქმედეს მკითხველზე, აიძულებს მკაფიოდ შეიცნოს ის, რაც მანამდე ქვეცნობიერად იცოდა.

— აქ რაღაც გაუგებრობაა. ჩემს დღეში არ დამიბეჭდავს ბეისბოლის ანგარიშები „სტარში", არჩიბ, ეტყობა 1920 წელი გიახლია, როცა მე ჩიკაგოში წერას ვსწავლობდი და ისეთ შეუმჩნეველ წერილმანებს ვეძებდი, რაც სინამდვილეში მოხვედრილებს ახდენს; მაგალითად, ერთგვარი მოძრაობა, როდესაც ერთ-ერთი მოთამაშე, წინ არც კი იყურება ისე, ხელთათბანს მხრებზე გადმოიგდებს; მოკიბიერ ჩექმების ლანჩაზე ამოკრული ბრეზენტის წრიპინი, ფეხზე ახლადშამოდგარი ჯვე ბლეკორნის ნაცრისფერი კანი, და ათასი ამისთანა წვრილმანი, რაც მხატვრის ჩანახატების მსგავსად დამამახსოვრდა. ბლეკორნის

კანის უცნაური ფერი, სამართებლით დასერილი პირისახე, დარტყმა, რითაც იგი მოწონაღმდეგს იგერიებს... ამას ყველაფერს შენიშნავ, მაგრამ მისი ცხოვრება ჯერ კიდევ უცნობია. გაგიტაცებს ხოლმე ასეთი წვრილმანი რაღაცეები, ოღონდ მოთხრობა როგორი გამოგიგია, ეს ჯერ არ იცი.

— აგიწერიათ თუნდაც ერთხელ ისეთი სიტუაცია, რასაც პირადად არ იცნობთ?

— უცნაური შეკითხვაა. პირდაპირი მნიშვნელობით თუ გულისხმობთ ნაცნობობას, კი-მეთქი, გიპასუხებთ. მწერალი თუ რადმე ღირს, სულაც არ აღწერს. ის იგონებს ან ამაღლებს, იმის მიხედვით, რაც მან იცის — სულერთია, უწმაზლო დაკვირვებებით არის ეს ცოდნა მიღებული თუ არაუშუალო დაკვირვებით, ხოლო ზოგჯერ იქნებ სულაც ინტუიტიური იყოს: ხომ შეიძლება დავიწყებული გამოცდილება იყოს, წინაპართაგან მემკვიდრეობით გადმოცემული. აბა, ვინ აწყვლის ფრენას სიფოტო მტრედს? ხარი რომ უშიშრად გამოდის სპარძალო მოედანზე, საიდან აქეს ეს უშიშრობა? ან მონადირე ძაღლს ვინ მისცა გამახვილებული ყნოსვა? აჰა, გიგრცობილი, თუ, პირიქით, შეკუმშული არსი იმ საუბრისა, რაც მე მადრიდში მქონდა, როცა ჩემი თავი ცუდად მუშობდა.

— რამდენად უნდა დაშორდეთ საკუთარ განცდას, რომ მერე მისი მხატვრულად ხორცშესხმა შესძლოთ? მხედველობაში მაქვს, მაგალითად, საპაერო კატასტროფა, რაც თქვენ აფრიკაში შეგემოხვეთ?

— განცდილსაც გააჩნია. რაღაც ნაწილი შენი საკუთარი „მე“-სი თავიდანვე შორიდან უყურებს თავსგადახდილ ამბავს, სხვა ნაწილი კი მთლიანად ამით არის მოცული. ჩემი აზრით, საერთო კანონი — თუ როდის შეიძლება განცდილი ამბის აღწერა, არ არსებობს. ადამიანის ხასიათზეა ყველაფერი დამოკიდებული, და იმაზეც თუ რამდენნაწილი შეუძლია მას ძალების აღდგენა. ცოტად თუ ბევრად გაწყაფული მწერლისათვის, რაღა თქმა უნდა, კარგი ჭკუისსასწავლებელია ცეცხლმოდებული თვითმფრინავით მიწაზე დახეთქება. იგი თვალისდახამხამებაში შეიცნობს რამდენიმე მნიშვნელოვან ჭეშმარიტებას. მერე რამდენად გამოადგება ეს ჭეშმარიტებანი, იმაზეა დამოკიდებული, გადარჩება თუ არა თვითონ ეს კაცი. ხოლო გადარჩენა და განსაცდელიდან პატიოსნად გამოსვლა (თუმცა ეს მრავლისმომქმელი გამოთქმა უკვე აღარ იხმარება) ახლაც ისევე ძნელია, როგორც ყოველთვის, და მწერლისთვის ახლაც ძველებურადვე ბევრს რასმე ნიშნავს.

ვინც დარჩება ლიტერატურაში, ის ყოველთვის უფრო მეტად უყვართ, რადგან მერე ალარავინ ხედავს ის გრძელს, უსიცარიელო და ულმობელ ჭიდილს, რომლის დროსაც შებრალებას არც თხოულობენ და არც იძლევიან, და რომელიც მათ განეწყვეტლივ უნდა აწარმოონ, თუკი უნდათ სიკვდილამდე მოასწრონ იმის გაკეთება, რაც საჭიროდ მიუჩნევიათ. ხოლო ვინც ადრე კვდება, ან უბრძოლველად, კეთილგონივრულად და დროულად თმობს ბრძოლის ველს, მას უპირატესობას ანიჭებენ, რადგან უფრო ადამიანური და გასაგები არიან. უმჯობესია და მარჯვენა შენიღბული ლაჩრობა უფრო ადამიანური და ამდენად უფრო საყვარელიც.

— ჭკუისსწავლების მიზნით თუ გიწერიათ როდესმე?

— ამ სიტყვას ახლა ისე ზნიარად ხმარობენ, რომ მისი აზრი სავსებით შერყვეს. ჭკუისსასწავლებელი წიგნია მაგალითად „სიკვდილი ნაუადღევს“.

— ამბობენ, მწერალი მთელ თავის შემოქმედებას ერთ თუ ორ იდეას მიუძღვნისო. თქვენ რას იტყოდით, თქვენს შემოქმედებაშიაც ერთიორი იდეაა?

— ვინა თქვა ეს? ძალიან უბრალოდ წარმოუდგენია საქმე! იქნებ მაგის მოქმედს ერთი-ორი იდეის მეტი მართლაც არაფერი გააჩნდეს!

— მაშ შეკაბარნოთ კითხვა. გრეგ გრინმა ინტერვიუს დროს განაცხადა: ერთი რომელიმე განცდა მთელი თავრო წიგნების ერთიან სისტემას შექმნისო. მგონი, თქვენც უნდა გქონდეთ ნათქვამი, რომ დიდი ლიტერატურა უსამართლობის შეცნობით იბადება. რას იტყვით, მწერლისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს რისიმე დაუძლეულობის გრძნობას?

— მისტერ გრინს აზრების ასე ლამაზად გამოკვეთა უყვარს, მე არა მაქვს ამის უნარი. ძალიან შემწევს წიგნების თაროსა თუ ცხრატყავებისა და ბატების ვუნდზე ასეთი განზოგადება მოვახდინო. მაგრამ მაინც ვეცდები, რომ ერთი განზოგადება ჩამოვაყალიბო: სამართლიანობის გრძნობამოკლებულ მწერალს ურჩევნია რომანების წერას თავი ანებოს და ვუნდერკინდების სკოლაში ყოველწლიურ კურნალს ურედაქტოროს.

— ახლა უკანასკნელი და მთავარი შეკითხვა; თქვენ, როგორც მწერალი რაში ხედავთ თქვენი შემოქმედების დანიშნულებას? თვით ფაქტს რითი სჯობს ამ ფაქტის გამოსახვა?

— რა რის აქ გაუგებარი? იმისგან, რაც ნამდვილად მოხდა, რაც სინამდვილეში არსებობს, რაც იცი ან რაც არ შეიძლება იცოდე... ყველა ამისგან, შენივე ფანტაზიით, ქმნი არა რაიმე გამოსახულებას, არამედ რაღაც ახალს, ყოველგვარ არსებულზე უფრო ჭეშმარიტს, და მას სიცოცხლეს ანიჭებ. თუ კარგად გაართვი საქმეს თავი, უკვდავებაც ხელთა გაქვს. ეი რისთვის წერ! სხვა მიზეზი მე არ ვიცი. თუმცა იქნებ სხვა მიზეზიც იყოს, რაც არავინაც არ იცის.

მიხეილ ჯავახიშვილი

დამახინჯებული ქართულის ნიმუშები

ძველი ამბავია: ენა ურყევი რამ არ არის, ყოველ ცოცხალ ერის პოლიტიკურ-სოციალურ წყობილების შეცვლასთან ერთად იცვლება მეტყველებაც, — ენის ლექსიკაც, სტილიც და ზოგი სიტყვის სემანტიკაც. ყოველად უდავოა, რომ სხვადასხვანაირად ლაპარაკობენ პრიმიტიული, ფეოდალური, ბურჟუაზიული და სოციალისტური ეპოქები. ისიც უდავოა, რომ ერები ენის მხრივაც უდიდეს გავლენას ახდენენ ერთმანეთზე — ნაშეტან კი ჩვენს დროში, რადიოს და გაძლიერებულ მიმოსვლის ეპოქაში. ეს გავლენა იმდენად უფრო ძლიერია, რამდენადაც ერთი ერი სჭარობს მეორეს პოლიტიკურად და კულტურულად ამა თუ იმ ფორმით. ამ შემთხვევაში ძლიერი ორგანიზმი განზრახ ან უნებურად სცვლის სუსტის მეტყველებას — მის ფორმებს, ლექსიკას, სინტაქსისს, ენის ბუნებას და ზოგჯერ იმდენად გარდაჰქმნის ხოლმე მას, რომ მისი ცნობა ენადმეტყველის გარდა ადარავის არ შეუძლიან. დღეკანდელი ალიარული ენა ნაზავია სპირიულის, ფრანგულის, ოსმალურის, ლათინურის და ებრაულ ენების. პოლონელმა ებრაელმა დომხალივით მოზარშეს პოლონური, ებრაული, გერმანული და რუსული. ამგვარ ენაზე ვერავითარ აზროვნებას, ვერავითარ კულტურას ვერ შეჰქმნიან. მეტყველება მეკდარია და ერიც (როგორც კულტურული კატეგორია) ადარ არსებობს. „რა ენა წაზდეს, ერიც დაეკის“ და „რა ერი წაზდეს, ენაც დაეკვნა“.

ენისა და ერის განვითარებას მრავალი საფეხური აქვს. ზოგი ენა უკვე დადუღებულია, ზოგი კი ფეხის ადგომას მზოლოდ დღეს იწყებს. ქართულმა ენამ დიდი ხანია დაასრულა დუღილის უმთავრესი პროცესი. დღეკანდელ ქართველს კარგად ესმის V საუკუნის ქართული (იაკობ ხუცესი), გერმანელი კი საშუალო საუკუნეობის გერმანულს. ისე სწავლობს, როგორც უცხო ენას. ჩვენ 15 საუკუნის მანძილზე თითქმის უცვლელი შეგვრჩა გრამატიკული ფორმები, სინტაქსი და ლექსიკაც, ე. ი. ენის ბუნება და მისი სასიცოცხლო ფესვებიც. საუკუნოებით ისხდნენ ჩვენში არაბები, სპარსელები, ბერძნები, მონგოლები და ოსმალები, მაგრამ მათი გავლენა არც იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ ჩვენი ენის ბუნება დაემახინჯებინოთ. მათ რამდენიმე ასეული სიტყვა დაგვიტოვეს და წავიდნენ. ჩვენ ამ სიტყვების ერთი ნაწილი უკანვე გავატანეთ მათ, მეორე ნაწილი კი გადავხარშეთ, გამოვიყენეთ და მას ამეთ სხვეთისგან კიდევ რამდენიმე ათასი სიტყვა ვისესხეთ. ასევე იქცევა ყოველი ერიც: ის სესხულობს, ხარშავს, მორფოლოგიურად აზავებს და ვითარდება.

მაგრამ სამე მარტო სიტყვები არ არის. ენის განვითარებაში სიტყვას უმნიშვნელო ალაგი ეკუთვნის. რუსულ ლექსიკონში 150000 უცხო სიტყვა ურევია, მაგრამ ამის გამო რუსულ ენას ვერავინ ვერ უსაყვედურებს უცხოობას ან სიღატაკეს. სამე ენის ბუნებაა, სინტაქსია და ის კანონები, რომელსაც ენის სიცოცხლე და ენის არსებობა ემორჩილება. ამ ძირეულ კანონს იმდენად ძლიერი მნიშვნელობა აქვს, რომ მასთან შედარებით თითქმის არაფრად არ მოსჩანს ზოგიერთი უალაგო და უშნო ნეოლოგიზმი, არქაიზმი, კუთხურ-ყარგონული სიტყვა და ფორმა (ცხლა, ახლა, შვიდა, შვიდა, მეიტა, მოიტა, მაიტა, ძაან, ძალიან და სხვ. ამგვარი). თუ ენის ბუნება დაგონჯდა, მას ვეღარავითარი ახალი სიტყვა და თვით ლექსიკის გამდიდრებაც ვეღარ უშველის. მაშინ ენა ჰკარგავს **სინათლეს, მარტივობას, გამჭვირვალებას, მოქნილობას. იგი ბინდდება, იგრაგნება, იკრუნჩხება.**

---

* როგორც ცნობილია, მიხეილ ჯავახიშვილი დიდ ყურადღებას აქცევდა ენის სიწმინდის საკითხებს. მრავალი **სტატია** გამოაქვეყნა მან ამ თაობაზე. ეს წერილი მწერლის არქივში აღმოაჩნდა. იბეჭდება პირველად. (რედ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივსება კუზებით, კორძებით, ნაგვით და რთულ აზროვნებისთვის და თავისუფალ საუბრისთვისაც გამოუსადეგი ხდება. ამ მხრივ ქართული ენა უკანასკნელ დროს უდიდეს გარდატეხას განიცდის. როცა საქართველოში ქრისტიანობა შემოდიოდა, ქართული ენაც აირია, აიმღვრა, მაგრამ შემდეგ (VII საუკუნიდან) იგი თანდათან წელში გასწორდა, გასუფთავდა, გამდიდრდა და ბოლოს შესაძლებელი გახდა ამ ენაზე „ვეფხისტყაოსანი" დაწერილიყო. დღევანდელი ქართველი ცვლაებადობის და დუღილის მხრივ იმ ეპოქას მომაგონებს და მაჯერა, რომ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, რომელიც მაშინდელ საუკუნეობს უდრის, დღევანდელი ბინდი გაიფანტება, ახალი ქართული მოიხარშება, დაღუღდება და ეპოქაშიში „ვეფხისტყაოსანივ" დაიწერება. ვისაც კი არა სჯერა, მას ჩვენი მომავალიც არა სჯერა.

დღევანდელი ქართული ენა საკმაოდ ჩამორჩა უამრავ ახალ ნივთს, ცნებას, იდეას, რომელიც მუდამ წინ მიეძღვიან უტყოა. ეს გარემოება ნამუნაგ იმის გამოა ალსანშნაკი, რომ მხოლოდ რევოლუციის შემდეგ აღსდგა ქართული მეცნიერება, სწავლა და საკმის წარმოება, რაიც ათეოდე წელიწადში ორგანიზულად ვერ შეუდუღდებოდა საერთო ეროვნულ ენას და ვერ გადიქცეოდა მის უტკივილო პროცესად.

უკანასკნელ დროს ახალი სიტყვების ისეთი ნიადაგი მოგვაწვა, რომ ჩვენი გონებრივი ძალა ვერ ასწრობს მის გადარჩენას და გაცხრილვას. გაცარ მაინც საჭიროა და ამ მხრივ ქართველმა მწერლებმა რუსის მწერლებს უნდა მიჰბაძონ, რომელნიც გულმოდგინედ სდევნიან ხალხისთვის გაუგებარ უცხო სიტყვებს და სამაგიროს თავის ხალხშივე ეძებენ და კიდევ პოულობენ. ჩვენ ხალხისთვის ვწერთ და მის სახელს ყოველ ნაბიჯზე ვფიცულობთ, მაგრამ ამ ფიცს ძალიან ხშირად ვღალატობთ და ნამდვილ ხალხურ სიტყვას და ფორმის მაგიერ ან ნაძალადევ სიტყვას ვიგონებთ ან უცხოეთიდან შემოგვაქვს. მე არ მესმის, რად უნდა მივიცეს უპირატესობა უცხოს ვინემ არსებულს — თუნდაც ოდნავ მიძინებულს.

დღევანდელ ქართულს ზოგჯერ ბინდი ახლავს. მაგალითი იმდენი დამიგროვდა, რომ ერთი ტომი დაიწერება. მე მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებ, იტორება სწერენ, ხოლო რეფაქტორ-გამომცემელნი ბეჭდავენ:

„ეფი ქალზე შეყვარებული". — ქართულად იტყვიან: ეფის ქალი უყვარს. ეს კაეშირი ბ-ზე უნდა გავდეენოთ.

„მიაზოლებული თანამშრომელია" — მახლობელი.

„დაბლა პალატა", „დაბლა ცხრილი" — ქვეშა პალატა.

„ოღლებიან სამშაოთი" — ამის დამწერი ადღლილი იქნებოდა მუშაობით.

„როგორ მაღალია", „როგორ უვიცია!" — რა მაღალა! რა უვიცია!

„უძნელდება ახალ წესთან შერიგება" — (привыкнуть) უძნელდება ახალ წესის შეგუება, შეჩვევა, მონელება.

„დაკეტილი თვალები. დახურული თვალები"— მოხუჭული, თვალდახუჭული.

„სიგიჟეშდის მიყვარს" — გაგიჟებით.

ვეღარ არჩევენ ერთმანეთისგან ორ ფორმას: დან და საგან (от — из) და სწერენ: „ბანკისგან (დან) გამოიტანა". „ამ საქმისგან (დან) არაფერი გამოვა". „ამმიდან (საგან) მიიღო ფული". „ქალიდან (საგან) წერილი მიიღო".

„ომასთან მიაბარა" — მას მიაბარა.

„დღე ცხოვრობენ სოფელში" — დღისით.

„მაგრამ რაში დამაჯერა მე მან, ეს იყო მისი უვიცობა". — ამის დამწერმა ქართველის უვიცობაში დამაჯერა, „ეს იყო" კი სულ ზედმეტია, უტყოა.

„ხლაფორთიანი საქმე". საბარცვინოა ამის დაწერაც და დაბეჭდვაც. ე. ი. საჯაჭვიანი, საცოდავი, გაბლართული, თავსატეხი, საფავიდარაბო და სხ.

დამკვიდრდა: „ნაკლულევანობა", „უნაკლულევანებო". გაუგებარია, ვინ შემოათრია ეს ლოდები და რად დაეშორჩილა მათ მწერალიც. ხალხი უბრალოდ ამბობს: ნაკლი, უნაკლო. მას ნაკლი აქვს. ის უნაკლო კაცია.

დამკვიდრდა აგრეთვე: „მაგალითი მოიყვანა". მაგალითი უსულო საგანია, ამიტომ საჯობია ვთქვათ: მაგალითი დასახელა.

„ვიწრო კაცი" — ხმელმქელი, თხელი, მჩატე, გამხდარი.

„დასდგან" — დასდონ.

„გაიცემა წვერებზე". ეს კორძიც ალარ გაშორდება. ვის მიეცემა (და არა ვისზე?) მიეცემა წვერებს.

„ფლეანდელი მორთულობა" — ამის დამწერს обстановка ალბათ ავეიკი ჰგონია.

შემოიჭრა და ალარ გადის ამგვარი თქმა: „სიკეთელის მეჭარის ქვეშ". — მოკვლის მეჭარით, დამუქრებით.

„რძის საქონელი" — მეწველი.

„მაგიდის ყურძენი" — სუფრის ყურძენი, საქმელი.

„გასცა ბრძანება ჯარისადმი" — ჯარს გა(მი)სცა. მაგრამ ჯარისადმი მიეცემული ბრძანება...

„მან ბოლშეეიკების სახით ილაპარაკა" — სახელით.

უკვე დამკვიდრდა „სახლშია, სახლში მივდივარ, სახლში ვიყავი". — სახლში ნიშნავს, в доме, ხოლო дома, домой — შინ, შინ არის, შინ მივდივარ, შინ ვიყავი.

„რითიც ხასიათდება ის, ეს ის არის, რომ..."

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მას ის ახასიათებს, რომ..

უსართებულოდ დაკვეთდრდა „რომის პაპა“ (дедушка) — პაპი.

სიტყვა „წარმოებამ“ ჩვენს ენაში ახალსაი ინ წარმოიცა შეკვნა და მარტივი ქართული ზანები დაკოუნახა. სწერენ: „საკონლის შეძეთ აწაროთეადა“ (ძეძეთ). „შაკრის გაცვა ინარ ძოებს ხვალიდან“ — შაკარს ხვალიდან გავ-ცეთ, დაკუოიგეთ. „ის აწარძოებს“ წერას, ვარ,ჯიშთან, სწავლას, ინგარიშს (ის სწერს, ვარ,ჯიშთან და სხ.) „ის აწარმოებდა ბერლინში სიტყვას“, ე. ი. ამბობდა, ლაპარაკობდა. „ეპაი-ტალიტტები აწარმოებენ მუშებზე დაცინვას“. ამის დაწერიც „აწარმოებს ქართულ ენაზე დაცინვას“, ე. ი. ქართულს დასცინის. მე მგონია, რომ ქართველმა მწერალმა უნდა სულ ამოშალოს თავის ლექსიკონიდან სიტყვა „აწარ-მოებს-ენ“.

„აღრიცხვაზე აიყვანეთ“ — აღრიცხეთ, ავ-რიცხე და სხ.

თითქმის სულ განდევნეს კავშირი „ც-იც-აც“ და ამის გამო ბევრი ზედმეტი სიტყვა შემოიტა-ნეს. მაგალითად: „ოორეო გარეთ, ისე (ან ავ-რეთვე) შიგნით“. — გარეთ(აც) და შიგნით(აც). „დღეს ჩვენ დავწინაურდით, მაშინ როცა უწინ ჩამორჩენილები ვიყავით“. — დღეს უკვე და-წინაურდით, უწინ კი (ხოლო გუშინ) ჩამორჩე-ნილი ვიყავით.

„1929 წელში წელში გავიმართვეთ“. — 1929 წელს... პირდაპირ სთარგმნიან რუსულ „*в... году*“. *დაგვიფიწყდა ქართული „1929* წელს, თვეს, დღეს“.

„ეს წელი(წადი) ითამაშებს როლს“. როლს მხოლოდ ბაახიობი თამაშობს, სხვები კი ასრუ-ლებენ (ეს წელიწადი შეასრულებს როლს.)

„მას შეეცალა აზრი იმაში“. — იმაზე (რაზე და არა რაში).

თითქმის გადავარდა „ვითომ“, „თითქოს“ და ამის ვამი მეტყველება გალატაკდა.

რიცხვის შეფარეგნა ბასურდამდე მიიყვანეს. სწერენ: „ფეხსაცმელები რბილებია“ (რბილია). „ბურები ცხელებია“ (ცხელია). „მათ მიეცეთ“, „დაევალოთ“, „გადაეცეთ“. „მაღარონეი ფრანგებს გადაეცენ“.

„ეს სასიჩცხოა“. ეს მართლა სირცხვილია, სამარცხვინოა!

„ტოიოში ოფიციალურ წრეებში განაგრძო-ბენ კონფლიქტში ჩაურევლობისა და საერთო გამოსვლაში მონაწილეობის აღ, მიღების პოზი-ციაზე დგომას“. ამის დაწერი ენის სრულ უვა-ლობის პოზიციაზე დგას.

„50 წელი დაბადებიდან“ — დაბადების.

„ამან გამოიწვია დეფიციტი 1000 მანეთით“.— 1000 მანეთი (дефицит в 1000 р.).

„ეს საქმე არ მიმდინარეობს პარტიის ხაზის გადაუხვეველად დაცვის პირობებში“. — ეს საქმე ისე არ მიდის, რომ ხაზს არ გადაუხვევენ.

„წინ წარბენა“ — წინ გახტომა, წინ გავარ-ნა.

„პატარა სახლები აიღებიან და მათ ალაგზე დიდები აიშენებიან“ — აიღებენ, აშენებენ.

„ჩემზე იჩიელ“ (...на меня) — მე მიჩიელ...

„პოწმეები სახეზე არიან“ (на лицо) — მოწმენი გამოცხადდენ.

ყველა კარებზე სწერია: „შესავალი“ (в веде-ние) — შესასვლელი, გასასვლელი.

„ქალი თვალებით უყურებდა ვაჟს თავის საკუთარ სახიდან“. ყოველდ გაუგებარია.

„თავში დაშვებული შეცდომა“. — თავიდან-ვე...

„სასაკვდილოა!“ ასე აწერია ელექტრობო-ძებს, ე. ი. ეს ბოძებია სასაკვდილო, მოსალა-ვი უნდა იყოს. მომაკვდინებელია, ან — ერიდე, მოგლავს.

„ბაუფოთხილდით ქურდებს“ — სწერია მრავალ ალაგას, ე. ი. კარგად შეინახეთ ქურდები, არ აწყვინოთ მათ, ან არ გაგაქცესთ ისინი. უნდა იყოს: უფრთხილდით ქურდებს, ერიდეთ ქურდებს.

„ერთი წელი წელი ანდაზოტს“ — ერთ წელიწადს... ეი ამიტომ სჯობია „წელიწადი“ „წელს“.

სამოქალაქო უფლება მოიპოვა ასეთმა სიგონ-ჯეემაც: „ნებართვის გარეშე“ (ნებადაურთვე-ლად), „აღრიცხვის გარეშე მიიღეს“ (აღრიც-ხავად), „საქმის გარჩევის გარეშე“ საქმის *გა-ურჩევლად, ეს „გარეშეც“, როგორც უარყო-*ფითი ნაწილაკი, უნდა გავდევნოთ ქართულ ენიდან.

„მეკრთამენი გორიდან“ — გორელი მეკრთა-მენი.

„მან კარგად იცის მუშა“ — ის კარგად იცნობს მუშას.

„ის დაშორებულია მასებიდან“ — მასებს.

„დიდი ფასებით ჰყიდის“ — დიდ ფასად.

„ძალლმა ლეკვები დაბადა“ — დაყარა. მაშ ძროხამაც ხბო დაბადა (მოიგო)? ქთამმა წიწილები დაბადა (გამოჩეკა)?

„ტელეფონი არ პასუხობს“ — პასუხს არ იძლევა.

„გამოცხადებულ იქნას მობილიზაციით გაწ-ვეულად ყველა მუშაკები“ — გამოცხადდეს მობილიზაცია ყველა მუშაკისა.

„ცუდად გამიგო მე“, ე. ი. დავავალე და ვერ გამიგო. უნდა ითქვას: ცუდად გიიგო ჩემი ნაბეჭდები, ნაწერი.

„გაზეთიდან (из газеты) ამოვიკითხე“ — გაზეთში...

„მათ შეუძლიან(თ) მიიღონ ასეთი“ (такое) — იგი, ის.

„მემარცხენე გადაბრის მქონე ამხანაგები“— მემარცხენე, ან მარცხნივ გადაბრილი.

„ტანზე სხმული საცვლები (საცვალი) გახადეს“ — ეს „სხმული“ რაღა არის?

„ორპიროვნება“ — ორპირი, ორგული, ორგულობა, ორპირობა.

„სპარძოლო ლოზუნგები“ — სპარძოლელი.

ვიღაცამ დააკანონა „ეერქვეშ მუშაობა“ — ჩუმი, საიდუმლო, კონსპირატიული.

მაღაზიების და დაწესებულებათა წარწერებმა ხომ აბუჩად იიგდეს ქართული და ეროვნულ ენისგან მხოლოდ ქართული ასოებიღა დაგვტოვეს. მარცხნივ და მარჯვნივ ქართული ასოებით სწერია: „ზაკოიუზი“, „ცენტროსოიუზი“, „სოიუზტრანსი“, „ოშპკ“, „ომპტ“, „სოიუზმიასო“, „ხლებოპროდუქტი“, „პლოდოოვოშნოიუზი ზელოკანი“ და მსგავსი ათასი სძაგელობა.

ეს მაგალითებიც კმარა. გავათავოთ. უკანასკნელ მაგალითების გამო უნდა აღინიშნოთ, რომ წარწერების (ფირნიშების) შესახებ რამდენჯერმე გამოვიდა შესაფერი დაფენილება, მაგრამ ამსრულებელი არაკინ არ არის. ანორმალობა ის არის, რომ ყოველ დაწესებულებას და ფირმას ჯერ რუსულ სახელს არქმევენ და მერე ქართულად სთარგმნიან — აზრს კი არ სთარგმნიან, არამედ სიტყვებს, უფრო ზშირად კი სულაც არა სთარგმნიან. გარდა ამისა, ქართულის დამახინჯებას შემოკლების კვიტი იწვევს, რომელიც მოარულიკით მოგვედო და უცნაურ მიზეზის გამო საკალდებულოდ გადაიქცა. ღრო შევიგნოთ, რომ ქართული ენა შემოკლებულ კომპოზიტს იშვიათად ინელებს ხოლო უმეტეს შემთხვევაში იგი ჩვენი ენის ბუნებას ამახინჯებს.

მკოთხავს აკრძალული აქვს ხალხს მოწამვლა, ზემოხსენებულ მაგალითების ავტორები კი ჩვენს სულიერ კულტურას ბიწით და ზზამით ავსებენ.

ამ დღეებში პატივცემულმა ფ. მახარაძემ ამგვარ მოვლენას მაენგბლობა უწოდა და სუსხიან ზომების მიღებას დაგვპირდა. ენის მაენგბელი — ეი ნამდვილი ზანთი, რომელიც დაუნდობლად უნდა იქნეს გამოყენებული. ჩვენ ყველაფერს სხვას ვაბრალებთ, მაგრამ ენის დამახინჯება ვიღას დაკაბრალოთ? მხოლოდ ინტელიგენციას. ეწონ მას თავისაქართველოს საათი მაინც ჰქონდა: ქართულს სდევნდნენ, ეხლა კი მას ხელფეხი გაეხსნა, მაგრამ ჩვენი ზანტობა და ეკიდობა ხელს გვიშლის, რათა ეს უდიდესი მოსაპოვარი სავსებით გამოვიყენოთ. დღევანდელ ქართველ ინტელიგენციის უმეტესობას უნნელდება რთულ საგანზე საუბარი. იგი ბორძიკობს, სიტყვებს ეძებს, ვერ პოულობს, თვითონაც ინანჯება და სხვასაც სტანჯავს. მან ზედმიწევნით აღარც ქართული იცის და რუსულიც ვერ შეუსწავლია. ჩვენ უკვე ვეტანჯავს ის ენა (და ჩვენც ვტანჯავთ მას), რომლითაც „ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას... ასე მდიდარია ქართული, შეიძლება თქვას, თავის შინაგანი თვისებებით მსოფლიურია. ქართული ენა უფსკრულია, მისი ამოწურვა შეუძლებელია“.

ქართული ენა სდღუს. ჩვენ არ ვიცით, რა საბოლოო ყალიბს მიიღებს იგი. მაგრამ ცხადია, რომ ხვალინდელი დღევანდელს ჰგრობებს და დღევანდელი უკვე სჯობია გუშინდელს, სჯობია შუხლისებულ-გამდიდრებულ ლექსიკით, მოკლედ მოქრილი რითმიკით, თხრობის ტემპით და მკვეთრი სტილით. დიდი მონტენი ფრანგულ ენის გარდაქმნას ოცნებობდა, რათა მას მოლოკილ-დავარცნილ იერის ნაცვლად ფერადოვნება, ღონე და გრიგალობა მოეკოვნინა. ქართული სწორედ ასეთ ენად ჩაითვლება.

ერთ დროს მე ენათმეცნიერთა კონფერენციის მოწვევა ნაადრეკად მიმაჩნდა, ეხლა კი მგონია, რომ დროა ნორმატიული გრამატიკა შემუშავდეს და ქართულ ენას მტკიცე მომავალი გაუჩნდეს.

დასასრულ ერთი რამეც უნდა აღვნიშნო. ჩემს თაოსას კარგად ახსოვს ის დრო, როცა ქართული ენა თითქმის აკრძალული იყო, დღეს კი იგი ყველა სკოლებსა და დაწესებულებაშია დამკვიდრებული. ამ გარემოებამ ისე ფერადად გაუშალა ისპარეზი ქართულს, რომ დამახინჯებულ ქართულის ზემოხსენებული მაგალითები მცირე ხინჯიკით მოსჩანს.

1932 წელი.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘ ᲑᲣᲡᲚᲐᲔᲕᲘ

„ᲡᲐᲰᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲘᲡ“ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ

ივნისის იმ შეზუთულ საღამოს შეუსვენებლივ რეკავდა ტელეფონი თბილისის საჰადრაკო კლუბში. თანამშრომლები ძლივს ასწრებდნენ პასუხის გაცემას, რომ იმ წამსვე წკრიალებდა ზარი. ბოლოს კლუბის დირექტორი დიდი გაჭირვებით დაუკავშირდა რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზს, სადაც ქალთა საკავშირო პირველობის ნახევარფინალი მიმდინარეობდა და შეიტყვეს, რომ ნონა გაფრინდაშვილისა და მოსკოველ ტიხომიროვას პარტია უკვე გადასულა ეტაპის ენდშპილში, სადაც ნონას ზედმეტი პაიკი აქვს.

დირექტორმა მილის დადებაც ვერ მოასწრო, მის ოთახში მყოფ მოჰადრაკეებს კი ჯერაც არ ჰქონდათ დამთავრებული სატურნირო დარბაზიდან მიღებული ტკანასკენელი სვლების გაკეთება დაფაზე, რომ ისევ დარეკეს — „როგორაა ნონას საქმე?“ — გაისმა ალელვებული ხმა. „ზედმეტი პაიკი აქვს ენდშპილში“, — მოკლედ მოუქრეს. „ენდშპილი? ვინ არის, კაცო ენდშპილი? ნონა ტიხომიროვას არ ეთამაშება?“ — გაკვირვებით გაიმეორა კითხვა უცნობმა. „დიახ, დიახ, ტიხომიროვასთან თამაშობს“, — დაამშვიდეს იგი. საჭირო გახდა ალსნაათ გამოუცდელი გულშემატკივრისათვის, რომ ენდშპილი გვარი კი არა, საჰადრაკო პარტიის დასკვნითი ნაწილია, რომ ახლა დაფაზე პაიკები და ეტლებიღაა დარჩენილი (უცნობი ეტლებს მინცდამინც „ტურებს“ უწოდებდა) და ნონას გამარჯვების კარგი შანსები აქვს.

მხოლოდ ამის შემდეგ დაწყნარდა იგი, მაგრამ ბოლოს მაინც სულმა წასძლია და იკითხა: „მახტის“ თუ ეუბნებაო ნონა.

ამგვარი მიამიტი კითხვებით უცნობმა მთლიანად გამოამეღავნა თავი — მას უთუოდ ჰადრაკისა ბევრი არა გაეგებოდა, მაგრამ... მაინც ძალზე ინტერესებდა იგი. და ყოველივე ამის მიზეზი გახლდათ თხუთმეტი წლის ნორჩი გოგონა, რომელიც იმ დროს რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზის სცენაზე ეჯაქაცურად ებრძოდა გამოცდილ ოსტატებს.

მას შემდეგ ხუთ წელზე მეტმა ხანმა განელო. და თუ ეს გულუბრყვილო მოყვარული, კლუბში რომ რეკავდა იმ დღეს, ახლა კარგად თამაშობს ჰადრაკს და, ვინ იცის, სხვებსაც კი უხსნის, რას წარმოადგენს ეტლების ენდშპილი — ეს ნონა გაფრინდაშვილის დამსახურებაა. მას უდავოდ დიდი ღვაწლი მიეძღვის იმაში, რომ საჰადრაკო ხელოვნება, რომელიც საქართველოში ძველთაგანვე ასე ინტერესებდათ, უკანასკნელი წლების მანძილზე ჯერ არნახული პოპულარობით სარგებლობს ჩვენს რესპუბლიკაში.

ნონა გაფრინდაშვილი მხოლოდ 20 წლისაა. მაგრამ მან უკვე ძმიმე და ეკლიანი გზა განვლო „ჰადრაკის ოლიმპიადაზე“ და ახლა მასზე ასასველად ემზადება. დღეს ნიჭიერი მოჰადრაკის სახელი მთელმა მსოფლიომ იცის. იცის და ინტერესებს, თუ როგორ იფურჩქნებოდა ამ მოკრძალებული ქართველი ქალიშვილის შესანიშნავი ნიჭი.

ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ ᲗᲝᲛᲯᲘᲜᲔᲑᲘ

ნონა ჯერ ხუთი წლისა, არ იყო, როცა ერთმა ამბავმა გააკვირვა. თურმე ნუ იტყვი, თოჯინებით მამა, დედა და უფროსი ძმებიც ერობრნიან! მაგრამ ეს რაღაც სხვანაირი თოჯინებია. ვიდრე თამაშს დაიწყებდნენ რატომღაც ემზარი და თამაზი, ჯიგელი და მურადი რაღაც უჯრებიან დფას აიღებენ, მერე ზედ თოჯინებს დასხამენ და ხან ერთს გადადგამენ, ხან მეორეს. მაგრამ ნუტაკ ასე დიდ ხანს რატომღა ფიქრობენ?

გოგონა ბევრს აკვირდებოდა და ბოლოს მიხვდა, რომ თოჯინები უბრალოდ თავის ნებაზე კი არ „დადიან“, არამედ რაღაც წესები აქვთ. ბავშვს განსაკუთრებით ცხენები მოსწო-

ნდა — თვირი და შავი ცხენები. მერე და რა სმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთელს, მათი თამაშის მანერას და „ზოგჯერ, დარცხვენილი და სახეგაწითლებული, უფროსებსაც კი ეკითხებოდა მათ შესახებ.

მაგრამ მთავარი მაინც სწავლა და ჭადრაკი იყო. პიონერთა სასახლეში ნონას გამოცდილი პედაგოგი — ვახტანგ ქარსელაძე ამეცადინებდა და მასთან ერთად არჩევდა გამოჩენილი მოჭადრაკე ქალების პარტიებს, „კომბინაციურ ხედვას“ უვითარებდა გოგოსას, ასწავლიდა საჭადრაკო დამოლოების გათამაშების ხელოვნებას.

მალე ბეჯითმა მეცადინეობამ თავისი ნაყოფი გამოიღო. ნონა წარმატებით გამოვიდა რამდენიმე ტურნირში, რომლებშიც გამოცდილი მოჭადრაკე ქალები მონაწილეობდნენ, და ბოლოს და ბოლოს, მეორე ადგილი დაიკავა თბილისის პიონერთლიგაზე ქალთა შორის. ეს იყო 1955 წელს. სოლო მომდევნო, 1956 წელი ნონასთვის მართლაც ტრიუმფალური გამოდგა.

ჯერ იყო და გოგონამ თბილისის ჩემპიონის წოდება მოიპოვა. შემდეგ იგი გამარჯვებულად გამოვიდა საქართველოს პიონერლიგაზე, სადაც გაუსწრო არამარტო ქართველ მოჭადრაკეებს, არამედ კონკურსგარეშე მონაწილე მოსკოველ ოსტატებსაც — ოლგა იგნატიევასა და ნინა ვოიცეკს. რამოდენიმე თვის შემდეგ ნონამ ბრწყინვალედ ითამაშა სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატის ნახევარფინალში და პირველი ადგილი დაიკავა.

აქამდე ნიპიერიაო, მზარდიო ამბობდნენ. ახლა უკვე ტალანტს უწოდებდნენ და სიყვარულით „ჩვენი ნონაც“ შარქვეს. ჭადრაკის რომელ მოყვარულს არ ახსოვს 1956 წლის ივლისის დღეები? საკავშირო პირველობის ნახევარფინალი რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში ტარდებოდა. დარბაზი ყოველდღე გადატვირთული იყო. უბილეთოდ დარჩენილი ბევრი გულშემატკივარი პროსპექტზე უცდიდა ცნობებს. იყო შემთხვევები, როცა აუცილებელი ხდებოდა მილიციელთა ჩარევაც — პროსპექტზე ჭადრაკის იმდენი მოყვარული იყრიდა თავს, რომ ტროლეიბუსები და ავტობუსები ვეღარ იკვლევდნენ გზას საკონცერტო დარბაზის შენობასთან.

ნორჩი მოჭადრაკის ტემპერამენტურინმა თამაშმა მოხიბლა თანამემამდენი. ნონას სახელი ყველას პირზე ეკერა. და სწორედ იმ დღეებში, ქომაგთა წრეში დაიბადა კითხვა: „რა ქნა ნეტავ ნონამ?“, კითხვა, რომელსაც ახლა ყოველთვის გიგიგნებთ, როცა საქართველოს ჩემპიონი შეჯიბრებებში მონაწილეობს.

ორი მედალი

ორი წელი გავიდა. ნონა უკვე რეგულარულად თამაშობს ქალთა საკავშირო პირველობის ფინალებში. ორ მედალს ისაკუთრებს. ბოლოს, მეორე ადგილი ეკუთვნის. ეს ადგილი ეკავა ამ ღირსშესანიშნავ 1958 წელს. მაგრამ პირველი მას სპორტსმენ ბრძოლებისათვის რიგი ეძლევა — ნონა ვერცხლის მედალზე ამთავრებს საშუალო სკოლას.

ბევრ მნიშვნელოვან მოვლენას ჰქონდა ადგილი იმ წელს ნონა გაფრინდაშვილის ცხოვრებაში. შეეიდა თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტში. ახლა მას ახალი მწვრთნელი ჰყავს — სპორტის ოსტატი მიხეილ შიშვი, რომელთანაც ქალიშვილი სისტემატურად ვარჯიშობს, ემზადება მომავალი ტურნირებისათვის. შემოდგომაზე ნონა მონაწილეობას იღებს ქალთა მორიგი საკავშირო ჩემპიონატის ფინალში და ბრწყინვალე წარმატებას აღწევს.

საბჭოთა კავშირის ყველა უძლიერესმა მოჭადრაკე ქალმა მოიყარა თავი ხარკოვში სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლის მოსაპოვებლად. მათ შორის იყვნენ მსოფლიოს ჩემპიონი ელისაბედ ბიკოვა, მსოფლიოს ექს-ჩემპიონები ლუდმილა რუდენკო და ოლგა რუბცოვა, გამოჩრმემედელი სატურნირო მბრძოლები — ლარისა ვოლპერტი, ვალენტინა ბორისენკო, კირა ზვორიკინა და სხვები. მაგრამ „მრისხანე“ სახელებმა როდი შეაკრთო საქართველოს ახალგაზრდა ჩემპიონი. მან არ გაუწია ანგარიში აუტორიტეტებს და დამსახურებულად მოიპოვა მესამე საპრიზო ადგილი. ნონას გადაეცა ბრინჯაოს მედალი და მიენიჭა სპორტის ოსტატის წოდება.

ხარკოვში ნონა პირველად შეხვდა დაფასთან ელისაბედ ბიკოვას. და თუმცა ეს პარტია წაგო, ნონამ მაინც შეძლო გაესწრო მსოფლიოს ჩემპიონისათვის.

სამი წელი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ბიკოვასა და გაფრინდაშვილს ვერ მოეწიათ ერთმანეთთან თამაშში. მათი მომავალი შეხვედრა ამჯერად ფლეკანდელ შემოდგომაზე შედგება მოსკოში, სადაც ორი უძლიერესი საბჭოთა მოჭადრაკე ქალი ორთაბრძოლაში ჩაებმება მსოფლიოს „საჭადრაკო გვირგვინისათვის“.

სანაბრელი „საგზური“

ხარკოვში ჩისიტიულმა გამოსელამ ფრთები შეასხა არამარტო ნონას, არამედ შის მრავალრიცხოვან თაყვანისმცემლებსაც. უმეოცელესობას სჯეროდა, რომ მალე, სულ მალე გაფრინდაშვილი „მოთქროვებდა“ თავის ბრინჯაოს მედალს — სსრ კავშირის ჩემპიონი გახდებოდა. მაგრამ ეს არ მოხდა. შემდეგმა „სპორტულმა სეზონმა“ ნონას მარტო სხარტული კი არა, ბევრი წყენაც მოუტანა. საკავშირო პირველობაზე ნონამ საკუთარ შესაძლებლობებზე აშკარად სუსტად ითამაშა და ვერ შეძლო საპატიო ადგილის მოპოვება, მიუხედავად იმისა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურნირის შემადგენლობა არ იყო ისეთი ძლიერი, როგორც ხარკოვში.

მაგრამ ეს წარუმატებლობა ნონასთვის საესარგებლო გამოდგა. მან ღრმად ჩაიფიქრა გოგონა. თავის მწვრთნელ შიშოვთან ერთად ქალიშვილმა ახალი ენერგიით მოკიდა ხელი საშადრაკო თეორიის შესწავლას, საკუთარი თამაშის ნაკლოვანებათა დაძლევას. და შედეგმაც არ დააყოვნა — 1960 წელს ნონას ახალი დიდი წარმატებები მოუტანა.

მაისში თბილისში შედგა ქალთა პირველი საერთაშორისო ტურნირი. ლარისა ვოლპერტმა და კირა ზეორიკინამ, ედიტ კელერ-ვერმანმა და ჰენრიკა კონრაროვსკამ — ბევრმა ცნობილმა მოშადრაკე ქალმა მიიღო მონაწილეობა ამ უადრესად სინნტერესო შეჯიბრებაში. თავის მეგობრებთან — მანანა ტოგონიძესთან, ელისო კაკაბაძესთან და ალა ჩიაკოვსკაისთან ერთად გამოდიოდა შეჯიბრზე ნონაც. ქართველი მოშადრაკე ქალებისათვის ეს ნამდვილი საერთაშორისო „სპრძოლო ნათლობა“ იყო.

პირველი ადგილი ტურნირში ლარისა ვოლპერტს ერგო. მაგრამ ნონა გაფრინდაშვილმა და მანანა ტოგონიძემაც თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს. ნონამ მეორე ადგილი დაიკავა, მანანამ — მესამე.

საერთაშორისო ტურნირმა ცხადჰყო, რომ ნონა კვლავ შესანიშნავ სპორტულ ფორმაში იმყოფებოდა, რომ მისი კლასი მნიშვნელოვნად ამაღლებულიყო. ამიტომაც იყო, რომ როდესაც წლის ბოლოს იგი რიგაში მიემგზავრებოდა საკავშირო პირველობაზე, მეგობრები ავადმყოფნ, პრეტენდენტთა ტურნირის „საგზურის“ გარეშე არ დაგვიბრუნდეო.

და ნონამაც არ უმტყუნა. უძლიერეს საბჭოთა მოშადრაკე ქალებთან დაძაბულ ბრძოლაში მან მოიპოვა ეს ძვირფასი „საგზური“. მასთან ერთად ტურნირში მონაწილეობის უფლება მიიღეს ვალენტინა ბორისენკომ, ლარისა ვოლპერტმა, კირა ზეორიკინამ და ტატიანა ზატულოვსკაიამ.

გაბაჯარჯვების გზა

დიდხანს და ბეჯითად ემზადებოდა ნონა თავის მწვრთნელ მიხეილ შიშოვთან ერთად პრეტენდენტთა ტურნირისთვის. თეორიულ მეცადინეობას სცელდა ტურნირებში გამოსვლები. 1961 წელს ნონას ქულებისა და პირველი ადგილების ახალი ბარაქანი მოსავალი მოუტანა. გაფრინდაშვილი კვლავ საქართველოს ჩემპიონია, პირველ ადგილ იკავებს ბათუმსა და თბილისში გამართულ ქალთა საერთაშორისო ტურნირებში, წარმატებით გამოდის ბუქარესტში საქართველოსა და რუმინეთის მოკავშირაკეთა მატჩში.

და აჰა, მოაწია პრეტენდენტთა ტურნირზე გამეზაკრების დღემაც. თვითმფრინავამდა საბჭოთა მოშადრაკეები და მათი მწვრთნელები ბელგრადში ჩაიყვანა, აქედან კი საკუთრორტო ქალაქ ვრნიაჩკა-ბანიაში გაეგზავნენ.

წმილსყრა იმ ვარაუდით მოეწყო, რომ ერთი ქვეყნის წარმომადგენლები ერთმანეთს პირველივე ტურებში შეხვდებოდნენ. ამრიგად, ნონას უკვე სტარტზეეე უწევდა ყველა საბჭოთა მოშადრაკეთთან შეხვედრა.

პირველ ორ ტურში გაფრინდაშვილი პოლონელ კონარკოვსკასა და ჰოლანდიელ ჰეეგმეკრეს ამარცხებს. შემდეგი პარტია ვოლპერტთან აქვს. ნონას არც ერთხელ არ მოუგია მისთვის. მაგრამ როდისმე ხომ უნდა დაიწყოს გამარჯვებები. და ნონაც იმარჯვებს. ამის შემდეგ იგი უგებს ზატულოვსკაიასა და ბორისენკოს და მხოლოდ ზეორიკინასთან ამთავრებს პარტიას ყაიმით. ხუთნახევარი ქულა ექვსი შესაძლებლიდან — ბრწყინვალე სტარტია! და, რაც მთავარია, მთავარ მეტოქეებთან — საბჭოთა მოშადრაკეებთან დაგრძელელია სამნახევარი ქულა, მომავალი გამარჯვების საფუძველი ჩაყრილია!

იუგოსლავური გაზეთები „ბორბა“, „სპორტ“, „ოლიტეკა“ უკვე აღტაცებით ეხმაურებიან ნონას თამაშს, ჩქარობენ ბკითხველს მოუთხრონ ნიუიორი მოშადრაკის სპორტული ბიოგრაფია. თუ ტურნირის დაწყებამდე იუგოსლავური პრესა გამილერებულ რეკლამას უწევდა ამერიკის ჩემპიონს ლიზა ლეინს, ახლა ყურადღების ცენტრში ნონა გაფრინდაშვილი დგება.

კარგა ხანს ნონას კვალდაკვალ მისდევს იუგოსლავი მოშადრაკე ქალი მილენკა ლაზარევიჩი. ბუნებრივია, რომ ლიდერთა შეხვედრა უდიდეს ინტერესს იწვევდა. იუგოსლავიის სხვადასხვა ქალაქებიდან ამ დღეს სპეციალურად ჩამოდიან ჭადრაკის მოყვარულები, რათა ამ ორთაბრძოლის მოწმენი გახდნენ.

ლაზარევიჩი თეთრებით თამაშობს. ნონა საკმაოდ სწრაფად ათანაბრებს თამაშს, ხოლო შემდეგ ხელი იგდებს ინიციატივას. მაგრამ სწორედ ამ დროს საქართველოს ჩემპიონი შეცდომას უშვებს და ჰკარგავს პაიტ. რა შეიძლება გაკეთდეს? ნონა ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებას იღებს — სწორავს ხარისხს და ლაზიერით ეჭრება თეთრების ბანაკში.

ლაზარევიჩის წინაშე დგება ძმიმე ფსიქოლოგიური ამოცანა. მას შეუძლია მუდმივი ქეშის გამოცხადება და მაშინ პარტიაე ყაიმით დამთავრდება. თუ არა და უნდა მიმეკეს გო-

ნებისათვის ერთბაშად მიუწვდომელ გართულებებს, რომლებიც ასე ოსტატურად დასალრთა გაფრინდაშვილმა. ლაზარევიჩი მეორე გზას ირჩევს — ძალზე დიდი სურვილი მოუგოს და დაეწიოს ნონას.

ბრაოლის სიძძაფრე კულმინაციას აღწევს. დაფაზე პოზიცია იმდენად რთულია, რომ დარბაზში მყოფ ბევრ ოსტატსაც კი უჭირს შექმნილი მდგომარეობის სწორი შეფასება. გაფრინდაშვილი კვლავ პოულობს ერთადერთ სწორ სვლას — მეფით მიდის წინ. დიდოსტატი ბონდარევსკი, რომელიც თვალს ადევნებს ბრაოლას, ბვერდზე მსჯდომ მონაწილეთა მწვრთნელებს ეუბნება: „კარგია! ამ სვლისათვის ნონას თამამად შეიძლება მიენიჭოს მამაკაცები ოსტატობის კანდიდატობა“.

მაგრამ უკვე მეორე სვლა, რასაც ნონა კვლავ მეფით აკეთებს, იძულებულს ხდის მას შეცვალოს ახლი: „მე შევცდი. მას ოსტატის წოდება უნდა მიეკუთვნოს!“ ხოლო როცა ნონამ მესამე სვლაც მეფით გააკეთა და ცხადი გახდა, რომ ლაზარევიჩი თავს ვეღარ დაიხსნიდა, უნარელმა ოსტატმა სილადიმ ალტაცებით შესძახა ბონდარევსკის: „იგი ხომ დიდოსტატია!“ რამდენიმე სვლის შემდეგ ლაზარევიჩმა, რომელსაც გარდუვალი შამათი ემუქრებოდა, თავი დამარცხებულად ცნო. ამ გამარჯვებით ნონამ უთანლოვს მეტოქეს ორი ქულით გაუსწრო. ახლა უკვე ფინიშზე წარმატების შენარჩუნებაღა იყო საჭირო.

ტურნირის ბოლოსთვის თავის სატურნირო მდგომარეობას იუმჯობესებენ დანარჩენი სამეოთა მონაწილეებიც. ნონას დაწეკას ახლა ბორისენკო ცდილობს. მაგრამ ამაოდ — მეტად დიდი მანძილია. თანაც ნონა დაჯერებით გაბაგრძობს გამარჯვებულ სვლას.

ჯერ უკანასკნელი ტური არ გათამაშებულა, მაგრამ ვრნიაჩკა-ბანიაში უკვე მოდის მოსალოცი დეპეშები მოსკოვიდან და თბილისიდან, ბაქოდან და ზუგდიდიდან — ნონას უკვე უზრუნველყოფილი აქვს პირველი ადგილი. „გილოცავთ ბრწყინვალე გამარჯვებას. შეეცადეთ მიგბაძთ თქვენს მაგალითს“, — იწერება მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მიხეილ ტალი, რომელსაც ახლო მომავალში პრეტენდენტთა ტურნირში მონაწილეობა ელის.

მიხეილ ბოტვინიკი და ელისაბედ ბიკოვა, პაუელ კერესი და ბორის სპასკი — ყველანი ულოცავენ ნონას. მის გამარჯვებას მიესალმებიან სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები. ნატანებელი კოლმეურნეები მხურვალე სალამს უგზავნიან და ციტოუსების რთველში ეპატიჟებიან სტუმრად. ერთი თბილისელი ალპინისტი კი თავის სიხარულს შემდეგი სიტყვებით გამოხატავს: „თუმცა ჭადრაკის შეურიგებელი მტერი გახლავართ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ამ შემიძლია ალტაცება არ გამოვთქვა თქვენი ბრწყინვალე ასვლების გამო უმაღლეს საჭადრაკო მწვრთნელებზე“.

ნონას გამარჯვებაზე ბევრს წერენ იუბილეური გაზეთები. გაზეთი „პოლიტიკა“ თავის ილუსტრირებულ დამატებაში იღწყება, რომ „ქართველმა შვთვალა სტეფენმა გოგონამ — ნონა გაფრინდაშვილმა, რომელიც ტურნირის დაწყებისას ბევრისთვის გამოცანა იყო, ბრწყინვალე თამაში უწევნა და დამსახურებულად დაიკავა პირველი ადგილი. მისი პარტიები სიმახვილითა და კომბინაციურობით მიხეილ ტალის პარტიებს მოგვაგონებს“.

ნონას ადარებენ მსოფლიოს ცნობილ ჩემპიონს ვერა მენჩიკს, რომელიც მეორე მსოფლიო ომში ტრაგიკულად დაიღუპა ლონდონის დაბომბვის დროს. იუგოსლაველი ოსტატის დრაგოლუბ ჩირიჩის აზრით ნონა გაფრინდაშვილი, ისევე როგორც ვერა მენჩიკი, მოყვე ხანში წარმატებით გამოვა მამაკაცთა ტურნირებში და მალე გადაეჯარებს თავის წინამორბედს.

კარგად დაახასიათა ნიჭიერი ქართველი მოჭადრაკე პრეტენდენტთა ტურნირის მთავარმა მსაჯმა, ბულგარეთის საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარემ ზახარი სტანჩოვმა. „ნონა გაფრინდაშვილი, — თქვა მან, — უდიდესი საჭადრაკო ტალანტია, გადამრავლებული შრომისმოყვარეობასა და თავმდაბლობაზე“. ხოლო უნგარელმა მოჭადრაკე ქალმა კარაკაშნემ და მისმა მწვრთნელმა სილადიმ ერთხმად განაცხადეს, რომ „ნონა დაბადებულია ჭადრაკისათვის“.

•

მაშ ასე, ნონა გაფრინდაშვილი მსოფლიო „საჭადრაკო გვირგვინის“ მაძიებელია. 1962 წლის შემოდგომაზე მოსკოვში ჩატარდება მისი მატჩი ელისაბედ ბიკოვასთან. ეს ძნელი გამოცდა იქნება, მაგრამ უნდა ვიფიქროთ რომ „ჩვენი ნონა“ მასაც ღირსეულად ჩააბარებს. ამის საწინდარია მისი ნებისყოფა, შეუპოვარი ხასიათი, მისი შრომისმოყვარეობა და თავმდაბლობა, მისი შესანიშნავი ნიჭი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასირ გაღეკერინი

საუბარი გულშემატკივრებთან

დიდი ფეხბურთის შესახებ

უკანასკნელ წლებში საბჭოთა ფეხბურთმა დიდ წარმატებებს მიაღწია. ჩვენი ფეხბურთელების ტექნიკა საზღვარგარეთელი გუნდების ტექნიკას არაფრით ჩამორჩება. ბევრ რამეს ვსწავლობთ ჩვენ მათგან. არც საზღვარგარეთელი კოლეგები სხედან გულხელდაკრეფილნი და გულმოდგინედ სწავლობენ ჩვენი წარმატებების საიდუმლოებას. მიმდინარეობს მსოფლიო ფეხბურთის კლასის ამაღლების ბუნებრივი პროცესი.

ყველაფერი, რასაც ჩვენ ვიღებთ საზღვარგარეთელი გუნდებიდან, ახალი არ არის ჩვენთვის. ზოგიერთ რამეს ჩვენი გუნდები ადრეც იყენებდნენ. მაგრამ ფეხი ვერ მოიკიდა მხოლოდ იმიტომ, რომ ამა თუ იმ ნოვატორულ წამოწყებას გულცივად და მტრულად ხვდებოდნენ. არც მოთმინება და ნებისყოფა გვყოფნიდა. ახლა, როდესაც საზღვარგარეთელი გუნდების გამოცდილების საფუძველზე სიახლეთა ფასი გავიგებთ, ჩვენ გაბედულად ვიწყებთ მათ გამოყენებას. ეს პროცესი უმტკივნეულოდ რადი მიმდინარეობს. ცდილობენ დაადგინონ რა უფრო მნიშვნელოვანია: დაცვა თუ თავდასხმა. მე ამ მოვიყვან სამი გამოჩენილი მწვრთნელის შეხედულებას. ბ. ა. ანკადიეკი მიიჩნია, რომ კარგ გუნდს პირველ რიგში კარგი დაცვა უნდა ჰქონდეს. ამ მოსაზრების წინააღმდეგ ბევრმა გაილაშქრა და იგი დაცვითი სისტემის გამოსარჩლებად მიიჩნიეს. ვ. ა. მასლოვი არც დაცვას ანიჭებს უპირატესობას და არც თავდასხმას. „მე პრიორიტეტების წინააღმდეგი ვარ... საჭიროა დაცვისა და თავდასხმის ჰარმონიული შეთანხმება“, — წერდა იგი.

გ. დ. კაჩალინი ორივეს ეკამათებოდა და იმ მოსაზრებას იცავდა, რომ პრიორიტეტები სპორტში, ფეხბურთში ყოველთვის არსებობდა, არსებობს და იარსებებს. დღევანდელი დღის კითხვაზე — დაცვა თუ თავდასხმა — კაჩალინის გადაჭრილი პასუხი თავდასხმის სასარგებლოდ ლაპარაკობს.

წამყვან სპეციალისტთა ამგვარმა ორეულმა და გაფრკვეველმა შეხედულებებმა თავისი კვალი დაჰნია ქვეყნის პირველობისათვის გუნდების მზადების საქმეს და ცუდად იმოქმედა თვით პირველობის მსვლელობაზეც.

მე არ ვაკისრებდი თავს ამბოლა ამოცანების გადაწყვეტას და არც ვცდილობდი. ალბათ ამიტომ ჩემთვის არც თუ ისე ნთელია, ამ საკამათო საკითხების გადაწყვეტა რა სარგებლობის მოტანა შეუძლია საქმისთვის და ფეხბურთს ეშველება თუ არა მისი სასურველად გადაწყვეტის შემდეგ.

მაგრამ არ ფიქრობთ, რომ პირდაპირ პასუხს გავურბივარ. ამ საკითხს გარშემო მე ვიტყვი ჩემს აზრს.

დაცვა და თავდასხმა მედლის ორი მხარეა, მაგრამ თავდასხმა მაინც მედლის წინა მხარეა. სადაც არაა თავდასხმა, იქ არც ფეხბურთია, ეს სრულებითაც არ ამცირებს დაცვის მნიშვნელობას. ერთიც და მეორეც ფეხბურთის გუნდის საჭირო ძალაა, და ერთის შესუსტება მოქმედებს მეორეზე.

მე რომ მკითხოს კაცმა, ამგვარი არჩევანი გაუმართლებელია. დაცვა და თავდასხმაც ორივე საჭიროა. ასევე ესმოდა ეს მწვრთნელების უმრავლესობას, მაგრამ ეშინოდათ ხმა აღემაღლებინათ „მოდის“ წინააღმდეგ და დუმდნენ. ვინ იცის, რამდენი საინტერესო შემოქმედებითი იდეა ჩაკვდა მხოლოდ იმის შიშით, რომ „დაცვითი“ ვარიანტის მომხრეებად არ მოენათლოთ ჩვენი სპეციალისტები. ამ ტერმინმა გადატანით მნიშვნელობა მიიღო და სალანძღვა სიტყვად იქცა. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ ჩვენ უფრო მეტი გვეკნებოდა საკუთარი და არ დაგვჭირდებოდა ბრაზილიელებისაგან გვესწავლა ის, რაზედაც ჩვენი მწვრთნელები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ კიდევ ათეული წლის წინათ ფიქრობდნენ.

როცა ცხოვრებამ დაადასტურა, რომ დაცვითი ხაზების გიფართოება არც ისე დიდი ცოდვა ყოფილა, რომ ეს ფაქტი, პირიქით, შეიძლება უფრო მოქნილი თავდასხმის შექმნას უწყობდეს ხელს, „დაცვითი“ ვარიანტის მოწინააღმდეგეებმა თავისი სიჯიუტე ქველმოქმედებად შეცვალეს.

ბოლოს და ბოლოს, საქმე სახელწოდებებში კი არ არის, არამედ იმ სარგებლობაში, რომელიც ამა თუ იმ სქემამ შეიძლება მოიტანოს.

სპორტულ ბრძოლებში ერთმანეთს უპირისპირდებიან არა მარტო მოთამაშეები და გუნდები, არამედ მწვრთნელებიც. მათი იდეების ეს ბრძოლა შენიღბულია, მისი დანაბეი ყველასთვის არ არის ხელშისაწვდომი. როცა გფრ მსოფლიო ჩემპიონი ვახდა, დაიწყო ლაპარაკი იმაზე, რომ გერმანელების წარმატება დაუმსახურებელი და შემთხვევითია. მართლაც გერმანელებმა უკან ჩამოიტოვეს გუნდები, რომლებსაც მეტი პრეტენზია, საფუძველი და შესაძლებლობები ჰქონდათ მოეპოვებინათ ციტ რიმეს თასი. და მაინც გერმანელების წარმატება არ იყო შემთხვევითი. დიდი ხნით ადრე, წინასწარ იყო შემუშავებული მომავალი ბრძოლების გეგმა. გუნდი საგანგებოდ და, შეიძლება ითქვას, სანაკებოდ იყო მომზადებული ამ ბრძოლებისათვის.

მოხდა ისე, რომ გერმანელებს ორჯერ მოუხდათ თამაში უნგრელებთან. პირველი თამაშის შედეგს მნიშვნელობა არ ჰქონდა გერმანელებისათვის, სამაგიეროდ მეორე შეხვედრა გადამწყვეტი იყო. გერმანელებმა გადაწყვიტეს წაგოთ პირველი თამაში, თანაც წაგოთ ეშმაკურად. მათ თითქმის მთლიანად სათადარიგო მოთამაშეები გამოიყვანეს და დამარცხდნენ დიდი ანგარიშით. ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ ძალებისაგან დაეცალათ უნგრელები, ამასთან დიდი ანგარიშით მოგებას ამ უკანასკნელთათვის უნდა შეექმნა ილუზია, რომ ისინი ადვილად მოიგებენ მეორე მატჩსაც. უნგრელებმა მატჩი მოიგეს გამანადგურებელი ანგარიშით. გადამწყვეტ შეხვედრაში გერმანელებმა მოედანზე გამოიყვანეს დასვენებული ფეხბურთელები. მაგრამ ყველაფერი ამით არ გათავებულა, რომ კიდევ უფრო გაეძლიერებინათ თავიანთი და მართლაც მრისხანე მეტოქეებისათვის თამაში, გერმანელებმა მკაცრ პერსონალურ მეთვალყურეობას მიმართეს. ეს კი, რა თქმა უნდა, ყოველი ფეხბურთელისაგან ენერგიის მაქსიმალურ დაძაბვას მოითხოვდა. ყოველივე ამის შემდეგ შესვენებისას გერმანელმა ფეხბურთელებმა მიიღეს რაღაც შხაპი, რომელიც საგანგებოდ იყო მოთავსებული ბალონებში. ყველაფერი ეს მათ სპირდებოდათ სრული ფეხბურთი უპირატესობის მოსაპოვებლად.

ამგვარად, იმფრონდეური უნგრეთის უძლიერესი გუნდის ფიზიკური დამარცხების გეგმა, რომელიც საშუალო კლასის გერმანელმა გუნდმა შეიმუშავა, ჩაკეიანურად იყო მოფიქრებული და თანმიმდევრულად განხორციელებული.

ე. ი. საფუძველი გერმანელების გამარჯვების ჩემპიონატში ჩაეყარა სწორედ იმ თამაშის დროს, როცა ისინი დამარცხდნენ. მეორე თამაშში კი ეს გამარჯვება ოფიციალურად დაგვირგვინდა.

ყოველივე ზემოთქმული იმის მაგალითია, თუ როგორ შეიძლება მოუგო შენზე ძლიერ გუნდსაც კი.

ახლა ინგლისელები. გაიხსენეთ მოსკოვის „დინამოს“ ბრწყინვალე გამარჯვებები ინგლისში. შემდეგ ინგლისელთა უფრაერული გამოსვლები საერთაშორისო შეხვედრებში, რომლებმაც ბუნებრივად გამოიწვია მითქმა-მოთქმა ინგლისური ფეხბურთის მზის ჩასვენებაზე. მაგრამ ინგლისი დღეს სულ სხვა ფეხბურთის სამყაროშია. ბოლოს და ბოლოს, მათ მოახერხეს თავი დაეღწიათ კონსერვატიზმისათვის. ზონალური და პერსონალური დაცვის გონივრულმა შერწყმამ და ფიზიკური მომზადების მეტად მაღალმა დონემ ჩქეთრად შეეცვალა მათი თამაშის ხასიათი. ამათთან მათ დაიწყეს ორიგინალური ტაქტიკური ვარიანტების გამოცდა. ყოველივე ამან სულ სხვა ნაყოფი გამოიღო და მათ წარმატებით დაიწყეს თამაში საერთაშორისო შეხვედრებსა თუ მსოფლიო პირველობაზე. თბილისის „დინამოს“ ტურნეე ინგლისში მშვერმეტყველურად ლაპარაკობს ინგლისური ფეხბურთის სასარგებლოდ.

წლები გავიდა და მე ისევ თვალწინ მიდგას „ვესტ-ბრომვიჩ-ალბიონის“ ბრწყინვალე თამაში, რომელმაც აღტაცება გამოიწვია მოსკოვსა და თბილისში, იგივეთვე ინგლისის ნაკრების შესანიშნავი გამოსვლა, რომლის მოწმეც მე გავხდი მოსკოვში.

ფეხბურთში, ისევე როგორც ჭადრაკში, მთავარია დაიპყრო მოედნის შუაგული, რომ დაამსხვრიო მოწინააღმდეგის შეტევები და თვითონ გადაბვიდე იერიშზე. ეს ფეხბურთის ანბანია. და თუ ფეხბურთელები ზუსტად ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს, მაშინ გუნდი შესძლებს ხელთ იგდოს ინიციატივა. და კიდევ: ნახევარმცველები უნდა კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ თავიანთ ფორვარდებს და არამარტო ეხმარებოდნენ მათ, არამედ ხშირად თვითონაც უტევდნენ კარს. მაგრამ ამგვარი სქემა არ შეიძლება დოგმად ვაქციოთ და ჩავთვალოთ, რომ თამაში შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ისე, რომ ბრძოლის სხვა საშუალებებს აუცილებლად

დამარცხება მოპყვება. ბრმა მორჩილება რაიმე კანონებისადმი ზღუდავს მეწარმენელობა და მოთამაშეების შემოქმედებასა და ინიციატივას და ისინიც ვერაფერს ხედავენ ახალს მზა რეცეპტებს იქით.

ფეხბურთში, ისევე როგორც სხვა ბრძოლაში, უდიდეს ძალას წარმოადგენს მოულოდნელი მოქმედება. სწორედ ამით კარგად ისარგებლა „ვეს-ბრომვიჩ-ალბიონმა" და რამდენიმე ლამაზი გამარჯვება მოიპოვა ჩვენს საკლუბო გუნდებთან.

როგორ თამაშობდნენ ინგლისელები? როგორი იყო მათი გეგმა? ისინი არ ებრძოდნენ ბურთისათვის ჩვენს თავდასხმელებს მოედნის ცენტრში, როგორც ეს სიერთოდ ხდება. ასევე მათი ნახევარმცველები ერთხელაც არ გადაცილებიან მოედნის შუაგულს, რომელიც ნებაყოფლობით დაუთმეს ჩვენს ფეხბურთელებს ინიციატივასთან ერთად. ჩვენი ფეხბურთელები სარგებლობდნენ ამით და ხშირად გადიოდნენ მოწინააღმდეგის კართან. აქ, როგორც წესი, გროვდებოდა მრავალი მოთამაშე, როგორც ჩვენები, ისე ინგლისელები. პატარა ადგილზე თავმოყრილი ამდენი ფეხბურთელი, ბუნებრივია, მანეკრარებს საშუალებას ზღუდავდა, რაც უადვილებდა ინგლისელებს ბურთის მოგერიებას.

ჩვენი ფეხბურთელები, რომლებსაც დიდი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ და ინგლისელთა კარებს „სურნელებასაც" კი გრძნობდნენ, ძალაუნებურად უყურადღ_ებად ტოვებდნენ ზურგს. ინგლისელები ჩაიგდებდნენ თუ არა ბურთს, სწრაფად გრძელი გადაცემებით იწყებდნენ კონტრშეტევასა და უფრო სწრაფად შედიოდნენ ჩვენს საჯარიმო მოედანზე, ვიდრე ჩვენი ნახევარმცველები, რომლებიც ჯერ კიდევ ყალბი შეტევის იმედებით იყვნენ ალგზნ_ებულნი. თითქოს ვეტეკედით ჩვენ, გამარჯვებით კი მათ გაიმარჯვეს. „ფსევდომიოერშეთა" სტილის თაყვანისმცემელი ალბათ გაბრუებულნი ტაშს უკრავდნენ ინგლისელების საჯარიმოში შეჭრილ ჩვენს გაოფლილ ფეხბურთელებს და არც კი გაუგიათ, როგორ წაგვგეთ. ამბობენ, რომ ფრანგების საგანგებოდ შეუსწავლიათ ინგლისელთა ეს ტაქტიკური მანევრი და მისთვის „კონტრაივ" დაურქმევიათ, ჩვენ კი არც გვიფიქრია, გამოგვეყენებინა მსგავსი რამ.

ხოლო ინგლისის ნაკრებმა, რომლის ცენტრფორვარები იყო დერეკ კევანი, საკმაოდ ორიგინალურად ითამაშა საბჭოთა კავშირის ნაკრების წინააღმდეგ, მიუხედავად საყიათო ანგარიშისა (1:1). ინგლისელმა ცენტრფორვარდმა გაითვალისწინა, რომ ჩვენ უსათუოდ პრესნელურ დაცვას გამოვიყენებდით და, როგორც გვჩვევია, ვიბრძოლებდით მოედნის შუაგულისათვის. იგი არც თავის დამცველებთან ჩ_ადგ_ა და დასახმარებლად და არც ბურთისათვის იბრძოდა. იგი რაც შეიძლება ახლოს იმყოფებოდა ჩვენს კართან და მიჯაკუეული ჰყავდა ჩვენი ცენტრალური დამცველი. ინგლისელი თავდასხმელები კი სწრაფად ეხმპარებოდნენ დ_აკვა და თან მიჰყავდათ ჩვენი ფეხბურთელები, რომლებიც მათ იქერდნენ. როგორც კი ბურთს ინგლისელები დაეპატრონებოდნენ, მათი ფორვარდები წინ მისწრაფვოდნენ და ბურთს უძლიერესი დარტყმით მოედნის ცენტრიდან პირდაპირ კევანთან გზავნიდნენ. კევანი სწრაფად გადაჩარჩენდა ბურთის შესახვედრად და შეუჩერებლად ისევ უკან აწვდიდა ფეხით ან თავით რომელიმე თავდასხმელს. და ამგვარად ინგლისელები გრძელ გზას გადიოდნენ უბრძოლველად, ზოგავდნენ ძალასა და დროს, ხშირად აღმოჩნდებოდნენ ხოლმე ძალიან ახლოს ჩვენს კართან. ინგლისელები თითქოს უყურადღებოდ ექცეოდნენ ბურთისათვის ბრძ_ოლის საქმეს და არ ცდილობდნენ უსათუოდ მოედნის ცენტრიდან სახიფათო მოვლენების შექმნის თუ იერიშის წამოწყებას. მათ უკეთეს ხერხს მიაგნეს. მათ გვერდი აუარეს ჩვენი მოთამაშეებით დასახლებულ მოედნის შუაგულს და გრძელი გადაცემებით დაუბრკოლებლ_ად გადადიოდნენ მოედნის ცენტრს.

ახლა რაც შეეხება ბრაზილიის გუნდს. ბრაზილიის ნაკრება ყოველთვის თვალებოდა კარგ გუნდად, განსაკუთრებით გამოირჩეოდენ მაღალი ტექნიკით, ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ მას და ბოლოს და ბოლოს თვითმხნადაც გადაჰქცია.

ამიტომ მათ არტისტებად თვლიდნენ და მსოფლიო ჩემპიონის სახელს სერიოზულ პრეტენდენტებად არც მიიჩნდათ. სინამდვილეში კი რა მოხდა! ისინი გარდიაქმნენ, მათმა თამაშმა საყოველთაო აღტაცება გამოიწვია. მათ მოიპოვეს სპპატო ტიტული და ფეხბურთის კლასს ეტალონებად იქნენ. ვფიქრობ, თქვენთვის საინტერესო იქნება, როგორ მიაღწიეს მათ ამ უდიდეს წარმატებებს. ისინი ისე მოეშზდნენ თოლეტურად, რომ თამაშის არცერთნაირი ტიპი მათთვის საშიშროებას აღარ წარმოადგენდა, ამიტომ ინიციატივის თამაშის დაწყებიდან ბოლომდე ისინი ინარჩუნებდნენ. მათ უარი თქვეს „სილამაზეზე სილამაზისათვის" და თავიანთი მრავალწახნაგოვანი ტექნიკა გამოიყენეს, როგორც საშუალება საინტერესო ტაქტიკური კომბინაციების შესრულებისათვის და ოთხი დამცველის სისტემის ეფექტური გამოყენებისათვის. მათი თამაში განსხვავდებოდა მოწინააღმდეგეების თამაშისაგან და საყოველთაო აღტაცება გამოიწვია. ყველა გუნდს გაუნმდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურვილი ეთამაშათ ისე, როგორც ბრაზილიელები თამაშობენ.

ჩვენი გულუბრყვილობის დასადასტურებლად მოვიყვან კიდევ ერთ მაგალითს. პირველ შეხვრეგ მატჩში თურქებთან, რომელიც მოსკოვში ჩატარდა. ჩვენი გამარჯვება არაეთარ ექვს არ იწვევდა. სსრკ ნაკრებმა შეხვედრა კარგად ვერ ჩაატარა, მაგრამ თუოქვბზე ძლიერი იყო და ამიტომ თამაში მოიგო მინიმალური ანგარიშით (1:0). თურქები რეალისტურად აფასებდნენ თავიანთ ძალებს. მათ იცოდნენ, რომ თანაბარ ბრძოლაში უსათუოდ დამარცხდებოდნენ და ალ, ბგრ-ში ვარჯიშის დროს მათ რჩევისათვის მიმართეს მწვრთნელ ზეკ ჰერბერგერს და გადაწყვიტეს რიგიმე ისეთი ტაქტიკური მანევრისათვის მიემართათ, რაც მათ თამაშის სიძლიერეებს შეუფასებენებდა და უკეთეს შემთხვევაში გამარჯვებასაც მოუტანდა. თუ რას მიაღწიეს, ამაზე შემდეგ ვიტყვი, ახლა კი ამ თამაშზე ერთერთი სპეციალისტის შთაბეჭდილებებს გადმოგცემთ. ეს პატივცემული ამბანაგი გაკვირვებული იყო იმით, რომ თურქებმა, რომლებიც დაცვით სისტემას იყენებდნენ, თავდასხმაში დატოვეს 2-3 ფეხბურთელი, მას შემდგომ კი, როაც მათ კარში გატანილი იქნა გოლი. იგი თვლიდა, რომ გაძლიერებული დაცვა მხოლოდ საყაბში ანგარიშის შემთხვევაში იქნებოდა გამართლებული. მაგრამ მაშინ, როცა ანგარიში იყო 1:0 სსრკ ნაკრების სასარგებლოდ, საკვირველი იყო, თუ რატომ არ ცვლიდნენ თურქები თამაშის სისტემას. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავდა იმას, რომ თურქები ვერ ეკიერკნენ სიტუაციაში და დაბნეულნი განაგრძნ.ბდნენ თამაშს. პირიქით. მასლოვმა „სოვეტსკი სპორტის" ყოველკვირეულ დამატება „ფუტბოლში" გამოაქვეყნა სტატია „თურქული გამოცანა", რომელშიაც სცადა აეხსნა ამის მიზეზი. თურქებს უმჯობესენ შემთხვევაში მხოლოდ ცენტროფორვარდი მეტინი ჰყავდათ წინ დატოვებული. იგი მათ თავარ ძალს წარმოადგენდა. თურქები ვარაუდობდნენ, რომ მასლიონკინთან ორთაბრძოლაში იგი იმოვიდა ხელსაყრელ მომენტს, გამარჯვებული გამოვიდოდა და გაიტანდა გოლს. ნაწილერი ნათელი და არც თუ ისე უსაფუძვლო იყო. მისი შეცდომა მიღებულ გოლთან დაკავშირებით არ იქნებოდა გამართლებული. „უნდა გამოეტყდეთ, — წერს მასლოვი — რომ თურქებმა შესძლეს თავიანთი გეგმის განხორციელება. მეტინმა ორჯერ მოახერხა მასლიონკინთან ორთაბრძოლაში გამარჯვება და მეკარესთან პირდაპირ აღმოჩნდა. მხოლოდ ცენტროფორვარდის ნერვიულობამ, რომელიც პასუხისმგებლობის გრძნობით იყო გამოწვეული, არ მისცა საშუალება მას მოხერხებული პოზიცია შეერჩია დარტყმისთვის". აი, თუმმე რაში ყოფილა საქმე. ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცა კვლავ ტაქტიკაზე მიხდება საუბარი, უნდა იყოვე გავიმეორო, რაც წარსული პირველობის დაწყებებსაა ეთქვი. ამასთან შენიშვნის სახით უნდა დავუმატო, რომ რახან დავაგვიანეთ, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ამიტომ ახლა ვიჩქარეთ, გუნდის ამგვარი გარდაქმნა რთული საკითხია, ამგვარი მეტამორფოზა არ შეიძლება მექანიკურად მოხდეს, უნდა მივალწიოთ იმას, რომ ეს ახალი იარაღი ჩვენს ხელში ისე ჩანდეს, როგორც საკუთარი, და არა ისე, როგორც ნათხოვარი, რომლის წესიერად ხმარება არც კი ვიცით. ეს უნდა ორგანულად აითვისოს გუნდმა, წინასამზადეგ შემოხვევაში უსუსტეს მიბაძვასთან გვექნება საქმე, არა უშავს, თუ ახლის დანერგვის ეს პროცესი მწარე წამლის მიღებას ემგავნება. ეს უდაოდ დიდი ნაბიჯი იქნება წინ.

მაგრამ არც ამით შეიძლება დაკმაყოფილება. მსოფლიოს წამყვანი გუნდები გაგეფულად მიმართავენ ახალ ტაქტიკურ ვარიანტებს, რომლებიც მოფლოდნელია მოწინააღმდეგისათვის. ბევრი ჩვენი გუნდი ფეხბალეგს მიყვება მსოფლიო ფეხბურთის ამ წინსვლას. ამ მხრივ კარგი შედეგიც ბევრია. სპეციალისტები, მაგალითად, თელიან, რომ კიევის „დინამოს“ უდიდესი წარმატება საკაგშირო ჩემპიონატში განაპირობა ახალი ტაქტიკური მანევრების გაგეფლობა გამოყენებამ. აქვე შეიძლება სტალინის „შახტიორის“ მაგალითიც ვახსენოთ. მარტო პათოსით ვერ შეძლებენ ისინი ბროლის თასის დაყაჩრობას. არც ღრმა იდეურობა კმარიდა „ტორპედოსთან“ გამარჯვეგის მოსაპოვებლად. „შახტიორის“ წარმატებების გასაღენია მოფლოდნელობა, რომლითაც მათ გუნეგა გაუფუჭეს ბევრ წამყვან გუნდს.

უნგრელები, როცა საუკეთესო ფორმაში იყვნენ, მოწინააღმდეგის სწრაფი და მოფლოდნელი განადგურების მიზნით თამაშის დასაწყისშივე აეიფორიგებდნენ თავბრეფადმხეკ ტემპს. ეს ხერხი არც ჩვენთვისაა უცხო, ჩვენც ხშირად მივმართავთ ხოლმე მას. მოთამაშეებს ეძლევათ დავალება: „დაძაბეთ მთელი ძალები, განაკითარეთ მაღალი ტემპი მსაჯის სასტვენისთანავე და მიაღწიეთ შედეგს“.

მაგრამ თუმცა ამ ამოცანის შესრულება არც ისე იოლი ყოფილა, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. პირველი წუთებიდანვე მაღალი ტემპი რომ განაკითარო, ფეხბურთელების ორგანიზმი მომზადებული უნდა იყოს ასეთი ძმიმე უეცარი დატვირთვისათვის. ფეხბურთელების ორგანიზმი საგანგებო მომზადების გარეშე ვერ განაკითარებს სასურველ სისწრაფეს. მოთამაშეები მალე დადაიტვირთებიან და ეს კი იმას გამოიწვევს, რომ მათი საერთო გამძლეობა უცეგ დასუსტდება, რამაც არ შეიძლება კვლავ არ დაამჩნიოს თამაშს. გარდა მოთამაშეთა ფიზიკური ამტანობისა, ანგარიში უნდა ვახსენოთ მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი — მოთამაშეთა მორალური მომზადების დონე. როგორც ვთქვით, ფეხბურთელებს მიეცათ დავალება, განეკითარებინათ მაღალი ტემპი. მათ ეს დავალება შეასრულეს, მაგრამ სასურველი შედეგი მაინც არ ჩანს. მაღალმა ტემპმა დიდი ძალების დახარჯვა მოითხოვა. ახლა კი ისინი მორალურადაც დაეცნენ. ამ მდგომარეობაში მათ კიდევ დიდხანს უნდა იბრძოლონ, ხშირად მოუხდა ასე: მწვრთნელები ზემოხსენებულ მახეს მოწინააღმდეგის უგებენ და თვითონვე კი ებმებიან. ინ სწორედ ამისთვისაა საჭირო გუნდის მაღალი მორალური მომზადება.

ჩემის აზრით, ამ მიმართულებით გუნდის მომზადება სხვაგვარად უნდა წარიმართოს. მაგალითად: წინასამატჩო მოთეკა სხვაგვარად უნდა ჩატარდეს. ამკამად მოთეკა სწარმოეს დაბალ ტემპში, ორი-სამი დამეკული ერთმანეთს აწვდის ბერთს. თავდასხმელები ურტყამენ კარში. ეს არის და ეს.

საკმარისია კი მოთეკისას ამგვარი დატვირთვა თამაშის დასაწყისიდანვე მაღალი ტემპის გაკაკითარებლად? ამგვარი მოთეკეს გამოა, რომ თამაშების უმეტესობა ნელ ტემპებში და ულიმლამდე იწყება. ასეთ დროს ამბობენ, რომ ფეხბალი ჯერ არ გათამაშებულან. ეს ასეკაეკი. ი. მოთამაშის ზრომისუნარიანობა მეშვედება თვით თამაშის პროცესშიეე.

ახლა წუთით წარმოიდგინეთ, რომ მოთეკეს ჩვენ ჩავატარეთ იმგვარი ინტენსივობით, რომ მზადა ვართ თამაშის მაღალი ტემპისათვის. ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა კი მოთეკა ძველებურად ჩაატარეს. ვინ უკეთ და უფრო სწრაფად ითამაშებს თამაშის დასაწყისშიეე? რა თქმა უნდა, ჩვენ. მაშინ, როცა ჩვენ მოწინააღმდეგეები ცხ-ესაა ქანს იღებენ, ჩვენ უკვე მთელი ძალებით მივქრით წინ.

ამ პირობებში შედარებით სუსტ გუნდს შეუძლია თამაშის დასაწყისში დაჩაგოს შედარებით ძლიერი გუნდი, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ მოუხერხებია მთელი ძალებით ამოქმედება და შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამომეღავნება.

ცნობილია, რომ ყოველთვის ბევრს ლაპარაკობენ სამხრეთელ ტემპერამენტზე. თუ ჩვენ ამ „ღუთისგან ბოძებულ წყალობას“ ხელოვნურად გავზრდით, მაშინ ჩვენი გუნდის სიძლიერე თამაშის პირველსავე პერიოდში რისხვად დაატყდება მოწინააღმდეგეს. ჩვენც თავიდანვე ხელთ ვიგდებთ ინიციატივას. ეს კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ გამარჯვეგის ერთერთი მთავარი პირობა.

ყოველივე ზემოხსენებულს ისიც უნდა დავუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატოთ, რომ სისწრაფეს, რომელსაც მოთელვის ახალი სისტემის წყალობით მივაღწიეთ, თან უნდა დაერთოს ახალი ტაქტიკური მანევრები, გვაქვს კი ჩვენ ეს ახალი ტაქტიკა? ნათქვამია, ყველა გზა რომში მიდისო, ისევ და ისევ ტაქტიკა. კარგი ტაქტიკური მომზადების გარეშე ყოველი ცდა ამაო იქნება. ვერც ფიზიკური და ვერც მორალური მომზადება ვერაფერს გვიშველის.

ჩვენს მაყურებლებს კარგად ახსოვთ მესხის რამდენიმე ოსტატური გარღვევა ცენტრიდან, რამაც დიდი არეცდარევა შეიტანა მოწინააღმდეგის რიგებში. მოთამაშეებსაც და მწვრთნელებსაც გაუჭრდათ ახალი სახრუნავი თუ როგორ უნებებელეყოთ იგი. დამცველი, რომელიც მასზე იყო მიმაგრებული, დილემის წინაშე იდგა: ან უნდა გაპყოლოდა მესხს ცენტრში და ამით თავის ფრთაზე შეექმნა ვაკუუმი, ან უნდა თავის ადგილას მდგარიყო უმოქმედოდ მაშინ, როცა ცენტრში მესხის შესვლა უკვე თბილისელთა რიცხობრივ უპირატესობას ქმნიდა.

მსგავსი სოუპრიზების მომზადება მრავლად შეიძლება. ამან კი არ შეიძლება თავისი დადებითი შედეგი არ გამოიღოს.

რა შეიძლება კიდევ ითქვას?

ამბობენ, რომ საქართველოში ცუდად ეკიდებიან კადრების მომზადების საქმეს, რომ თითქოს ცვლა არ მიდის, მე ამ აზრს არც ადრე ვიზიარებდი და არც ახლა ვიზიარებ. რა თქმა უნდა, ჩვენ შეგვიძლია უკეთესი ფეხბურთელები აღეზარდოთ. მაგრამ ამ მდგომარეობაშიაც ჩვენ მაინც გვყავს ცვლა.

ჩვენი რესპუბლიკის ხუთი გუნდიდან, რომლებიც მონაწილეობდნენ „ბ“ კლასის გათამაშებაში, ორმა, თბილისის „ლოკომოტივმა“ და ქუთაისის „ტორპედომ“ თავთავიანთ ზონებში პირველი ადგილი დაიკავეს, ხოლო შემდეგ ქუთაისის „ტორპედო“ „ა“ კლასშიაც გადავიდა. ეს ქართული ფეხბურთის, მისი ხელმძღვანელების, მწვრთნელებისა და გულშემატკივრების დიდი გამარჯვებაა. იმათ, რომლებაც ფეხბურთს მთელი თავისი ცხოვრება მოაბრალეს, შეეძლიათ იამაყონ. ახლა უფრო მეტი მღელვარება მოგვიხდება.

ახლა ისევ თბილისის „დინამოზე“. ოქვენი არ ვიცი და მე კი ზშირად თვალყური მიდევნებია ჩვენი თოთამაშეებისათვის, მათი ფსიქიკური მდგომარეობისათვის, მათი თამაშისათვის, და მათ სახეებზე შემიმჩნევია დაფიქრება, თავისი თავით დაუკმაყოფილებლობის გრძნობა. და ეს მეჩვენებოდა, რომ ამის მიზეზი იყო ის შემზღუდველი მდგომარეობა, რომელშიც ყოველი მათგანის ინდივიდუალური ნიჭია ჩაყენებული. ისინი მოკლებულნი იყვნენ იმ სიხარულს, რომელსაც აღწევენ პატარები, როცა სადილზე დედას კოვზს ხელიდან ართმევენ და ეუბნებიან, „მე თვითონო“.

მაგრამ ახლა ყველაფერი შეიცვალა. მოთამაშეებს შეეძლიათ გამართონ ძლიერი მხრები, ითამაშონ მსუბუქად და ძალდაუტანებლად, თავიანთი ნიჭის შესაფერისად და ჰქონდეთ დიდი სიხარული, ინდივიდუალური შემოქმედება, რომელიც არ ეწინააღმდეგება კოლექტივის მიერ მოფიქრებულ სქემას.

ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ მწვრთნელებიც. მათი პერსპექტივები შეზღუდული იყო მითითებებით და ხელოვნური კანონებით. ამ სტილს მაშინ ავრცელებდნენ და ნერგავდნენ.

მოვიდა დრო, დაბრკოლება გადალახეთ და შემოქმედებით აზრს ფართო გასაქანი მიეცა. მწვრთნელის ინიციატივა და შემოქმედება დიდი ძალაა. იგი წარმართავს ფეხბურთელის მოქმედებასა და ბრძოლისუნარიანობას, ძლიერი კოლექტივის მექანიზმსა და მისწრაფებებს, ფეხბურთელების ტალანტსა და მთავარ ძალებს.

მაღე გაიცლის ზამთარი. ისევ დადგება საფეხბურთო გაზაფხული და მაღე ისევ გაგვშურებთ სტადიონებისაკენ ჩვენი გუნდის გამარჯვების რწმენით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავსტრია

რენუარი კვლავ აფრთხილებს

ცნობილი ფრანგი რეჟისორი, „დიდი ილუზიების“ შემქმნელი ჟან რენუარი ვენაში ამთავრებს ფილმის გადაღებას, რომლის სათაურია — „კაპრალის გაქცევა“. მოქმედება წარმოებს მეორე მსოფლიო ომის დროს. ფრანგი კაპრალი აწყობს გაქცევას საკონცენტრაციო ბანაკიდან, რაშიც მას დახმარებას უწევს გერმანელი კბილის ექიმი ქალი. კაპრალის როლს ასრულებს პიერ კასელი, ე. წ. „ახალი ტალღის“ წარმომადგენელი ფრანგულ კინემატოგრაფიაში. მსახიობისათვის ეს პირველი სერიოზული როლია. ექიმი ქალის როლშია ავსტრიელი მსახიობი კ. ფრობანი, რომელსაც კინოში თექვსმეტამდე როლი აქვს შესრულებული. ამ როლის თამაში რენუარის კამერის წინ, ბევრის აზრით, მისთვის ტრამპლინი გახდება დიდი ხელოვნების სამყაროში მოსახვედრად. სპეციალად იშველიებენ იმ ფაქტს, რომ თვით ჟან გაბენიც რენუარის „დიდი ილუზიით“ გახდა საქვეყნოდ ცნობილი.

„დიდი ილუზია“ რენუარმა ამ 25 წლის უკან გადაიღო, იმ დროს, როცა გერმანიაში ხელისუფლებას სათავეში ედგა ჰიტლერი და მეორე მსოფლიო ომი მზადდებოდა. ფილმი მოუწოდებდა ხალხებს არ დაეშვათ ახალი საშინელი ომი.

და აი ახლა, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან 17 წლის შემდეგ, კვლავ უკუნრადღებოდ რჩება ომის საწინააღმდეგო ყველა მოწოდება. ზოგი მთავრობა კვლავ ირაღდება და ამზადებს ენით აუწერელ კატასტროფას. ამ საფრთხის შეგნებით რენუარი კვლავ იმღერებს ხმას. „კაპრალის გაქცევამ“ უნდა განაგრძოს „დიდი ილუზიის“ იდეა.

„მე ვხედავ, — ამბობს რენუარი, — თუ რარიგ ქუცმაცდება ხაზოგადოება. ადამიანები მხოლოდ საკუთარი ცხოვრებით იფარგლებიან. სხვისი უბედურება ბევრისთვის არაფერს ნიშნავს. ჩვენი ვალია შევიგნოთ ეს, არ დავუშვათ, რომ გაიზარდოს უფსკრული ადამიანთა შორის, რომ ძმობა, ამხანაგობა, სოლიდარობა არ იფარგლებოდეს ვიწრო წრით. უნდა მოვუწოდოთ ადამიანებს მეგობრობისკენ“.

ასეთი მგალითი უნდა აჩვენონ ფილმში პატარა კაპრალმა და ექიმმა ქალმა. რენუარს, რომელიც ამჟამად 67 წლისაა, სურს ახლაც გაიფრთხილოს ახალი ომის, როგორც ამ 25 წლის უკან.

აშშ

„ჩემსავით შავკანიანი“

ასეთი სათაურით გამოიცა ამას წინათ ნიუ-იორკში ცნობილი ამერიკელი პუბლიცისტის ჯონ ჰოუარდ გრიფინის წიგნი. ავტორი არაა ზანგი, მაგრამ 1959 წელს მან მოხერხებულად გაკეთებული გრიმისა და სხეულის შეღებვის შემწეობით შესძლო რამდენიმე კვირა ეცხოვრა შეერთებული შტატების სხვადასხვა ქალაქში, როგორც ზანგს, და თვითონ იწვნია რასობრივი დისკრიმინაცია. სწორედ ამას მოეთხრობს მკითხველებს ზემოხსენებული წიგნი.

მოთხრობა და ფილმი ამერიკელ პოლიტიკოსებზე

ახალგაზრდა ამერიკელმა ჟურნალისტმა ალენ დრერმა დაწერა მოთხრობა „ტიტანები“, რომელმაც გამოცემისთანავე გასაოცარი პოპულარობა მოიპოვა. მოთხრობაში აღწერილია ცნობილი ამერიკელი პოლიტიკოსების ცხოვრება. სწორედ ეს მოთხრობა დაედო საფუძვლად ოტო პრემინგერის ახალ ფილმს, რომელიც ეკრანებზე გამოვა სახელწოდებით — „გრიგალი ვაშინგტონში“.

სინკლერის ახალი რომანი

83 წლის ეპტონ სინკლერი ჯერ კიდევ სავსეა ახალგაზრდული ენერგიით. ამის დამამტკიცებელია არა მარტო ის, რომ იგი ახლახან დაქორწინდა, არამედ ისიც, რომ მან გამოსცა ახალი რომანი „ობიექტიცია“ ანუ ეგო“. კრიტიკა განსაკუთრებით ხაზს უსვამს წიგნის მუმნერობას. რომანში მოთხრობილია დავიწყებულ და შეურაცხყოფილ ადამიანებზე, რომლებიც ცხოვრებამ გარიყა. წიგნი არაა გადაჭარბებით დიდაქტიკური ხასიათისა.

დღემდე სინკლერმა გამოსცა 74 წიგნი, რომლებიც 772-ჯერ გამოიცა და ითარგმნა 47 ენა-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ზე; მას დაწერილი აქვს 28 პიესა, აქედან სცენაზე დაიდგა 13.

ჰაროლდ ლოიდის ფილმების მონტაჟი

„ჰაროლდ ლოიდის კომედიური სამყარო“ — ასე ეწოდება ამ სრულმეტრაჟიან ფილმს, რომელიც წარმოადგენს მუნჯი ფილმებიდან ამოღებული საუკეთესო ფრაგმენტების მონტაჟს ცნობილი კომიკოსის ჰაროლდ ლოიდის მონაწილეობით. ფრაგმენტების მონტაჟზე მუშაობს თვით ჰაროლდ ლოიდი.

ᲑᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ

ᲑᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

ჰაინეს სახელობის პრემიები

1961 წლის ჰაინრიხ ჰაინეს სახელობის პრემიები გადაეცათ ლირიკოს არმან მოელერს და პუბლიცისტ პეტერ ედელს.

არმან მოელერმა ეს მაღალი ჯილდო მიიღო ლიტერატურული მოღვაწეობისათვის და პირველ ყოვლისა ლირიკული ლექსებისათვის; მის ნაწარმოებებს — „სალამი, კრაკაუელო მეგობარო“, „იმედის ქოხებში“, „შავი ნაცარი — თეთრი ჩიტი“ — საპატიო ადგილი უჭირავს გერმ-ს ახალგაზრდობის ცხოვრებაში.

პუბლიცისტმა პეტერ ედელმა პრემია მიიღო ჰაინესებრი მებრძოლი სულით გამსჭვალული კრიტიკული ნაწერებისთვის ხელოვნების საკითხებზე.

თომას მანის წერილები

„წერილები 1889 წლიდან 1936 წლამდე“ — ასეთი სათაურით გამოსცა თომას მანის ქალიშვილმა ერიკა მანმა წიგნად მამის წერილები. წიგნში მოთავსებულია თომას მანის მიმოწერა ალბერტ აინშტაინთან, გერჰარტ ჰაუპტმანთან, ჰერმან ჰესესთან, ზიგმუნდ ფროიდთან, სტეფან ცვაიგთან, ფრანც ვედეკინდთან და ჰაინრიხ მანთან.

აბუშიდან — ცვაიგამდე

„გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მწერლები“ — ასე ეწოდება ბიოგრაფიულ-ბიბლიოგრაფიულ წიგნს, რომელიც ახლახან გამოსცა ლაიპციგის ერთ-ერთმა გამომცემლობამ. 200-გვერდიან მატარა წიგნში დიდი სიზუსტითა და სიყვარულითაა აღნიშნული გდრ-ში მცხოვრები მწერლების სახელი, გვარი და ფსეუდონიმი, მათი ცხოვრების მნიშვნელოვანი თარიღები, ჯილდოები, დასახელებულია აგრეთვე მათ მიერ შექმნილი ნაწარმოებები. ბიბლიოგრაფიული მონაცემები, რომლებშიც აღნიშნულია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, და უწინარეს ყოვლისა ემიგრანტული ლიტერატურა, დალგებულია ქრონოლოგიურად და ჟანრების მიხედვით — პროზა, ლირიკა, დრამატურგია, კინოსცენარები, რეპორტაჟები და სხვ.

წიგნის ავტორებს მიზნად ჰქონდათ შეექმნათ საინფორმაციო მასალა ინტელიგენციის, კულტურის დარგის მუშაკების, მასწავლებლებისა და ბიბლიოთეკარებისათვის. თუ რაოდენ საჭირო და სასარგებლოა ასეთი წიგნი, მოწმობს ის ფაქტი, რომ წიგნი გამოსვლისთანავე გაიყიდა.

რომანი ახალგაზრდობისათვის

ცნობილი გერმანელი მწერალი ალეკს ედენნი წერს რომანს ახალგაზრდობისათვის. რომანის მგმირი ახალგაზრდა გერმანელი გოგონა კარინა, რომელიც მშობლებმა მისი სურვილის წინააღმდეგ დასავლეთ გერმანიაში წაიყვანეს. ტანჯვითა და წვალებით სავსეა მისი გზა, ვიდრე ისევ გდრ-ში დაბრუნდებოდეს. რომანს ავტორმა საფუძვლად დაუდო კარინას დღიური და წერილები, — ეს მასალები მას თვითონ კარინამ და მისმა სკოლის ამხანაგებმა მიაწოდეს.

ᲑᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

ბოიკოტის მიუხედავად

ცნობილია, რომ დასავლეთ გერმანიის რეაქციული წრეები დიდი ხანია ცდილობენ უგუნებლებელყონ ბერთოლდ ბრეხტის შემოქმედება. ბევრი ოპატრი, ხელისუფალთა მოთხოვნით, იძულებული გახდა მოეხსნა რეპერტუარიდან ბრეხტის პიესები. მაგრამ რეაქცია მარცხდება. წელს „მიუნხენერ კამერშპილი“ (წმაწყანი თეატრია მიუნხენში) კვლავ შეიტანა თავის რეპერტუარში „კავკასიის ცარცის წრე“. ამას მოჰყვა „სამგროშიანი ოპერის“ აღდგენა ქალაქ ბრემენის თეატრში (მაყურებელთა მოთხოვნით). ფრანკფურტსა და ესენში ამჟამად გაცხოველებული მზადება „გალილეის“ დასადგმელად. ფრანიბერგსა და ვეტინგენში დიდი წარმატებით მიდის „წესი და გაქნილობა“, ხოლო ფლშში ზედიზედ იდგმება „[illegible]“.

ამრიგად ბერთოლდ ბრეხტის ბოიკოტი ჩაშალა თითქმის მთელ დასავლეთ გერმანიაში. თუმცა აქა-იქ, ზოგიერთ ქალაქში, ჯერ კიდევ გაბედულად ვერ აუმაღლებიათ ხმა ამ პროგრესული წერილის ქმნილებათა დასაცავად. მაგ., ჰამბურგის ხაოპერო თეატრმა ამას წინათ თავისი რეპერტუარიდან ამოიღო „შავი ხე“, თუმცა, ვიდრე ამას მოიმოქმედებდა, ენერგიული პროტესტი განაცხადა ხელოვნების თავისუფლების დარღვევის გამო. ქ. ლიუბკის თეატრის მხახიობები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრამატურგები და რეჟისორები სენაის ხახელზე დაწერილ განცხადებაში პრობტეს გამოთქვამენ ამ ბოიკოტის წინააღმდეგ. ქალაქ լეონის სტუდენტები ღია წერილში აცხადებენ, რომ ისინი არ თანაუგრძნობენ ბოიკოტს და უმჯობესულად მიიჩნიენი იგი.

„მანიფესტაცია“ ჩაიშალა

ამას წინათ ჰამბურგის ეროვნულ „დი ცაიტის“ ინიციატივით დასავლეთ ბერლინში უნდა შემდგარიყო ე. წ. „დასავლეთის სამყაროს ერთიანობის მანიფესტაცია“, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიეღოთ ევროპის ცნობილ მწერლებს. მაგრამ ნეოფაშისტურ კულტურის მესვეურთა ეს წამოწყება სამარცხვინოდ ჩაიშალა, რადგან მრავალმა მწერალმა — მათ შორის ჯონ სტეინბეკმა, გრეეგმ გრინმა, ალბერტო მორავიამ, ჟან პოლ სარტრმ და სხვებმა კატეგორიული უარი განაცხადეს მონაწილეობა მიეღოთ ამ თავყრილობაში, რომელიც მიზნად ისახავდა ფაროთი პრობაგანდისტულ მანევრს. ყველაზე დამახასიათებელი და სავალალო ამ საქმის ინიციატორთათვის იყო ის, რომ თვით დასავლეთგერმანელი მწერალთა უმეტესობაც კი ერთობ გულგრძილად მოეკიდა ამ საქმეს და არ გამოცხადდა.

ბიშოლი პიეს სცენაზე

დიდი წარმატება ხვდა წილად ცნობილი დასავლეთგერმანელი მწერლის ჰაინრიხ ბიოლის პიესას — „ერთი ლუკმა მიწა“, რომელიც დიუსელდორფის მსახიობთა სახლის დასმა დადგა. ნაწარმოები აფრთხილებს დასავლეთ გერმანიის მოსახლეობას და მოუწოდებს მას ატომური ომისა და შეიარაღების წინააღმდეგ ბრძოლისკენ.

ესპანეთი

ბარდემის ახალი ფილმი

ესპანელი კინორეჟისორი ბარდემი, რომელმაც სახელი გაითქვა ფილმით — „ველოსიპედისტის სიკვდილი“, ამჟამად მუშაობს ახალ ფილმზე — „იქ, სადაც არაფერი არ ხდება“. ფილმის დამთავრებას თითქმის აღარაფერი უკლია, როცა სამეში ჩაერია ფრანკისტული ცენზურა, რომელმაც წინასწარ აკრძალა ფილმის ჩვენება ესპანეთში, ხოლო თუ რეჟისორი ფილმში ასახულ მოქმედებას სხვა ქვეყანაში გადაიტანდა, აკრძალვა უქმდებოდა. რეჟისორი იძულებული გახდა დაეთმო და მოქმედება იტალიაში გადაეტანა.

იაპონია

სინდიხის ქალა

ცნობილი იაპონელი კინორეჟისორი კანეტო სინდო, რომლის ბოლო ფილმი „შიშველი კუნძული“ 1961 წლის მოსკოვის საერთაშორისო ფესტივალზე პრიზული ეკიდოდთი აღინიშნა, მუშაობს ახალ ფილმზე— „კინ-მარუ“, იაპონელი მწერლის ვიეკო ნოგამის რომანის მიხედვით. ოთხი მეზღვაური გემის კაპიტანოფის შემდგ მარტო და ულუკმაპურო დარჩა შუა ზღვაში. სამნი გადაწყვეტენ მოიკლან მეოთხე მეზღვაური, რათა გადარჩნენ შიმშილით სიკვდილს. მაგრამ ამ ხანგრძლივ მოკვლის შემდეგ მიხვდებიან, რომ ბოლომდე ვეღარ მიიყვანენ ამ განზრახვას. ორი მათგანი ხსნას ბოლოდგ თვითმკვლელობაში ხედავს.

რეჟისორმა წარსულის ეს სიუჟეტი თანამედროვეობაში გადმოიტანა და მეორე მსოფლიო ომს დაუკავშირა. „მე ვეცდები — განაცხადა კანეტო სინდომ — ჩემს ფილმში გადმოვცე ადამიანური სინდისის ძალა, — ვიჩვენო, რომ ბოლოდგბოლოს მაინც ადამიანობა იმარჯვებს“.

ინგლისი

შექსპირის პოპულარობის მიზეზი

ამას წინათ შექსპირის სამშობლო ქალაქ სტრატფორდში გაიმართა შექსპირისადმი მიძღვნილი მეათე კონფერენცია, რომელზეც ცნობილმა ინგლისელმა მწერალმა ჯონ პრისტლიმ ფრიად საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა შექსპირის პოპულარობის გამო. პრისტლის აზრით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კაცობრიობა განსაკუთრებით დაინტერესდა ამ გენიალური ტრაგედიის შემოქმედებით. „თუ ანალიზს გავუკეთებთ ამ პოპულარობის მიზეზს, — დასძენს მწერალი, — შეიძლება იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ შექსპირის საუოველთაო სიყვარული განპირობა თანამედროვე ცხოვრების ერთფეროვანმა პირობებმა, რაც იმაში გამოიხატება, რომ მალე ალბათ პრეეიარი განსხვავება აღარ იქნება, მაგალითად, ბირმინგამსა და რიო დე-ჟანეიროს შორის, და ეს მაშინ, როცა შექსპირის საშყარო ხვეული ნაირსახეობითა და განუმეორებელი კოლორიტით“.

იტალია

ოპერა 400 წლისაა

მსოფლიოს მუსიკალურმა საზოგადოებრიობამ, განსაკუთრებით კი იტალიამ, ვახსენა წლის დეკემბერში დიდი ზეიმით აღნიშნა ოპერის შექმნილის ჯუბილეი პერის დაბადების 400 წლისთავი.

პერი დაიბადა 1561 წელს რომში. პერეული ოპერა „დაფნა“ დაწერა მედიჩების კარის პოეტის ოტავიო რინუჩინის პოემის მიხედვით. ოპერას, რომელიც 1594 წელს დაიდგა პალაცო კორსოში, ჩვენამდე არ მოუღწეია. შემორჩა მხოლოდ პარტიტურა პერის მეორე ოპერის „ეურიკიდანი“, რომელიც აგრეთვე რინუჩის ლიბრეტოს მიხედვითაა დაწერილი და დადგა ფლორენციაში, პალაცო პიტაში, 1600 წლის 6 სექტემბერს — მარია მედიჩისადმ-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მიძღვნილ დღესასწაულზე. ჯაკობო პერიმ მრავალი ოპერა შექმნა, რომლითაც, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოფულწვია. პერი გარდაიცვალა ფლორენციაში 1625 წელს.

ᲛᲝᲜᲔᲚᲝᲚᲔᲗᲘ

ᲩᲘᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ამ უკანასკნელ ხანებში გდრ-ს არქეოლოგებმა მონელილ კოლეგებთან ერთად ფრიად ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს ჩინეთისნაირ ისტორიის შესასწავლად. მათ აღმოაჩინეს ჩინეთისნაირ ერთი საყვარელი სამყოფელი, მთა ბურხან-ალდუნი, რომელიც მოხსენიებულია ძველ მონღოლურ ქრონიკებსა და ლეგენდებში. იგი უოლანბატორიდან 200-ზე მეტი კილომეტრითაა დაშორებული; გარდა ამისა ეწესდებიკიან აღმოაჩინა ქალაქის ტიპის დასახლება, რომელშიც თავის დროზე დასახლებინი 15.000 მკვიდრი ცხოვრობდა; ნაპოვნია ადრეთვე ქვაზე ამოკვეთილი წარწერები ძველთურქულ, მონღოლურ, არაბულ, ტიბეტურ და ჩინურ ენებზე.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

„ᲤᲘᲒᲐᲠᲝᲡᲘᲡ ᲙᲐᲠᲜᲐᲮᲘᲗ

ფრანგული პროგრესული ორგანო „ავანგარდი“ გულისტკივილით აღნიშნავს, რომ თანამედროვე პარიზში ამა თუ იმ პიესის სცენაზე წარმატების ბედს წყვეტს არა მაყურებელი, არამედ ის პოზიცია, რომელსაც იჩენს ამ პიესისადმი გაზეთი „ფიგაროს“ ხათეატრო განყოფილების კრიტიკოს-რეცენზენტი. როგორ ხდება ეს? როგორც ცნობილია, „ფიგარო“ — ეს კონსერვატორული და უაღრესად მემარჯვენე პოლიტიკური წრეების ინტერესთა გამომხატველი გაზეთი — საკმაოდ გავრცელებულია მთელს საფრანგეთში. მისი ხელისმოწერლები და მკითხველები ფულიანი ხალხია და თეატრის ბილეთის ყიდვაც მათ შეუძლიათ (ბილეთი ამჟამად 20-50 ახალი „მძიმე“ ფრანკი ღირს, ე. ი. დაახლოებით 4—10 დოლარი). რაც შეეხება წვრილი ბურუჟაზიის წარმომადგენლებს — ვაჭრებს, თავისუფალი პროფესიის ხალხს, რომ აღარაფერი ვთქვათ სტუდენტთა უმრავლესობასა და სხვებზე — ისინი, ჩვეულებრივად, უფრო იაფფასიან სანახობებს ამჯობინებენ. გარდა ამისა, პარიზის 60 თეატრში სპექტაკლი იწყება საღამოს 9 საათზე, მთავრდება ნაშუალამევს და, მაშასადამე, ადრეადგომ შრომელს ამ მხრივაც ხელს არ აძლევს ეს სიარული.

თუ გაზეთში გამოქვეყნდა დადებითი რეცენზია რომელიმე პრემიერაზე, „ფიგაროს“ მკითხველთა დაუწერელი მორალური კოდექსის მიხედვით თეატრს აუარება მაყურებელი მიაწყდა და პიესის „წარმატება“ უზრუნველყოფილია, წინააღმდეგ შემთხვევაში პიესა პირველი წარმოდგენისთანავე იხსნება რეპერტუარიდან. მაგ., ამ ცოტა ხნის წინათ გაზეთის ახლანდელმა რეცენზენტმა ჟან ჟაკ გოტიემ უარყოფითი რეცენზია უძღვნა ცნობილი ეკზისტენციალისტის როშეფორის რომანის ინსცენირებას, რომელიც განსახორციელო არანაკლებ ცნობილმა იტალიელმა მსახიობმა და რეჟისორმა, საფრანგეთში დიდად პოპულარულმა რიფ ვალონემ; პიესა დაუყოვნებლივ მოხსნეს რეპერტუარიდან, თუმცა დადგმა ურიგო არ იყო და არა ერთხელ დაიმსახურა მაყურებლის ტაში. რა თქმა უნდა, ამ რამდენიმე წლის წინათ ჟან ჟაკ გოტიე „ფიგაროს“ სათეატრო განყოფილების ტონის მიმცემი, მაშინ ამ საქმეს იქ სხვა განაგებდა. ათიოდე წლის შემდეგ იგი შეიძლება სხვაგან გადავიდეს სამუშაოდ, ან სულ დაანებოს თავი რეცენზიების წერას, მაგრამ ამით არაფერი შეიცვლება; „ფიგარო“ მაინც შექმნის სათანადო „ამინდს“ ამა თუ იმ პიესის ირგვლივ. „სწორედ ამაშია, — დაასკვნის „ავანგარდი“, — ბურჟუაზიული საზოგადოებისა და მის მსახურ ხელოვანთა არსი და რაობა“.

„ᲝᲙᲠᲝᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐ“

ამას წინათ ამერიკელი ჯაზის მომღერლის ვინსენტ ტელლორის თაყვანისმცემლებმა მისი კონცერტის წინა დღით პარიზის ერთ-ერთ სპორტდარბაზში მოაწყვეს უბადაღებული როკ-ნ-როლის საღამო. საღამოს ათი ნახევარ საათზე ახალგაზრდობამ [illegible] ადგა და რას ჩაფიდოდა: „[illegible]ები“ პარეში ბურთივით ისროდნენ თავიანთ „დალეზს“, ამ უკანასკნელთაგან ბევრი ტანსაცმელშემოფლეთილი ტრიალებდა ციბრუტივით. შემდეგ „ოკროს ახალგაზრდობამ“ ხელი მიპყო დარბაზის ავეჯის მტვრევას. როცა პოლიცია ჩაერია და დარბაზი დასცალეს, იატაკი მოფენილი იყო დამტვრეული მაგიდებით და სკამებით. თავგასული ხულიგნები დარბაზიდან გაძევების შემდეგაც არ დაცხრალან — ახლა ისინი ქუჩებს მოეფინენ, დაიწყეს მაღაზიების ვიტრინების ჩალეწვა და ავტომობილების გადაყირავება. „ამის გამო — ირონიულად დასძენს გაზეთი „ლიბერასიონ“ — ტელლორის კონცერტი ხსენებულ დარბაზში დანიშნულ დღეს არ შემდგარა“.

6'8/106

ფასი 60 კაპ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

„ЦИСКАРИ"

ИЗДАТЕЛЬСТВО

„САБЧОТА МЦЕРАЛИ"